

05
2-75
ს მ ა გ ე

~~05-1899. N^o 4~~

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წ ე ლ ი შ ა დ ი მ ე ე ქ ვ ე ბ



№ XI

6 თ ი ა მ ა 6 0 , 1 8 9 9

ტ ფ ი ლ ი ს ი

ს ა მ ი ს ხ ა დ ი ბ ი ბ ი ს ა მ ი ს ხ ა დ ი ბ ი ბ ი

1899

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го декабря 1899 г.

ପିନ୍ଧିଲେ

	83-
I—ବ୍ୟାକାଳିତା.—I—VIII.—ନାଚିଲ୍ଲି ମେଲାମ୍ଭେ.—ମହାତ୍ମାରୀତିଶୀଳ ଦା ମେଲାନିବିଦୀ. (ଗାଘରଦେଲ୍ଲେବା)	1
II—ଲାକ୍ଷାଳିତାରୀତି ପରିବର୍ତ୍ତନାରୀତି.—III—VIII.—ତାର୍କମା- ନୀ ଓ ଜ୍ଞାନିକାଶ୍ଵାଲ୍ଲାସା (ଦାଶାଶର୍ମୀଲ୍ଲି)	42
III—କଣ୍ଠରୀତି ଏବଂ ପରିବର୍ତ୍ତନାରୀତି.—I—II—ଲ୍ଲାଖି ପାଶ୍ଚାତ୍ୟମାନି- ଶା	73
IV—ଭାବନାରୀତି ପରିବର୍ତ୍ତନା.—ନାଚିଲ୍ଲି ମେଲାର୍ଜେ.—V—X—ରାମାନି ଦାଲ୍ଲାଗାରିତା ପ୍ରକାଶର୍ଯ୍ୟବିଦାନ, ଉତ୍ସ. ପାତ୍ରବିଦୀଶା, ତାର୍କମାନି ତ. ବ. — ବିଦୀ (ଗାଘରଦେଲ୍ଲେବା)	77
V—ଶକ୍ତିତଥିରୀତି.—ଶଳାବାରି, ତାର୍କମାନି ଉତ୍ସ. ମାତ୍ରାଫରଦାନିଦୀଶା. 113	
VI—କଣ୍ଠରୀତିରୀତି.—ନାଚିଲ୍ଲି ମେଲାର୍ଜେ.—IX—X—ରାମାନି ପ୍ରକାଶ- ନାଲ୍ଲିରୀତି ପ୍ରକାଶର୍ଯ୍ୟବିଦାନ, ଉ. ପାତ୍ରବିଦୀଶା, ତାର୍କମାନି ନେତ୍ରମାନି ର. ପରିବର୍ତ୍ତନାରୀତି (ଗାଘରଦେଲ୍ଲେବା)	119
VII—ପାତର-ପାତରିକା ପରିବର୍ତ୍ତନାରୀତି.—I—ଶ. ପାତରିକାଫିଲ୍ଲା- ଦା, ତାର୍କମାନି ତ. ବ. — ବିଦୀ	1
VIII—ପରିବର୍ତ୍ତନା ପାତରିକା ପରିବର୍ତ୍ତନାରୀତି.—	19
IX—ଶକ୍ତିରୀତି ପରିବର୍ତ୍ତନା.—ଶ. ପାତରିକାଫିଲ୍ଲାଦା.—VI—VII.ତାର୍କ- ମାନି	20

ნ ა ვ ა რ დ ო გ ა

(მოთხრობა)

ნაჭილი მასამე

II *)

შ ე ს ა გ ა ღ ი ღ

ყაზარას სიკვდილმა ზნეობრივად უველაზე ძლიერ სატი-
 ნიკაზე იმოქმედა. მამასთან შეკვეთილობის და ნებივრობის დრო-
 თან-და-თან ავონდებოდა და უცხოველდებოდა. წარმოიდგენ-
 და თუ არა ამ მოვონებათა წყალობით მშობლიური სიყვარუ-
 ლის გემოს და სირკბოებას, დაპირისპირი წარსულს, ბავშვობის
 დროს. ახლა, როდესაც მამა ასე სახიჩრად მოუკლეს, ყოველ-
 გვარი უსიამოვნება, რაც კი მამისაგან ჰქონდა მიყენებული,
 დაივიწყა. სიძულვილის ადგილს მისს გულში იჭერდა ისევ მა-
 მისადმი სიყვარული, ხოლო საყვედურის ადგილს სინანული.

არც სახლის საქმე, არც სხვა რამ გარეშე, სატინიკეს არა-
 ფერი აწუხებდა. აღალო ცოცხალი ყოფილიყო, თორემ რა
 ექმნებოდა იმას შესაწუხარი და გასაჭირი: ყოველისფერი მზა-
 მზარეულად მოსდიოდა; იმისი საქმე იყო მარტო მოეთხოვა,
 რაც ესიამოვნებოდა, მეტი არაფერი. ამისთვის დიდი თავისუ-
 ფალი დრო ჰქონდა, ანუ იყო უსაქმურად. მამის სიკვდილის
 წინად უსაქმობა და არა რაიმეზე უზრუნველობა ნაღველს უსი-

*) იხ. „მოამბე“ № VIII.



ებდია და სტანჯავდა სატინიკეს, ხოლო შემდეგში საქმედ გა-
უჩნდა მამის სიკვდილზე ფიქრი და მთლად ამ ფიქრებმა შეიპ-
ყრეს იგი, ეძინა თუ ეღვიძა.

მომეტებულად სიზმრებმა გაუჭირეს საქმე სატინიკეს. საკ-
მარისი იყო ჩაეთვლიშა, რომ უთუოდ ენახა როგორიმე სიზ-
მარი. უფრო ხშირად მამის მკვლელობის სურათი ეჩვენებოდა,
რაც უახლებდა ტანჯვას. ძილშივე მოჰყევებოდა ხოლმე საში-
ნელს ქვითინს და შფოთეას და იყო ხოლმე ერთ გამოუთქ-
მელ ტანჯვაში, ეიდრე არაენ გამოაღვიძებდა. ყაზარას მკვლე-
ლობის სურათს ბევრი სხვა ისეთი სურათებიც მოჰყევებოდნენ
ხოლმე, რომლებსაც ფიქრადაც ვერ წარმოიდგენდა სატინიკე
და რომელნიც ისეთსავე ტანჯვას აძლევდნენ და შიშის ზარ-
სა სცემდნენ მას, როგორც მამის მკვლელობის სურათი. იქამ-
დის შეაწუხეს იგი სიზმრებმა, რომ ძილისაც კი ეშინოდა და,
რაც კი შეეძლო, ცდილობდა ძილი გაეფთხო. ყოველი საში-
ნელი სიზმრის შემდეგ, თვითონ იღვიძებდა, თუ სხვა აღვიძებ-
და ვინმე, ფეთიანივით წამოვარდებოდა ხოლმე სატინიკე.

ერთხელ თვით აღალოც ისე ნაირად შეშინდა, რომ სა-
ტინიკეზე ნაკლებ არ უკანკალებდა გული. სატინიკემ ძილში
მოპხვია ხელები მძინარესავე აღალოს, მიეკრა გულზე მთლად
ოფლში გაწურული და ჰყვიროდა მძინარე: „მიშველეთ, ვინა
ხართ ქრისტიანები“. ეს ყვირილი არ შესწყვიტა თითქმის ათ
წამს გამოღვიძების შემდევგაც.

სატინიკეს ყვირილზე ყველა, ვინც კი სახლში მოიპოვე-
ბოდა, პატრონ-მოჯამაგირიანად, ფეხზე დადგა. აღალოს ეგო-
ნა, რომ მისი მეუღლე ნამდვილად ჰყუაზე შეშლილა. ცალკე
ეს ფიქრი აწუხებდა, ცალკე ის გარემოება, რომ ჰყუაზე შეშლილ
ცოლს მაგრად დაებლუჯა იგი და აღარ უშვებდა ხელიდან: რო-
გორც კაცს, შეეშინდა გიუისა. ძილი რაღას ერქვა ეისთვისმე
ამის შემდეგ. თუმცა ჯერ ისევ შუალამე იყო, მაგრამ ყველამ
თეთრად გაათენეს.

დედას, რომელიც ყაზარას სიკვდილის შემდეგ ქალ-სიძეს-
თან სცხოვრობდა, სატინიკე ყოველთვის უამბობდა თავის სიზ-

შრებს; ქმრისთვის კი ჯერ არც ერთი სიზმარი არ ეამბნა: მაგრე შემთხვევამ კი გააბედვინა ქმრისათვისაც ეამბნა თავისი სიზმარები. დამშვიდდა თუ არა, დაიწყო მათი მბობა ქმართან. სხვა-და-სხვა დროს ნანახი და ერთ დროს ნაამბობი სატინიკეს სიზმრების შინაარსს რამდენიმე სხვა-და-სხვა საგანი შეადგენდა.

II

გ ა დ ნ ი ე ჲ ე ბ ა

„სოფელ ჯევში ვიყავით,—დაიწყო სატინიკამ,—ვითომ მოჰკლეს მამა-ჩემი. აკუწეს ჩენ თვალ-წინ ლუკმა-ლუკმად, როგორც მართლა და იმ უღმერთოს აეკუჭნა. ამასაც როდი დასჯერდნენ. გავიდა დრო და ხანი და ახლა მამას მეგობრებს უწიეს. იქ სარდიონ მღვდელს აუყაყანდნენ, რადა სწყევლიდი მკვლელსა, რომელმაც ადრე და მალე ჩასაძლებელი ყაზარა ძლიეს ჩაძალლაო. მამასახლისი ზაქარია ხომ კინაღამ არ დააღრჩეს,—შენა მეგობრობდი ყაზარასაო, ჩენი თავი შეანთქევინე და შეაჭამეო და ახლა, როცა გამოჩნდა მაღლიანი კაცი, და თავიდან მოგვაშორა ჩენი მახრჩობელა და დამღუმველი, ჯერ პრისტავი გააძრახე და აცემინე, ახლა შენა სცემე და ციმბირშიაც გაგზავნეო. ამდენს ეცადნენ, რომ სარდიონ მღვდელიცა და ზაქარიაც გააძევეს სოფლიდან.

მოუვიდათ სხვა ახალგაზდა მღვდელი; მამასახლისიც სხვა ამოირჩიეს. ამ ორთ სასოფლო სკოლა გაახსნევინეს სოფელს და მოიწვიეს მასწავლებელი. პირველად ხალხი სკოლის გახსნაზე უკმაყოფილო იყო და უარზედაც იდგნენ ყველანი, სკოლაში შეიღებს არ გავგზავნითო; მაგრამ მღვდელმა, მამასახლისმა და მასწავლებელმა კუდი-კუდს გადააბეს, და იმდენი გაძრნენ-გამოძრნენ და იეშმაკეს, რომ დიაკოლიეს ხალხი: იმდენი შეგირდები მოაწყდა ბოლოს სკოლას, რომ სკოლის შენობა ვერ იტევდა.

ეს კიდევ არაფერი. შემოღიან ერთ დღეს დაუკითხვად და უსირცხვილოდ ჩვენს სახლში, დაგვიყვირეს ჩვენ, მე და დედაჩემს, გაეთრივენით აქედან და ჯაპნაბას დაგვეკარგენითო, ეს სახლიც და მთელი მამულ-დედულიც, რაც სულ-ძალლს ყაზარას აქამდის ეჭირა, დღეის იქით სოფელს ეკუთვნისო; ისიც გეყოფათ, რაც აქამდის სჭამეთ,—ახლა შეხამაღ უნდა ამოგადინოთო. შიშისაგან მე და დედა მოვიკუჭენით კუთხეში, იქიდან ვუყურებდით და ვისმენდით, რასაც შერებოდნენ და ლაპარაკობდნენ. დივანზე და კრესლობზე გამოიჭიმნენ და დაიწყეს რჩევა: საშუალება ვიხმაროთ ისეთი, რომლითაც შეგვეძლოს სოფელი მივიზიდოთ ჩვენსკენ და დავარწმუნოთ იმაში, რომ ჩვენ მისი კეთილ-დღეობასათვისა ვცდილობთ და ვზრუნავთო, რათა ყოველივე გაგეიგონოს და მოგვყვესო. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ასე გადასწყვიტეს:

ყველაზე ძვირფასად გლეხ-კაცს თავისი მკედრის გაპატიოსნება მიაჩნიაო,—დაიწყო მასწავლებელმა,—მოდით და ისეთი საშუალება მოვიგონოთ, რომ პატივიც ზიდი მიეცეს გარდაცვალებულს და იაფადაც დაუჯდეს ეს პატივის-ცემა გარდაცვალებულის პატრონსაო. ყველაზე უსაჭიროესი განსვენებულისთვის კუბო არისო. ჩემის ფიქრით, უნდა გამოვნახოთ ისეთი საშუალება, რომლითაც, რაც შეიძლება, იაფად რიგიანი კუბო იშვიეროს ცხედრის პატრონმა; მერე საკლავისა და სხვა ხორაგულის შოვნისათვის უნდა აღმოვეუჩინოთ სახსარი, რაღან გლეხი-კაცი ისეა დარწმუნებული, რომ, რასაც კი იგი ამზადებს ტაბლაზე და ქელებში გარდაცვალებულის სახელობაზედ,—ყოველი ეს მკედრის მისასვლელია საიქოს. მართალია, ამ გვარი რწმენა და ჩვეულება მავნებელია გლეხი-კაცისათვის, მაგრამ ვიდრემდის ასეთი რწმენა აქვთ, რომ ვურჩიოთ ჩვეულების გადაგდება, სულ ერთიანად გადავრევთ და ნდობის მაგივრად სიძულვილსა და უნდობლობას გამოვიწვეთო. ეს აზრი მღვდელსა და მამასახლისს ძლიერ მოეწონათ. მამასახლისში წარმოსთქვა: მე მაქვს ხელში რამდენიმე თუმანი ფული ჯარიმაში გადახდევინებული. ამ ფულით ვიყიდი ფიცარს და ყველა მა-

ხალას, რაც კი სიჭიროა კუბოსათვის. ერთ-ერთ ხელოსანისტებუ, რომელიც შეიძლებს კუბოების კეთებას, გავანთავისუფლებ სა-სოფლო ბეგარიდან და მარტო კუბოების კეთებას მივანაბრებ. მე იმდი მაქს ფული კიდევაც დამრჩეს. დანარჩენი ფულით ვიყიდოთ, რამდენიც მოვა, საკლავი ცხვრები; ამ საკლავ-ცხვ-რებსაც მივანაბრებ მოსავლელად ერთ-ერთ კომლს და იმასაც განვათავისუფლებ ბეგრიდან. ვისაც ღმერთი მიარგუნებს სიკვ-დილს და დასჭირდება კუბოცა და ცხვრებიც, მივჰყიდოთ შეძ-ლებულებს, ისე, რომ ღირებული ფასის ყოველ მანეთზე აბა-ზი მეტი გამოვართვათ. ეს იმისთვის, რომ საწყლებსა და შე-უძლებლებს მუქთად მიეცეთ ხოლმე საკლავიცა და კუბოც. ამ სა-შუალებით შეუძლებელთაც შემწეობას მიესცემთ და თანხაც არ გამოილევა. ვისაც ხელში ფული არ შეესწრობა, იმას ბა-რათ ჩამოვართმევ, რომ ახალში მივიწყო სასოფლოდ პური იქმნება, თუ სხვა სულადი იმის კვალობაზე, როგორც გაიკვე-თება. ასე შეგროვილი სულადი ცალკე იყოს მაღაზიაში სიით, ეს სია შენ შეადგინე ხოლმე,—უთხრა მამასახლისშა მასწავლე-ბელს.—როცა სულადი ფასში ჩავარდება, გავჰყიდოთ ერთია-ნად, სასოფლოდ საკუთვნო ფული ავილოთ, რათა სხვა მასა-ლა და საკლავები ვიყიდოთ; რაც დარჩება მეტი ფული, ის პატრონებს დავურიგოთ სიის დაგვარად, ანუ სახელმწიფო გარ-დასახადში გამოვუბრი. ასევე მოვიქცეთ ჩემის საწესოს შესახე-ბაც,—უთხრა მღელელმა:—ვისაც ხელში არ ექმნება ფული საანდერძოსა და წინ გასაძლოლის გასასტუმრებლად, მე შეგი-დევნ, ახალში გამოართვი სულადი, იქონიე ამბარში სასოფლო პურთან ერთად, და როცა გაჰყიდი, მე ჩემი ჩამაბარე, რადგა-ნაც ჩემ ცოლ-შვილსაც და მეც სახრდო გვინდა; რაც მეტი აიღო გაყიდვაში, ის ისევ პატრონებს დაუბრუნე.—ძლიერ კარ-გი იქმნება ჩემი ჯამაგირის შესახებაც ასე მოიქცე, —უთხრა მას-წავლებელმაც;—მაშინ ხალხს სამიმოდ აღარ ეჩვენება ჩემი ჯამაგირის გაღება და არც იძულებულნი იქმნებიან ჩემ მოსა-ცემ ერთ მანეთში სხვას ორი და სამი მანეთი აძლიონო.— ჯერ ერთი ეგ შენი რჩევა მიცვალებულების შესახებ შევასრუ-



ლოთ და მკვიდრს საფუძველზე დავაყენოთ და მერე მე ვიცირ, უპასუხა მამასახლისმა. მე ეხლა უცბად გამიელვა თავში იმ ფიქრმა, რომ მთელი სახელმწიფო გარდასახადიც ამ წესით მოვაგროვო ხოლმე; მაშინ ძლიერ დიდი შეღავათი და სარგებლობა მიეცემა სოფელს.—უთუოდ უნდა დავაყენოთ სახელმწიფო გარდასახადის მოკრების საქმეც ამავე წესზე, რათა ხალხს არ უძიმდებოდეს მისა გარდახდა და ვალში არა ცვივოდეს,— წამოიძეხეს ერთად მღვდელმა და მამასახლისმა.

ჩვენ რაღამ უნდა გვაცხოეროს, ქაო,—წაიდუდუნა თავისთვის დედაშ.—მაგრამ მამასახლისმა გაიგონა და თვალების ბრიალით დაუჭირელა:—რაც აქამდის გიჭამიათ სოფელი, იმას კი შხამიდ არ ამოგადენთო!“

აი ასე ლაპარაკობდნენ და ბჭობდნენ ჩვენ სახლში, ჩვენ კი ძალიადაც არ გვაგდებდნენ. აინუნშიაც არ იგდებდნენ ჩვენს იქ ყოფნას. ასე ეგონებოდა ადამიანს, სახლიც და კარიც იმათი საკუთრება იყო.

III

შესჟულება ფიქრისა

გაათავეს ბჭობა-საუბარი და გამოვიდნენ სახლიდან. დედამ მიაძახა: „როცა თქვენ შეასრულოთ თქვენი ფიქრი, მაშინ დაიკვეხეთო“. მაგრამ არამც თუ ვერ შეასრულეს თავიანთი ფიქრი, პირ-იქით კიდევაც გადააჭარბეს.

ვისაც მოუკვდებოდა ვინმე, ილარც ჩეენს დუქანში მოდიოდნენ ფულისათვის ან სხვა რისთვისმე, როგორც წინად, არც სხვის დუქანში. ყოველიფერს, რაც კი საჭირო იყო ქელებისათვის, მამასახლისი აძლევდათ, როგორც დააღვინეს ჩვენს სახლში. ქელების გადახდა სომ გაუადვილეს და პატივის მისადევნებლად თვითონ მამასახლისიც და მასწავლებელიც არ აკლდებოდნენ მიცვალებულს დასაფლავებაზე განუჩევლად იმისა, შეძლებული ოჯახისა იყო მიცვალებული, თუ შეუძლებელისა;

სოფლის ხალხიც ბლობად ესწრებოდა დასაფლავებაზე, ვინც უნდა ყოფილიყო ცხედარი; ქელებში კი უფრო ახლო ნათესავნი და შეუძლებელნი ესწრობოდნენ.

მასწავლებლის აზრში გასჭრა. სოფელმა ნდობით შეხედა გამასახლისისა და მისი ამხანაგების მოქმედებას. დარწმუნდნენ თუ არა ამაში, მამასახლისმა ახლა სხვა მხრივ მიუბრუნა თავი სოფელს. ყოველ კვირა-უქმე დღეს მღვდელი ეკალესიაში სწორავდა. გაუძლვებოდა წინ მამასახლისი და მთელი სოფელიც მას უკან მისდევდა ეკალესიაში, სადაც ისმენდნენ წირვაზე მას-წავლებელისა და შეგირდების ვალობას და შემდეგ მღვდლისაგან წარმოთქმულს ქადაგებას. ეკალესიდან ბრუნდებოდნენ სასოფლო სისამართლოში და იქ ან ხამართლობდნენ, ან სასოფლო საქმეზე ბჭობდნენ. სადილთ უკან კი იკრიბებოდნენ სკოლასთან, სადაც ან მასწავლებელი უკითხავდათ გაზეთებს და სხვა-და-სხვა წიგნებს, ან თვითონ ერთმანეთს უამბობდნენ მღვდლის მოთხრობილ საღმრთო ისტორიებს. მთელი სოფელი თავიანთ ჰქუაზე წაიყვანეს. საკმარისი იყო ერთად-ერთი სიტყვა ან მღვდლისა, ან მამასახლისისა, ან მასწავლებლისა, რომ მთელი სოფელი ცეცხლში ჩამდგარიყო, ისე დაიმორჩილეს. გამოუცხადეს მთელს სოფელს, რომ საქმის დროს არავის გაებედნა შინ ყოფნა უსაქმურად: უნდა უთუოდ ემუშავნვ ყოველ მამა-კაცს ტყე-მინდორსა და ვენახებში; დედა-კაცებს შინა საქმე ეკეთებინათ. ყველანი შეუდგნენ საქმიანობას და მუშაობას, მაგრამ ეს მუშაობა როდი ეჩვენებოდა ვისმე ძალატანებულად, როგორც წინად, არამედ—თავიანთ დაუცხრომელი სურვილის ნაყოფად. თუ ვინიცაბა არის გაბედავდა ვისმე უსაქმობას და მოასწრებდა მამასახლისი, ამისთანა კაცს იგი ამუშავებდა სასოფლო საქმეზე: ან სასოფლო გზებზე ამუშავებდა, ან ქვრივ-ოხრის საქმეს აკეთებინებდა. ამისთანავე საქმეებს მიუჩენდა ხოლმე დამნაშავეთაც დაპატიმრების მაგივრად. ყველანი ხმის ამოუღებლივ და სიამოვნებით ასრულებდნენ მამასახლის ბრძანებას, თუმცა კი იშვიათად იყო ხოლმე სოფელში, როგორც ყალალანა კაცი, აგრეთვე სხვა ნაირად დამნაშავე-

ნიც. „ეხლა ვნახეთ გემო ცხოვრებისაო“, — გაიძახოდა ერთ ხმად მთელი სოფელი. „ეხლა გავიგეთო, რომ მუშაობა ლუკმისა და სარჩოს გარდა კაცს სიამოვნებასაც აძლევს, ართობსო და იფარის ყოველი ცუდი ფიქრებისაგან და მოქმედებისაგანაო, როგორც ჩვენი მოძღვარი გვიქადაგებსო. არც ჭამა-სმის გემო და არც სიტყბო ძილისა აქამდის არ ვიცოდით, მხოლოდ ახლა გავიგემეთ ყოველისფერიო“. მამასახლისი კი თავისითვის იკვეხდა: „ათასი განაჩენი რომ შემედგენინებინა და დამეტტკიცებინებინა მთავრობისათვის, მე იმითი ქურდობას ვერ ამოვკვეთავდი ჩემს სამამასახლისოში, ახლა კი თავის-თავიდ გაჰქირდი ქურდობის სახსენებელოთ. ვისა სცალიან ახლა იფიქროს ან ქურდობაზე, ან სხვა რამ ცუდ საქვეზე, როცა ყოველი კაცით-დედაკაცამდე და დიდით-პატარამდე საქმის დღეს საქმის და კვირა-უქმე დღეს დვთის სამსახურსა და ლვოიურ საგნებზე ლაპარაკში ატარებს“.

მამასახლისმა საქვრივ-ობლი ხოდაბუნებიც გააჩინა. შექურიდა ერთ რომელსამე დღეს მთელი სოფლის გუანებს, ახვნევინებდა ერთად და ათესინებდა, სოფელსავე მოამკევინებდა და უნაწილებდა ოჯახის შვილებს გასალეწად. ხორბლის გამოსავლიდან აიღებდა მომავალი წლისათვის სამყოფ სათესლეს, დანარჩენს კი უნაწილებდა ქვრივ-ობლოდ. „თუ ობლები არ აღვზარდეთ და ფეხზე არ დავაყენეთ, მათი საკუთვნო სახელმწიფო გარდასახადი სოფელს საუკუნოდ ტვირთად დააშვება და ამით სოფელსაც ძალა გამოეცლება“.

სახელმწიფო ხარჯის გადახდა ხომ ისე გაუადვილა ხალხს მამასახლისმა, რომ მთელი სოფლიდან ერთი კაციც კი იღარ წასულა სადმე ვალის ასაღებად. მხოლოდ პირველ წელს ეჩვენა ხალხს სამიმოდ, რადგანაც თითქმის ორი წლის ხარჯი ერთად გადიხადეს. მამასახლისმა ახალში სულადი იკრიბა ვარაუდით, ვისაც რამდენი შექვდებოდა მომავალ წელში გარდასახადი. გაჰყიდა, როცა ჭირნახულმი იიწია ფასში და ყველაზე უწინ იმან შეიტანა ხაზინაში სახელმწიფო გარდასახადი მთლად და კიდევაც დარჩა მეტი ფული მომავალი წლისათვის.

ხარჯის აკრეფის წესიც საფუძვლიანად დაამკვიდრა. სოფელში არ იცოდა, ჩაფარი რას ერქვა.

სახელმწიფო გარდასახადს, შემოღებული წესით, შეაპარა ორორ-შაურობით მეტი ყოველ წლივ და ორ-სამ წელს შეადგინა სხვა თანხა. შეჰყარა სოფელი და გამოუცხადა: „აი ამ-დენი და ამდენი ფული არის თქვენი საკუთრებათ. მოიგარაუ-დეთ, ვის რამდენი დასჭარდება მთელ წელიწადში: ან მარი-ლი, ან საპონი, ან ქალაშანი, ან ტანსაცმელი. გავვზავნოთ რამდენიმე პატიოსანი და გამოცდილი კაცი ქალაქში; ივაჭ-რონ ყველაფერი, ვისაც რა გვინდა და წინც რას შევუკვეთავთ; მიიტანონ და გავინაწილოთ ისე კი, რომ თანხა ისევ ავაყე-ნოთ. გარდა ამისა, ლირებულ ფასზე მანეთზე ორი გროში მე-ტი გადავიხადოთ, რომ კიდეც გადიდეს თანხა“. როცა ეს გამოაცხადა მამასახლისმა, თავიდან ფეხებამდის ენით გალოკეს. ჰლოცავდა ხალხი: „ღმერთმა შენი თავი დიდხანს გვიცოცხ-ლოს ჩვენს პატრიონადა და ნუვეშადაო“.

პირველში ეს ახალი დაწყობილობა ძლიერ უძნელდებო-დათ, მერე კი შეეჩვივნენ და საქმეც კარგად წაუვიდათ მღვდლი-სა და მასწავლებლის დახმარებით და ხელ-მძღვანელობით.

XX

ცილის წამება

რაკი ხალხი თავიანთკენ გადიბირეს სოფლის მშართველებ-მა, დუქნებში ფეხი ალარავინ შედგა. ისე ერიდებოდნენ დუქ-ნებს, როგორც ჭირიან ადგილებს. მაგრამ ამ გარემოებას წი-ნა პირველად ყუუადლებას არ აქცევდნენ მედუქნები: დიდ-ხანს ვერ შეიმაგრებენ თავსაო; ახში ისევ ჩვენთან მოვლენ და მაში გაყურებინებთ, როგორ ქსელშიაც გავაბამო,— ამბობდა ჩვენი გრიქულა და სხვა მედუქნებიც.— ის კი ეუპირულებო-და ყველას, რომ არც მამასახლისი, არც მღვდელი და არც მასწავლებელი არ უშლიდნენ სრულიად დუქანში შესვლას და



ვაჭრობას; თვითონ ხალხი თავისი მოსაზრებით ერიდებოდა; როცა იქამდის მივიღა საქმე, რომ აღარც ფულის სასესხებ-ლად მოღიოდნენ, აღარც სავაჭროდ, ისხდნენ მედუქნეები გულ ხელ დაკრებილები დუქნის კარებზე და გაიყურებოდნენ მუშ-ტრის გზისაკენ. იწყევლებოდნენ, ილანძლებოდნენ, პირში აგი-ნებდნენ ყველაფერს, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა მათ წყევლა-ლანძლვას. ამით რომ ვერაფერს გახდნენ მედუქ-ნეები, შეეცადნენ სოფელი აეჯანყებინათ მღვდლისა, მამასახ-ლისისა და მასწევლებლის წინააღმდეგ და ეთხოვნინებინათ მთავ-რობისათვის, რათა ისინი გაეძევებინათ სოფლიდან და ისევ სარდიონ მღვდელი და ზაქარა მამასახლისი დაებრუნებინათ სოფლისათვის, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ვისაც უთხრეს თა-ვიანთი განზრახვა, ყველამ სასაცილოდ აიგდო ისინი: „ძლიეს გამოგვიჩნდნენ გულ-შემატკივარნი და კეთილის მყოფელნი; აგვიხილეს თვალები,—გამოგვაფხიზლეს და იმათ წინააღმდეგ რომ პირი დავატოკოთ, ღმერთმა ენა არ უნდა გაგვიხმოსო,—ჩვენ იმათ მზეს უნდა ვფიცავდეთო“.

ზოგმა სრულიად დაჰქვეტა დუქქინი, ზოგი კი არ უტყდებოდა და ძალზე იდგა. ნამეტნავად ჩვენი მედუქნე გრიქულა გაიძახოდა მუქარით: ისეთი მრე უნდა გამოვუგდო მაგ სამთავეს, რომ ცუმბირი აქეთ დარჩეთო და ეძებდა შემთხვევას. შემთხვევაც მალე გამოუჩნდა. გავარდა ხმა, სალდათი უნდა აიღოს ხელმწიფემაო. ახლა კი ღმერთმა მიშველაო,—იძახოდა გრიქულა:—ისე გადავრიო მთელი სოფელი, რომ ერთიც არავინ წავიდეს სალდათადაო. გრიქულას ხალხი უჯერებდა, რასაც მათ ცუბნებოდათ და დიდი იმედიცა ჰქონდა, რომ თავის საწიდელს მიაღწივდა, მაგრამ როცა მღვდელმა დაუწყო ქადაგება ხალხს ეკკლესიაში, მასწავლებელმა კიდევ სკოლის ეზოში, აზრი სულ ერთიანად გამოიცვალეს და კენჭის ამოსალებად არხეინად წაეიღნენ ყმაწვილი ბიჭები, სადაც დაბარებულები იყვნენ. როცა კენჭ-ნარგებნი დაბრუნდნენ სოფელში, გრიქულამ ახლა იმათ დაუწყო რჩევა, რომ უარი ეფექტ და ჯარში არ წისულიყვნენ: თუ უარს გამოაცხადებდნენ, არწმუნებდა იგი, ჯარში

აღარ წაიყვანდნენ. თუმცა იმათიდან პირი უერ აიღო, მაგრამ მაინც უსახელო დაბეჭდება გაგზავნა მთავრობასთან, რომ მღვდელი, მამასახლისი და მასწავლებელი ხალხსა ჰრევლნენ და ურჩევდნენ კენჭ ნარგებ ყმაწვილ-ბიჭებს უარი ეთქვათ ჯარში წასვლაზე. ამ დაბეჭდების ძალით სოფელს თავს დაესხა პოლიციის ბოქაული სწორედ იმ დროს, როცა ჯარში წასასტლელი ბიჭები მოემზადებინათ თავისს ადგილას გასაგზავნად. წინა ღამეს გაემართათ გამოსათხოვარი ვახშამი, ახლა კი გადაეხადათ პარაკლისი და ბოქაული წაადგათ თავს სწორედ მაშინ, როცა მღვდელმა სალდათად გამგზავრებულ ბიჭებს მიშმართა: „შვილო, მე ბევრჯერ მილაპარაკია თქვენთვის მაცხოვრის მცნებებზე. ახლაც უნდა მოგავონოთ ერთი მისი მცნებათაგანი. იმაზე უდიდესი სიყვარულის გამოცხადება აღარაეს შეუძლიანო,—ბრძანა მაცხოვარმა,—ვინც თავს დასდებს მოყვასისათვისაო, ესე იგი, შესწირავს თავის სიცოცხლეს ძმას, მეგობარს, სამშობლოსა და მამულს. ვინ ასრულებს ამ მცნებას მაცხოვრისას ისე მტკიცედ და შეუცვლელად, თუ არა მეომარი, რომელსაც გადადებული აქვს თავი სასიკვდილოდ, რათა დაიხსნას ამ სიკვდილით, როცა იგი საჭიროა, თავისი მოყვასი, ანუ მოძმე და მამული განსაცდელიდან და გაჭირვებიდან! მაშასალამე, თქვენი სამსახური, ანუ სალდათობა, იქმნება უპირველეს ყოვლისა სამსახური ლვთისა, ხოლო გულ-წრფელი და პატიოსანი სამსახურისათვის მიიღებთ ლეთისაგანვე ჯილდოს: სააქაოს—კეთილ-დღეობასა და დღეგრძელობას, საიქიოს—სასუფეველს, ანუ ცხონებას და გვირგვინს მოწამისას. თქვენ იგი მცნება მაცხოვრისა ვალადა გდებთ ემსახუროთ ერთ-გულად და ერთ-სულად რუს-ხელმწიფეს, რომელიც არის მოვლენილი ლვთისაგან მისივე სურვილისა და ნების აღმასრულებლად ჩვენზე, ჩვენს მოწყალე და მფარველ მამად. იგი იფაროვს ჩვენს სამშობლოს მტრებისაგან. მისი ძლიერი მფარველობის შედეგია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სრულიად შეუწუხებელნი და შეუძრავუნებელნი გარეშე მტრებისაგან; და ნუ თუ არა გვმართებს ჩვენ ყველას ვემსახუროთ იმ მოწყალე მამას, რომელიც ჰფენს

ჩენენს სამშობლოს მშეიდობასა და კეთილ-დღეობას. ხოლო სამსახური ხელმწიფისა არის სამსახური ჩვენივე სამშობლოსა. ლვის განვებამ გარგუნათ თქვენ, შვილნო, ეს ხვედრი, და ვისურებ, რომ პირ-ნათლად გამოხეიდეთ ღმერთთანაც, ხელმწიფესთანაც და თქვენს სამშობლოსთანაც“.

მღვდელმა გაათავა და მასწავლებელმა დაიწყო:

— „მეც ბევრჯერ მიამპნია, ძმებო, თქვენთვის ჩვენი ვინაობა. ერთ მუჭა ხალხს შეადგენდნენ ჩვენი წინაპარნი. გარეშე ათასნაირი მტერი ეხვია და ცდილობდა ყოველ წამს შეემუსრა ეს პატარა ერი, გაენადგურებინა და მიწასთან გაესწორებინა იგი, მაგრამ ვერავინ ვერ დაკლო ვერაფერი. ხოლო თავისი შეუდარებელი გმირობითა და მამაცობით მტერსაც კი აკვირვებდა და გულში პატივის-ცემის გრძნობას უღვიძებდა. ხშირად ჰედებოდა ისე, რომ ერთ ქართველზე ათი და ოცი მტერი მოდიოდა, მაგრამ სიმრავლე მტრისა ვერაფერს აკლებდა: მრავალი მტერი მარცხდებოდა და ერთ მუჭა ქართველებს გამარჯვება რჩებოდათ. ბევრი შავი დღე გამოიარა საქართველომ, ბევრი ცეცხლი ნახა, მაგრამ არც სარწმუნოება, არც ხალხოსნობა და არც სამშობლო არ დაკარგა და არც შეალახვინა ვისმე: ამ სამ-წმინდამ შეუმწიკვლელად და მშვიდობიანად მოადწია ჩვენამდის. აი ვისი ჩამომავალნი ხართ თქვენ. უნდა გახსოვთ ესა და ამ ხსოვნასთან ერთად აღიჭურვნეთ გულადებით, მოთმინებით და ერთგულებით სარწმუნოებისა, ხელმწიფისა და მამულისადმი. ამ თვისებით გულ-უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი ჩვენი წინაპარნი: ამისთვისაც გამოდიოდნენ ბრძოლის ველიდან ყოველთვის გამარჯვებულნი. ასე მოიქციოთ თქვენც, თუ არ გინდათ, რომ შეურაცხ-ჰყოთ თქვენი წინაპარნი და თქვენც მოიხვევოთ კაცური სახელი.

ბოქაული იდგა და უურს უგდებდა; არ შეუშალათ ხელი მაჲინაც კი, როდესაც მამასახლისმა მისივე ნებართვით მიმართა იმავე ყმაწვილ-ბიჭებს.

— „ეხლა მე უნდა გითხრათ, შვილო, ერთი ორიოდე სიტყვა, — დაიწყო მამასახლისმა: — დღეის იქით თქვენ ხელმწიფის

ძალ-ღონეს შეადგენთ; თქვენ იმისი იმოლებული ხმალი უნდა იყოთ ამას იქით. ეს ხედრი თქვენთვის დიდად თავ-მოსაწონი საქმეა, და უნდა ეცადოთ ასეთი თქვენი ღირსება არ დაამციროთ უბრალო რამ საქმით. ამისათვის აი რასა გთხოვთ, შვილო: თქვენს უფროსებთან და ამხანაგებთან კაცურად მოიქეცით; არ აფიქრებინოთ არავის, რომ თქვენ ან ცუდი სოფლიდან, ან ცუდი ოჯახიდან ხართ გამოსულნი. ეცადეთ ყოველთვის და ყველასთან, რომ პატიოსან კაცებად გამოაჩინოთ თქვნი თავი. რასაც კარგ სახელს დასტოვებთ თქვენს უფროსებსა და ამხანაგებში, სასიხარულო იქნება ჩემთვისაც და თქვენი მშობლებისა და მოკეთებისათვისაც. ამასაც კი გეტყურთ და სახეში იქმნიეთ, რომ, თუ ვინმე თქვენგანი ჩაიდენს რაიმე სათაკილო საქმეს, რომლითაც თავის თავსაც შეარცხვენს, სოფელსა და ოჯახსაც ჩირქს მოსცხობს ამითი, იცოდეთ, იმას სოფელში აღარ შემოვუშვებ; სოფლიდან გაძევებული იქნება იგი, როცა სამსახურს გაათავებს“.

ყოველს ამას კენჭ-ნარგებნი ისმენდნენ გულმოღვინედ და მხიარულის სახით. ბოქაულიც უგდებდა ყურს, თვალს აღევნებდა ყველაფერს და უკვირდა საქმის გარემოება.

სალდათები სიმღერითა და კიუინით გააცილეს სწორ ამხანაგებმა სოფლის ბოლომდის. გაისტუმრეს თუ არა ისინი, ბოქაულმა გამოუცხადა სამთავე სოფლის მმართველთ მიზეზი თვისი მისვლისა. მამასახლისმა ამაზე მიუგო:— „რა ბძანებაა, ბატონო, აი გამოიძიე საქმე და თუ ან ფჩხილისტელა სიყალბე და წინააღმდეგობა აღმოჩნდეს ან ჩემის მხრით, ან სხვების მხრით, მაშინ ციმბირი კი არა, საღაც გენებოთ, იქ გვიკარით თავი. გამოძიებამ ვერაფერი ვერა აღმოაჩინა-რა იმათი საზიანო; პირ-იქით დიდი მაღლობა მიიღეს მთავრობიდან სოფლის წესიერად დაყენებისა და მოვლისათვის.“

მამასახლისმა ახლა სხვა ეშმაკობაც მოიგონა ვაჭრების საზარალოდ და ხალხის გასამნევებელად. შეადგინა კიდევ თანხა, რომლიდანაც ჯილდო ეძლეოდა იმ მანდილოსანს, რომელიც დადებულ რიცხვზე მეტს ქათამს, ინდოურს, ანუ ბატს გაზდი-

და. გამრავლდა სოფელში შინაური ფრინველები და ცხოველები. კვირა-უქმე დღეს უთუოდ ან საზოგადოდ იყვლებოდა საკლავი და ცველანი ინაწილებოდნენ, ან ფრინველებით უმასპინძლდებოდნენ თავის თავს სოფლის მცხოვრებელნი. ლვინო-არაყაც ზომიერად ხმარობდნენ, ლოთობის სახსენებელიც კი გაქრა. მშიერ-მწყურვალსა და შიშველ-ტიტველს მთელ სოფელში კაცი ვერ უჰქვდებოდა. ცველა ღონიერად და შეძლებულად ჰერძნობდა თავს და შეუდგნენ სუფთა და თბილი სახლების აშენებას. მღვდელი, მამასახლისი და მასწავლებელი მთელ სოფელს მამებად მიაჩნდათ — არაფერი გაჭირება ცხოვრებაში მათ არა ჰქონდათ: მთელი სოფელი მათ სიამოვნებაში და პატივის-ცემაში იყო. ხოლო სასოფლო სასწავლებელი ყოველთვის გაჭედილი იყო მოსწავლეებით.

v

სასჯელი ავაზაკთა

„ასეთ სიზმრებში ვარ და ვიყავი, რაცა ხანია, მავრამ წუხელ სულ სხეა ნაირი სიზმარი ვნახე... მოგონებაც კი მეძნელება“... ცოტა ხანს თვალები დახუჭა, ორივ ხელები შუბლზე მიიბჯინა და შემდეგ ისევ განაგრძო: „თურჩე გამოიცა ახალი კანონი. ამ კანონის ძალით ისინი კი არ ითვლებოდნენ ავაზაკებად და ხალხის დამღუპველად, ვინც ყაჩალობასა შერებოდა და ხალხსა ჰეოცავდა და სძარცვავდა — იმათ მხოლოდ უკიდურესი ნივთიერი მდგომარეობა და შევიწროებული გარემოება აქნევინებთ ყოველ ამასაო და მათ დანაშაულს არ უნდა მოსდევდეს სასტიკი /განკიცხვა და სასჯელიო. ნამდვილი და მავნე აეზაკები ისინი არიან, რომელნიც ხალხს ატყუებენ; მოასწრობენ გაჭირებულს მდგომარეობაში, სარგებლობენ ამ გაჭირებულის მდგომარეობით და ისე უხდიან საქმეს, რომ სარჩო-საბადადებლიდან ცარიელზე ჰსეამენო. ი. ნამდვილი ავაზაკები და ხალხის დამღუპველნი ესენი არიანო და კიდეც ისინი

უნდა დაისაჯნენ სასტიკადაო. შეუდგნენ ძიებას, ვინ როგორ გამდიდრებულა, ან საიდან უშოვნია სარჩო-საბადებებები და ყველას, ვასაც კი დაუმტკიცებდნენ, რომ მოტყუებითა და უღმერთო მოქმედებით ჰქონდა შეძენილი სიმდიდრე, სასტიკად სჯიდნენ. დააღეს ყბა ახლა შენზე,—მიუბრუნდა აღალოს,—დაგიწყეს საჩივარი და ენამ როგორ უნდა გამოსთვას, რაც ტანჯვა და შეურაცხოფა შენ მოვაყენეს და ბოლოს ჩამოხრიობაც გადაგიწყვიტეს..... უი, ყურო, ნუ გაიგონებ და თვალო, ნუ დაინახავ ცხადივ, რაც მე სიზრმარში გავიგონე და დავინახე!... შენ სახრჩობელაზე ეკიდე, მე კი მუხლებში ვიცე-მდი და რაც ხმა გამიწვდებოდა, ვლრიალებდი; გარს უანგარიშო ხალხი შემომხვეოდა—ჩვენი მეზობლებიც ყველანი იქ იყვნენ და ერთი არავინ მანუგეშებდა. ხოლო რამდენიც მე დავიკივ-ლებდი სიმწარისაგან, ისინი მაღალის ხმით ხარხარებდნენ!— ნეტავი ერთი ვინმე გამომჩენოდა იმოდენა ხალხში გულ-შემა-ტკიფარი. ჩემი ჭირი ყველას ლხინად მიაჩნდა და ეს უფრო მიწამლავდა სიცოცხლეს. სამწუხარო ჩემთვის უფრო ის იყო, რომ შენს სხეულსაც არ ასვენებდნენ: ზოგი ქვას ესროდა, ზოგი ჯოხს უტყაპუნებდა. თანაც გლანძლავდნენ და გაიძახო-დნენ: ადრე და მალე იყო ჩამოსახრჩობი, მაგრამ გვიან გაი-გეს მაგისი ავაზაკობაო. ამასაც როდი დასჯერდნენ; იგრიალა იმოდენა ხალხმა, მისკვივდნენ ეხლა ჩვენს სახლს და დაუწყებ-დანგრევა. მე კიდევ მეტაც ერთი დახავსებული ბებერი, წამიჭი-რა ყელში, მახრჩობდა და მეუბნებოდა: შე ასეთო, შე ისეთოო, აქ, ჩემ ფუზეზე, შენ რა ხელი გაქვხო! შენმა სულით დატან-ჯულმა ქმარმა ეშმაკობითა და ოინბაზობით გამოაცალა ხე-ლიდან ჩემს შვილი-შვილს სასახლე და ცარიელზე დასვაო. იმისი ჯავრი შენზე უნდა ამოეიყაროო. იქნება დამალრჩობდა, რომ არ გამომღვიდებოდა“.

ამ სიზრების მბობის დროს ყველანი, და უფრო დედა სა-ტინიკესი, მოჟყვნენ პირჯერის წერას და თან იძახოდნენ: „დას-წყევლოს სურბ-გეურქმა და სურბ-კარაპეტმა, ალბად ეშმაკი გვეჩვენებაო“.—უთუოდ ავი ანგელოზი ჰყავს დაპატრიონებუ-



ლი ამ არე-მარეს, რომ ასე მოსვენებას არ გვაძლევსო, — უთხ-
რა დედამ.

— ის წყეული, რომელმაც მე ყელში წამიკირა და მახრ-
ჩობდა, თქვენ რომ გვიანბეთ მე და დედას ამ აღვილის უშინ-
დელ პატრონზე, სწორედ იმ ბებერსა ჰგვანდა,—უთხრა სატინიკე
დედამთილს.

— ჰაზირ აქამდის მეტყოდით რაღა, რომ ან ტერტერა
გომეცვანა და გამენათვლინებინა სახლი, ან სხვა რამე მო-
მეტერხებინა! — წარმოსთქვა აღალომ. — ვა, რა გაშინებს, რა პა-
ტარა შენა ხარ, რომ გეშინიან! შენ არხეინად იყავ. ღმერთი
მოწყალეა, ვენაცვალე იმის მადლს, — გადაიწერა პირჯვარი, —
ჩემი მშველელი ღმერთია და ვინ რას დამაკლებს! ვერც სიზ-
მარში და ვერც ცხალივ—ვერც მე მახლებს ვინმე ხელს და
ვერც ჩემს სახლსა და ქონებას. როცა ღმერთიც მწყალობს კა-
ცაც და კანონიც, ვინ რაში შამამივი! კბილსაც ვერაფინ ვერ
მამჭრის. ვა, ქისა მქონდეს გატენილი, თორემ, როგორც მინ-
და, კანონსაცა და ქვეყანასაც ისე დაეატრიიალებ. გინდა შენ
თვალ-წინ საქვეყნოდ კაცი მოვკლა და ვერაფერი დამაკლონ.

პირ-იქით „იზვინიაიტიც“ მოვათხოვინო, ვინიცობა არის რომ რამდენსამე საათს დამამწყვდიონ, თუ, — ალექსეი მელიქიჩ, უკაცროაოდ, ტყუილ-უბრალოდ აბიდა გაჭამეთო. თორემ ღმერთმა დამიფაროს კაცის კვლიდან. აი საქმე ეს არის — (იცემს ჯიბეზე ხელს). რა თვალ-და-თვალ ჩვენ, — ჩე ვარ თუ სხვა, — ვიტაცებთ რასმე, ან ვპარავთ ვისმე რამეს, რომ ავაზაკებად ჩაგვთვალონ და კანონშაც დაგვსაჯოს. ვინც ღმერთს ავაზაკებად გაუჩინია და გაუზღია, იმათთვის კანონიც შემოუღია ხემშივეს და კიდეც სჯის. ყველა კაცს ლვთიდან მოცემული გვაძვს ჭკა და ჰუნა-რი და ყველანი ლეონის მოცემული ნიჭით ვსარგებლობთ. მე რომ ჩემი სარგებლობის გულისათვის ვცდილობდე და ვიძენდე ქონებას, მოტყუებით იქნება, თუ სხვა ხერხით, რა ჩემი ბრალია და დანაშაულობა, რომ ტყუვლებიან სხევბი! ნუ მოტყუებებიან-რა! საცა სამართალია, დამნაშავედ ის უნდა ჩაითვალოს, ვინცა ტყუვლება, ვაჭრობაში იქნება თუ სხვა ფრივ. მაგრამ

არა, ზოგიერთი კაცისათვის ღმერთს არაფრის შნო და ჰუნარის
არ მიუცია. ვისაც შნო და ჰუნარი აქვს, ისინი კიდევ ხმარო-
ბენ. ჩემს სიცოცხლეში ისე საქმე არ დამიწყვია, რომ პირჯვა-
რი არ გამომდესახოს და ღმერთი არ მესხენებინოს. ჩემს გამო-
ზრდაში მარხვეს არ შევრეულვარ და ღვთიდან დაწესებული
მარხვეს გარდა ჩემის ნებით ყოველ ორშაბათსაც მიმარხულნია
და წმინდად შამინახავს ეს მარხვაც. წირვა-ლოცვას არ დაკ-
ლებივარ თავის დღეში, როცა შინა ეყოფილვარ და საქმე არა
მქონია და ყოველთვის ათი შაურისა და მანეთის სანთლები
დამინთია. წელიწადში უკანასკნელი შეიდას-რეასი თუმანი მი-
დის ეჩმიაძინში ჩემი ოფლით ნაშოვნი და მოგებული. როცა
მე ვახსოვს ღმერთი და იმის სურეილსა და ნებას ვასრულებ,
ღმერთხაც მე ვახსოვარ და მაძლევს შნოსა და ხერხს სარჩოს
შოვნისას. რატომ სოფლის ტეტიებს არ აძლევს ღმერთი არა-
ფერს? იმისთვის, რომ იმათ ღმერთი მარტო სალანძღვადა
ჰყავთ. არც პირჯვრის წერა, არც სანთლის დანთება, არც რისამე
შეწირვა იმათ არ იციან. მაშინ ვიქნებოდი მე დამნაშვე ღმერთ-
თანაც და კანონის წინაშეც, რომ ის შნო და ჰუნარი, რომე-
ლიც ჩემთვის ღმერთს მოუცია საცხოვრებლად, ვერ მომეხმა-
რებინა; გულ-ხელი დამეკრიბა და სხვის ხელში შემყურე ვყო-
ფილიყავი. თუ არა და, აკი ვამბობ, ღვთისაგანა მაქვს მოცე-
მული ჭკვა და გონება; თვიოთონ ღმერთივე მაგონებს და მას-
წივლის ხერხს სარჩოს შოვნისას. თუ ღვთიდან არა მქონდა ჩა-
გონებული, მე ჩემით საიდან გამოვიგონებლი ისეთ ხერხს, რო-
გორსაც მე ვემარობდი ფულის გასესხებაში და რომელსაც ეხ-
ლა ძლიერ მიაგნეს წარჩინებულმა მინისტრებმა. სხვასავით კი
არ ვუწერდი მოვალეებს თამასუქს, ამდენი და ამდენი გასესხე
და ამდენი სარგებელი უნდა მამცე-მეთქი. სარგებელს თავნზე
მივდიოდი და თავნსა და სარგებელს ერთად ვაწერდი უსარ-
გებლოდ იმ ვადამდის, რა ვადამდისაც სესხულობდნენ ფულს.
ვინ რას გაიგებდა და ან გაიგებს დღეს, რამდენს ვარომევდი
და ვართმევ სარგებელს. მანეთზე რომ შანეთი გამომერთმია
თვეში, ვინ მიმიხვდებოდა. ან ახლა როგორ მიმიხვდება ოსტა-

ტობას ან კაცი, ან კანონი, თუნდაც რომ თვეში თუმანზე შანეთი სარგებელი აფილო! ფულები ჩემი არ არის: მინდა გავასესხებ, არ მინდა, არ გავასესხებ! ბრალი იმათი, ვისაც ფულები უჭირს, თორემ მე რა! როცა ყელ-გადაგდებული მოვა ჩემთან კაცი, მაშ რასა იქმს, რომ არ მომცემს იმ სარგებელს, რასაც მოვთხოვ! ბარათს დავაწერინებ, მოწმეებსაც ხელს მოვაწერინებ, მაგრამ გიუ მეჭირება, რომ ფულიც მოწმეებთან ჩაეაბარო მსესხებელს! რაც შეეხება ვაჭრობას, ამაში ხომ კანონი სრულებით ვერაფერში შემომიერა. მე ვვაჭრობ, ვცდილობ იაფად შევიძინო საქონელი; ვისაც არ უნდა, ნუ გაჰყიდის იაფად, ძალას ვინ ატანს. რატომ მე არა ვყიდი საქონელს იაფად, როცა ხელს არ მაძლევს. ნურც სხვა გაჰყიდის თავის საქონელს, თუ ხელს არ აძლევს. როგორც მე ვცდილობ არ მოვტყუფდე და არც მოვტყუფებულეარ თავის დღეში, სხვაც ისე მოიქცეს, ნურც სხვა მოსტყუფდება. აბა მაშ რისა უნდა შევეშინდეს, ჩემო გულის ვარდო? შენ არხეინად იყავი და ნურაფერი ფიქრი გექნება ნურც ჩემზე, ნურც სახლზე და ნურც სარჩოზე, შენ დროება გაატარე, როგორც გენებოს და მოკითხე, რაც გსურდეს“.

აღალო ჯვარის წერის შემდეგაც, როგორც წინად, ძლიერ ცდილობდა მიეზიდნა სატინიკეს გული და ამისთვის არავითარ საშუალებას არა ჰქოვადა. იგი მზად იყო დაუყოვნებლივ აღესრულებინა ყოველგვარი /სურვილი სატინიკესი, თუ კი შეიტყობდა ამ სურვილს. აღალომ შეპნიშნა, რომ სატინიკეზე კარგად მოქმედობდა საზოგადოებაში ყოფნა-მხიარულობა. ამისთვის, თუნდაც სატინიკეს არა სდომებოდა, ამართვინებდა საღამოებს და ლოტოს. ამისთანავე არ აკლებდა გულ-უხვ ალერსსა და ტრფიალებას; უხსნიდა ყოველთვის თავის გულს და უზიარებდა ყოველგვარ შთაბეჭდილებას და საიდუმლოს, თუ იგინი არ შეეხებოდნენ ვაჭრობასა და მისს მოქმედებას ქონების შეძენაში. რაც შეეხება ამ უკანასკნელ საგნებს, ამაებზე კი ერთი სიტყვაც არ გაუჩემებია სატინიკესთან აღალოს; ამ საგნებზე ლაპარაკი პირველად ახლა, სიზმ-

ჩების მბობის შემდეგ, გაიგონა სატინიკემ აღალოს პირიდან. რა მიზეზით არ უამბობდა არაფერს თავისს თავ-გადასავალზე შეეღლეს, არავინ იცის. მხოლოდ მიუხედავად ამისა ცოლმა დაწვრილებით იცოდა ქმრის ბიოგრაფია და ისტორია მისი მოქმედებისა ცხოვრების სარბიელზე.

ის მეზობელნი, — მანდილოსანნი, — რომელნიც მედიდურად უყურებდნენ და არაფრად აგდებდნენ აღალოს დედას მარმარას ოდესლაც, ახლა ელაქუცებოდნენ, პატივით ეკიდებოდნენ და დაწნატროდნენ მისს „დელობას“, რომ ასეთი „ხემწიფის სადარი“ შვილი გამოუვიდა. მარმარასაც დიდად მოჰქონდა თავი მეზობელთაგან გუნდრუკის კმევით და საკმარისი იყო ვინმე მათვანი მისულიყო იმასთან სანახავად, რომ მოჰყოლოდა ლაპარაკს მაზე, თუ როგორ უშველი ღმერთმა ქვრივსა და ოხერს. ამ ლაპარაკს, რასაკვირველია, მისი რძალი და მძახალიც ისმენდნენ. ისე ძლიერ უყვარდა მარმარას ამ საგანზე ლაპარაკი, რომ თუნდაც არავის მიეცა საბუთი, იგი მოჰყვებოდა ხოლმე შვილის ბიოგრაფიის მბობას რძალთანა და მზახალთანა. დედა-მთილის ნაამბობიდან დაწვრილებით შეიტყო სატინიკემ თავისი ქმრის თავგადასავალი.

როცა აღალომ გაათავა ლაპარაკი, მოილაპარაკეს და ყველამ ერთხმად გადასწყვიტეს აკითხვინონ მკითხავს.

v1

მ კ ი თ ს ა გ ი თ ა ნ

სოფელ ფ—ში ერთი ოჯახი განოქმული იყო მკითხაობის ნიჭით. როცა მოხუცებული მკითხაები,—დედამთილი,—კვდებოდა, მის მაგივრად რჩებოდა მკითხავად მისი რძალი, მომეტებულად უფროსი. ასე გადადიოდა ეს ოჯახური ნიჭი, რამდენიმე თაობა, დედამთილიდან რძალზე.



ვისაც უნახავს კახეთის საეკკლესიო დღეობები, იმისათვის
აშკარად გასაგებია, თუ რა დიდი თაყვანის მცემელი და მო-
ხარკე უნდა ჰყოლოდა ამ სახლს.

მართალია, ბევრი იმ აუარებელი ხალხისა, რომელიც დღე-
ობებში იარება, უფრო ცნობის მოყვარეობით არის ხოლმე
გატაცებული; მიღის ან სეირის საყურებლად, ან სხვა რამებ
ანგარიშის გულისათვის და ისე ბრუნდება შინ დღეობიდან,
რომ ეკკლესიის კარებზე ფეხს არც კი დასდგამს, მაგრამ
მომეტებული ნიშილი კი სასოებით მლოცვავია. ამ უკანას-
კრელთაგან ძვირად მოიპოვება ისეთი, რომელიც, გარდა
იმისა, რომ უთევს რამდენსამე ღამეს, ან იღლიაში ამო-
ჩრილი ზეარით, — ქათმის მამლით, ან ცხვრისა და ძრო-
ხის კურატით, ზედაშითა და საწირავით არ წარსდგეს ეკ-
კლესიის კარებთან თავმოყრილის კრებულის წინაშე და სასო-
ებით არ მოისმინოს კრებულის ერთ-ერთი წევრისაგან მსხვერპ-
ლის დამამწყალობნებელი სიტყვები; „წმინდაო (სახელი წმინდი-
სა), შენა სწყალობდე (სახელი მსხვერპლის შემწირველისა) იმის
სახლში მყოფთა; იყავ მფარველი და მიმნიჭებელი სიცოცხლი-
სა, სიმრთელისა, ცხოვრებისა, შეწევნისა და მიტევებისა ცო-
დვათასა. ამინ“.

ყველა ეს სასოებით მლოცველნი პირველად ინახულებდნენ
ხოლმე მკითხავის სახლს სოფ. ფ—ში, საღაც გადაჭრილის ფა-
სის მიცემით გაიგებდნენ, რომელი ეკულესია ვის ედავებო-
და ანუ რასა სთხოვდა. ამისათვის, თუ რომელსამე ეკულე-
სიას წელიწადში ერთხელა ჰყვანდა მლოცვები, სამკითხაო
სახლს ყოველ დღე, გარდა იმ დღეებისა, როდესაც მკითხავი-
არავის უკითხავდა—კირა-უქმი დღეს.

ნამეტანი ხმა მკითხაობის ნიჭისა გაიგდო ამ ამბის თანა-
მედროვე მკითხავმა. ამაში ერთმა შემთხვევაში მრაუმართა მას
ხელი. ნასთან მივიღდა ერთხელ იმედ-გადაწყვეტილი ავადმყოფის
პატრონი, რომელიც ავადმყოფის მიზეზად ეკკლესიის „მიზეზსა“
სწამობდა. ხსენებულმა მკითხავმა წმინდა გიორგი ალავერდისა-
მოადავა — ალავერდისაგან არის ავადაო და სანამ იმის კარს არ

შევა და არ ილოცავს, არ მორჩებათ. ავადმყოფის პატრიონული მაც ბევრი აღარ იყო მანეს; დაუდეს იგი ურემზე და გაამ-გზავრეს ალავერდისაკენ. სუფთა ჰაერმა იმოქმედა ავადმყოფზე, თუ მისმა სარწმუნოებამ, გზაზე იგი უკედ გახდა: ასე, რომ, როცა სამი დღის შემდეგ მიიტანეს ალავერდში, თავის თავად ჩამოვიდა ურმიდან, შევიდა ეკალესიაში, ემთხვია ჭმინდა გიო-რგის ხატს, მკითხავის დარიგებისამებრ ჯერ ხატს მოუსვა თვა-ლებზე ხელი, მერე თვითონ მოისვა.

ამ შემთხვევის წინადაც და შემდეგაც ბევრი ავადმყოფი გაამგზავრა იმავე მკითხაემა სხვა-და-სხვა მხარეს სხვა-და-სხვა ეკალესიებში, მხოლოდ ავადმყოფის მორჩენა ერთად-ერთი ზე-მოხსენებული შემთხვევა იყო. დანარჩენი კი ან გზაზე იხოცე-ბოდნენ, ანუ მგზავრობა უძნელებდათ ავადმყოფობას და მაინც ეხალმებოდნენ წუთი სოფელს ადრე თუ გვიან. ხოლო ერთმა შემთხვევამ ავადმყოფის მორჩენისამ დაჳფარა და აჯობა მკი-თხაეის წყალობით დახოცილთა მრავალს შემთხვევას, გაუგდო მას ქების ხმა და სახელი, ნაცვლად ძაგებისა, და გაუძლიერა მუშტარი.

ამ მკითხავმა გამოაცხადა თავისი თავი თელეთის „მონაც“. ამისთვის ქართველებს გარდა სომხებიც ბლომად იარებოდნენ მასთან სამკითხაოდ. როგორც შესანიშნავ მკითხაეს, სატინიკას დედამ და დედამთილმაც იმას მიჰმართეს. მანამ ესენი მივი-დოდნენ მკითხაეთან, იმას რიგისა კიდეც გაესტუმრებინა, რი-გისას უკითხავდა, რიგისაც ელოდებოდა. იმ დროს, როცა სა-ტინიკას დედა და დედამთილი მივიდნენ მკითხაეთან, იგი უკი-თხაედა ორ დედაკაცს, სახლის რძლებს. ერთსა და იმავე სახ-ლიდან ერთსა და იმავე სამკითხველო საგანზე უთუოდ ორ-ორი პირი მოდიოდა მკითხაეთან, რომ, თუ ერთს ვერა, მეო-რეს მაინც დახსომებინა, რასაც იგი იტყოდა, — დედაკაცებს მოეტანათ ვენანაში აღებული მიწა და უნდა გაეგოთ მკითხავი-საგან, რა მიზეზით ენაცრებოდათ ვენახი. მოტანილი მიწა მკი-თხავმა წყლით სავსე ჯამში ჩაყარა და ზედ სანთლები მიაკრა. ჯერ ხელების ფშვნეტა დაიწყო, მერე რამდენჯერმე გადაისვა

ორივე ხელი ერთად პირისახეზე, დაიწყო ჯამში ცქერა, შთქნა-
რება და ლაპარაკი:

— „შავ-წვერა კაცი!.... შავ-ულეაშება“!....

— უი, ქა! განაყოფთ აბრია! შავ-წვერა და შავ-ულვაშე-
ბა ის არის,—წარმოსთქვა ერთმა რძალთაგანმ..

მკითხავმა განაგრძო:

— „მოდის ბარით... აგე, გათხარა სამარე ოთხ ვაზს შუა...
მარხავს შიგ თხას გულ-აღმა!.... ოჰ, ჰო, ჰო, ჰო!...—წარმოს-
თქვა მკითხავმა თავის ქნევით.—ელია ჯავრობს!... ნაცარ-ტუ-
ტას ისერის ვენახში.... დავავსებ!... დავავსებ!.... ჩემი საჯდო-
მი იქ რადა მარხიაო“!....

ამით დასრულდა მკითხაობა.

— რო გითხარ, დედაკააცო,—მიუბრუნდა ისევ პირველი
რძალი მეორეს,—განაყოფთ აბრიას საქმეა ეს! რაც გავიყარენით,
მას აქეთ გადაკიდებული და გადამტერებული გვყეს და ჩვენს
სისხლს აშრობს. თუ არ ის, მაშ სხვა ვინ დამარხავდა ჩვენს
ვენახში თხას? თუ ასე არ იყოს, მაშ რატომ იმისი ვენახი კი
არ ინაცრება ისე, როგორც ჩვენი? ჩვენს ვენახშნ ერთი კუუ-
ხალიც არ მაიწყვიტება ხოლმე თავანკარი, იმის ვენახში კი
ყურძენი ქარგასავით გაძლუვის.

დაიწყო მკითხაობა მორიგისათვის. ამ ხელად მკითხავმა
აიღო ნიშნად მოტანილი ჩახსაკრავი ავადმყოფისა, დასრისა ხე-
ლში, მერე დაიწყო ისევ ისე ხელების გადასმა პირისახეზე, აი-
ღო ანთებული სანთელი ხელში და დაიწყო ზმორება. ხან
ერთს ასოზე იდებს ხელს, ხან მეორეზე და იძახის:

— „ვაი, ვაი!.... მტკივა, მტკივა!.... მტეხავს, მტეხავს“!....

— უი, მოგიკვდეს დედა!—წამოიძახა იქ მყოფმა ავადმყო-
ფის დედამ.

მკითხავმა ძროხასავით ზმუილი დაიწყო და თითქოს ჩას-
თვლიმა, ჩაჰუმდა თავი და გაჩუმდა. დედა აეადმყოფისა მიუბ-
რუნდა ამ დროს თავისს თანამგზავრს და ეუბნება:

— „დედა-კაცო, რა აშკარად გაიგო! არ გახსომს, ე მარტო რე არ იტკივებს ყველაფერს და ზმუის ანდრია?

— ჰო, ქა! ვაი ჩეენი ბრალი!..

ამ სიტყვებზე შეხტა გამოფხიზლებული მკითხავი და დაიწყო:

— „მე, თეორი წმიდა გიორგი, დაგადნობ, დაგადნობ!.... დაგაკუტებ, დაგაკუტებ!... როგორ გაპბედე, როგორ გაპბედე!.... ჩემ სახელობაზე ყურ-მოჭრილ ბერი-ზვარის (კურატი მოზვერი) შენ ჯოხი დაპკარ, ჯოხი დაპკარ!... არ გალხენ, არ გალხენ!... მინამ ჩემს კარს არ მოხვალ, არ მოხვალ!... ბერი ზვარით ბერი ზვარით“!....

ამითი გაათავა მკითხავმა და ახლა სხვას მიუბრუნდა.

ჯერი მიდგა აღალოს დეჟასა და სიდედრზედაც. რადგანაც მკითხავი თელეთის „მონად“ ითვლებოდა, როცა თელეთის „მიზეზი“ ამოდიოდა, ქადაგად დაეცემოდა ხოლმე. რახაც წამს ნიშნად მიტანილი სატინიკეს ბეჭედი იილო ხელში, მაშინვე დაიწყო მთქნარება, როგორც შვრებოდა ყოველთვის მკითხაობის დროს; მერე დაიჭმაჭნა სახე, დაიწყო კანკალი. ყველა იქ მყოფი მაშინვე მიპერდა, რომ ქადაგად დაეცემოდა მკითხავი და მიზეზიც თელეთისა ამოვიდოდა. გადმოუბრუნდა თვალები, როგორც მოუვა ხოლმე ადამიანს შიშისაგან; ვიღასაც ჰაერში ხელებს უპყრობდა და ცრემლების ღვრით და ქვითინით ეხვეწებოდა:

— „ნუ მიწყენ შენს მონას!... ნუ დამლუპავ შენს მაღი-დებელს და მავედრებელს!... მაკმარე ტანჯვა, წმიდაო გიორგივ თელეთისავ!... მოციქულო ღვთაებისავ!... ლახერის დამცემო ავი ანგელოზისავ!... გამომხსნელო ტყვეებისავ!... შემწყნარებელო საწყლებისავ და გლახებისავ!... შეიწყალე და შეიბრალე მაღი-დებელი და მავედრეებელი შენი და აკმარე რისხვა შენი“!..

ამის შემდეგ, თითქოს სულიერმა აღელვებამ და ფიზიკურმა ტანჯვამ გადაუარაო, დამშვიდლა; დაიწყო თვლემა და თვლემაში ლაპარაკი:



— „შე, წმიდა გიორგი თელეთისა!... ამოვგვი, ამოვგვი!... ძირიან-ფესვიანად ამოვგადებ, ამოვგადებ!... არ ვაჩვენებ კარგს!.. ყოველ ავსა, მწუხარებასა, ტანჯვას არ დავულევ!... რატომ არ მოვა ჩემს კარს!.. მამა-პაპა ჩემი ყმა იყო!.. რატომ არ მეყმობა შივლი!.. არ დავაყრი კეთილს!... თუ არ მოვა ჩემს კარს!....

გაათავა ლაპარაკი ჭ გამოიღვიძა მკითხავმა თელემიდან. ისე-თი დაღალულობა და დაქანცულობა ეტყობოდა, რომ თით-ქოს ძალზე უცემიათო. ხოლო აღალოსა და სატინიკეს შემ-დეგი უამბეს: „რა ნიშნეულად იღაპარაკა იმ გასახარელმა ყვე-ლაფერა; — დაიწყო სატინიკეს დედამ.— „აიღო თუ არა ხელში შენი ბეჭედი, სატინიკ-ჯან, თელეთის მიზეზი ამოვიდა და მა-შინვე ქადაგად დასცა. თელეთი გაურისხებია იმის ქმარსაო. მამა-პაპას ულოცნია თელეთი და შვილი კი აღარ ლოცულობ-სო“. ჰი, შვილო,—ჩამოართვა მახალს სიტყვა აღალოს დე-დამ,— ცხონებული მამაშენი იტყოდა ხოლმე, პატარაობაში ხშირად დაეფიოდით თელეთში სალოცავადაო. ჩვენც რამდენ-ჯერა ვყოფილვართ! შენ მაშინ ჯერ ისევ პატარა იყავი.—ვა, განა მე არ მახსოვს, ორჯერ-სამჯერ ვიყავით ჩემ პატარაობა-ში,—სთქვა აღალომ, რომელიც ყურადღებით ისმენდა სიდე-დრის სიტყვებს და ერთგულიად პირჯვარს იწერდა,— ჩემ ბემუ-რაზობასაც უყურე ერთი და! რამდენი ხანი ვიყავი ქალაქში და ერთხელაც არ გამივლია თელეთში! „ამისთვისაო,— დაიწ-ყო ისევ უფრო წათამამებულმა აღალოს სიდედრმა, იმის სახლს ავი ანგელოზი დავაპატრონეო და იმის ცოლს მოსვენებას არ ვაძლევო; შვილსაც არ ვაძლევო და არც მივსცემო, მანამ ჩემს კარს არ მოვა და არ მიღოცავსო“.

— ვენაცვალე მე იმის მაღლს,— წარმოსთქვა აღალომ პირჯვრის წერით,— ოღონდ კი შვილი ეყოლოს სატინიკეს და აღარც აშინებდეს აფი ანგელოზი და ვილოცავ კი არა, მეტ-საც ვიზამ.— ეხლა კი, აბა, ვერ დავპირდები, რადგანაც საქმე საქმეზე არის მომდგარი. გავათავებ თუ არა საქმებს და და-ვაბინავებ ყოველიფერს თავის ალაგას, დღეობას აღარ მოვუც-დი; შემოდგომაზედვე წაგიყვანთ ყველას და ისეთ დროებას გა-

ვატარებ და გაგატარებინებთ იმის კარს, რომ ქვეყანა ზედ შე-
ვიხედვიო.

VII

d s b g s s o

— ბარო, ბარო, პირულმ გასპარ!

— ასტუ ბარი, პარუმ მიკირტუმ!

— ერთობ ძვირი სანახავი გაჰქდი, ჰა!..

— ვა, ხუმრობა ხომ არ არის, ერთი კვირაა დაუსვენებლივ გვისვამ, ჯერაც უერ გამომდგარვარ, დათენთილი ვარ ებლაც!

— არა, კაი დროება ყიტარებით, როგორც ეტყობა?

— ვა, დროება და როგორი დროება! იცი, სამი დღე და
ლამე მარტო ახაშნური წითელი ღვინო გვისვამ; სხვა ღვინო
პირზე არ მიგვიკარებია. ახლა ამ ღვინოსთან შენ იმისი სარის-
ტირანობა უნდა გენახა. კაი თართის დოშები, შენი ჭირიმე, —
ქვაბი ცეცხლზე გადმოუღებელი იდგა და როცა კი საჭირო
იყო მოლიოდა სუფრაზე ცხელ-ცხელი დოში, კაი ხიზილალა,
კაი მკერდა, ოკუი მეტი ხოხობი წამოელო თან.

— ନେମିବୁ, ଲାହିତ!...

— თათარიახნად ხაშლამა, შენი ჭირიმე, მწვადი და მას-
თან კარგი წნილეულობა. ერთი „ფაიტონიც“ დაჭირავებული
სულ იქ იდგა. როცა კი უბძანებდა, ჩაჯდებოდა ბიჭი და ქა-
ლაქიდან ახალი თევზეულობა წვანილი და სხვა-და-სხვა რამე-
ები ამოჰქონდა. ყველა ამას დაუმატე ეხლა ტკბილი დუდუ-
კიცა.

— ვა!... კაი ლაზათი გინახავთ, რაღა!

— ვა, ლაზათი რასა ჰქონდან! ეხლა შენ იმას რატომ არა
მკითხავ, თუ სუფრას ალაგებდნენ თუ არა? ერთი გაეინიანდა და
სუფრა არ აალაგებინა,—სამი დღე და ღამე სუფრა გაშლილი
იყო. ნახორმახალი რაცა რჩებოდა, მარტო იმას ალაგებდნენ



სუფრიდან და მლოცვა და სათხოვნელად მოსულ ხალხს უკრი-
გებდნენ, სუფრას კი ახალ-ახალი საჭმელებით აახლებდნენ.
ლვთის წინაშე, გამაკვირვა იმისშა გულ-უხვობამ. ხორავს ხომ
ურიგებდა ბლობად და დაუზოგველად მოსულ ხალხს და ფულ-
საც შეუბრალებლივ ჰფანტავდა; გეგონებოდა, ქართველი თა-
ვადიშვილია, სამი დღე და ღამე საყდარში ცველა ხატის წინ
გაუქრობელი სანთელი ენთო. ვეუბნებოდით, თუ, ოლექსეი მე-
ლიქიჩ, ოფლი მოგიწურნია ფულების შოვნაში, ნასლედსტვო-
ში ხომ არ დაგრჩომია, რომ ემაგრე შეუბრალებლად ჰფანტავ
ფულებსაო. ის კი გვეუბნებოდა: ვა, ფულები არ მაქვავიაო
თუ? ვენაცვალე ამის მადლს, რისაც კარს მოესულვარ, ოღონდ
მე შვილის ღირსი გამხადოს და თუნდა ამის გულისათვის მთელ
ჩემს სარჩოს ძმა-მეგობრებს შევაჭმევო.

— ერთობ ძალიან გახელებულა!

— ვა, გახელება მეტი-ლა გინდა! როცა დასტური გამო-
უვიდა, რომ არ შემრცხვეს, მთელი დღე-ლამე სულ ცალ-ფეხზე
ითამაშა. ასე გასინჯე, სიდედრი და მოხუცებული დედაც კი
ათამაშა. სხვებს ხომ თხოვნა აღარ გვინდოდა, ერთმანეთს არ
ვაცლიდით. ერთი სიტყვით, ცველას გაგვიხარდა და გულს-მო-
დვინეთ კულოცავდით.

— ხომ კაი დასტური გამოუვიდა?

— ოღონდაც რომ კარგი! — იმისმა ცოლმა ნახა მესამე
ლამეს სიზმარი: — მოვიდაო იელიშე (ტერტერა თელეთისა), ისიც
სულ ჩვენთან ატარებდა დროს — რა ლამაზიდ ამბობს ტალებს! —
და მუქაში ლობიოები ჩამიყარაო. შვილები მიუცია რაღა, რო-
გორც ტერტერამ აგვიხსნა.

— ტერტერაც რა ფულებს მიიღებდა?

— ვა, აბა რაღა თქმა უნდა! მგონია იმისთანა მლოცვავი
თავის დღეში ველარ ნახოს.

— ბევრნი იყავით?

— ვა, იცი, ათი ფაიტონით წავედით! ორმოც სულამდის
ვიყავით — სულ სომხობა, ერთი ქართველი არ გვერია წამლად.
თითონ აღალოს სიმამრის შვილებიც იქ იყვნენ თავიანთი ცოლ-

შეილით. რა კარგი შვილები ჰყოლია ცხონებულ ყაზარ-ყარა-
მანის, ეხლა ვნახე პირველად! ერთი დოხტური ყოფილა, მე-
ორე ინჯინერი, მესამე ადვოკატი. ერთი სიტყვით, სომხობის
დამამშვენებელნი და პატრონები ყოფილან რაღა! ერთი ლა-
ბარაკობენ, ერთი ლაპარაკობენ, პარუმ მიკირტუმ, რომ რა
ვიკი! სწორედ ანგელოზის ენა აბიათ. სად გავიგონებდი მე
ჩემ დღეში იმას, რაც იმათგან გავიგონე. ახლა, გვიშლილნენ,
თუ ნუ ლაპარაკობთ ქართულად, დროა ჩვენი სამშობლო ენა,
სომხური ენა აღვადგინოთო და ქართულ ენას თავი დავანე-
ბოთ, დავივიწყოთო. მე ვუთხარ, თუ ქართველებში ვცხოვ-
რობთ, ქართველებთან ვვაჭრობთ, ქართული ტანისამოსი გვა-
ცვია-მეთქი და ქართულიც რომ ვილაპარაკოთ, რა ლმერთი
გვიწყენს-მეთქი. როგორ ვივაჭროთ ქართველებთან, თუ ქარ-
თული არ გვეცოდინება-მეთქი! შევები ახლა რაღა, როგორც
იცი ჩემი ხასიათი.

— მერე, რა ვითხრებს?

— იცი, რა მითხრებს? ყოჩაღად მიპასუხეს-და! ლმერთმა
დღე მისცეთ. ერთმანეთს არ აცდიდნენ; სამივენი ერთ ნაირად
კარგადა და ჭკვიანურად ლაპარაკობდნენ. მითხრეს, თუ ქარ-
თული კი უნდა ვიცოდეთო, მაგრამ ლაპარაკით სომხურად
უნდა ვილაპარაკოთო. ქართული ენა, როცა სავაჭროდ და-
გვეირდება, მაშინ უნდა ვილაპარაკოთო, დანარჩენ დროს კი
ჩვენ სამშობლო ენაზე უნდა ვილაპარაკოთო. რა საჭირო არის
ეხლა აქ ჩვენთვის ქართული, რომ ქართულად ვლაპარაკობთო.
ჩვენ ერთი გამოჩენილი წმინდა აბრამ კათალიკოზი გვყვანდაო.
იმან დასწყვევლა ის სომეხიო, რომელიც ვაჭრობის გარდა სხვა
რამე საქმეს დაიჭერს ქართველებთანაო. ვაჭრობის ნება კი
მოგვცაო და ქართულიც მარტო ვაჭრობისათვის უნდა ვიცო-
დეთო. ხეირი არ დაეყრება იმას, ეინც ამ წყევლას დაიმსახუ-
რებსო.

— ჰაზირ, კარგი უთქვამთ!

— დაიცა, ერთი და! ჯერ სადა ხარ! ახლა რას მეუბნე-
ბიან და! შენ ვინ ვითხრაო, რომ ყურთმაჯიანი კაბა და ყო-

შებიანი ახალუხი, რომელიც შენ გაცვიაო, ან კალმუხის ქუდი, ქართული ტანსაცმელიაო: ქართული კი არა, ნაცვლური (ნაციონალური) სომხური ტანისამოსია, ესე იგი, ღვიძლი სომხური ტანისამოსიაო. მაშ რად ეძახიან-მეთქი ქართულ კაბას, ქართულ კალმუხის ქუდს-მეთქი. და იცია, როგორ ამიხსნეს, —ღმერთმა დიდი დღე მისცეთ! როცა არიან ყოჩაღები, არიან! — როცა სომხებმა საქართველო დაიჭირესო და თავიანთი ტანისამოსი გადმოიტანესო, ქართველობა ამ ტანისამოსის დანახვაზე დაფერდაო. სომხებამაც შეატყო ესა. აიღეს და ზოგმა ფეშ-ქაშად გასცა თავისი ტანისამოსი, ზოგმა გაჰყიდა, ზოგმა გასცვალა იმაზე, რაც მისთვის საჭირო იყო. ბოლოს მიჰყვნენ და მთელი ქართველობა კაბა-ქულაჯით შეიმოსა და კალმუხის ქუდით გამაიჭიმა. სომხები პირველში არ იქცევდნენ ყურადღებას ტანისამოსათ; ისინი ახალ ქვეყანაში სარჩი-საბადებლის შოვნაზე ჰუკიქრობდნენ და ცდილობდნენო. როცა დაიდეს ბარაქა ჯიბისა, მაშინ ისევ მიჰყვნენ თავიანთ „ნაცვლურ“ ტანისამოსის ჩაცმა-დახურვასათ.

— ვა!... დაიცა ერთი, თუ ღმერთი გწამს! როგორ თუ სომხებმა საქართველო დაიჭირესო!

— ვა! დამაცა-და! ეგ კი არა ვკითხე, შენა გვონია? რა შეილი არა ვკითხავდი! მერმე ნუ იტყვი, სომხებს დაუჭირიათ საქართველო. ახლა როგორ. სომხეთში ერთი დიდი ბაგრატ ხელმწიფე ყოფილა, —გვარადაც ბაგრატ ბაგრატიანი ყოფილა. ქართველები რომ შეუშუბებიათ ლეკებს და ველარათერი გაუწყვიათ, გაუგზავნიათ მოციქულები ბაგრატ ხემწიფესთან სომხეთში, თუ, ესე-ესე, მტერმა შეგვაწუხა და გვიშველე!... ბაგრატ ხემწიფესაც შეუყრია ჯარი, მოსულა საქართველოში, დაუმარცხებია ქართველების მტერი, და უნდოდა თურმე დაბრუნებულიყო თავისს სატახტო ქალაქში — სომხეთში, მაგრამ ქართველებს დაუჩირებიათ და უთხოვნიათ: ნუ გეიზამ მაგისთანა საქმეს, ნუ გავვიშვებ უპატრონოდაო, თორემ დაგვესვეიან ისევ ურჯულო ლეკები და ამოგველეტავენო. ბაგრატ ხემწიფეც დაჰყოლია მათ თხოვნას და დარჩომილა საქართველოში

თავისი ჯარით. ქართველების ქალაქი მცხეთა არ მოსწონებია; გაუნებებია თავი, ჩამოსულა აქ და ტფილისის ქალაქი აუშენებია; აქედან უგდია ყური საქართველოსათვისაც და სომხეთისათვისაც.

— ვა, მალე არ გამოუჩენია სომხური ჭკვა! არა, საღ დეეტევოდა ამოდენი მიღიერთი ხალხი, მცხეთა რომ დარჩომილიყო ქალაქად!

— მერე ბაგრატ ხელმწიფის შვილის-შვილის-შვილები მეფობდნენ და სომხეთი და საქართველო შეაერთეს ერთ სახელ-სწიფოდ. მეფეები სომხის ჩამომავლობისანი ყოფილან და საქართველოში ბინა და საცხოვრებელი პქნიათ,—სომხეთ-საქართველოს მეფეები ყოფილან,—ისე რაღა, შატბრალებია ბაგრატ ხემწიფეს ქართველები და მოჰშველებია, თორემ ახლა ამათი ხსენებაც აღარ იქმნებოდა. ეხლა ქართველები რომ თავიანთ ხემწიფეებს გვარად ბაგრატიონებს ეძახიან, ეგ სულ ტყუილიაო, განგებ შესცვალეს ქართველებმა ნამდვილი სომხური გვარი „ბაგრატიანი“ ბაგრატიონად. ჩვენი სომხური გვარი სულ ასე ბოლოვდება „იანიო“; როგორც არარატიანიო, მანუქიანიო და სხვაო, ნამდვილი სომხური გვარი ასე ბოლოვდებაო. ვინც თავისს გვარს აბოლოვებს: „იანც“-ზე, „ოვ“-ზე, ან სხვა ნაირადაო, ის თავისს მამა-პაპას შეურაცხყოფას აყენებსო.

— მე, იცი, პარუმ გასპარ, რა მაკვირვებს? თუ ე ბაგრეი იყო, მაშ ქართელის ხელმწიფეს რად ეძახიან, ან ქართველების რჯულზე რად იყვნენ?

— ეგ კი არა ვკითხე? აბა, რა ბიჭი არა ვკითხავდი!—მითხრეს, თუ ხერხი იხმარეს ხემწიფეებმა, როგორც ჭკვიანმა კაცებმაო. თვითონვე მოინდომეს, რომ ქართულის ხემწიფეები დაეძახნათ და რჯულიც გარეგნობით შეიცვალესო. ამით ქართველებს თვალებს უხვევდნენ და ატყუებდნენო; სომხებს კი ექმარებოდნენ ჩუმად ფულითაც, მამულითაც და სხვა ყველაფრითო. გაღმოასახლეს სომხეთიდან სომხობა და ჩაასახლეს ქალაქებშიო. აბა, იღდე რომელიც გინდა ქალაქი, თუ სომხებით



არ იყოს სავსეო. ყველაფერს ნელ-ნელა აპარებდნენ, რომ ქართველები ვერა აზრს ვერ მოსულიყვნენ და კიდეც დაიჭირეს სომხებმა მთელი საქართველო ხელშიო. ხემწიფეები ჩუმად ეკკლესიების აშენებაშიაც შველიდნენ სომხებსაო. აბა ვარაუდი გასწიე, ვის უფრო ბლომა და კაი ეკკლესიები აქვს, სომხებს, თუ ქართველებსაო. ასე რომაო, საქართველო სასომხეთოაო.

— ეა, რა მართალი ულაპარაკნიათ! მაშ ეს თავ-ქარიანი ქართველები რა დიდი გულით არიან, საქართველო ჩეცნია?

— ახლა, როცა არ იციან და არავის ჩაუგონებია იმის-
თვის. თუ უნდათ, ეხლა ჩემთან მოვიდნენ, მე ჩავაგონებ — ყვე-
ლაფერს გავაგებინებ, როგორც არის საქმე. შეც ასე მეგონა
აქამდის, მაგრამ ახლა, როცა გამაგებინეს ყველაფერი იმ კურ-
თხეული ძუძუთ გაზღიულებმა, ფიქრი აღარაფერისა მაქვს. ახლა
უფრო კარგი გითხრა და! თურმე მარტო ქართველებისათვის
მოსპობილა საკუთარი ხემწიფე; ჩენ კი სომხებს, ისევა გვყო-
ლია თურმე საკუთარი ხემწიფე.

— ვა, ეგ ვინ არ იცის? — რუს-ხელმწიფე ჩვენი ხემწიფეც
არის და ქართველობისაც!...

— მეც ასე მეგონა, მაგრამ სხეანირად ყოფილა საქმე-და! —
საიდუმლო საქმე კი არის ესაო, — მართალია, ჩუს-ხემწიფე მფლო-
ბელობს ჩვენზედაო, მაგრამ ჩვენი ნამდვილი, ჰეშმარიტი ხემ-
წიფე ჩვენი წმინდა კათალიკოზი არისო. იმაში სასულიერო და
ხემწიფური უფლებანი შეერთებულია ჩვენ, სომხობისათვის და
ყველამ და ყოველთვის ისე უნდა მივიღოთ და ვიწამოთ, რო-
გორც ხემწიფეო.

— ვა!... რა კარგია მაგისთანა კაცები კამპანიაში და!

— ვა, არ დამაცდი? ერთი დამასრულებინე ბოლომდის-
და! მაშინა თქვი, თუ ესე-თქო. რო უყურო, ისე გავიმართე-
ნით სომხურ ლაპარაკში ეს ერთი კვირაა, რომ ქართულად
აღარც კი მეხერხება ლაპარაკი. დაადგინეს ჯარიმა: ვინც ქარ-

თულად ხმა ამოიღოს, ერთი შაური გადაიხადოსო. ორ დღე-ში, მანამ შევეჩერედით, ბარე თუმნამდის შეგროვდა. ეს გაიანეს სკოლისათვის გადავდოთო. მერე კი გავივარჯიშეთ და ალარავის სცდებოდა ქართული.

— ეჭ, როცა კაცს თავში ჭკუა უძევს, ბევრს რასმე გამოიგონებს და გააკეთებს!

— ვა, ახლა ისიც მათქმევინე, თუ რა ნაირად დაგვცინიან ჩვენ,—მოხუცებულ სომხობას. რასა ჰეთიქრობდითო, რომ აქამდის, ჩვენს საკუთარს ქალაქში ქართველებს აპარაშებდით და უპრავაში ალაგს აძლევდითო. ან ლვთისა რატომ არ გეშინოდათ, ან კაცისა რატომ არა გრცხვენოდათო. სადა გქონდათ ჭკვა, და მოფიქრებაო, რომ თქვენს ავსა და კარგზე ქართველებს ალაპარაკებდით და უპრავაში ხმის ამოღების ნებას აძლევდითო. ჩვენ,—ახალგაზღიული თქვენს კვალს არ მივჰყებით და ალარც ყურს დაგიგდებთო; რაც აქამდის ბალი გიჭმევიათ ქართველებისათვის, ისიც საკმარისია იმათთვისაო. ამას იქით ისე უნდა გაევაძეოთ ყველა მხრიდან, რომ იმათი სახსენებელიც ალარ იყოს არც უპრავაში და ალარც სხვა სამოქალაქო საქმეებშიო. მიადგნენ სიძეს და დაუწყეს ვაი-ვაგლახი, ხერხიანად ვერ იქცევიო.

— კაცი მილიონერი გახდა და ხერხიანად ვერ იქცევიო! რა კარგია-და!...

— ახლა რას უსაყვედურებლნენ! ეგ მამულები, რაც შეგიძენია, საკმარისი არ არისო. უფრო ბევრი უნდა შეგეძინა აქამდისაო და ამას იქითაც უნდა შეიძინო, რაც შეიძლება, ბლომა მამულები და სხვებიც წააქეზოვო. ჩვენ რომ ქალაქში ვიმოქმედოთ, თქვენ სოფელში უნდა დაგვეხმარნეთ და მხარი დაგვიჰიროთო. ჩვენ ძალა ქალაქში გვაქვსო, თქვენ კიდევ სოფელებში უნდა შოიპოვოთ ძალა და იქიდან მხარი მოგეცეთო, თორემ ბევრს ვერაფერს გავაწყობთო. აბა ცხონებულ მამაჩვენს რომ სოფელშიც შეეძინა მამულები, როგორც ქალაქში, მაშინ სულ სხვა იქნებოდაო. კიტრის ფასად მამულები ყოფი-

ლა და არაფერი კი დაუდევნიათ. ქალაქი რომ გვიჭირას ხელ-
ში, ეს ხომ არ არის საკმარისით, საჭიროა სოფლებიც დავი-
ჭიროთ ხელში და ეს კი თქვენი, ხოფელში მოვაჭრების და
ვინც იქა ტრიალებთ, იმათი ვალიათ. თუ სოფლებშიაც გვექ-
ნება მამულებით, დღეს ერთ კომლს გადმოვასახლებთ სომხე-
თიდანაო, ხვალ—მეორეს, ხვალ ზევით—მესამეს და ამ გვარად
სოფლებსაც ხელში დავიჭიროთ. აი მაშინ გვექნება ჩვენ დიდი
ძალა და მეტი გავლენა და გამჭრიახობაო. ახლა კი ქალაქსაც
ეჭირვება გაწმენდაო. მთელ ქალაქში მოვაჭრეც და მცხოვრე-
ბელიც თითქმის სულ სომებია. ამათი ნაშრომით ძლებიან
ვიღაცა რაჭველი იმერლებით. უმჯობესი არ იქნებაო, რომ
ჩვენსავე სისხლსა და ხორცს ერგოს ის, რაც სხვას მიაკვსო.
რამდენი მოიპოვება შუაგულ სომხეთში ულუქმა-პურო ჩვენი
მოძმეო. ჩვენ—ახალგაზღობამ გავითიქრეთ გადმოვრეკოთ სომ-
ხეთიდან ულუქმა-პურო და შეუძლებელი მოძმეები და ჩავი-
ყენოთ ქალაქში მუშებად რაჭველების მაკიფრადაო, რაჭველე-
ბი კი სულ ერთიანად გავაძეოთ ქალაქიდანაო. ახლა როგორ
უნდა გავაძეოთო რაჭველები. რასაკვირველია, ძალია ვერცა-
რაფერს გავხდებითო და არც ნებას მოგვცემენო; უნდა იქაც
ხერხი ვიხმაროთო. ვისაც რაიმე საჭმე გვექნებაო, უთუროდ სო-
მეს მუშას უნდა მივანდოთო და იმერლები ახლო აღარ მივი-
კაროთო. როცა აღარავინ მიანდობს არაფერს, ძალაუნებურად
თვითონვე გაეცლებიან ქალაქსაო. მაშინ ქალაქიც გაიწმინდე-
ბა იმათითაო და ბურთი და მოედანიც ჩვენ სისხლ სომებს მუ-
შებს დარჩებათო.

— სწორე გითხრა, ეგ ლაპარაკი სჯობნებია დროების გა-
ფარება!

— ჰაზირ, ლაპარაკიც რომ კარგი იყო, სიმღერაც, დუდუკიც და დროების გატარებაც!... ახლა, მარტო თელეთს ხომ არ დავაჯერეთ. მოვედით იქნიან და ახლა აქ მოვაყოლეთ რიგის საღილები. მაგრამ აქედან კი მასშე გაგვეძცა: თამბაქოები მაქს დაუბინავებელიო; თუ დროზე არ დავადასტავებინე, სულ ერთიანად გამიფუჭდებაო.

— ეჰ, ღმერთს დაულოცნია ხელდახელი ვაჭრობა! იყიდე საქონელი, ხელდახელვე გაყიდე. მადლიც იმაშია და მოგებაც. ეზე მაგალითიც. მატყლისა და თამბაქოს ვაჭრობამ არ წამოს. წინ წინ!

— შენ მაგისი გამჭრიახობა ნახე: პირ-და-პირ მოსკოვში გადააქვს თამბაქოები; აქაურ მექარხნებს კი არ ეხევწებათ! ადგილობრივ ორ მანეთადაც არ ისვამს ფუთს, მოსკოვში კი ორ თუმნადა და ოც და ხუთ მანეთად ჰყიდის ფუთს, მაშ ფულს არ მოიგებს!

— არა, უთუოდ მაგას სხვა ნაირადაც აქვს ნაშონი ფულები, თორემ ასე მალე გამდიდრებული და ისიც მატყლისა და თამბაქოს ვაჭრობით რომ არავინ მინახაეს! არც ესე დაუწყობდა ფულებს ფლანგვასა და ხარჯვას, რომ ოფლით მოგებული ფულები იყოს.

— ეჰ, რა ვიცი, ღმერთო შევცოდე, ამბობენ, ზოკ მოსესას მოკველაში იეშმაკაო, მაგასაც წილი უძევსო იმის მოკვლაში.

— არა?

— რა ვიცი, ასე ამბობენ და მართალია, თუ არა, ღვთის მეტმა არავინ იცის.

— რო ვამობ, თუ რამ ეშმაკობით არ ვამხდარიყო ფულის პატრონი, აღებ-მიცემობით ეგრე მალე დიდ ფულს ვერ მოივებდა.

— ეგ მეც ვიცი, რომ ზოკ მოსესას აღალო ჩობანად ჰყვანდა. თურმე ჭარსა და ბელაქანში დიდძალი ძროხა და კამბეჩინბა უნდა ეყიდნა და დიდი ფულიც სდებია უბეში. როგორც ამბობენ, აღალოს წინადვე დაერიგებინა ლეკები, ამა და ამ ადგილას ამა და ამ დროს ფულიან კაცს ვამოვატარებ, მოჰკალით და ფული ჩენ გავიყოთო. თეითონაც ყასილად გაჰყოლია ლეკებს, ვითომ ტყვედ წამიყვანესო. რამდენისამე თვის შემდეგ გადმოვიდა ლეკიდან და სთქვა, გამოვიპარეო. ასე ამბობენ და არ ვიცი, რამდენად მართალია.

— რო ვამობ, იმოდენა ფულს სად იშოენიდა მაშ სსე ხელად, თუ არაფერი არ ეეშმაკნა.

— ამბობენ, ვითომც ბევრი ყალბი ფულიც გაასაღაო, მაგრამ ღმერთმა....

ასე მასლაათობდნენ ერთ შემოდგომის დილას ორი სირაჯი, რომელნიც ისხდნენ მოპირდაპირე სასირაჯო დუქნების კარებზე „ვინნი რიადის“ ქუჩაზე. იქმნება კიდევ ბევრს რასმე ილაპარაკებდნენ აღალოზე, ან სხვა რამეზე, რომ ერთ ლვინის მუშტარს არ გაეწყვეტინებინა მათვის ლაპარაკი. მუშტარი მიკირტუმას დუქნის მხრიდან გადვიდა და გაემგზავრა გასპარას დუქნისაკენ. ეს რომ შეამჩნია მიკირტუმაშ, დაუძახა: აქ მობძანდი, აქ, მაგას არა აქვს კაი ლვინო; ისეთი ლვინო მოგყიდო, როგორც წამალი! ამაზე გასპარამ დაურთო: არ დაუჯერო, მაგას ვინ მისცა კარგი ლვინო! ნამდვილი კახური ლვინო მე მაქვს.—გატყუებს, კახური ლვინო კი არა, ერევნული ლვინო აქვს მაგას,—უყვიროდა მიკირტუმა,—კახური ლვინო მე მაქვს.

მუშტარი თითქოს შეყოყმანდა და უნდოდა ორივეს მოპშორებოდა, მაგრამ გასპარამ ხელი წაავლო და შეიყვანა თავისს დუქანში.

VIII

ხ დ ხ დ ხ

აღალომ წმინდად და სავსებით აღასრულა დაპირება. რაკი მოისთვლო ვენახები და ქვევრებში ლვინოები დააბინავა, თამაჯოს გათავებას აღარ მოუკადა; გაავსო თრი ხუთ-ხუთ ჩაფიანი ტიკი წითელი ლვინით,—მაჭრით,—ხუთ ჩაფამდისაც ტიკჭორებში სხვა-და-სხვა ჭაშნიკები ჩასხა; მოამზადა საგულის გულოდ სხვა-და-სხვა სანოვაგენი საგზაოდ; ჩაალაგებინა ყოველიფერი ორ ფურგუნში, ჩასხა ცოლი, სიდედრი, დედა და დაახლოვებული სამი მეგობრის ცოლ-შვილი ერთ ფურგუნში,

ხოლო მეორეში ჩაჯდა თვითონ თავისი მეგობრებით; ახსენეს ღმერთი და გაუდგნენ თელეთის გზას.

ალალომ შინვე მისცა სიტყვა თავის-თავსაც და მეგობრებ-საც, რაც შეიძლებოდა მხიარულად ემოვზაურათ თელეთამდის, რომ უფრო შეეწირა თელეთს მისი ლოცვა-ველრება. იმ ფურ-გუნში, რომელშიაც ვაჟკაცები ისხდნენ, გაშლილი იყო აულე-ბელი სუფრა; ერთ ვაჟკაცთაგანს ცალ ხელში პირ-მოხსნილი ტიკჰორა ეჭირა და მეორე ხელით აწვდიდა ხან-გამოშვებით ღვინით სავსე ჩარექას. მიუხედავად იმისა, სადაც კი გზაზე კაი საქეიფო ადგილსა პნახავდნენ მგზავრნი, უთუოდ რამდენი-სამე ხნით დააყენებდნენ ფურგუნებს და ხელ-და-ხელ გაშლი-დნენ სუფრას, „რათა სამგზავრო სადლეგრძელო“, —ღმერთმა და თელეთის მათლმა მოგვიმართოს ხელი, რა საქმეზედაც მივ-დივართო, —დაელიათ.

ყველაზე მომეტებულად ალალოს გული მიიზიდა ერთმა ადგილმა ივრის ახლო ფშაზე. აქ, გზის პირად, ბევრი მუხები დგას და ქვეშაც ყალთალიანი ადგილი აქვთ დაფენილი. უნე-ბლიედ იზიდავენ ეს მუხები თავიანთკენ სიცხის დროს მგზა-რებს ფეხით მოსიარულეთ საგრილობლად და დასასვენებლად, ხოლო ცხენოსანთ, ანუ ეტლით მოგზაურთ, —საქეიფოდ. თუმ-ცა ახლა შემოდგომა იყო, მზეს სიძლიერე ალარა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ გადახრილი იყო, მაგრამ მაინც ალალო მიიზიდა ერთმა მუხამ, რომლის ქვეშაც შემოდგომის მობიბინებული მწვანე ჩამოცვინილი მუხის ყვითელი ფოთლების ქვეშიდან პეკლუცად აქა-იქ ამოიჭყიტებოდა. საზოგადოდ შემოდგომის ნესტიანი მწვანე სასიამოვნოდ აგრილებს მაჭრისაგან შენურე-ბულს ბუნებას კაცისას; ამისთვის ანდამატივით მიიზიდა ამ ად-გილმა მოქეიფენი, რომელნიც დილიდან მოკიდებული განუ-წყვეტლივ ჰსვამდნენ.

— თუ შენც იტყვი, წყალობ, ძალიან კარგი იქნება ამ მუხის ქვეშ „სამგზავრო სადლეგრძელო“ დავლიოთ. მაინც ხომ ჯერ ადრეა და „ხიდის დუქანიც“, სადაც უნდა გაეთიათ ლა-

მე, შორს აღარ არის,—მიშმართა აღალომ მეგობართ წყალობას სახელით.

წყალობა აღალოს ავან-ჩავინი იყო. იგი განუშორებელი იყო აღალოს სახლისა, იწოდებოდა მის „თარხნად“ და ეჭირა სა-შუალო ადგილი აღალოს მეგობართა და მოსამსახურეთა შორის. წყალობას ქონებრივი მდვომარეობა ხელს არ უწყობდა ყოფილიყო იმ მეგობართა წრეში, რომელნიც იყვნენ დაკავშირებულნი აღალოსთან შემთხვევაში სახელით. არ შეეძლო მათთან გამკლავება და არც გაუბედნია, როდისმე ჩარეულიყო მათ სჯა-ბასში ქონება-სიმდიდრეზე. წყალობასთან აღალოს დამკიდებულებას უფრო მფარველობითი ხასიათი ჰქონდა. მეგობარიც იყო წყალობა აღალოსი და ამავე დროს მოსამსახურის თანამდებობასაც ასრულებდა მის სახლში; მისებრივ უნარს სუფრის გაშლა-მომზადებაში და თავდარიგში ვერა გამოზდილი მოსამსახურე ვერ იჩენდა. თვით აღალო ისე დაპირებდა ხოლმე წყალობას, როგორც უბრალო მოსამსახურეს; მაგრამ მოსამსახურებიდან მას დიდი გარჩევა ჰქონდა: როგორც მეგობარს და კეთილის მომდომეს, აღალო ხშირადა ჰკითხვედა ხოლმე წყალობას რჩევას, თუმცა არც ერთხელ არ შეუსრულებია მისი რჩევა. მეგობრობის უტყუარ ნიშნად ის გარემოება ითვლებოდა, რომ აღალო უწყალობოდ ლუკმას არ შესჭამდა, მარტო იქნებოდა, თუ მეჯლიში ექნებოდა, რაც უძვირფასესი და თავმოსაწონებელი იყო წყალობასთვის. ნაცვლად ამისა წყალობა აღალოს მებუკე იყო: ყველგან და ყველასთან ლაპარაკობდა აღალოზე და მის აუარებელს სიმდიდრეზე. აი ამ წყალობას მიშმართა აღალომ ზემორე კითხვით, რომელმაც უპასუხა:

— გაგიხარიან, კარგი იქნება!... ხოლოთ ნუ დაეიგვიანებთ. მე მინდა ადრე მივიდეთ, რომ ახალი თევზი დავაჭირონ და ამაღამ ერთი კაი ლაზათი ვნახოთ.

— ახალი თევზი გამოულევლად იქვთ ხოლმე,—ჩაერივა მათ საუბარში მეფურგუნე, რომელმაც დააყენა კიდეც ფურგუნი.

ჯერ ორ-ორი ჩარექა არა ჰქონდათ ჩამორიგებული, როგორც დესაც მათზე ცოტათი მოშორებით ხოხობმა დაიყივლა ბარ-დებში.

— ახ, ერთი თოფი გატენილი მქონდეს და ვიცოდი, როგორც დაგაყივლებდი! თუ შენც ამ ხოხებთან ვერ ჩამოგკიდებდი, მაშ მე ალექსეი მელიქიჩი არა ვყოფილიყავ, — წარმოს-თქვა თავმოწონებით აღალომ, თანაც გულზე ხელი დაიკრა და შეხედა ფურგუნის ჩარდახში ჩამოკიდებულ ხოხებს.

როცა აღალო ჩიდარ მოსესასთან იყო, თოფი მოიპოვა და მხარზე ეკიდა ხოლმე, როგორც მისს ამხანავებს. მხოლოდ, რადგანაც ეშინოდა უცბად არ გავარდნოდა თოფი ხიფათით და ან სხვა ეინმე არ შემოჰკვდომოდა, ან თავისთავისთვის არა-ფერი ევნო, ყოველთვის გაუტენელ თოფს ატარებდა. ტყვია-წამალი კი მომზადებული სასწრაფოში ელაგა, რომ ვინიცობა იყო დასჭირებოდა თოფის ხმარება, გაეტენა და ეხმარა. საბედნიეროდ მისდა აღალოს ერთხელაც არა ჰქონია შემთხვევა თოფის გატენისა. როცა ლეკები დაეცნენ და დაუხოცეს ამხანავები, არც მაშინ გაუტენია თოფი. ამ შემთხვევაზე ასე ლაპარაკობდა აღალო: „მე რომ მშიშარა ვყოფილიყავი, უთუოდ თოფი გატენილი მექნებოდა და ხელში მეჭირებოდა, როცა ტყეში შევედი. აბა, რას არ დავახლიდი იმ ურჯულო ლეკებს, როცა დავინახე, და კიდეც პირველს მე გადამაბრუნებლენ; ან ცარიელიც რომ დამეჭირა ხელში, ვითამ და მტრის შესაშინებლად, იმათ გატენილი ეგონებოდათ და ვერც ხომ გადვირჩებოდი ცოცხალი. მაგრამ ჩემმა ბედმა და სურბ-სარქისის მადლმა დამიტარა — უფრო კი იმან გადამარჩინა, რომ უშიშარი ვიყავი, თორებ სხვა, უჩემო, ვინ გაპბედავდა უთოფოდ ტყეში შესელიას“.

ჩოდრობის დროს, თუმცა ერთი მხრით სახიფათოც იყო, შეეჩინა აღალო თოფსა და ყოველთვის თან ატარებდა. მანამდის ყარაჩოლულად ეცვა ტანთ, თოფი მხარზე ეკიდა ხოლმე და მხარ იღლივ სასწრაფო; როცა კაბისა და შემდეგ ევრო-პიულად ჩაცმა დახურვა დაიწყო, მაშინ კი ცხენის ტახტას



ჩააკრავდა ხოლმე, ხოლო არ გასტენდა ხოლმე ისევ იმამზეცა
ზით, რა მიზეზითაც წინად ჰმოქმედობდა ასე. ეხლაც თოფუ
თანა ჰქონდა, მაგრამ რადგანაც გატენილი არა ჰქონდა, აღარც
მოინდომა გაეტენა ხოხბის გულისათვის.

მხოლოდ მეფურგუნემ უთხრა:—აღავ, მაიტა წამალი და
საფანტი მამეცი, თუ გაქვს, გავტენამ და წავყპარები, იქმნება
ლმერთმა მიშველოს და როგორმე გადავაგორო.

— აჲა,—მიაწოდა სასწრაფო აღალომ და უთხრა,—თუ
ვერა ჰნახო ხოხობი, ისე დაცალე ტყუილად, გატენილ თოფს
ნუ მაიტან, ხუმრობა არ არის, ექ უცბად არ გავივარდეს და
არავინ მოვკლა.

მეფურგუნემ გასწია იქითკენ, სადაც ხოხობმა დაიყივლა.
როცა თოფი გაეარდა, ყველას ეგონა, ტყუილად დაცალაო
და ამისთვის ყური არავინ ათხოვა და ყველანი ისევ დინჯად
და შეურყევლად შეექცეოდნენ; თანაც ხან ერთი, ხან მეორე
და ხან მესამე შეჰვირებდა ხოლმე: „ბალამ-ბალამს“....

ჩეარა გამოჩნდა მეფურგუნე, რომელიც თავ-გადაგლეჯი-
ლი მორბოდა და კისრით ხელში ნაჭერი ხოხობი ბოლოს მო-
ათამაშებდა. ხოხბის დანახვაზე ყველანი წამოიშალნენ ფეხზე
და შემოეხვივნენ მეფურგუნეს. მას სული ყელში მოჰჯენოდა
და ქაქანით ამბობდა: „ჩემ დღეში თოფი არ გამისროლია,
უთუოდ თელეთმა გამოჰგავნა ეს წყალობა. კაი ნიშანიაო“.
მარჯლადაც, ყველამ, ვაჟკაცთაც და ქალებმაც ამ გარემოება-
ში კაი ნიშანი დაინახეს და მათს სიხარულს საზღვარი არა
ჰქონდა.

ხშირად აღალო სერთუკ ქვეშ გახამებულ ჰერანგზე ახა-
ლუხს ჩაიცვამდა ხოლმე და ზემოდან შემოირტყამდა ვერცხ-
ლის ქამარს. ასე იქცეოდა უფრო მგზავრობის დროს, ასე მო-
იქცა ეხლაც, მხოლოდ ფურგუნში ჩაჯდომის დროს სერთუკი
გაიხადა. მეფურგუნეს გამოართვა აღალომ ხოხობი და ჩამოი-
კიდა ქამარზე.

რაკი წამოიშალნენ მგზავრები სუფრიდან, აღარ დამსხდა-
რან, სუფრა აალაგეს, ჩასხდნენ ფურგუნში და ყიჯინით და სი-

ნაგარდობა

მღერით გასწიეს ივრის ხიდის დუქნისკენ. როცა ჩამოხტნენ ფურგუნიდან, აღალომ უჩვენა წინ მოგებებულ მედუქნეს ხო-ხობი და უთხრა: „იცი, მელქო, ეს ხოხობი სად მოვყალით? — მუხებში.

— არა?

— ვა, არა გჯერა! გამოსძახა მეფურგუნემ, — აბა თოფს უსუნე, ეხლაც კი უდის ისევ წამლის სუნი. — უსუნა მეფურ-გუნემ თვითონ და აჩვენა თოფი მედუქნეს.

— ვა, რასა ჰშვრები! ეგებ ეშმაკმა გატენოს თოფი და ექ ცოდო რამე დაატრიალო! — უთხრა მეფურგუნეს აღალომ, — ხოლო მედუქნეს — სურბ-სარქისისა დათელეთის მადლმა იქ მოვ-კალით და იცი, ვინ მოკლა? — ნულუცამ.

— ყოჩალ ნულუც! — მიუძლვნა მედუქნემ. თურცა მეფურ-გუნეს ეს მეტი სახელი არ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ეხლა კი თაე-მოწონებით მოისმინა სახელი „ნულუცასი“ და ისიც, რაც „ნულუცას“ მიაწერეს.

მელაზნია

(შემდეგი იქნება)

ლ ა ზ ა რ ი ლ ი რ

ტ რ ა მ ა ს ე ლ ი

ესპანიური მოთხრობა

თავი მესამე*)

დაზარე რაინდს როგორ დაუდგი და რა გადახდა

ამ გვარად ღონე ჩემ უღონობისაგან უნდა მომექრიფა და ნელ-ნელი გულ-კეთილ ადამიანების დახმარებით გათქმულ ქალაქ ტოლედოს მივადეგი, სადაც ღვთის შეწევნით ორ კვირაზე წყლულები გამიმოელდა. სანამ ავად ვიყავი, კიდევ ვაი ვაგლახით მოწყალებას მაძლევდნენ; რაკი მოვკეთდი, ყველა ასე მეუბნებოდა:

— მუშაობა არ გინდა, ზარმაცი ხარო. მოსძებნე, მოსძებნე ბატონი, მოსამსახურედ დადექიო!

„სად მოვძებნოო“, ვფიქრობდი გულში, — „თუ ღმერთი დღესაც ისე არ გააჩნის ბატონს, ვითარცა გააჩინა ქვეყანა.“

ასე ამ გვარად ერთის კარიდან მეორემდის რომ დაწან-წანწალებდი და ვთხოულობდი მცირეოდნ საზრდოს (რაღანაც წყალობა ცაში აფრენილა), ღმერთმა შემახვედრა ერთ რაინდს. მოდიოდა ქუჩაში მართებულად ჩაცმული, ლამაზად თმა დავარცხნილი; მიხვრა-მოხვრა და სიარული დარბაისლური ჰქონდა. შევხედე, შემომხედა და მკითხა:

— ბიჭო, მოსამსახურედ ხომ არ დაღვებიო?

მე ვუპასუხე: — დიალ, ბატონი-მეთქი.

— მაშ წამომყევიო. ღმერთს შენზე წყალობის თვალით მოუხედავს, რომ გზაზე შემომახვედრა შენი თვითი. შენ დღეს ალბად გულიანად გილოცნია.

მიყვევი და ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ შეისმინა ჩემი ველრება. რაინდი თვის შეხელულობით და ტანისამოსით ისეთ კაცად მეჩვენა როგორიც კი მე მინდოდა. ჯერ კიდევ დილა იყო, ამ მესამე ბატონს რომ შევხვდი, თან წამიყვანა და გამატარა თითქმის მთელი ქალაქი. ვიარეთ, გავიარეთ ბაზრები, სადაც პური და სხვა სანოვაგე იყიდებოდა. ვიფიქრობდი და ეოცნებობდი, აი აგერ ჩემი ბატონი ამკიდებს რაც აქ რამ იყიდება-მეთქი, რადგანაც სწორედ ის დრო იყო, როდესაც ხორაგეულობის თავდარიგს იქცერენ ხოლმე. მაგრამ ჩემი ბატონი მძიმე სიარულით გვერდს უვლიდა ბაზრებს.

„იქნება აქ თავის გუნების ხორაგს ვერ შოულობს მეთქი, ვიფიქრე და მეორე მხარეს აპირებს ყიდვასა.“

ასე ვიარეთ სანამ თერთმეტი საათი შესრულდებოდა და დიდ საყდარში შევიდა. მეც შევყევი. იქ ვნახე რა მხურვალეს გულით და მოწიწებით მოისმინა წირვა და სხვა ლოცვები, სანამ გათავდებოდა და მრევლი გამოვიდოდა. ჩვენც გამოვედით და ჩქარის სიარულით უკან დავბრუნდით. მხიარულის გულით მოვდევდი და მიხაროდა, რომ ხორაგეულობის ყიდვა ჩვენი საქმე არ ყოფილა: დარწმუნებული ვიყავი, ჩემი ბატონი იმ კაცებისთანაა, ხორაგს რომ ერთიანად ყიდულობენ და საქმელი მზათა აქვთ შინ, ისე როგორც მე მესურვებოდა ან უკეთ რომ ვთქვა, მენატრებოდა. ამ დროს საათმა პირველი დაჰკრა, და ერთ სახლს მივადექით. ჩემი ბატონი შედგა; მეც გავჩერდი. მარცხენა კალთა წამოსასხამისა გადიწია, ჯიბიდან გასაღები ამოილო და ქუჩის კარი გააღო. შევედით სახლში ჩაბნელებულ გულ-დახურულ შესავლით, შიგნით კი პატარა ეზო და ძალიან მართებული ოთახებიც გამოჩნდა. როდესაც შინ შევედით, წამოსასხამი მოიხადა. მკითხა სუფთა ხელი თუ გაქვს დაბერტყე და დაჰკეცეო; ჩვენ ერთად ავასრულეთ ეს საქმე. გძელ



სკამზე მტვერს ბერგა დაუწყო, რომ სულ გადაეწმინდა; წარმო-
სასხამი დასდო და მერმე თვითონაც დაჯდა. მომიყვა დაწვრი-
ლებით გამოკითხებს, საიდან და როგორ მოვედი ამ ქალაქში.
ჩემი საამბობი უფრო გრძელი გამოდგა იმაზე, ვიდრე რაც
მსურდა, ამიტომ რომ საამდროვოდ უფრო მოსაგვარებელი მე-
გონა, ბატონს ებრძანებინა სუფრა გამეშალა და საჭმელი მო-
მეტანა, ვიდრე გამოვეკითხე. მე მაინც მისი სურვილი დავაკ-
მაყოფილე, — ვაჭორებდი რაც კი უკეთესად შემეძლო ჩემი ცხო-
ერების ამბავს, ჩემს ღირსებას და ვმალავდი ყოველიფერს, რაც
კი გამოსაფენად უადგილო მეგონა.

ამას შემდეგ რამდენსამე ხანს რაინდი ჩუმად იჯდა. ეს ცუდ
ნიშნად მეჩევნა, რადგანაც ორი საათი კიდეც იქნებოდა; იმას კი
არ ეტყობოდა, როგორც მკვდარს, რომ ჭამას აპირებდეს. ოთახს
დაუწყებ სინჯვა და დათვალიერება; კარი გახალებით იყო და-
კეტილი, არც მაღლიდან და არც დაბლიდან ადამიანის ჭაჭა-
ნება არ ისმოდა მთელ სახლში: ცარიელი კედლების მეტი არა-
ფერი ჩანდა, არც სკამი, არც გძელი სკამი, არც სტოლი, არც
კიდობანი, როგორც წინანდელ ბატონსა ჰქონდა. სახლი და-
შამათულსა ჰგავდა.

ცოტა ხანს ხმა-ამოულებლად ჯდომის შემდეგ ბატონმა
მკითხა:

— ბიჭო, გიჭამია რამე?

— ირა, ბატონო-მეთქი, ამიტომ რომ თქვენ შეხვედრის
დროს რვა საათი არ იყო.

— მართალია, ადრე იყო, მაგრამ მე კიდეც ვისაუზე და
ისე დავნაყრდი, რომ საღამომდის არაფერი მინდა; ამიტომ რო-
გორც გინდოდეს, ისე მოაწყე და მერე ვახშამი ვჭამოთ.

არ დაიჯერებს თქვენი მოწყალება, კინაღამ დავეცი ეს რომ
გავიგონე ჩემი ბატონისაგან, ისე სიმშილის გამო არა, როგორც
იმისაგან, რომ თან-და-თან ვრწმუნდებოდი, რა სახით ჩამომე-
მტერა ბედი. ხელ-ახლა გულში გამიახლდა ჩემი ხელ-მოკლე
ბა და წინადვე გლოვას შევუდექი. მომაგონდა რასაც ვფიქ-
რობდი მღვდელს რომ თავს ვანებებდი: ეს ბატონი ხომ უბად-

რუკი რამ არის, ეან თუ უარესს გადავიცელო მეთქი. გული
მწარედ მიტიროდა იმაზე, რა გაჭირვებაც აღრე ვნახე და ახლა
კიდევ რა სიკვდილი მომელოდა. შაინც თავი მოვიკატუნე და
ვუთხარი:

— ბატონი, მე ხომ ჯერ ყმაწვილი ვარ და ჭამისათვის ძალიანაც თავს არ ვიტებ; ღვთის მაღლით, მე დავიკვეხავ, რომ ჩემ ტოლებში დიდი მუცლისა არა ვარ; ამიტომ ვისთანაც კი ვყოფილვარ, ჩემი ბატონები ძალიან მაქებდნენ.

— კარგი თვისება გქონიაო, ამიტომ მე მეყვარები. ავ-
მუცლობა ღორის თვისებააო, რიგიანმა კაცმა ზომიერი ჭამა
უნდა იცოდესო.

„კარგა მესმის შენი ლაპარაკი მეთქი,—ჩემ გულში ვიფი-
ქრე,—დასწყევლა ღმერთმა ამისთანა სათნოება, რომ ვისაც კი
შევხვდი, ყველა ჩემი ბატონები მშივრები ყოფილან“.

კუთხეში მივჯერი და უბიდან რამდენიმე ლუკმა პური ამოვილე, რომელიც მოწყალებით ნაშოვნიდამ შემჩრენოდა. ბატონშა რომ ნახა, დამიძახა:

— օվ թուղո, ծովո, հասա եցա՞մ?

მივედი და პური ვაჩვენე. ამოარჩია სამი ნაჭრისაგან ერთი, რომელიც უფრო დიდი და უკეთესი იყო და თქვა:

— ლმერთმანი, მგონია ცუდი პური არ არის!

— გახლავთ მეთქი — ვუთხარი.

— არა, მართლა! საიდან გიშოენია? ხომ სუფთა ხელით
არის მოზელილი და გამომცხარი?

— არ ვიცი, რა მოგახსენო-მეოქი, მაგრამ გემო არაფერ ზიზოს არა მდგრას.

— ალბად ღვთის ნებაა, — სთქვა ჩემმა საწყალმა ბატონ-
მა, — პირში ჩაიდო და ისე გაფიცხებით დაუწყო ჭამა, რო-
გორც მე ვთქვლეფავდი მეორე ნაკერსა.

— ჩალიან გემრიელი პური ყოფილა, ღმერთმანი.

მე მივხვდი, რაშიაც კოჭლობდა; ასეთ გუნებაზეა-მეთქი
ვფიქრობდი, რომ დანარჩენ პურის გათავებასაც დამეჩმარება
თუ კი ჩემზე მალე გაათავა თავისი ნაჟერი; დავაჩარე ჭამა და



ამგვარად თითქმის ერთად მოვრჩით. დიდის სიფრთხილით გა-
დიბერტყა გულიძან ნამცეცები. მერმე მეორე ოთახში შევი-
ვიდა და გამოიტანა ძველი პირ-მოტეხილი ლიტრა, ცოტათ
მოსვა და მე გადმომცა, დალიკო. მე თავაზით ვუთხარი:

— ბატონი, ლვინოს არ გიახლები, მეთქი.

— ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ, ଶ୍ରୀକପିଲାଙ୍କ ଚାଲିବୁଥିଲା.

ჩამოვართვი და ცოტათი მოვსეი, რადგანაც წყურვილი
სრულებით არ მაწუხებდა.

ამ სახით დაღამებამდის ვისხედით და სხვა-და-სხვა ამბებს ვლაპარაკობდით. ის მე მკითხავდა და, როგორც უკეთესად მოვახერხებდი, მევარ პასუხს ვაძლევდი.

მერმე შემიყვანა იმ ოთახში, საიდანაც წინად ლიტრა გამოიტანა და მითხრა:

— დადეგ ბიჭი და მიყურე, ლოგინს როგორ გავიშლი,
რომ იკუთხე და ასე დამიგო.

ერთ თავში მე დავდექი და მეორეში ის და მალე ლო-
გინი გავაკეთეთ, რომელსაც არაფერი გასაკეთებელი არ ჰქონ-
და. ერთაღ-ერთი ჭილობი იყო გძელ სკამებზე გადაფენილი, ზედ
ლეიბი ზეწარ ვადაფარებული; ლეიბს, დიდი ხნის გაურეცხელს
უმსგავსი შეხედულება მის ცემოდა და მატყლიც იმოდენა არ
ედვა, რაც ეკადრებოდა. დავაგეთ, ხელი დავკარით რომ მატ-
ყლი გალვივებულიყო; მიგრამ არ იქმნა, რადგანაც მაგარს რა
გაარბილებს.

იმ ოხერ ლეიბში ისე ცოტა რამ იდვა, რომ როდესაც ჭილობზე გაეშალეთ, ნიმჯის ღერები ზედ დაყტყო, როგორც ძალიან გამხდარ ლორს ფერდის ძვლები. ლოგინის შლა გაეათვეთ, დალამდა და ჩემმა ბატონმა მითხრა:

— ლაზარე, ახლა გვიან არის და ბაზარი შორს არის; ამის გარდა ამ ქალაქში მრავალი ოხერი მაწანწალა დაეთრება ღამე საქურდლად, დილამდის იოლად წივიდეთ, დილა გათენდება და ღმერთი წყალობას არ მოგვაკლებს, ხორავი შინ არა მაქვს, რადგანაც მარტო ხელი ვიყავი და წინა დღეებში სადილს შინ არა ვჭამდი. ახლა სხვა რიგად მოვაწყობთ.

— ბატონი, ჩემთვთს ნუ იწუხებთ თავსა, ერთს ლაშეს უქმელობა რა სახსენებელია. მე მეტიც შემიძლია, თუ კი და-გვჭირდა.

— ჯანმრთელიც გამოხვალო,— მიპასუხა,— ამიტომ რო-გორც დილის ვლაპარაკობდით, ხანგრძლივის სიცოცხლისათ-ვის უკეთესი არა იქნება რა, როგორც ნაკლები ჭამა.

„თუ კი საქმე მაგაზე მიღვა,— გულში ეთქვი,— არასოდეს აღარ მოვკვდები მეთქი, ამიტომ რომ ყოველთვის მაგ წესზე ვიდექი და საუბედუროდ, როგორც ვხედავ, მთელ ჩემ სიცო-ცხლეში აგრე მომელის სიარული.“

ჩემი ბატონი ლოგინში ჩაწვა, თავჭევეშ სასოფუნდოდ შალ-ვარი და კაბა დაიდო. მეც მიბრძანა ფეხ-ქვეშ დამეძინა და ავა-სრულე. მაგრამ მე რომ ძილს ვაპირებდი, ის ძილი აღმად და-წყევლილი იყო: ლეიბის ჩალები და ჩემი გამხმარი გვერდის ძვლები მთელ ღამეს ერთმანერთის ომში იყვნენ და ჩეუბობ-დნენ. ამასთან მთელ დღეს თითქმის არაფერი არ მეჭამა, ამი-ტომ ვიტანჯებოდი შიმშილით, რომელიც ძილთან მეგობრო-ბას არ ეწყობა. ათასჯერ თავს ვიწყევლიდი (ლმერთო შევცო-დე) და ჩემ ბელის წერას; მეშინოდა გადავბრუნებულიყავ, რომ ბატონი არ გამომეღვიძებინა და ლმერთს ბევრჯერ სიკვდილს ვეხვეწებოდი.

გათენდა თუ არა, ავდექით; დაიწყო ბერტყა და წმენდა თავისის შალვრისა, კაბისა, შლაპისა, წამოსასხამისა და მეც გულიანად ვემსახურებოდი; ხელ-პირი დავაბაინე; ჩაიცვა, თმა დაივარცხნა და ხმალი ჩამოიკიდა; თან მითხრა:

— რო იცოდე, ბიჭო, ეს რა საქონელია! ქვეყანაზე იმდე-ნი ოქრო არ იშოვება, რომ იმ ფასად მივცე. ანტონიოს გაკე-თებულს ხმალში არც ერთს ამისთანა კარგი ფოლადი არა აქვს.

ქარქაშიდან ამოილო, თითები მოავლო და სთქვა:

— აბა ნახე. სანაძლეოს დავდებ, რომ კონა ბალანს შუაზე გადავჭრი.

მე გულში გავიტარე:

„მე სანაძლეოს დავდებ, რომ კბილებით, თუმცა ფოლა-დისა არა მაქვს, ოთხ გირვანქა პურს გადავჭრი“.



ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო, შემოირტყა, განიერი შლაპა და დაიხურა და წელში გამართული მუხლ-მაგრად გაემართა კარზე; თავი და ტანი ისე ეჭირა, როგორც კეთილშობილურ სახეს შეშვენის. წამოსასხამის ერთი კალთა მხარზე და ცოტად ხელზე გადიგდო, მარჯვენა ხელი დოინჯად შემოიყარა და გავიდა. გასვლისას მითხრა:

— ლაზარე, სანამ მე წირვაზე წავალ, შენ შინ იყავ, სახლს უყურე, ლოგინი გამიკეთე და ლიტრით წყალი მოიტანე, აქ-
ვეა მდინარე; კარი კი კლიტით დაჰკეტე, არაფერი მოიპარონ
და გასაღები აქ ჩანგალზე ჩამოჰკიდე, რომ თუ შინ არ იყო
და მოვედი, აქ დამხვდეს.

გავიდა ქუჩაში ისეთის მედიდურის შეხედულობით და სახით, ვინც კი არ იცნობდა, ეკონებოდა გრაფ არკოსის ახლო ნათესავი უნდა იყოსო, ან მისი შინა კაციო.

კურთხეულ არს სახელი უფლისა, მეთქი,—ვფიქრობდი
გულში,—ჭირს მოვცემს და განკურნებასაც თან მოაყოლებს
ხოლმე. ვინ იფიქრებდა ჩემი ბატონის კმაყოფილების სახის
მნახველი, რომ წუხელის კარგი ვახშამი არ მიურთმევია, კარგ
ლოგინში არ სძინებია და დღეს დილას კარგ საუზმეს არ
გხლებიაო? მრავალ არიან უფალო საიდუმლოებანი, რომელნიც
უწყის მხოლოდ გულთა მხილაობამან შენმან, ხოლო არა უწყის
კაცთა. ვის არ მოატყუებს ეს კარგ გუნებაზე ყოფნა, მარ-
თებული ტანთ-საცმელი და წამოსახამი და ვინ იფიქრებს,
რომ ამ კეთილშობილმა კაცმა მთელი გუშინდელი დღე სა-
ცოდავ ერთ ნაჭერ პურშე გაატარა, რომელიც მისმა შსახურ-
მა ლაზარიკამ ერთი დღე-ღამე უბით ატარა, და რომელსაც სა-
მაგისო სუფთა რამ ბევრი ვერაფერი მიეკვროდა? ვინ იფიქრებ-
და, რომ დღეს ხელ-პირის ბანის შემდეგ პირსახოცად კაბის
კალთა უნდა ეხმარა? რა თქმა უნდა, არავის ფიქრში არ გა-
ულიდა. ჰოი, უფალო, რა მრავალნი უნდა იყვნენ ქვე-
ყანაზე ამისთანანი, რომელნიც იმდენს ითმენენ, რაღაცა, რო-
გორც ისინი ამბობენ, პატიოსნებისათვის, რამდენსაც ვერ აი-
ტანდნენ შენის გულისთვის!

ამისთანა ფიქრებით ვიდექი კართან და თვალს ვაღევ-
ნებდი ჩემ ბატონს, გრძელ და ვიწრო ქუჩაში მიმავალსა.
შინ შევედი და რაც დრო ერთ მრწამსის თქმას მოუნდე-
ბა, იმდენ ხანს ცქვიტად შემოვირბინე მაღლიდან ძირამდის
მთელი სახლი და ვერაფერი ვიპოვნე. საცოდაობის ხორ-
კლიანი ლოგინი გავაკეთე, ავიღე ლიტრა და წყალზე წა-
ვედი. იქ ერთ ბოსტანში ვნახე ჩემი ბატონი გაცხარე-
ბულ ლაპარაკში იყო ორ მორთულ მოკაზმულ ქალთან, რომ-
ლის მხავსს აქ ბლომად შეხვდებით ხოლმე. ბევრს იმისთანას
ჩვეულებად აქვთ ზაფხულში დილაობით გასაგრილეზლად ამ
წყლის ნაპირს მოდიან, გრილდებიან და ნაყრდებიან ხოლმე.
დასანაყრებლად საუზმე თან არ მოაქვთ იმ იმედით, რომ უე-
ჭველად ვინმე დაპატიუებს, რადგანაც ამისთანა ჩვეულებას
ბევრი აქაური თავად-აზნაური ხელს უწყობს.

როგორც მოგახსენეთ, იდგა ქალებში, როგორც (ტრუ-
ბადური) მასიასი და ისე აღერსიანად ელაპარაკებოდა, რომ
ვგონებ ოვიდიუსს იმდენი არ დაეწეროს. ქალებმა როდესაც ნა-
ხეს, რომ კარგა საკმაოდ მიუტკბა, მოურიდებლად სთხოვეს
საუზმეზე დაგვპატიუეთ. იკოდა რაც ყინვა ადგა ქისასა და რა
სიცხით ეწოდა მუცელი, შეაკანკალა მღელვარებამ ისე, რომ
ფერი ეცვალა, აირია ლაპარაკში და გამოუსადეგარ ბოდიშს
მოჰკვდა. ქალები ალბად ნასწავლები იყვნენ, მიხვდნენ, რომ
შეუძლებელიათ, თავი დაანებეს და დასტოვეს მის ამარას. ამ
დროს რაღაცა კომბოსტოს გულს თუ სტაფილოს საუზმედ
შევექცეოდი და შინ დაებრუნდი, ბატონშა არა მნახოს მეთქი.
სახლის დაგვა დავაპირე, მაგრამ ცოცხად ვერაფერი მოვნახე.
ფიქრში ვიყავი, რა ვუყო და როგორ მოვიქცე მეთქი და ბო-
ლოს გადავწყვიტე ბატონს მოვუცადო; სანამ შუა დღე მოა-
ტანს, იქნება მოვიდეს და მოიტანოს რამე საჭმელიო. მაგრამ
მოლოდინი ტყუილი გამოდგა. რომ ვნახე ნაშუადლევის ორმა
საათმა გაიარა, ბატონი არ დაბრუნდა და შიმშილმა კი შემა-
წუხა, კარი დაკეტე, გასაღები ნაჩვენებ ადგილს ჩამოვკიდე,
შევუდექი ისევ ჩემ ჩვეულებრივ ხელობას. თვალებ ცისკენ



მიმართული და ენით ლეთის სახელის მოღალადე, ნელს და მიკავებულის ხმით პურს ვთხოულობდი სასახლეების კარებთან, რომელიც კი უფრო მდიდრებისა მეგონა. ეს ხელობა დედის ძეძუსთან მიწოვნია: მე მინდა ვთქვა, რომ დიდმა ჩემმა ოსტატმა—ბრმამ მასწავლა და ისეთი ნიჭიერი შაგირდი გამომწურთნა, რომ თუმცა ამ ქალაქში სამაგისო ხელ ლია ხალხი არ გახლავს და ის წელიწადიც საიმისო მოხავლიანი არ იყო, მაინც ასე მარჯეთ წავიყვანე საქმე, რომ ჯერ ოთხი საათიც არ დაეკრა, ოთხი გირვანქა პური მუცელში მექნებოდა ჩალაგებული და კიდევ ორი გირვანქაც ხელში და უბეში. მოვტრიალდი შინისკენ. მეხაშეების რიგზე რომ გამოვიარე, მოწყალება ვთხოვე ერთ გამყიდავ დედაკაცს და მან მომცა ძროხის ფეხის ნაჭერი და ნახარში ფაშვ-წელ-წული.

შინ რომ მივედი, პატიოსანი ბატონი სახლში დამხვდა. წამოსასხამი დაეკეცა, სკამზე დაედვა და კარში ბოლოთასა სცემდა. როცა შინ შევედი, ჩემკენ წამოვიდა. მეგონა გამიჯავრდება, რათ დაიგვიანეო. მაგრამ ღმერთს კარგს გუნებაზე დაეყნებინა. მარტო ისა მკითხა, საიდან მოდიხარო? მეც ვუპასუხე:

— ბატონო, ორ საათამდის აქ გახლდით. რაღვანაც თქვენი მოწყალება არ მობძანდა, ავდექი ქალაქში წავედი, რომ გულკეთილ ხალხს ჩამოუარო; და ით რა მომცეს, ნახეთ.

ამ სიტყვებთან ვაჩვენე კალთით მოტანილი პური და ხაშეულობა. იმან ზედ წყალობის თვალით დახედა და თქვა;

— მე კი სადილად მოგელოდი, ჩერე რო აღარ მოხვედი, ვისადილე. მაინც ამ შემთხვევაში ისე მოქცეულხარ, როგორც პატიოსან კაცს შეჰვერის, ამიტომ რომ, სჯობია კაცმა მოწყალება ითხოვოს, ვიდრე იქურდაოს. მხოლოდ გამიგონე, არავინ შეიტყოს, რომ შენ ჩემთანა ხარ; ამიტომ რომ, ეს ჩემ პატიოსნებას შეეხება. მე, ვთქვათ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს საიდუმლოდ დარჩება, რაღვან ამ ქალაქში ბევრი არავინ მიკობს; თორემ არასოდეს აქ არ მოვიდოდი.

— მაგისი ფიქრი ნუ გექნებათ, ბატონო. ვას რად უნდა გამომკითხოს და მე რაში შეჭირება პასუხი მივცე.

— დაჯე, სჭამე შე საწყალო. თუ ღმერთმა ინება, შალე ალარაფერი გავიკირდება და ვიტყვი რომ, მას აქეთ, რაც ამ სახლში ფეხი შემოვდგი, ხელი ვერაფერში გამეპართა. ცუდ ადგილას უნდა იყოს აშენებული, ამიტომ რომ, ზოგი უბედური სახლია, ავი ფუძე აქვს, ვინც კი დადგება, უბედურება თან დასდევს. ეს სახლიც უთუოდ ამგვარია და ეს თვე რომ დასრულდება, რაც უნდა მომცენ, აქ ალარ დავდგები, თუნდა რომ მუქთადაც მომცენ.

გრძელ სკამის ბოლოში დავჯექი და ღორმუცელა არ ვეგონო მეთქი, დაუმალე რომ საუზმე მეჭამა. მოვყევ ხაშეულობისა და პურის ჭამას. ხან და ხან ოფალს გადავაპარებდი ჩემს დაძაბუნებულს ბატონს, რომელიც თვალს არ აშორებდა ჩემ კალთას სუფრად გადაშლილს. ღმერთმა ისე შემიბრალოს, როგორც მე ის მებრალებოდა მაშინ: მე მესმოდა, რასაც ის ახლა ჰერძნობდა, მრავალჯერ უგრძვნია და მუდამ დღე გამოუვლია. ფიქრში ვიყავი, კარგია თუ ცუდი, რომ თავდაჭერილად ვიქცევი და არ ვეპატიუები ჩემ სუფრაზე მეთქი. მეორეს მხრით, მერიდებოდა, ვაი თუ წევეულებაზე უარი მითხრას, რადგანაც წელანა თქვა, სადილი ვჭამეო. მაინც კი მესურებოდა, რომ ჩემი ნაშოვნი ამ საწყლის გაჭირვებას მოხმარებოდა, დანაყრებულიყო, როგორც წინა დღეს; მეტადრე იმის გამო, რომ გარემოებაც ხელს უწყობდა, რაკი საჭმელიც უკეთესი იყო და მეც შიმშილი თავში არ მცემდა. ღმერთმა ინება ჩემი სურვილის ასრულება, ამიტომ რომ, ჭამას რომ შევუდეგი, ის ბოლთასა სცემდა, მომიახლოვდა და მითხრა:

— აბა რომ, ლაზარე, ჭამა გცოდნია. ჩემ სიცოცხლეში შენისთანა მაღიანი მჭამელი არ მინახავს. შენი მაყურებელი ადამიანი რაც უნდა გამომძარი იყოს, მაინც კი მაღა მოუვა.

საჭიროდ დავინახე, რომ დავეხმარო, რაკი ამ ლაპარაკით გზა გამიხსნა და მოვახსენე:

— ბატონო, ხილი მებილესაო. ეს პური ისეთი გემრიელია და ეს ფეხი ისე კარგა რიგიანად მოუხარშავთ, რომ არ შეიძლება, კაცი არ შეიტყულოს.

— ძროხის ფეხია?

— დიალ, ბატონი.

— მართალი უნდა ვთქვა, რომ ამისთანა საჭმელი ქვეყანები არ იშოვება და ხოხობს ისე გემოს ვერ ჩავატან ხოლმე, როგორც ამას.

— მაშ, შენი ჭირიმე ბატონი, მიირთვით. ნახავთ, რომ სწორედ ისეთია.

ავიღე და ხელში მივეცი ძროხის ფეხი და სამი-ოთხი ნაჟერი ძალიან თეთრი პური. გვერდით მომიჯდა და ისე მაღიანად შეექცა, რომ თითო ძვალს ცალ-ცალკე ღრღნიდა მის ძალლზე უკეთესად.

— საწებლით კი სულ სხვა რამ არის.

„ეხლა რომ საწებლითა სჭამ, უკეთესია მეთქი“, — გულში გამიარა.

— ღმერთმანი, ეს ისე შადითა ვჭამე, თითქოს დღეს ჩემ პირს ნაწილი არ ენახოსო.

ლიტრა მთხოვა; ლიტრას შევატყე, რომ რაც მომეტანა, არ დაჰკლებია; ჩანს ჩემ ბატონს ისე გემრიელი საღილი არა ჰქონია, რაკი წყალს არ მიჰკარებია..

დავლიეთ წყალი და კარგი დაკმაყოფილებულნი წავედით დასაძინებლად, როგორც წუხელის. მეტის-მეტად რომ აღარ გავაგრძელო, მოგახსენებთ, რომ ასე გავატარეთ რვა-ათი დღე. დილაობით ჩემი საწყალი ბატონი მედიდურის სახით, მძიმე სიარულით ქუჩებში დადიოდა ჰაერის ჩასაყლაპავად და საშორის ზრუნვა კი საკოდავ ლაზარილიოს უნდა ეკისრა. ხშირად ფიქრში ვიყავი ჩემ უწყალო ბედის წერაზე. გადავრჩი უწინდელ საძაგელ ბატონებს, ვეძებდი უკეთესს და ახლა იმისთანას შევხვდი, რომ ის კი არ მარჩენს, პირიქით, მე უნდა ვარჩიო. მაინცა და მაინც ეს კაცი მიყვარდა, ვხედავდი, რომ არა გააჩნია რა, და ვერაფერს მომცემს; უფრო მებრალებოდა, ვიღრე მტრობა მეგრძნო და ამიტომ ზოგჯერ მე უჭმელი ვრჩებოდი, ოღონდ შინ რამე მიმეტანა მისთვის და მეჭმია. ერთხელ დილა აღრიანად თავის საჭიროებისათვის პერანგა მაღლა ავიდა; გულის დასაჯერებლად გავშალე იმის თავ-

ქვეშე სასოფუნდოდ დახვეული შალვარი და კაბა, და ერთი
ხავერდის ქისა მოვნახე, სულ ნაოჭებიანი; შიგ არამც თუ
ერთი ბლანკიანი ვერ ვიპოვე, ნიშანიც არ ეტყობოდა, რომ
როდისმე დებულიყოს. „ეს კაცი ღარიბია მეთქი,—ვფიქრობ-
დი ჩემთვის,—აბა, ვისაც არა გააჩნია რა, სხვას რას მისცემს.
აი წუწები ბრძა და ძუნწი მღვდელი სიმშილითა მკლავდნენ,
თუმცა ღვთის მოწყალება არ აკლდათ, ერთს ხელის კოცნი-
სათვის და მეორეს მოქნილის ენისათვეს. აი ისინი არიან სა-
ძლველნი, ეს კი შესაბრალისია“. ახლაც კი ღმერთია მოწა-
მე, ვისმე აზნაურს რომ ვხედავ, იმგვარადვე მედიდურად გავ-
ლილს, ყოველთვის შემბრალდება ხოლმე. ვფიქრობ, ვინ იცის,
ესეც იმ გაჭირებაშია, როგორც მე ენახე ჩემი ბატონი, რო-
მელსაც თუმცა ღარიბი იყო, მაინც სიამოვნებით ვემსახურე-
ბოდი, ვიდრე სხვებს, სწორედ იმის გულისთვის, რაც მოგახ-
სენეთ. მხოლოდ ერთი რამ მისი ცოტა არ მომწონდა: კარგი
იქმნებოდა ცოტა ის მედიდურობა მოეკლო, მაღლა ფრენის-
თვის თავი დაენებებინა და დაშვებულიყო თავის ღარიბობის
შესაფერად. მაგრამ, ჩანს, ამ გვარიშვილების ადათია — მტკი-
ცედ შეინახონ და აასრულონ ჩვეულება, თავი მაღლა ეჭი-
როთ, თუნდა რომ ჯიბეში გროშიც არ უჭყაოდეს. განკურნე
იგინი, უფალო, ამ ჭირისაგან, თორემ თავის ცრუ აზრისა გა-
მო დაიღუპებიან.

ასე ამ გვარ ყოფაში რომ ვიყავი, როგორც მოგახსენეთ, ჩემ ბედშავობას თითქოს არ ეყო, რაც დავეტანჯე და მოინდომა, რომ ეს გაჭირვებული და შერცხვენილი სიცოცხლეც დიღხანს არ გამეტარებინა. ნიშნობლივ აი რა მოხდა. როდესაც ამ მხარეს ცუდი მოსავალი მოვიდა, იმ წელს ქალაქის მმართველობამ გადასწუყიტა, გარედან მოსული ლარიბები აქედან გავიღნენო და გამოაცხადა, ვინც ამას იქით დარჩება, ჯოხი მოხვდებაო. ამ გვარიდ განცხადების ოთხიოდ დღის შემდეგ მევნახე, კანონის ასრულებისათვის რა სახით მოელს ერთ ჯგუფა მოხვდარებს ქუჩაში ერევანიდნენ ჯოხის ცემითა. ამ ამბავშა ისე დამაშინა, რომ კანონის დარღვევა ველარ გავზედე

და მოწყალების სათხოერად ვეღარ ვიარე. ვისმე რომ შეენდომებინა, ნახავდა რა მოთმინებით იყვნენ ჩვენი სახლის მდგმურები და ერთმანერთთან რა უჩუმრად ატარებდნენ. სიცოცხლეს. მოხდებოდა, რომ ხანდახან ორ-სამ დღეს ულუკმაპუროდ და ხმა კრინტის დაუძერელად ვატარებდით. ვიღაცა დედაკაცებმა გამაძლებინებს, რომელნიც ბამბას ართავდნენ, იარახჩინებს ჰქესოვდნენ და ჩვენ პირდაპირ იდგნენ. გამოვემცნაურე იმათ და რასაც შოვობდნენ, მიწილადებდნენ ხოლმე რასმე; ამით გამოვდიოდი. ჩემი თავი ისე არ მებრალებოდა, როგორც ჩემი ბეჩავი ბატონი; ვინ იცის მთელ ერთ კვირას ერთი ლუკითა ჰურის გემო უნახავს თუ არა? ეს კი ვიცი, რომ ერთ კვირას შინ არაფერი გვიჭამია. არ ვიცი საღ მიდიოდა, საიდან მოდიოდა და რასა სჭამდა. ვხედავდი, რა სახით შუა დღისას ქუჩაში გაივლიდა ხოლმე, სახე მეტად დაგძელებოდა, ვიღრე ტანი მწევარ ძალლსა. აიღებდა ერთ ღერს ჩალისას, რომელიც შინ მაგლენად ბევრი არ გვეპოვებოდა და იწმენდდა კბილებს (ამას ითხოვდა მისი უბედური პატიოსნება), რომელშიაც რასაკვირველია არაფერი არ იპოვებოდა, ბალკონზე გავიდოდა და ყოველთვის, ასე ვთქვათ, თავის ბედის ვარსკვლავს მიმართავდა და ემდუროდა:

— ცხადია, რომ მიზეზი სულ ეს უბედური სახლიაო. შენც ხომ ხედავ, რა გულდახურული ბნელი და დალვრემილი სახლია. მეტი ღონე არ არის, უნდა მოვითმინოთ, სანამ აქა ვართ. მარტო იმას ველოდები, თვე დასრულდეს და აქედან გაეიდე.

ამასობაში შიმშილი რომ ჩვენგან ხელს არ იღებდა და გვაწილებდა, არ ვიცი რა ბედნიერი შემთხვევით ბატონის ჯიბეში ერთმა რეალმა თავი ამოჰყო. ამ რეალით შინ მოვიდა ისეთი გახარებული, თითქოს ვენეციის საუნჯე ხელში ჩაეგდოსო და სიხარულისაგან გაბრწყინებულის სახით გადმომცა და მითხრა:

— აჟა, ლაზარე! ღმერთმა თავისი უხვი ხელი გაშალა. წადი ბაზარში, იყიდე ჰური, ღვინო და ხორცი. დღეს ეშმაკს ფეხი უნდა მოვტეხოთ. კიდევ უნდა გახარო, რომ სხვა სახლი

ვიქირავე და ამ ოხვრში მარტო ამ თვის გასვლამდის დავჩერებით. ღმერთმა დასწუევლოს ესეცა და ამის ამშენებელიცა. უბედური საათი იყო, აქ რომ ფეხი შემოვდგი, ღმერთს ვფიცავ, რაც აქ ვდგვარ, ერთი ყლაპი ღვინო და ერთი ნაკერი ხორცი არ უნახავს ჩემ პირს; ერთი წამი მოსვენება არა მქონია, ასეთი დაღვრემილი და გასატიალებელი სახლია. აბა, გაიქე და მალე დაბრუნდი; დღეს მე და შენ დიდყაცური საღილი გვექნება.

გამოვართეთი რეალი, ავიღე ლიტრა, სიხარულით და სიამოვნებით გავექანე ბაზრისკენ.

მაგრამ რა ვქნა, შუბლზე მიწერია, რომ არაფერმა სიამოვნებამ არ უნდა დამატებოს, თუ დაბრკოლებაც თან არ მოჰყვა. აქაც ასე მოხდა, გზაში მე ვანგარიშობდი რეალი როგორ გავინაწილო, რომ უკეთესად და სარტინად დავხარჯო; თან ღმერთს დაუსრულებელს ქებას აღვუვლენდი, რომ ჩემ ბატონს მოანიჭა ამოდენა ფული. ერთიც ვნახოთ, ჩემ საუბედუროდ გზაზე მიცვალებულს არ მოასვენებენ საკაცითა და მრავალის სამღვდელოებითა! ქუჩის კედელს მივეკარი, გზა მიჟეცა. ცხედარი გაატარეს, უკან დედაკაცი მისდევდა, აღმაღ ცოლი იყო, მწუხარებით გულმოკლული ხმა-მაღლა ტიროდა და მასთან მგლოვიარე დედაკაცები მოსთქვამდენ:

„ჩემო მეუღლევ ბატონი! დამტოვე და ხად მიჰყეხარ, უბედურ და სატირელ სახლში! შავსა და გასატიალებელ სახლში. იმ ჯასაოხრებელში, რომ არც ჭამა აქვთ და არც სმაო“.

ეს რომ გავიგონე, გული გამისქდა, ცა და ქვეყანა თვალში ამიჭრელდა.

„ვაი შენ ჩემო თავო! ამ ცხედარს ჩვენსა მიასვენებენ მეთქი.“

ბაზრისთვის ვიღას სცალოდა. შუა ხალხში შევერიე და რაც ღონე მქონდა, სირბილით შინ დაგბრუნდი; ფეხი შევდგი თუ არა, საჩქაროდ კარი ჩავკეტე, ბატონს დაუუძახე მომშველებოდა; ვეხვეწებოდი კარი გაგვემაგრებინა.

შეკრთა ჩემი ბატონი, სხვა რაღაცა ეგონა და მითხრა:

— ბიჭო, რა მოხდა? რაზე ყვირი და თავ-გლეჯით კარსა ჰქონდა?

— შენი ჭირიმე, ბატონო, აქ დარჩით, მკვდარი მოაქვთ
აქ, ჩვენსა.

— როგორ თუ მკვდარი?

— გზაზე ვნახე და ცოლი მოსტიროდა: „ჩემო მეუღლევ, ბატონოვო, სად მიჰყევხარ იმ უბედურ და სატირეულ სახლში, შავსა და გასატიელებელში; იმ გასაოხრებელში, რომ არც ჭამა იციან და არც სმაო“. ბატონო, შენი ჭირიმე აქეთ მოასვენებენ.

რასაკვირეელია, ჩემმა ბატონმა რომ ეს გაიგონა, თუმცა არაფერი სახუმრო არ იყო, ისეთ სიცილს და კასკასს მოჰყვა, რომ მუცელი ძლივს ეჭირა. ამ ამბავში მე კი კარი გადავრაზე და დამაგრებისათვის მხარი მიებჯინე. ხალხმა კიდეც გაატარა ცხედარი, მე კი მეგონა, ჩვენსა შემოასვენებენ მეთქი. ჩემი მოწყალე ბატონი ჯერ-ჯერ პით სიცილით უფრო გამაძლარი იყო, ეიდრე სანოვაგითა, მოჰყვა ლაპარაქს:

— მართალია, ლაზარე, ქვრივის სიტყვაზე შენ ფიქრში გაგივლიდა, რასაც ამბობდი, მაგრამ კი ღმერთმა ინება ყოველი ფერი უკეთ მოეწყო, ვიდრე შენ გეგონა და კიდეც გაიარეს. კარი გააღე და გასწი საღილისათვის.

— ბატონი, ჯერ ეს ქუჩა გაიარონ.

ბოლოს ბატონო გავიდა, კარი გააღო თითონვე; რადგან მე შემფრთხალი და დაფეთხებული ვიყავი, ძლივს გამგზავნა. იმ დღეს მართალია კარგად ვისადილეთ, მაგრამ ისე გემრიელად ვერ შევექეცი, მთელი სამი დღე ჩემ გუნებაზე ვერ მოვედი. ბატონი კი რაკი მოიგონებდა ამ ამბავს, სიცილს მოაყოლებდა.

ასე გავატარე რამდენიმე დღე რაინდთან, ამ ჩემ მესამე ლატაკ ბატონთან; ძალიან ვცდილობდი შემეტყო, რა მიზეზია, რომ ამ ქალაქში მოსულა და დაბინავებულა; პირველ დღიდანვე, რაც შევეხიზნე, მიეხვდი, აქაური არ უნდა იყოს-მეთქი, რადგან ნაცნობი აქ ცოტა ჰყავდა. ბოლოს სურვილი ამისრულდა და რაც მინდოდა შევიტყე. ერთხელ რიგდან მართებულ საღილის შემდეგ, კარგ გუნებაზე იყო, თავისი საქმეები მიამ-

ბო და თქვა, რომ ძველ-კასტილიელი იყო და დასტოვა სამ-შობლო ქვეყანა იმ მიზეზით, რომ ქუდი არ მოუხადოს მეზო-ბელ ვაჟბატონს.

— ბატონი, თუ კი როგორც ბრძანებთ, თქვენზე მდი-დარი იყო, რა უკადრისობა იქნებოდა, რომ პირველად თქვენ დაგეკრათ თავი? თქვენვე ბრძანებთ, რომ ისიც მიკრავდათ.

— ეგ მართალია, რომ ისიც მიკრავდა; მაგრამ რაღგანაც პირველად მე მრავალჯერ ქუდს ვუხდიდი, ხან-და-ხან იმასაც რომ წინ-და-წინ თავი დაეკრა, გვარიშვილობიდან როდი ჩამო-ვარდებოდა,

— მე რომ მკითხოთ, ბატონი, სულაც არ შევისალარებდი, მეტადრე თუ ჩემზე ხნიერია და მდიდარი.

— ყმაწვილი ხარ და არა გესმის რა პატიოსნებისა; ერ-თად-ერთი მთელი სიმდიდრე კეთილშობილის კაცისა დღეს მარ-ტო თავ-პატივია. გეუბნები, ხომ ხედავ რაინდი ვარ, აზაური, ღმერთს ვფიცავ, გზაზე რომ დიდებული თავადი შემხვდეს და დი-დის ზდილობით ქუდი არ მომიხადოს, მეორე შეხვედრაზე სანამ ის მომიახლოვდებოდეს, მე ვეცდები სადმე შევიდე, ვითომ და საქმე მაქვსო, ან მეორე ქუჩაში შევივლი, თუ კი არის, იმი-ტომ, რომ თავი არ დაუკრა. ღვთისა და მეფის მეტი აზნაუ-რი არაფრით არაეისი მოვალე არ არის და კეთილშობილ კაცს არ შეჰვერის დაუდევრად ეპყრობოდეს თავის ღირსების დაც-ვასა. მასსოვს, ერთხელ როგორ შევარცხვინე ერთი მოხელე ჩემ სამშობლოში, მინდოდა მეცემნა კიდეც, იმისთვის რომ ყოველ შეხვედრაზე მეტყოდა:

— უფალი იყოს თქვენის მოწყალების შემწეო.

— თქვენ ბატონი უზრდელი გლეხი ბძანდებით-მეთქი. რას როტავთ „უფალი იყოს თქვენი შემწეო“, თითქოს ძალი-ან საჭირო იყოს-მეთქი. იმ დილიდან მოკიდებული ყოველთვის ქუდს მიხდიდა და მეტყოდა ხოლმე, როგორც მართებულია.

— განა ცუდია, რომ მეგობარ კაცს სალამის მიცემის დროს უთხრა: „ღმერთი იყოს თქვენი შემწეო“, — ვკითხე ბა-ტონს.

— აბა იფიქრე ბიჭოვო,—მითხრა ბატონშა. დაბალ კაცის შვილს აგრე ეტყვიან ხოლმე. მაგრამ ჩემსავით მაღალ ღირსებისას სხვა გვარად როდი ელაპარაკებიან თუ არ ასე: ხელთკოცნას მოვახსენებ თქვენს მოწყალებას, ან ასე მაინც: ხელს გიკოცნი ბატონო. თუ მე მელაპარაკება, თქვენო კესაილშობილებავ. ამგვარად ვერ მოვითმინე, რომ იმ აზნაურს ჩემ სამშობლოში ასეთი სალამი მოეცა და არც არავის მოვუთმენ ქვეყანაზე მეფეს გარდა, რომ მეუბნებოდეს: „დმერთი იყოს შენი შემწეო.“

„კიდეც ამიტომ ყოფილა მეთქი, ვიფიქრე,—რომ ღმერთი ასე ნაკლებად გწყალობს; ვერ მოგითმენია, როცა ამას შენთეის ვანმე უფალსა სთხოვს.“

— ისე სრულებით ღატაყი კი ნუ გვიციარ,—სთქვა მანერთი ნაჭერი მიწა მაქვს 60 მილზე ჩემ სამშობლოდან, ვალიადოლიდეს მშვენიერ ბორცვებ შეა; იქ რომ სახლები აშენდეს, ორსი ათასი მარავედი დაჯდებოდა, რადგანაც ლაზათიანი მოწყობა და მორთვა მოუნდებოდა. ამას გარდა სამტრედე მაქვს ისეთი, რომ წელიწადში ორას მტრედს დაიტევდა, დაქცეული რომ არ იყოს, სხვა ბევრს ჩემ ქონებას აღარ ჩამოვთვლი. ყოველსავე ამას თავი დავანებე, რადგანაც ჩემ ლირსება-პატიოსნებას შეეხნენ. მოვედი ამ ქალაქს განზრახვით, რომ კარგა მოვეწყო, მაგრამ რასაც ვფიქრობდი, ისე არ გამოვიდა. მართალია, აქ ბევრი წინამძღვარი და მღვდელია ეკკლესიებში, მაგრამ ისე განმარტოებით სცხოვრებენ, რომ ქვეყანაზე დამიანი ვერ შეუცვლის ყოფა-ცპოვრების ჩეცულებას. შუათანა აზნაურებიც კი მეპატიქებიან სამსახურში. მაგრამ მათი სამსახური მეძნელება, ამიტომ რომ ადამიანი ჩარცადრის ცხენად უნდა გადაიქცე. თუ არა და გზას გიჩენებენ. ჯამაგირისა ხომ რაღა ვთქვა, ჯანჯლები არიან და უფრო ხშირად მარტო ულუფის ამარასა ხარ. თუ კი როგორმე სვინიდისი სტანჯავს, გულის დასამშევიდებლად სამსახურის სამავიეროდ გაჩუქებენ გაქონილ კაბას, ან წამოსასხამს და ან ქუდს. თუ დიდ კაცთან მოეწყე, კიდევ იმასთან შეიძლება კაცი იო-

ლად წავიდეს. ღმერთმანი, თუ ამისთანა შემხვდა, მგლისი მალე მოვიმადლიერებდი. ათასგარ სამსახურს გაუწევდი, ამიტომ რომ სხვაზე ნაკლებად ტყუილების ლაპარაკი არ გამიჭირდებოდა და ათას გვარ ოინებით ვასიამოვნებდი. შეცინებით მოუწონებდი ყოველგვარ მოქმედებას, თუნდაც რომ საიმისო მარჯვეც არ მოსვლოდა; არას დროს იმისთანას არ ვეტყოდი, რომ სწყენოდა, თუნდაც რომ სათქმელი ყოფილიყო. პირში ერთგულებას ვუჩვენებდი სიტყვითაც და საქმითაც. იმაზე კი, რასაც ვერ დაინახავდა, თავს არ გავიცივებდი; მსახურებს იქ დავუწყებდი ლანძლვას, საცა კი ყურის მოკვრა შეეძლო, რომ ეფიქრა, ჩემ საქმეზე გული შესტკივა და უფრთხილდებაო. მოსამსახურე ვისზედმე რომ გამწყრალიყო, მოვახეროებდი ცეცხლი შემეკეთა, მაგრამ ისე ვიზამდი, თითქოს მსახურს ვესარჩელებოდე. კარგს ვილაპარაკებდი ყოველიფერზე, რაც იმას მოსწონდა და დავიწუნებდი, ჟანაცულოდ ავიგდებდი, ენანც იმას არ მოსწონდა, ვეცდებოდი სხვის აფლება შემეტყო, რომ ამბავი მობეჭანა; გამოვიკითხავდი მეფის კირზე რა ახალი ზღილობა შემოულიათ და რა მოსწონთ კარის-კაცებს, რომელთაც თავის სახლში არ ეპიტნავებათ გულ-კეთილი ადამიანი, პირსაც არიდებენ, არაფრად არ აფასებენ და მოკლე ჭკუის უსაქმო კაცად სთვლიან, ასე რომ გართობაც არ შეიძლება იმათანაო. ამისთანა ბატონებთან, როგორც ვთქვი, გაიძვერა კაცებმა კარგად იციან მოეწყონ, მეც კი შემეძლო მოვთავსებულიყავ, მაგრამ ბედი ხელს არ მიმართავს.

ასე უჩიოდა თავის ბედშაობას ჩემი ბატონი, როდესაც მიამბოთაეის ბატონკაცობის ამბავი. ამ დროს შემოვიდა ოთახში ვიღაცა კაცი და შემოჰყვა მოხუცი ღიაცი. კაცმა მოსთხოვა სახლის ქირა და დიაცმა—ლოჭანისა. ჩამოუთვალეს და ორის თვისათვის უანგარიშეს იმდენი შისაცემი, რომ ერთ შელაწადსაც ვერ იშოებდა: თორმეტ-ცამეტი რეალი.—მოსწრებულად უთხრა ჩემმა ბატონმა, რომ ბაზარში წავალ, ფულს დავახურდავებ და საღამოს მოდით მისაღებადაო. მაგრამ წავიდა და და აღარ დაბრუნდა, ასე რომ როცა ისინი საღამოს მოვიდ-

ნენ, ძალიან გვიან იყო. მე ვუთხარი, ჯერ არ მოსულა-შეთქი. დაღამდა, ბატონი მაინც კიდევ რჩ ჩანდა. შემეშინდა შინ მარტო დავრჩენილიყავი და მეზობელ ქალებთან გავიქეცი, ვუამბდე რაც მოხდა და იმათსა დავიძინე. დალა გათენდა თუ არა, მოვალეები მოვიდნენ და მეზობელ ქალებს გამოჰკითხეს ჩემი ბატონის ამბავი, მაგრამ არაფერი გამოიდნა. ქალებმა უპასუხეს:

— აი მისი ბიჭი აქ არისო და სახლის გასაღები ამასა აქვსო.

ახლა მე გამომკითხეს. მე ვუთხარი, არ ვიცი სად არის- შეთქი, არც დაბრუნებულა მას შემდეგ, რაც ფულის დასახურ- დავებლად წავიდა და ასე მკონია-შეთქი ფულის დახურდავება მიზეზად მოიგონა და თქვენც გაგექცათ და მეცა-შეთქი.

ეს ომ გაიგონეს, მაშინათვე ალგვაზილთან, (პოლიციის მოხელესთან) და მწერალთან წავიდნენ და მოიყვანეს. გამომართვეს გასაღები, დამიძახეს მეც და სხვა მოწმეებიც. გააღეს კარი, შევიდნენ რომ ავეჯი დაბეჭდონ ვალის გადახდამდის. მთელი სახლი მოიარეს და ცარიელი რომ ნახეს, მე მომაღვნენ.

— ავეჯი სად არის ბატონისა; სად არის სკივრი, მებილი და სურათებიო?

— არ ვიცი-შეთქი.

— უეჭველად წუხელის დაუმალავს, ან საღმე გადაუტანია. ბატონო ალგვაზილო, ამ ბიჭს ხელი მოველეთ: ეცოდინება ავეჯი საცაა.

ალგვაზილი მოვიდა, საყელოში ხელი მომავლო დი მითხრა:

— აბა ბიჭო, თუ არ იტყვი სად არის შენი ბატონის ქონება, საპყრობილეში დაგამწყვდევო.

რადგან ამისთანა შემთხვევა თავს არ გადამხედოდა, რომ კისერში ხელი მოევლოთ (ვთქვათ, ბრმამ კი იცოდა საყელოში ხელის მოვლება, მაგრამ რბილად იცოდა, რომ უსინათლოს გზა ვუჩვენო), ამაზე შევშინდი და ტირილით დაეპირდი, რასაც მკითხავთ, გეტყვით მეთქი.

— მაშ კარგიო, ნუ გეშინია, აბა გვითხარი, რაც იციო.

მწერალი სკამზე დაჯდა, რომ ქონება ასწეროს; მკითხაული ბატონს რა აქვსო.

— ი ბატონებო, ჩემ ბატონს, როგორც თითონა თქვა, კარგი ნაჭერი მიწა აქვს შენობითა და დაჭცეული სამტრედითა.

— კარგი ყოფილაო, თქვეს მათ, თუმცა კი კაი ფასი არა აქვს, მაინც კი შეიძლება ჩვენი ვალი ვიზლოთო. ახლა გვითხარი, ქალაქის რომელ უბანშიაო, მკითხეს.

— თავის სამშობლო აღგილსა მეთქი.

— ღმერთმანი, საქმე მოდისო. რომელია მისი დედა-ქვეყანაო? მკითხეს.

— ბატონი ამბობდა, ძველ კასტილიაშიო, ვუპასუხე.

ალგვაზილმა და მწერალმა ამაზე ასტეხეს სიცილი და თქვეს:

— ეს რასაკეირველია კმარა, რომ თქვენი ვალები გაისტუმროსო, რაც უნდა დიდი ვალი იყოსო.

მეზობელი ქალები აქ დამსწრენი გამომესარჩილენ:

— ბატონებო, ამ ყმაწვილს დანაშაული არა აქვს, უბრალოა. დიდი ხანი არ არის, რაც ამ აზნაურთანა დგას და რაც თქვენ იცით, მეტი არ იცისო. საწყალი მალ-მალ ჩვენსა მოდიოდა და სამადლოდ რაც გვქონდა, ვაჭმევდით, მარტო ღამე თუ წავიდოდა ბატონთან დასაძინებლადო.

ნახეს, რომ უბრალო ვიყავი და თავი დამანებეს. ალგვაზილმა და მწერალმა კაცია და დიაცს გასამრჯელო მოსთხოვეს, ამაზე ერთი აურზიური ასტყდა. ერთი მხარე უარს ეუბნებოდა, გასამრჯელო არ გერგებათ, რადგან ასაღები არა გამოჩნდა რა და აწერა არ იქნაო; მეორე მხარე ამბობდა, სხვა საქმეს თავი დაეანებეთ უფრო სასარტოსაო. ბოლოს ხანგრძლივის ცილობის შემდეგ ძეელი ქვეშაგები მოხუცის დიაცისა აჰეთებეს პოლიციის მსახურს, თუმცა საიმისო მძიმე არ იყო, მაგრამ ხუთ კაცს ხელი ეჭიდა და წივილ-კივილით გაიტანეს, არ ვიცი როგორ გაათავეს საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ უბადრუკი ლეიბი ყველა მოვალეს გაუსწორდა და ამ გვარად



მოლვაწეობა დაიწყო. ამიტომ რომ, როცა გაქირავებული იყო,
განსვენებაში იმყოფებოდა და ისვენებდა ჯაფის შემდეგ. ასე
ამ გვარად დამტოვა მესამე საწყალმა ბატონმა და საბოლოოდ
შევიტყე ჩემი ბედშავობა. ჩემი ბედი ყოველიფერში მტრად
მექტეოდა და ჩემი ყოფა სულ უკულმართად გადააბრუნა,
ამიტომ რომ, ჩვეულებრივად მსახურები გადიან თავის ბატო
ნებისაგან, მე კი სულ უკულმა დამემართა: ბატონმა დამტოვა
და გამექტა.

ତାଙ୍ଗ କାନ୍ତିକା

ଲୋହାରୀ ଉତ୍ସବର ପ୍ରେସଗୁଡ଼ିକ ଦେଇବାରେ ଏହା ହେଉଥିଲା

მეოთხე ბატონი უნდა მომექებნა და ვიპოვე ერთი ბერი-იმ დედაკაცებმა მიშიყვანეს, წინად რომ მოგახსენეთ. ჩვენი მო-უვარე ნათესავიათ,—მეუბნებოდნენ. ეს ბერი მეტის-მეტი მტე-რი იუთ სამღვდელოებისა და მონასტრის ზოგად სადილისა; სასჯელად ეკისრა სულ მონასტრის გარე-გარე ხეტიალი, წუ-თა სოფლის საქმეებისა და სტუმრების მოყვარული იყო და მგონია, ფეხსაცმელი იმას მეტი გაეცვითა, ვიდრე მთელ მო-ნას-ტერსა. ჩემ სიცოცხლეში პირველი ფეხსაცმელი მან ჩა-მაცვა, ერთ კვირას არც კი გამიძლო და აბა როგორ გამიძ-ლებდა დღე და ღამ ნათრევი. ამა და სხვა მიზეზების გამო, რომელსაც არ ვლაპარაკობ, ამასაც თავი დავანებენ.

ଟାଇପ୍ କମ୍ପ୍ୟୁଟର

ଲ୍ଲାହୁରେ ଶକ୍ତିରେ ଦୁଃଖରେ ଦୁଃଖରେ ପାଦରେ ପାଦରେ
ମୁଖରେ ମୁଖରେ ମୁଖରେ ମୁଖରେ ମୁଖରେ ମୁଖରେ

მეცნიერება გამოიყენება მომივლინა პაპის შენდობის ქალაქების (ბულლების) გამყიდავი, რომელიც საკვირეელის მო-

ხერხებით ასაღებდა; ისეთი დიდი გაქნილი და მოურიდებული ბერი იყო, რომ ჩემს დღეში ამისთანა იდამიანი არ მინახავს, არც მგონია ვნახო როდისმე და ვფიქრობ, არავისაც არ შეხვედრია. შენდობის ქალალდების გაყიდვის საშუალებისაოვის ყოველგვარ ოსტატობას გამოსძებნიდა ხოლმე და ხერხებს ხმარობდა. საცა კი მივიდოდა გასაყიდად, იქაურს წინამდვარს და მღედლებს მისართმევად მიუტანდა ხოლმე, ვთქვათ საიმისო გამოსადევ და ძვირს რასმე კი არა,—მურსის სალათას, თუ მოსავლის დრო იყო, ერთ წყვილს ლიმონს, ან ფოროთოხალს, ატამს ან ამგვარ რასმე. იმ სახით ცდილობდა მოქმადლიერებინა ისინი, რომ ხელი გაემართათ ბულლების გაყიდვაში და ბრევლი წაეხალისებინათ ყიდვაზე. სამღვდელოების გულს რომ მოიგებდა, ახლა უნდა შეეტყო, როგორი მსწავლულები არიან. თუ ეტყოდნენ, რომ ლათინური ენა ვიცითო, ბორძიკის ასაცდენად ამ ენაზე არ ილპარაკებდა და საუბრობდა მხოლოდ მშვენიერის წმინდა ესპანიურის ენით. თუ კი დაატყობდა, რომ ზემოხსენებულ სამღვდელოებას უფრო ფულისაკენ უჭირავთ თვალი, ვიდრე მეცნიერებისაკენ, მაშინვე თავს მოიწმიდა-თომებდა და მთელ ორ საათს ვითომ ლათინურს ენაზე ელაპარაკებოდა, თუმცა ნამდვილი ლათინურისა ირაფერი იყო. რადგანაც გრძელი ლაპარაკი მომიხდება, ყველა იმისი ოინგბი რომ ჩამოვთვალო, რაც მე მინახავს, ამისთვის მარტო ერთს მოხერხებულ და ოსტატურ საჭქეს გიამბობთ, რომელიც დაგანახვებთ, რა მოსწრებული ჭკუისა იყო.

ტოლედოს საეპისკოპოზოს ერთ ადგილს ორ-სამ დღეს მისებურ ბეჯითობით ქადაგებდა, მაგრამ შენდობის ერთი ქალალდიც ვერ გაჰყიდა და ეტყობოდა, არც არავინ ფიქრობს ყიდვასაო. ჯავრით აღარ იცოდა რა ექნა და იმის მოსაზრებაში იყო, რა მოვაწყოვო და ბოლოს გადასწყვიტა, მეორე დღეს ხალხი შეკერიბოს, რომ ბულლები გაასაღოს. იმ საღამოს გახშამთ უკან თამაშობა გამართა აღვგვზილთან (პოლიციის მოხელესთან). თამაშობის დროს წაიკიდნენ იმდენად, რომ ერთმანერთი გამოლანდეს. ბერმა პოლიციის მოხელეს ავაზაკი დაუძახა, მან კი-



დევ მატყუარა. ამაზე ჩემმა ბატონშა ბერმა ხელი მოავლო რა-
ლაცა შუბს, რომელიც იქვე საცა თამაშობდნენ ხელში ჩა-
უვარდა, ალგვაზილმა იშიშვლა ხმალი. ვინც ვიყავით, ჩვენს
წივილ-კივილზე სასტუმროს სტუმრები და მეზობლები მო-
გროვდნენ და გაშველება დაიწყეს. ისინი კი გულმოსულები
ერთმანეთზე იწევდნენ; მაგრამ რაკი ხალხით აიგსო თათახი და
ნახეს რომ იარაღით ერთმანერთზე ვეღარას გახდებიან, დაუ-
წყეს ერთმანერთს ლანძლვა. ალგვარილმა დაუძახა ჩემ ბატონს,
შენ მატყუარა ხარო; შენდობის ქალალდებს რომ ჰყიდი, ყალ-
ბიაო. ხალხის გროვაში ზოგმა რომ ნახა ჩხუბს არ ათავებენ,
ალგვაზილი თათახიდან გაიყვანეს, ეკებ აქაურობა დაეაწყნარო-
თო. ამ გვარად ჩემი ბატონი მარტო დარჩა საშინლად გაანჩხ-
ლებული. იქ მოსულები და მეზობლები შეეხვეწნენ დამშვი-
დებულიყო და დაეძინა. ჩვენც გავუგრონეთ და დავიძინეთ,

მეორე დღეს ჩემი ბატონი საყდარში წავიდა, რომ წირვის დროს იქადაგოს და ზულლები გაასაღოს. ხალხი შეიკრიბა და ბევრი ყაყანებდნენ, შენდობის ქაღალდები თურმე ყალბიაო, და პოლიციის მოხელემ შელაპარაკებაში წამოიყრანტალაო. ამის გამო, ვისაც კი ცოტაოდე სურვილი ჰქონდა ეყიდა, ებლა სულ უარზე იყო.

ჩემი ბატონი ბერი საქადაგებელ აღვილს ავიდა და დაუწყო ხალხს ქადაგება: ნუ მოაკლებთ თქვენ თავს ცოდეების შენდობის მაღლსაო, რომელსაც მოგანიჭებს წმინდა მამის ბულლაო. როდესაც ქადაგება მიეიდა ძალიან საინტერესო აღვილს, საყდარში შემოვიდა ალგვაზალი, დაიხოქა, ილოცა, მერმე აღვა და მაღალის ხმით მკაფიათად და წყნარად წამოსთქია:

— ჰატიონსანნო ძმანო, მომისმინეთ, რაც მოვახსენოთ და როცა მომისმინოთ, განსაჯეთ როგორც გეპრიანებოდეთ. მე აქ მოვყელი ამ ცრუპენტელა მოქალაგესთან, რომელიც ხელი-დან გამისხლტა; ეს მე მთხოვდა ბულლების გაყიდვაში ხელი გამიმართეო და რასაც მოვებას ვნახავ, შუაზე გაგიყობო. ახ-ლა მივხვდი რა ვნება უნდა მოუტანოს ჩემ სვინიდისს და თქვენს ქონებასა, შევინანე ჩემი ბრალეულობა და გიცხადებთ, რომ

მისი შენდობის ქალალდები ყალბია, არ შესცდეთ, არ დაუჯეროთ, არ, იყიდოთ და იცოდეთ რომ არც ახლოს და არც შორიდან მის საქმეში არ ვურჩევიარ. და თუ გამომეტაცნდა მისი მატყუარობა, თქვენ ყველანი მოწამე იყავით, რომ მე ამასთან საქმე არა მქონია და არც რამე შემწეობა გამიწევია; ამას წინდა-წინვე ვაცხადებ, რაგანაც მინდა რომ ამისი ბოროტი განზრახვა გამოაშეკარივდეს.

ასე გაათავა თავისი სიტყვა პოლიციის მოხელემ. ზოგიერ-
თმა საპატიო კაცმა, რომელიც ახლო იდგა, დააპირა აღგვაზი-
ლის გარეთ გამოყვანა, ჩხუბი არ ატყუდსო; მაგრამ ჩემმა ბა-
ტონმა ბერმა აუკრძალა, ნუ დაუშლით, თორემ ეკკლესიისაგან
შეჩვენებული იქმნებითო; უბრძანა, ათქმევინეთ ყველაფერი,
რაც სათქმელი აქვსო; თვითონ გაჩუმდა, სანამ აღგვაზილი გა-
ათავებდა თავის ლაპარაკს, რაც მოგახსენეთ. როცა მორჩა,
ჩემმა ბატონმა ბერმა ჰქითხა, უუ კიდევ სათქმელი გაქვს რამე,
თქვით. აღგვაზილმა უპასუხა:

— ბევრი რამა მაქვს სათქმელი თქვენზედაც და თქვენს თვალთ-მაქტობაზედაც, მაგრამ დღეს ესეც გეყოფაო.

მაშინ ჩემმა ბატონმა დაიხოქა, ხელი შეჰყარა და თვალი შეაპყრა ცას და დაიწყო:

— ჰოი, უფალო, შენ ხარ ყოვლისა მხილველი, რომლი-
საგან არა არს რა დაფარული! შენ ხარ ყოვლად შემძლებელი,
რომლისათვის არა არს რა შეუძლებელი, შენ უწყი მართალი
და იხილე, რაოდენ უსამართლოდ შეურაცხებულვარ; მიმიტე-
ვებია, უფალო, ჩემი შეურაცხება, რათა შენ მომიტოვო კოდ-
ვანი. შეუნდე მას, რამეთუ არ უწყის, რასა იქმს. ხოლო გე-
ვედრები, რათა სიმართლისათვის არა დაპფარო შეურაცხება,
რომელიც შენ, უფალო, მოგაგო; რათა აქა მდგომარეთა, ვი-
საც სურდა წმიდა ბულლის აღება, არ დასტოეოს თავისი კე-
თილი განზრახვა და არ დაუჯეროს სიცრუესა ამა კაცისასა. გე-
ვედრები, უფალო, მოაელინე სასწაული და აღსრულდეს იგი
ესრედ: უკეთუ კეშმარიტია ამ კაცის სიტყვა და მე ბრალეუ-
ლი ვარ სიცრუეში და მატყუარობაში, გასქლეს დედა-მიწა და

ისე ჩამიტანოს, რომ იქიდან ვერასოდეს ვერ ამოვიდე. ხოლო უკეთე მართალია, რასაც მე ვამბობ და ამა მსახურმა ეშმაკი-სამან ჰგმო, რათა მოაკლოს აქა მდგომარე ერსა დიდი მადლისა, მაშინ მოევლინოს მას სახჯელი და გამოჩნდეს მისი ბოროტი განზრახვა.

ის იყო, ჩემმა კეთილ-მსახურმა ბატონშა ძლივს დასრულა თავისი ვედრება, რომ ალგვაზილი თავის აღვილიდან გადმოვარდა და ისე მძიმედ დაეცა იატაკზე, რომ მთელ საყდარში ზანზარი მოისმა; მოჰყვა რაღაც გვარად ყმუილს, პირიდან დუების წამოდენას, სახის მანჭვას, ბაგე-პირის გრეხას, ხელ-ფეხს აწყვეტდა, იატაკზე გორავდა და ტრიალებდა. ხალხში ისეთი ალიაქოთი და ხმაურობა ატყდა, რომ ერთმანეთისა აღარა ეს-მოდათ-რა. ზოგი თავზარდაცემული შიშისაგან, ხმას ვეღარ იღებდა, ზოგი ამბობდა,—ღმერთო შეეწიე და მოარჩინეო; ზოგი —ეს იმის სამაგიერო მოუვიდა, რომ სიცრუით შეემოწმა. ბოლოს ზოგი გვერდთ მდგომი მიღიოდა შესამჩნევის შიშით და კანკალით, ხელს უჭერდა, მაგრამ კაი-კაი მუშტებიც ხვდებოდა; ზოგი ფეხით მიათრევდა და მაგრად ეჭირა, რადგან ისეთ წიხლებს ისროდა, რომ არც ერთი სახედარი ისე გამშარებით არ იზამს. ამისთანა ყოფა კარგა ხანს იყო. თხუთმეტიოდ კაცი ამას მოუნდა და გაუჭირდა საქმე; თუ ვინმე პირს რააღებდა, პირდაპირ ცხვირპირში უთავაზებდა. მთელ ამ ალიაქოთის დროს ჩემი ბატონი დახოჭილი, ხელებ და თვალებ აპყრობილი ცის მიმართ ისეთ ღვთისნიერ გულ-მხურვალებაში იყო, რომ ვერც ტირილმა, ვერც წივილ-კივილმა და ატეხილმა ხმაურობამ საყდარში ვერ გამოიყვანა იგი საღმრთო მშერი-საგან.

ზოგნი გულ-კეთილნი ადგნენ, მიეიდნენ ჩემ ბატონთან, გამოაფხიზლეს ღვთისნიერ გულ-მხურვალე ლოცვისაგან, შეეხვეწნენ მოხედოს წყალობის თვალით ამ უბედურსა, რომელიც სიკვდილს მიღწეოდა, სთხოვდნენ დაევიწყა, რაც მოხდა, არად ჩაევდო მისი ბოროტი სიტყვები, რომლისათვისაც მან სამაგიერო სახჯელი კიდეც მიიღო. თუ შეგიძლია შეეწიო და

ტანჯვა შეუმსუბუქო, ლვთის სადიდებლად სიკეთე უყავითო, რადგანაც ახლა ყველა ჰქედავს ბრალს ბრალეულისას და შენს სიმართლესაო; შევვეღრე ღმერთსა, რომ შენი ვეღრება შეის-მინოს და უბადრუქს სასჯელი მოუსპოს. ჩემმა ბატონმა თით-ქოს გულიანის ძილისაგან გამოფხიზლებულმა, თვალი გადაავ-ლო მრევლს, დააცქერდა ბრალეულს, ყველა გარშემო მდგო-მარეთა და აუჩქარებლად წამოსთქვა:

— გულ-კეთილნო ძმანო, თქვენ არას დროს არ უნდა
იხვეწებოდეთ შეენდოს იმისთანა ადამიანს, რომელზედაც უფალ-
მა ცხადად გამოაჩინა თვისი ძლიერება. გარნა ვინაიდან იგი გვი-
ბრძანებს არა მივაგოთ ბოროტისათვის ბოროტი, არამედ მი-
უტევოთ შეურაცხება, ჩვენ ძალ-გვიძს შევევედროთ, რაკი დარ-
წმუნებული ვართ, რომ იგი აღასრულებს, რასაც გვიბრძანებს
და ლვთაებრივი მისი ძლიერება შეუნდობს მის შეურაცხმყო-
ფელს, რომელსაც სწავლიდა დაებრკოლებინა, ეწამათ მისი წმი-
და სარწმუნოება. შევავედროდ და ვილოცოთ ყველამ.

ჩამოვიდა საქადაგებელ იღვილიდან და იქ მდგომარეთ
სთხოვა თავმდაბლად ილოცონ, რომ უფალმა ჩვენმა ინგბოს
შენდობა ცოდვილისა და დაუბრუნოს სიმრთელე და გონება,
განასხას მისგან ეშმაკი, თუ მიუშვია, რომ მძიმე ცოდვათა
გამო ამ კაცუში შესულიყო.

ყველამ მუხლი მოიღრიკა და სამღვდელოებასთან ერთად
ნელის ხმით იგალობეს ტრაპეზის წინ ლითანია; ხოლო ჩემი
ბატონი გალობის შემდეგ ჯვრით და აიაზმის წყლით ხელში
მივიდა პოლიციის მოხელესთან, ხელები ზედ განართხა და თვალე-
ბი ზეცისაკენ აღაპყრა ისე რომ, თვალის კაკლები ძლივს-და
უჩანდა, წარმოსთქვა გრძელი და მხურვალე ლოცვა, რომლი-
საგან მთელი ხალხი ისე ატირდა, როგორც ხოლმე კარგ მო-
ქადიგეს შეუძლია ღვთისნიერი მსმენელი ვნების კვირას ქრის-
ტეს ტირილისათვის აღძრას. ევედრებოდა უფალსა ჩვენსა, რო-
მე არა მოაკვდინოს ეს ცოდვილი, არამედ მიანიჭოს სიცოც-
ხლე შენანებისათვის, ენიადან ეშმაკმა შეაცდინაო და მომა-
კვდინებელის ცოდვისაგან მოუვიდა; ევედრებოდა, უფალმა აპა-

ტიოს, სიცოცხლე და ხსნა მოანიჭოს, რომ შეიძლოს თვისი
ცოდვა მოინანის.

ამ სიტყვასთან მოატაინა შენდობის ქაღალდი და თავზე
დაადგა. მაშინათვე ცოდეილი ალგვაზილი უკეთ შეიქნა და
ნელ-ნელა გონს მოვიდა. როდესაც სრულებით ცნებას მოვი-
და, ფეხებში ჩაუვარდა ჩემ ბატონს და შენდობა ითხოვა, აღ-
რა, რომ რაცა ვთქვი, ეშმაკის მანქანებით და მისის პირით
ვლაპარაკობდიო, პირველად იმიტომაო, რომ ვნება მომეცა და
წყენისათვის სამაგიერო გაღმეხადაო და ძეორედ უმთავრესად იმი-
ტომ, რომ ეშმაკს შურდა ის მადლი, რომელსაც შენდობის
ქაღალდის მყიდველი მიიღებდაო. ჩემმა ბატონმა შეუნდო და
მათ შორის ჩამოვარდა ისევ მშვიდობა და მეგობრობა. დიდი
და პატარა ყველა ისეთის ხალისით შეუდგა ბულლების ყიდვასა,
რომ მთელ სოფელში აღამიანი არ დარჩა ბულლა არ ეყიდა,
ქმარი, ცოლი, ვაჟი, ქალი, მსახური, მოახლე ყველა ყიდუ-
ლობდა. ეს ამბავი გარშემო სოფლებში ისე მოვფინა, რომ რო-
ცა იქ მივიღოდით, აღარც ქაღაგება იყო საჭირო, აღარც საყ-
დარი, ამიტომ რომ საცა კი ჩამოვხდებოდით, ბულლის სა-
ყიდლად ყველა პირდაპირ ჩვენთან მოდიოდა, თითქოს ხილზე
ყურთაგლეჯა იყოსო. ამის გამო ჩემმა ბერქა იმ მზვარეს ათ-თორ-
მეტ სოფელში უქადაგებლად ათასი ბულლა გაასალა.

უნდა იღვიარო, რომ სხვებსავით მეც ამ მახეში გავები და
მართალი მეგონა, რაც საყდარში მოხდა. მაგრამ შემდეგ შე-
ვატყე, ალგვაზილი და ჩემი ბატონი რომ მოჰყვებოდნენ ხუმ-
რობას და სიცილს თავიანთ ჩადენილზე, მივხვდი რა რიგად
მოტყუებული ვიყავი ჩემის მსწავლულის და გამომგონებელ ბა-
ტონისაგან და ვფიქრობდი, კი ასტატობა სცოდნია მეთქი.

„ეს მატყუარები რამდენ გულ უბრყვილო კაცებს მოა-
ლორებენ“ მეთქი.

ამ ჩემ მეხუთე ბატონთან ოთხიოდ თვეს ვიყავი, იმასთანაც კოტა გაჭირება არ გამოეიძრე.

თავი მემკვეთი



ლაზარ როგორა ცხოვრიბდა საედრის წინამძღვან
თან და თავს რა გადახდა

შემდეგ ვემსახურებოდი ერთ მხატვარს, რომელიც დაირებ-
ჲე ხატავდა; ფერად წამლებს ვულესავდი და ბევრი წეალებაც
გამოეიარე. ამ ხანებში მე კარგა შეღერებული ბიჭი ვიყავი
და ერთხელ დიდ საყდარში თვალი მომკრა წინამძღვარზა, ამი-
ყვანა სამსახურისათვის, მომცა ერთი სახედარი, ოთხი კოკა და
ერთი შოლტი და წყლის მზიდავი გამხადა ქალაქის სახლებში.
ეს პირეელი ხარისხი მომეცა, რომ უკეთეს ცხოვრებაში შევ-
სულიყავი. დღეში უნდა მიმეცა ჩემი ბატონისათვის ოც და
ათი მარავედი, თუ ამაზე მეტი საშოვარი მექნებოდა და აგრე-
თვე მთელი შაბათის შემოსავალი, სულ მე უნდა მიმელო. ეს
ხელობა ისე კარგა წარმემართა, რომ მეოთხე წლის თავზე ჩე-
მის შენახულის ფულით მოვახერხე მეყიდნა ნაცემი ტანისა-
მოსი და რიგიანად გამოეწყობილიყავ. ვიყიდე ბაშბის სახლე-
ბიანი კაბა, ბუზმენტით მავლებული, წამოსასხამი და ხმალი
ძველის კუსლარის ფოლადისა. როდესაც პატიოსანის კაცის
ტანისამოსით გამოვეწყე, ჩემ ბატონს ვუთხარი, რომ თქვენი
სახედარი მიირთვით, რადგანაც ეს ხელობა აღარ მომწონს
მეთქი.

თავი მეშვიდე

როგორ ცხოვრიბდა ლაზარ ალგებაზილთან
და თავს რა გადახდა

საყდრის წინამძღვრისავან რომ გამოვედი, ალგებაზილთან
დავდექი, მაგრამ დიდხანს არ დავრჩი, რადგანაც იმასთან სამ-
სამსახური საფათერაკო მეჩვენა, მეტადრე მას შემდეგ, რაც

ერთ ღამეს ჩემ ბატონს და მე გაბოგვიდგნენ გამოქცეული ტუსალები კეტებით და ქვით და ჩემი ბატონი მიზევვეს, როდესაც ის შედგა; მე კი ვერ მომეწივნენ, ამის გამო თანამდებობას თავი დავანებე. ამ ქამად ფიქრში ვიყავი რაგვარი ცხოვრება მოვაწყო-მეთქი, რომ დამშვიდებული სიცოცხლე მქონდეს და სიბერეში გამოსაყენებელი რამ შევიძინო მეთქი. ომერთმა გონება გამინათლა, მიჩვენა ჭეშმარიტი გზა და გამოსალევი სახსარი ცხოვრებისა. მეგობრების შეწევნით და ბატონ-კაცების წყალობით რაც აქამდის ნაკლებულება და ჯაფა გამეწია, სულ მის მაგიერი მომეცა იმით, რომ საწადელს ვეწიე, ესე იგი სახელმწიფო სამსახურს; ვხედავდი, რომ ისე კარგად არავინა ცხოვრობს, როგორც სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის კაცები. ახლაც დღევანდლამდე ჩემ თანამდებობაში ვიმყოფები, ვემსახურები უფალსა ღმერთსა და თქვენ ჩემ მწყალობელსა. ჩემი თანამდებობა გახლავს გამოვაცხადო ქალაქში რა და რა გასასყიდი ღვინოებია, ავჭიონი, დაკარგული ნივთები, გავყვე სასამართლოსგან დასჯილებს და ხმა-მაღლა გამოვაცხადო მათი დანაშაული; ერთი სიტყვით, მე გახლავარ მძახველი. ისე გავოსტატი და ისე ადეილადაც მოვეწყე, რომ რაც კი ჩემ თანამდებობას შეეხება, ყოველმა საქმემ უეჭველად ჩემ ხელში უნდა გაიაროს; ისე რომ ვისაც ქალაქში ღვინის გასალება უნდა, ან სხვა რისამე გაყიდვა, სართით ვაჭრობას არ მოელის, თუ ტორმესელი ლაბარე არ ურევია.

ამასობაში სან-სალვადორის საყდრის წინამძღვარმა ჩემმა ბატონმა და თქვენის პატიოსნების მეგობარმა, რადგანაც მის ღვინოების განცხადება მომისხენებია თქვენთვის, რაკი ნახა ჩემი გამჭრიახობა, რიგიანი ცხოვრება, ზრუნვაში შევიდა, მოდი და ჩემ მოახლე ქალს ამას შევრთავო. მეც ვნახე, რომ ამის-თანა ქალისაგან სიკეთისა და სარგებლობის მეტი არა გამოვარა, თანახმა გაეხდი ჯვარის-წერაზე, შევირთე ის ქალი და აქამდის სანანურად არა მაქვს; იმას გარდა რომ გულ-კეთილი და კარგი მეოჯახეა, ბატონი წინამძღვარიც კარგი მფარველი და შემწე ვიშოვე. ასე, რომ მუდამ წელს ხან ფქვილს შემო-

გვაწევს, ყოველ სააღდგომოდ ხორცს, ხან ორიოდე პურს, ზოგი ნაცვამ შალეარს, რომელსაც აღარ ხმარობს. სახლი თავის ახლოს დაგვაჭერინა და თითქმის ყოველ კვირა უქმე დღეს მასთანა ეართ სადილად. რასაკვირველია, აეი ენა არსად არ მოაკლდება და ჩვენც არ გვისვენებენ; ლაპარაკობენ, არ ვიცი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ვხედავთო, ლაზარეს ცოლი წინამძღვართან დადის, ლოგინს უშლისო და სადილს უკეთებსო. ღმერთმა ინებოს რომ ტყუილი იყოს. ჩემი ცოლი ისეთი დედაკაცი არ არის, რომ ამგვარ ჭორებს ყური უგდოს, ხოლო ჩემი ბატონი კი რაღაცას მპირდება და იმედი მაქვს, აასრულებს კილც. ერთ-ხელ ჩემ ცოლის ყოფნის დროს დიდხანს მელაპარაკა:

— ლაზარე ტორმესელი, კარგი არაფერი დაემართება, ვინც ლიყაფ ენას უურს ათხოვებსო. იმაზე ვლაპარაკობ, რომ მე სრულებით არ გამაკვირვებს, თუ ვინმე რასმე ლაყბობს, რომ შენი ცოლი ჩემთან დაიარება. მე თავდები ვარ, არც შენ პატიოსნებას და არც მის პატიოსნებას არა მოაკლდება რა ჩემთან სიარულით, ამიტომ ნუ დასდევ რასაც ილაპარაკებენ, შენ მხოლოდ იმას უურე, რაც შენ შეგეხება. შენის სარგებლობისათვის გრუბნები ამასაო.

— ბატონი, თქვენ კეთილ რჩევას მოვდევ-მეოქი. მართა-
ლია, ზოგი ჩემი მეგობრები რაღაცაებს მეუბნებოდნენ და სამ-
ჯერ მეტად კიდეც მარწმუნებდნენ, რომ სანამ ცოლად მოგ-
ყვებოდა, სამჯერ მოუმშობიარებიაო, სიმდაბლით მოგახსე-
ნებთ თქვენს მოწყალებაზე.

ამ სიტყვასთან ჩემმა ცოლმა ისეთ წყევლა-კრულვას მოჰკუვა, რომ მეგონა, აგერ დედა-მიწა გასქდება და სულ დედაბუღიანად თან ჩაგვიტანს; მერე მოჰკუვა ტირილს და ათას-წყევლას უთვლიდა, ვინც მე შემართვევინა, ასე რომ სიკვდილი მანატრა. ნეტავ მოვეკალ და ის სიტყვა პირიდან არ წამომცდენოდა მეთქი. ბოლოს ერთის მხრით მე, მეორეს მხრით ჩემმა ბატონმა დავაშოშმინეთ და გული დაუმშვიდეთ; ტირილი გაათავა, რაკი შევფიცე, რომ ჩემ სიცოცხლეში ამას აღარ გავახსენებ მეთქი, მოხარული ვიქნები და ბედნიერად ვთვლი



რომ წინამდლვართან დადიხარ დღეცა და ღამეცა, ამიტომ, რომ
დარწმუნებული ვარ შენს პატიოსნებაზე მეთქი.

ასე ამ გეარად სამნივე კარგად მოვეწყეთ, და დღევანდლამდე ჩვენგან არაეს არ გაუგონია, რაც ჩვენში მოხდა. პირიქით, ვისაც შეეატყობ, რომ ჩემ ცოლზე რაღაცის თქმა უნდა, მაშინათვე შევაწყვეტინებ ლაპარაკს:

— თუ ჩემი მეგობრობა გინდა მეთქი, ისეთს ნურაფერს
მეტყვი, რომ მაწყენინოს. როგორ ჩავთვალო მეგობრად, ვინც
უსიამოვნებას მომაყენებს, მეტადრე თუ ჩემ ცოლთან უნდა
წამაჩუბონ, რომელიც ქვეყანაზე ყველას მირჩევნია და თვი-
თონ ჩემ სიყმესაც. ღმერთმა ჩემ ცოლს თან გამოატანა მრა-
ვალი თვისი წყალობა, ღირსიც არა ვარ და წმიდა ზიარებას
დავითიცავ, რომ რაც ამ ტოლედოს გარშემო ქმრიანი ქალია,
ჩემი ცოლი ყველაზე პატიოსანია. ვინც სხვაგვარად ილაპარა-
კებს, ჩხუბს ავუტებ.

ამგვარად ვერაენინ მიზედავს ლაპარაკს და მშეიღობიანად ვატარებ სიცოცხლეს ჩემის ოჯახობით.

ეს სწორედ იმ წელიწადს იყო, როდესაც ჩვენი გამარჯვებული ხელმწიფე შემოვიდა სახელოვან ქალაქ ტოლედოში-და იქ იმყოფებოდა; დიდი დღესასწაულობა იყო, რომელიც თქვენც მოგეხსენებათ.

ଟୀବି ପାଇଁ

ამ ხანებში ძალიან კეთილ ცხოვრებაში ვიყავი და ბედნიერების სიმაღლეზე ვიდექი; რადგანაც მოსიარულე მძახველი ვიყავი, ლაზათიანის ჭაშნიერი დოქით და საუკეთესო ხილის ნიმუშით დავიარებოდი. იმდენი მეგობრები და მფარველები ვიშოვე მკვიდრ მცხოვრებლებშიაც და მოსულებშიაც, რომ საცა კი მივიღოდი, ყველას კარი ლია მიხვდებოდა. ისე ყველ

ლასაგან შეგუებული ვიყავი, მონია კაცი რომ შემომკვდო-
მოდა, ან სხვა რამე მარცხი მომსვლოდა, ყველანი ჩემ საქმე-
ში მონაწილეობას მიიღებდნენ, მოსარჩევე და მფარველი
მეგობრები ამომიჩნდებოდნენ. ამის სამაგიეროდ ყელ ჩაუ-
სველებელი სულ არავინა მყავდა; ვიპატიუებდი კარგ ლვინის
ჭაშნიკზე, რომელსაც მე ვატარებდი ძახილის დროს; კარგ
ლხინში ვიყავით; ერთხელ არ მომხდარა, რომ სასმელად ჩვე-
ნის ფეხით შევსულვიყავით და გამოსვლით სხვით არ გამოვ-
სულიყავით. ყველაფერზე უკეთესი ეს იყო, რომ მთელ ამ ხან-
ში ლაზარე ტორმესელს ერთი საცოდაე გროშიც არ დაუ-
ხარჯავს და არც ახარჯვინებდნენ. ხან და ხან საჩვენებ-
ლად ქისას რომ იმოვიდებდი, ვითომ ნახარჯის მიცემა მინდაო,
მაშინათვე წყრებოდნენ ნემეცები, თვალ ავად შემომხედავდნენ
და იტყოდნენ: *Nite, nite, asticot lanz**) შენ რა ხელი გაქვს,
დალხვრა ღმერთმა ეს ბიჭიო! საყველურით ამავსებდნენ, საცა
ჩვენა ვართო, სხვას ხელი არა აქვს ხარჯვაზედაო.

ამისთანებისთვის მეტის მეტად შემიყვარდა ეს კაცები.
მარტო ეს ხომ არ იყო, ყოველთვის რაკი შევხვდებოდი, უბე-
სა და კალთას ამიტებდნენ ხოლმე ლორით და ბატკის ხორ-
ცით, მაგარ ლვინოში და სანელებლებით მოსარშულით, დამა-
რილებულ ხორცია და პურს მომაჩეჩებდნენ, ასე რომ ჩვენ ცოლ-
ქმარს მთელი კვირის სადილის ხორაგათ გვყოფნიდა. ამ გვარს
უხვობაში მაგონდებოდა ადრინდელი ჩემი შიმშილი და ღმერთს
ვადიდებდი და მადლობას ვწირავდი, რომ ამისთანა დრო და
ვითარება დაგვიდგა.

მაგრამ ნათქვამია ანდაზა: სიკეთის მქნელი ან ხელიდან
წაგივა, ან მოკვდებაო. მეც ასე მომივიდა, რადგანაც მეფის
კარი თავის ჩვეულებით სხვაგან გადავიდა. გამოთხოვების დროს
ჩემი მეგობრები მახალისებდნენ, ჩვენთან წამოდიო და ყოველ
სიკეთეს მიქადოდენ. მაგრამ მომაგონდა, რომ „შეჩვეული ჭი-
რი სჯობია შეუჩვევარ ლხინსაო“, მადლობა ვუთხარი, რომ

*) დამახინჯებული ნემეცური სიტყვებია *Nicht da, hass, dich Gott Lansknecht*.

ჩემი კეთილი სურთ და გულ დაწყვეტილი გამოვესალმე შრავალის ხვევნის შემდეგ. რაღა თქმა უნდა, მე რომ ცოლიანი არ ვყოფილიყავი, იმათ საზოგადოებას თავს როგორ დავანებებდი, რადგან ეს კაცები სწორედ ჩემი ფანდი კაცები იყვნენ. მშვენიერი ცხოვრება ჰქონიათ, არ იცოდნენ ამპარტაენობა და მედიდურობა, არ იუკადრისებდნენ ხოლმე მიკიტანთან შესვლას და ჩაჯდებოდნენ, თუ კი ღვინო ჩაუტკებებოდათ. კარგი და საპატიო კაცები იყვნენ და ჯიბეც ისე კარგა უბძანებდა, რომ იმათზე ნაკლები ღმერთმა მაშოროს, როცა წყურვილი მაწუხებს.

მაგრამ ცოლის სიყვარულმა და აგრეთვე მამულისამ, რომელიც ახლა ჩემ ღვიძლად მივიჩნიო,—ხომ იტყვიან, საღაური ხარო,—შემახერეს. ამ სახით დავრჩი ამ ქალაქში და აქაურებში ცოტა სახელიც კი მოვიპოვე, თუმცა კი მენანებოდა ჩემი მევობრების დატოვება და კარგი ცხოვრება. მაძლარი ცხოვრება მქონდა და ჩემის სიხარულის დასამატად და ჩემის გვარის ჩამომავლობის გასამრავლებლად ჩემ ცოლს ეყოლა ლამაზი გოგონა. თუმცა ცოტაოდე ამის გამო ეჭვში ვიყავი, მაგრამ ცოლმა შემომფიცა, რომ ქალი შენიაო. ამისთანა დროს ალბად ჩემ ბედს მოეჩვენა, რომ ძალიან თავს მივანებეო და ახლა დროა მრისხანე და მძაფრი თვალი მივაქციოვო, და ამ ცოტაოდე ბედნიერ და ნებიერ წელიწადებს ამდენივე ჭირი და ბოლოს მწარე სიკვდილი დაურთოვო. ღმერთო! ღინ შეიძლებდა ამისთანა ყოფაში, რომ ამ დასაღუპავ უბედურების და საშინელის ამბავის თქმაზე საწერელი არ დაესვენებინა და ხელიდან კალამი არ დაეგდო?

პ. უმიგაშვილი

(დასასრული)

კლდე და მდინარე

1

კლდეს შეეზღუდა სეობა,
 რაზეც მდინარე დიოდა,—
 სალსა, ასპიტსა, დიდრონსა
 ფერფლიც კი არა სცვიოდა.
 მდინარე უშეფს: «გზა მომეც,
 კლდეო, გამიშვი წინაო;
 ამ ქვა-ლოდებზე სტომამა
 ძალიან დამაშინაო...
 მინდა, რომ ბარად ჩავიდე,
 იქ მოვიპოვე ბინაო.
 გამიშვი, შენი ჭირიმე,
 აქ უფონა მომეწყინაო!»
 და თან კლდის კალთას ეხვევა,
 სელ-ფეხს უპორნის ზვიადსა,
 ვით ბავშვი თავის დედასა
 ვედრებას ეტევის ფრიადსა.
 —«რას ამბობ, ცეტო?—კლდე ამბობს—
 —«სიტუაციას რად ამბობ მცდარესა?
 შე მოვივდე, შენ კი იტლინჯო,
 სად თქმელა, რომელ მხარესა?!
 როგორ კარგი რამ მირჩია,
 უურეთ გასახარებსა!
 ათასჯერ სთხოვა მდინარემ,
 ათასჯერ ქუდი უხადა,

მაგრამ კლდემ ისევ და ისევ
 თავისი გამოუცხადა.
 მდინარე მაინც არ ტედება,
 თუმც ცდა შიუდის ცუდადა,
 მაინც კლდეს ეალერსება,
 გადიქცა კატის კნუტადა.
 კლდე შებლა არ იხსნის მაღლიდას,
 მდინარეს დასცექს მრუდადა:
 არ შეიძლება, — ბურბულობს, —
 თუნდა გაიჭრა სუთადა.
 სხვა გზა მოსქებნე სხვა მხარეს,
 ნუ ამეთრიე კუდადა!..

ეს სთველში მოხდა, ოცნაა
 წეალთა და ბალახთ მცირობა...
 მდინარე იმედს არ ჰქარგავს,
 შეუღრებელია გმირობა!...
 მძიმე რამ ზამთარი იქნა
 იმ წელს, — თუ ადლზე დათოვა;
 გაზაფხულს ზვავმა მდინარეს
 უსგად სინესტე აწოვა:
 ჯაგარაშლილი მოგრგვინავს,
 მთა და ბარს აქცევს ქათითა;
 კლდეს ადარ ეალერსება,
 კარზე მიუხტა შფოთითა;
 უტევს, ალადრის გულამკერდსა,
 გით ვეფხი თვის მსხვერპლს ტოტითა.
 კლდეზე ტალღები ტელა შენობს,
 თითქოსა სცემდნენ შოლტითა!
 კლდე წარბს არ იხრის, იძახის:
 — აბა, რას მიზამთ, მოდითა?!

მდინარეც უკან არ იხევს,
 მორჭმული სალტა-გოტითა:

«გაშიშვი, თორთ დაგანგრევ!»
 თან დაჭეისინებს ხმიანად
 და თითო დაკვრა ფასტისა
 სჩანს კლდისა დამაზანად.
 ერთი თვის შემდეგ კლდე ბორგავს
 და ადარ ამბობს წევიანად:
 გაჭერებია საჩერნე,
 ჭაჭეულურადი ხმლიანად;
 ლამის რომ გმირი დამარცხედეს
 და გასდეს ოქერ-ტიალად,—
 იქცეს მის ტელაპად, სათელლად,
 მის ტალღთა დასაუიალად.

II

მეტეთე კვირა შესრულდა
 კლდის და მდინარის ბრძოლისა
 და საქმე მოხდა საგრძნობი
 ცისა და მიწის შორისა:
 კლდისა მოისმა ქვითინი,
 შედგრად გაისმა ჯახნი:
 წეალმა მეორეს მხარესა
 კლდისას გაიღო ჩქაფანი
 და გაიჭიმა ხევზედა
 როგორც გუთანში ჭაპანი;
 ქედსა ასწია ამაუღ,
 შეათაშაშა ფაფარი:
 დასტოდრივ მიდის უშიშრად,
 არა სჭირდება,
 ანგრევს, რაც უშლის მგზავრობას,
 დალეჭა უგელა საფარი.
 ნიშს უგებს კლდეს და მისძახის:
 «შენი ბიჭობა საღ არი»?!...

ახალის სანახავითა
 გაცემულა შთა-ბარი.
 გადაღებული, ჭალაზე
 მაიზლაზნება მდერითა;
 საამო სანახავია
 გამარჯვებულის ფერითა!
 სართებენ ის და ქვეუანა
 ერთმანერთისა ცქერითა...
 წავიდა, გაიგაეგა,
 ჟორწევს და უმდერის ვალებსა,
 თან ატრიალებს ტალღებსა,
 ვით მოთამაშე ხელებსა...

გზუა-ფშაველა



დ ა მ თ ნ ე გ უ ლ ნ ი

თომანი ბოლგართა ცხრურებიდან

იგ. გ ა ზ ა გ ი ს ა

ნაზილი მოორა

თვ.)

ჯაშუში 1876 წელში

ბეისთან გარეშე მარტო ერთი კაცი დაჭვდა სტეფანეს,
სამანოვი.

ორნივე ნარდს თამაშობდნენ.

სამანოვი ოფიციალური ჯაშუში იყო ოსმალეთის მთავ-
რობისა და ჯამაგირს ფილიპოპოლის ბეი აძლევდა. ასე, ორ-
მოცდა ხუთისა წლისა იქმნებოდა, თუმცა კაცი უფრო ხნიერად
ჩააგდებდა. ამლერეული და შობრავი შავი თვალები ჰქონდა,
გრძელი და ხმელი შავი პირისახე უდროოდ დაჭლაროდა ნაო-
ჭებითა და მისი ყურება ადამიანს ზიზღსა ჰგვრიდა. მოკლედ
შეკრეჭილი ულვაშები თმასავით ძალზე გასთეორებოდა, ჭუჭ-
ყიანი და დაუვარცხნელი თმა ჭუჭყიანსავე ჭუდიდან უკანიდან
მოუჩანდა; წინიდან თავი გამშელოტებოდა. ტანთ მუხუდის
ფერი ძველი სერთუკი ეცვა, მისის გაქონილ საყელოს ლაპ-
ლაპლაპი ადამიანს გულს აურევდა. ჯაშუში მაღალი და ტა-
ნადი იყო, ჩვეულებრივ, თავ-ჩაკიდული დადიოდა, თითქო სა-
ზოგადო სიძულვილი და ზიზღი თავზე ტვირთად აწევსო. მთელს
სახეზე სიღარიბისა და ურცხვობის ბეჭედი ესვა, საზოგადოდ,

*) იხ. „მოაშე“ 1899 წ. № IX.

ფილიპოპოლში სცხოვრობდა, მაგრამ უამ-და-უამ გარშემო პატარა ქალაქებსაც შემოუვლიდა ხოლმე. ბელაია-ცერკვებში ყველას იცნობდა, რაღაც აქაური დაბადებული იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, იმასაც ყველანი იცნობდნენ. ახლაც, ამ ქალაქში მისმა მისვლამ ყველას, ვისაც კი რისამე ეშინოდა, თავზარი დასცა. უეჭველია, სასიკეთოდ და სამოყვროდ არ არის მოსულით, ამბობდნენ, ყველას ეშინოდა მისი, ყველას ეზიზლებოდა; სამანოვიც ჰერძნობდა ამას, მაგრამ სრულიადაც არა ჰქონდა დარღი. ზიზღით რომ შემოჰქედავდა ვინმე, სამანოვი კადნიერად და მამაცად გაუსწორებდა თვალებს, თითქოს ამის თქმა უნდაო: „აბა, რა გიკვირთ? როგორც ყველა თქვენგანს, მეც ჩემი საქმე მაქვს, მეც მინდა ცხოვრება.“ სამანოვი უკვე შეხვდა ქალაქის ზოგიერთ დარბაისელთა და სესხად ფული სთხოვა. რა თქმა უნდა, ასეთს პირიან მოვალეს და ალერსიან მოქალაქეს თხოვნას არავინ აცუდებდა. სამანოვმა, ალბად, იცოდა, ბელაია-ცერკვებში ასაჯანყებლად ემზადებიანო და ახალგაზდათაგანი ვინც შემოხვდებოდა, ღიმილით ეკითხებოდა: „საქმე როგორაა?“ და რომ უფრო შეეშინებინა, ჩუმაც დასძენდა: „ვერა-ფერსაც ვერ გახდებით“, და სახტად დარჩენილ ყმაწვილ კაცს თავს დაანებებდა. სამის დღის წინედ სოკოლოვსაც თითქმის ეს უთხრა სამანოვმა. რაკი ასე კადნიერად ეჭირა თავი სამანოვს, როცა ის ქუჩაში გამოვიდოდა, ყველანი ერიდებოდნენ და ემალებოდნენ.

სიხარულისაგან სახე უბრწყინავდა სტეფწოვს, როცა სამანოვი ბეისთან დაინახა. ღიმილით თავი დაუკრა, როგორც შინაურს კაცს, ხელი მაგრად ჩამოართვა, ახლოს მიუჯდა და მათს თამაშს ყურება დაუწყო.

მოხუცმა ბეიმ, რომელსაც მოკლე მაუდის ქურქი ეცვა, გულმოდგინედ განაგრძო ნარდის თამაში. ერთი ხელი თამაშობა რომ გაათავეს, სტეფწოვმა პირდაპირ უთხრა თავის მისვლის მიზეზი. დაწვრილებით უამბო ბეის, გავიგე, ბელაია-ცერკვებში ასაჯანყებლად ემზადებიანო.

ბეისაც ჰქონდა გაგონებული, „რაიები“ *) რაღასაც აპი-რობენო, მაგრამ ყური არ ათხოვა, ბავშვობენო, და სულ-გრძელად შეხედა ყველაფერს, როგორც ოსმალეთის იმ დრო-ინდელი უფროსები შვრებოდნენ ხოლმე. ამიტომ, როცა სტეფანოვმა ყველაფერი უამბო, მოსალოდნელ ხიფათის სიღი-დემ გულისხმაში ჩააგდო. მრისხანედ მიუბრუნდა სამანოვს და უთხრა:

— პეტრიაკი-ეფენდი, მე და შენ ნარდსა ვთამაშობთ და ჩვენს ახლო კი კვამლი აღის თურმე!

— სულ რამდენიმე დღეა, რაც აქ მოვედი, მაგრამ ყვე-ლაფერი ვიცი, თვით კირიაკზე მეტიც ვიცი,—უპასუხა სამა-ნოვმა.

— თუ იცი, რატომ არას მეუბნები?... მეფეს განა ასე უნდა ემსახურო!—წამოიძახა ფრიად განაწყინებულმა ბეიმ.—სტეფანოვი უფრო ერთგული ყოფილა მეფის ტახტისა.

— ეს ჩემი ვალი გახლავთ, ბატონი ბეი,—გამოეხმაურა სტეფანოვი.

სამანოვს ოფლი წამოასკდა შუბლზე. მერე გაჯავრებით უთხრა:

— აქ ერთია და სხვა ადგილებში ასჯერ მეტია... აქ მხო-ლოდ ბეწეს ასდის კომლი, პანაგიურიშჩასთან კი მთელს ზვინს ეკიდება ცეცხლი, და კი ნუ გგონიათ, მეფის მთავრობა ყრუ იყოს და ვერასა ჰედავდეს!... მთავრობა მშვენივრადა ჰედავს კვამლს და ელოდება... საბუთიცა აქვს ლოდინისა. შეცდომა იქნება ჩვენის მხრით, პირველად ჩვენ ავტეხოთ ყვირილი და ტყუილა-უბრალოდ საქმე გავიფუჭოთ. ბელაია-ცერკოვში რა არის! აქ მხოლოდ აჩრდილია იმ კვამლისა, რომელიც სხვა-გან ცასა სწვდება... ჩემი აზრი ის არის—ნუ ავჩერდებით და გულ-დასმით ვუთვალთვალოთ...

სამანოვის ნათევამი ბეის ჭკუაში დაუჯდა, ამიტომ რომ საზოგადოდ დავიდარაბის თავი არა ჰქონდა და რამე პასუხსა-გებელ საქმის ღროს შიშით თავტანსა ჰკარგავდა ხოლმე.

*) რაია—დამონებული ოსმალთაგან.



სტეფანევმა ბეის შიში შეატყო და გული მოუვიდა. მიხვდა, რომ ამ ცბიერულის სიტყვებით თავის დაუდევრობის გამართლება უნდა.

— პეტრარკი-ეფენდის აქ არც სახლი აქვს, არც კარი, არცარა ცოლ-შვილი უტირის, იმას რა ენაღვლება, — სთქვა სტეფანოვა ბრაზით. — ხვალ რომ ცეცხლმა კიდეც იფეთქოს, თვითონ არასა ჰყარგავს.

— შემცდარი ბრძანდებით, ბატონო! — წამოიძახა სამანოე-
მა მრისხანელ და სახეზე ნაცრის ფერი გადაედო.

— მართალი ხარ, კირიაკ, ეს წუწყის შვილები ხვალვა უნდა დავიჭირო და გაეგაწრო! — წამოიძახა ბეიქ.

სტეფანი ძლევა-მოსილის სახით იყურებოდა.

— რომ დავფიქრდი, კირიაკის აზრი მეც მომეწონა... ეს სალახანები ყველანი უნდა დავიჭიროთ! — სთქვა სამანოვმა ცოტა ხნის უკან და სახე ბრაზისაგან ერთბაშად აენთო.

— მაშ ყველანი თანახმანი ვართ? — სთქვა ბეიმ და თავი-
სუფლად ამოისწოთქა.

— დღეს სალამოსვე შევბოჭოთ ეს ვირები! — სთქვა სამანოება.

— სად იკრიბებიან ხოლმე? — ჰყითხა ბეიმ.

— მიჩია ბეიზალეტთან.

— ბეიზადეტკან? ჰო, ახლა კი მესმის. ვინც რუსობაში რუსს გადაჭარბებს, ის კაცი სულთნის მეგობრად ვეღარ გამოდგება... მაში ის არის მათი მეთაური?

— არა, ექიმი, სოკოლოვია, — უპასუხა სტეფანეგვა.

— ისევ სოკოლოვი გაერია? მაშ კონსულის მაგივრად ახლა ის არის?

— დიალ, ბატონი ბეი, მაგრამ კონსულის მოქმედება სო-
კოლოვის მოქმედებასთან მონაგონია:

— სხვანი ვინ არიან?

— სამსახურიდან დათხოვნილი მასწავლებლები და რამდენიმე მაწანწალა.

— მე მათი სახელებიც კი ვიცი, — სიტყვა ჩაურთო სამანოვმა, — ვიცი, სად უწყვიათ თოფები და ან პანაგიურიშჩაში ვისთანა აქვთ მიწერ-მოწერა. ამათ თავის ფოსტაცი კი აქვთ გამართული... მაგრამ ეს რა არის! ამ ვაჟბატონებს თავიანთი მთავრობაცა ჰყავთ, რომელსაც ემორჩილებიან, რომელიც დამნაშავეთ ასამართლებს და სასიკვდილოდაცა სჯის. მე ახლა სულ სხვა აზრს დავადეგი: სჯობს პირველად ჩვენ გამოვიჩინოთ თავი და სხვა უფროსებს ჩვენ ვუჩვენოთ მაგალითი. მხოლოდ საჭიროა, ფრთხილად შევუდგეთ საქმეს. ამ საღამოს მე თვითონ გავუჩრედეკავ ჯიბეებს და პირველს ჩვენებას მე ჩამოვართმევ, მერე კი თქვენ იცით, როგორც საჭიროდ დაინახოთ, ისე მოიქეცით.

სამანოვს უარესად მოელრუბლა სახე. მისმა სიტყვებმა უარესად დააფიქრა ბეი. სამანოვის შესახებ თავისი აზრი ერთბაშად გამოიცვალა, თავის გულში სთქვა — სწორედ ჭკვიანი და შორს მჭვრეტი მსახურია სულთნის ტანტისათ.

— დიდად იქნები დაჯილდოვებული, პეტრაკი ეფენდი, — უთხრა ბეიმ მწყალობელის კაცის კილოთი.

თვით სტეფანესაც საშინლად გაუკვირდა; ამ კაცმა საიდან გაიგო ამდენი რამე სარევოლიუციო კომიტეტის მზადების შესახებო! შესვდა, სამანოვს საოცრად უნდა თავისი გულ-მოდგინება გამოიჩინოს და მთავრობის წყალობა დაიმსახუროს და კიდეც იმიტომ აცხადებს აშკარად — ამ საშიშ საქმეს მე მოვკიდებ ხელსათ. სტეფანესაც ამის მეტი არა უნდოდა-რა, ახლაც იმასა ნატრობდა — როგორმე განზე დავრჩე და რევოლიუციონერები მტრად არ გადავიკიდოვთ.

ბეიმ საათს დახედა.

— ახლა იქ არიან? — იკითხა ბეიმ.

— დიალ, სარდაფში გახლავან. თუ კარგი დარია, ჩვეულებრივ, ბალში იყრიან ხოლმე თავსა... იქ არაყს სცეცხლავენ და აჯანყების თათბირი აქვთ ხოლმე.

— ახლა როგორ უნდა მოიქცეთ?



— ყოველთვის ბინდის ხანს იციან ხოლმე მიჩოს საზღვრანი დან გამოსვლა. გამოსვლას რომ დაიწყებენ, პოლიციელები უნდა შემოვარტყათ გარშემო და ყველანი კონაკში მოვიყვანოთ.— სთქვა სტეფანიევმა.

— არა, ასე არა სჯობს,— უთხრა სამანოვმა; — დაჭერით კი დაიჭერთ, მაგრამ გასამტყუნებელი საბუთი არ გექმნებათ ხელში და ისინი კი ყველაფერზე უარს იტყვიან. ამიტომ ისე უნდა ვქმნათ, რომ მიჩოსთან დავიჭიროთ ყველანი, ოთახში, დანაშაულის ჩადენის დროს. თავს იმ დროს უნდა დავესხათ, როცა წინ ექმნებათ გაშლილი წიგნები, ოქმები და სხვა საბუთის ქალალდები... ასე აჯობებს, ბევრი შრომა და დავიდარაბა არ დაგვჭირდება... მაშინ ვერ იტყვიან: „არ ვიცი“, „არ გამიგონია“, არ მინახავს“.

ეს რჩევა ბეის ჭიუაში დაუჯდა. სტეფანიევსაც ძალიან მოეწონა ასეთი გეგმა მოქმედებისა. ჯაშუში მათს თვალში აღმაღლდა, თავისი ღირსება და ნიჭი სავსებით გამოიჩინა. სამანოვმა ერთგულობის თანაბარი მიხედრილობაც გამოიჩინა.

— მხოლოდ, ყოველივე ეს ბინდისას უნდა ვქმნათ: სიბნელე ასეთის საქმისათვის აუცილებლად საჭიროა.

— საქმე გადაწყვეტილია,— სთქვა დიდის ამბოთ ბეიმ და ტაში შემოჰკრა.

შემოვიდა პოლიციელი.

— ონბაში აქ არის?

— შერიფ-აღა მალე გიახლებათ! — მოახსენა პოლიციელმა.

— რაწამს დაბრუნდეს, ჩემთან შემოვიდეს! — უბრძანა ბეიმ.

პოლიციელი გავიდა.

— ამ, კინაღამ არ დამავიწყდა,— უთხრა სტეფანიევმა სამანოვს. ჯაშუში წარბ-შეკრული იდგა, დაფიქრებული, შებლი ღრმად დაპირისებოდა.

ეს უთხრა და ჯიბიდან წერილი ამოიღო და გახსნა.

— რა არის? — ჰკითხა სამანოვმა და თავის ფიქრებისაგან ერთბაშად გამოერკვა.

— სოკოლოვის წერილია, პანაგიურიშჩაში გასაგზავნად დამზადებული.

— მართლა!

— ალბად წამლებს გაჰვარდა... დღეს ვნახე ჩემის სიმამრის სახლს ახლო.

— შიგ რა სწერია? — ჰკითხა აჩქარებულიად სამანოვმა და წერილი გამოართვა.

— წერილის ნამდვილის შინაარსის გავება მარტო იმას შეუძლია, ვისთანაც მიწერილია, ვიღაც ლუკა ნეიჩევს ეგზავნება, ეს კი უბრალო კაცია, პანაგიურიშჩაში მეწალედ არის, აქ ყოველ კვირა გაივლის ხოლმე კარლოვოს ბაზრობაზე მიმავალი. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს წერილი სხვას ეგზავნება, ჩემის აზრით — პანაგიურიშჩის კომიტეტს.

— ეს რა ქალალდა? — იკითხა ცნობის-მოყვარეობით ბეიმ, რადგან ორივე ბოლგარულიად ლაპარაკობდნენ.

სტეფანევმა აუქსნა, რაც ამბავი იყო.

— წაიკითხე, წაიკითხე, ვნახოთ, რა არის, — სთქვა ბეიმ და მოსასმენად მოემზადა.

სტეფანევმა შემდეგი წაიკითხა:

„ბაი ლუკა!

„იმედი მაქვს, რომ კარგადა ხართ და ოქვენი ცოლი ეხლა არ ავადმყოფობს, მე რომ აბები გამოვუწერე, კიდევ აყლაპე. ოქვენი ვაჭრობა როგორ მიდის? ეს ორი კვირაა, აქ არ მინახვიხარ; ავად ხომ არა ხარ? როცა ჩვენსკენ წამოხვიდე, იანაკოვის აფთექაში ორის ფრანკის ბეჭადონა მიყიდე და წამომიღე, მე სულ გამომელია.

„შენიანები მომიკითხე.

სოკოლოვი“.

— სწორედ ქარაგმით უნდა იყოს ეს წერილი დაწერილი, — სთქვა სამანოვმა.

— ეხლა ოსმალურად გადამითარგმნე, — უბრანა ბეიმ.

— თუ გინდა, შიგ ბევრიცა სწერია და ცოტაცა, საქმე ის, არის,—როგორ გაიგებ,—უთხრა სტეფანემა ბეის და წერილის თარგმნა დაიწყო.

— გაჩერდი, —უთხრა დაწყებისათანავე ბეიმ, აქ „აბების“ მაგივრად „ტყვიები“ უნდა ვიგულისხმოთ!

— შეიძლება „ტყვიებიც“ იყოს, —უთხრა სამანოემა.

— ბეიმ პირიდან თუთუნის კვამლი გამოუშვა და ამაყურის და კმაყოფილის სახით ისევ ყური დაუგდო.

სტეფანემა განაგრძო.

— გაჩერდი, — შეაყენა ხელ-ახლა ბეიმ, — რაო, ვაჭრობის შესახებ ეკითხება? მივხვდი, ეტყობა, ეკითხება, რამდენად ხართ მომზადებულნიო? არც მაგრე ხეპრენი ვართ, რომ ეშმაკობას ვეღარ მივუხვდეთ!

ესა სთქვა ბეიმ და მრავალ-მნიშვნელოვანის სახით ოვალი უქნა სამანოვს, ვითომ რა და: უნუ მიყურებ, რომ ხიუსნი-ბეი მოვხუცდი, მაინც დიდის გამოცდილების კაცი ვარ, ისე იღვილად ვერ გამაცურებ“.

სტეფანემა თარგმნა განაგრძო. როცა იმ ადგილამდე ჩავიდა, სადაც ეწერა: „ავად ხომ არა ხარ?“, ბეიმ ხელ-ახლა გააჩერა სტეფანე, და სამანოვს დაეკითხა:

— პეტრაკი-ეფენდი, აქ სიმრთელის ამბავს ეკითხება, რაღაც ბუნდად არის. ეს სიტყვები შენ როგორ გესმის?

— ჩემის აზრით, კარგადმყოფობის აღაგის ავადმყოფობა უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ავადმყოფობის მაგივრად — კარგად-მყოფობა, — უპასუხა ამაყად ჯაშუშმა.

ბეი დაფიქრდა. თავი ისე მოაჩვენა, ვითომ სამანოეის პასუხი საესებით გავიგეო.

— ეხლა ყველაფერს მივხვდი, — სთქვა მან მეღიღურად.

— როცა კირიაკმა ხელ-ახლა დაიწყო კითხვა და იმ ადგილამდე ჩავიდა, სადაც „ბელადონა“ ეწერა, ბეიმ სიტყვა გააწყვეტინა და სიხარულით წამოიძახა:

— ახლა კი სულ თავ-ფეხინად შეუტოპნიათ: დებელა ბონა, იმასაც იმათი მხარე სჭერია!... რამდენჯერაც არ დაი-

ნახე ეს ძროხა დედაკაცი, ყოველთვის ის გაეიფიქრე: ამ დრა-
აცს ეშმაკი უზის მუცელში და ჩვენი სულთანის საჭინააღმდე-
გო რასმე ფიქრობს-მეთქი.

ბეი სამოც და ხუთის წლის დედაკაცის შესახებ ამბობდა,
რომელიც არც მწუხარს აცდენდა ხოლმე და არც ცისკარსა, და
ყოველთვის, როცა ეკულესიაში მიღიოდა, კონაკის გვერდით
ჩაივლიდა ხოლმე.

სტეფანემა და სამანოვმა ჩაიცინეს. ბეის აუქსნეს, რომ
ბელადონა ერთი მცენარეა, რომელსაც წამლად ხმარობენ და
სოკოლოვი ამის შესახებ სწერსო.

— განაგრძე, განაგრძე,—უთხრა დარცხვენილმა ბეიმ.

სტეფანემა განაგრძო:

— „შენიანები მომიკითხე. სოკოლოვი“. გავათავე.

ბეიმ წამოიყვირა:

— შენიანები მომიკითხე!.... ამას რა ლარი და ხაზი უნ-
და!... ერთის სიტყვით, ამ წერილში თავიდან ბოლომდე კო-
მიტეტის შესახებ არის ლაპარაკი.

— მაგრამ გზა-კვალს მაინც ვერ გაუგებს კაცი ამ წერილს,
—უთხრა სტეფანემა უკმაყოფილო კილოთი.

— ბუნდადა ყველაფერი, —დასძინა სამანოვმა.

— რაც ბუნდია, ბუნდია, —კვერი დაპკრა ბეიმ, —მაგრამ
რაც ჩეენ ვერ გავიგეთ, თვითონ ექიმი აგვიხსნის.

— არა, კარგია, წინდაწინვე ვიცოდეთ ამ წერილის ნამ-
დვილი შინაარსი, —სთქვა სამანოვმა და ძალზე დაკვირდა წე-
რილსა. —მე მომეცი, საიდუმლოებას მე ავხსნი, მეიმბოხეთა
წერილების კითხვა მე ვიცი... —ეს უთხრა და წერილი უბეში
ჩაიდო.

— ყოჩალ, ჰეტრაკი-ეფენდი!

სტეფანემა გამოემშვიდობა.

— მაშ ასე იხამ, ხომ? —ჰკითხა სამანოვს.

— ამავ საღამოსვე ყველაფერი უნდა გადაწყდეს... —კვე-
რი დაპკრა ბეიმ. —ახლა წადი და დაიძინე, იურდანე ჩორბაჯი
მომიკითხე.



სტეფანივი ბედნიერებისაგან სახე გაბრწყინებული გამოიციდა ბეის სახლიდან. კონაკის ჭიშკართან სამანოვიც დაეწია.

— ამ საღამოს არსად წახვალ, განა? პოლიციელებს შენ უნდა უწინამძღვრო მათს დაჭერაში,—უთხრა სტეფანივმა.

— არხეინად იყავ, აკი გითხარ, ყველაფერ დავიდარაბას მე ვკისრულობ-მეთქი,—უპასუხა ჯაშუშმა; — კირიაკ, დილამდე ერთი ლირა *) მასესხე, მჭირია, — დაუმატა სამანოვმა სწრაფად.

სტეფანივმა ერთბაშად კოპები შეიკრა და ხელი ჟილეტის ჯიბეში ჩაიყო.

— იი, ორი მანეთი გამომართვი, მეტი არა მაქვს.

— სამანოვმა ფული გამოართვა და მერე ჩუმად უთხრა:

— მოიტა, მოიტა კიდევ, თორემ ერთს სიტყვას ვუჩურ-ჩულებ, მეტს კი არა, სტრანჯევს, თუ რა ორმოს უთხრი, აბა მაშინ გადაგაყლაპებენ მშვენიერ აბსა! — ეს უთხრა და გაიცინა, ვითომ ეგ მუქარა მართალი კი არ გეგონოს, გეხუმრებიო.

სტეფანივმა შეშინებულის სახით შეპხედა.

— სამანოვ, ყური დამიგდე, თუ ხეალ დილას შევიტყვე, რომ სოკოლოვი და მისი ამხანაგები სატუსალოში სხედანო, ათს ლირას მოგცემ! — უთხრა დიდის ამბით სტეფანივმა.

— კარგი, ბატონი ხარ! მხოლოდ რამდენიმე წვრილი ფული საჭმელისათვის მომეცი, ამ მანეთიანებს დღესვე ნუ დამახურდავებინებ... მადლობელი ვარ ფულისათვის, აბა ახლა კი მშვიდობით! — ეს უთხრა და პეტრაკიმ მეორე ქუჩაზე გადაუხვია. პირდაპირ იმ სამიკიტნოსაკენ გასწია, სადაცა სცხოვრობდა. გზაზე მღვდელი სტავრი შემოხვდა სამანოვს და გააჩერა.

— გვაკურთხე, მამაო! — და ხელზე ემთხვია. — როგორა ბრძანდებით? ხომ კარგი შემოსავალი გაქვთ? მრევლს ხომ არ ემდურით: ახლა უფრო იბადებიან, თუ კვდებიან?

— ყველაზე მეტად ქორწილები იმართება! — უთხრა ძალატანებულის ღიმილით მღვდელმა, რომელსაც სამანოვისა, ცოტა არ იყოს, შეშინდა, — რას ჩამაცივდა ეს წყეულიო!

*) ლირა ხუთ მანეთსა და თხუთმეტ შაურს უდრის.

წასვლა მოინდომა, მაგრამ სამანოვმა ხელი მოჰკიდა და ჩვალი თეალში გაუყარა.

— საქორწილო დროც არის, მამაო, იმიტომ რომ დღეს თუ ხეალ მეორედ მოსვლა იქნება.—ეს უთხრა და მრავალ-მნიშვნელოვანის სახით თვალი უყო მღვდელს; მერე ერთბა-შად სხვაზე გადავიდა:—მამაო, ცოტა წერილი ფული ხომ არა გაქვს, ხეალამდე მასესხე.

მღვდელს სახე დაემანჭა.

— მღვდელს ფული არა აქვს, და ლოცვა-კურთხევა კი რამდენიც გინდა!...

ამ ხუმრობის შემდეგ ხელ-ახლა მოინდომა ხელიდან გასხლეტოდა.

სამანოვმა მრისხანედ შეხედა და ჩუმად უთხრა:

— გეუბნები, ეხლავე ორმოც და თო გროში მომეცი-მეთქი, ხომ იცი, შენი შვილი განჩინ—კომიტეტის მდიგანია... საკრძოა, ერთი კრინტი დაესძრა და თქვენს საქმესაც წესი აე-გება.

მღვდელს ფერი წაუვიდა. ჯიბიდან ფული ამოილო, ხელ-ში ჩაუდო ჯაშუშსა და გამოემშვიდობა.

— მშვიდობით, მამაო, ლოცვათა შინა შენთა მოგვიხსე-ნიებდე ხოლმე.

— შეგაჩვენოს მაკურთხებელმა ჩემმა!—წაიბუტბუტა მღვ-დელმა და მოშორდა.

წვიმამ უფრო მოულხინა.

— ბიჭო, ნიჩბით ცოტა ნაკვერჩხლები მოიტანე და ამ მაყალში ჩაყარე, — უთხრა სამანოვმა მედუქნის ბიჭს, როცა თავისს ოთახში შევიდა.

ბიჭმა გაკვირვებით შეხედა,—ეს რა კაცია, რომ ასეთს დროს ცეცხლი მოითხოვაო?

— არ გესმის, ცეცხლი მომიტანე-მეთქი? — განუმეორა ბრძანებითის კილოთი ჯაშუშმა და დასველებული სერთუკი გაიხადა.



ბიჭმა რამდენიმე გაღვივებული ნაკვერჩხალი მოიტანა, მერე ტახტის ქვეშიდან მაყალი გამოათრია და შიგ ჩაყარა.

— ახლა გადი! — უთხრა სამანოვმა და კარები მიხურა.

მაშინ უბიდან, სტეფანვს რომ გამოართვა ის წერილი გამოილო და დაუწერავი გვერდი ცეცხლზე დაიჭირა. ქალალ-დი რომ გახურდა, სამანოვმა გაასწორა, დახედა და სახეზე სიხარული და ცნობის-მოყვარეობა გამოეხატა: აქამდე რომ სუფთა იყო ქალალდი. ახლა მუჭის ფერი სტრიქონები წა-მოასხდა. სარევოლიუციო კომიტეტები თავიანთს წერილებს სიმპატიურ მელნითა სწერდნენ ხოლმე და ანბანები მაშინ-და გამოაჩნდებოდა, როცა წერილებს ცეცხლზე გაახურებ-დნენ. ჩვეულებრივ მეორე გვეროზე უბრალო და უმნიშვ-ნელო რამესა სწერდნენ, რომ ამით მთავრობისათვის თვალები აეხვიათ, თუ ვინიცობაა, ასეთი წერილები ხელში ჩაუვარდე-ბოდა. სამწუხაროდ, საიდუმლოება თუ ერთმა იცის, მაშინ გა-უმჯდანებელი ვერ დარჩება; გამოქნილმა სამანოვმაც მალე გა-იგო ეს საიდუმლოება კომიტეტისა.

იმ წერილში, რომელსაც თავმჯდომარის მოადგილე სო-კოლოვი აწერდა ხელს, აწერილი იყო ბელაია-ცერკოვში არ-სებულ კომიტეტის მოქმედებათა გეგმა.

როცა გულდასმით წიგითხა ეს საბედისწერო წერილი სა-მანოვმა, სახეზე რაღაც უსაზღვრო და გაუგებარი ღიმილი შეუ-თამაშდა. ამითიდან ფანქარი და რაღაც დანიშნა წერილის წმინ-და ადგილზე, თავმჯდომარის მონაწერის ქვეშ.

ამის შემდეგ, სამანოვი საჩქაროდ გამოვიდა დუქნიდან და ხტუნვით კონაკისაკენ გაემართა.

VI

ჭადას გული

სტეფანვი სიმამრის სახლიდან გამოვიდა თუ არა, უკან ცოლიც დაედევნა.

დილას რომ დაიწყო ფეტვის მარცვლა წვიმამ, ჯერაც ამ შეუწყვეტია დენა, ეტყობოდა, საღამომდე არ შეწყდებოდა, ამიტომ, რომ კა სქელის ლრუბლებით იყო დახუნზლული.

ლალკას ხელში ქოლგა დაეჭირა და ფეხ-აჩქარებით მი-დიოდა. ისე იყო თავ-ტან-დაკარგული და შეწუხებული, რომ ნაცნობებისათვის მაგიერი თავი არც კი დაუკრავს, იმა-საც ვერ ამჩნევდა, რომ ქარისხან ცერად მომავალი წვიმა მოლად ასველებდა. როგორც იყო, მიატანა იმ მოედანს, სადაც ეყკლესია იდგა. აქედან შეეძლო ქალების მონასტერში შესუ-ლიყო. მხოლოდ აქ შეაფარა თავი ფარდულს და გაოცებულ-მა თავისს თავსა ჰქითხა, აქ რამ მომიყვანაო! იცოდა, რომ სოკო-ლოვის დასახსნელად მოვადა; დიდხანს კი არ უფიქრინია ამ საგ-ნის შესახებ, თვითონაც კი არ იცოდა, როგორ ეხსნა, მხოლოდ რაღაც იდუმალი ხმა აქეზებდა, წადი, იხსენი კაცი უეჭველის განსაცდელისაგანაო. მხოლოდ ახლა გამოერკვა ცოტათი, შე-კრთა და დაფიქრდა, როგორ მოვიქცე, გაჭირვებულს რა გზით ვუშველოვო. მიჰევდა, რომ ძნელი საქმე იკისრა. იცოდა, რომ სტეფანვი ახლა ბეისთან ზის და ეუბნება, სოკოლოვი დაიჭი-რეო. ისიც იცოდა, რომ სოკოლოვი კი ახლა მიჩო ბეიზადე-ტის სახლში კრებაზე არისო, მაგრამ საქმე ის არის, როგორ გავაფრთხილო, თავს უშველონო? იფიქრა, მიჩოს ცოლთან რომ სტუმრად მივიდე, უხერხულია, სირცხვილია, თითქმის უგუნუ-რობააო. ჯერ ერთი, იტყვიან, ამ წვიმაში რა ესტუმრებო-დაო, გარდა ამისა, თვით მიჩოს ცოლიც არც მაგრე დაახლო-ვებული მეკობარია ჩემიო, ესეც რომ არ იყოს, ჩემდა საუბე-დუროდ, მიჩო და მამა-ჩემი ერთმანეთს ხმას არა სცემნო. არა, იმასთან შესვლა მეტის-მეტი თავის დამცირება და საფრთხილო რამ არისო. მერე, მიჩოს ცოლს როგორ ვუთხრა, რომ მე, სტეფანვის ცოლს, საშინლად მებრალება სოკოლოვი, ეს ახალ-გაზდა და სიმპატიური, მაგრამ ცოტათი მსუბუქის ჭკუის ყმა-წვილი კაცი და იმის ხსნისათვის ყოველი სირცხვილ-ნამუსი დავივიწყე!... გარდა ამისა, ჩემს ქმარს ხომ თავს მოვჭრი ჩემის ქცევით, ქვეყნის წინაშე ხომ მოღალატედ გამოვიყვან?... იმი-



ტომ რომ, მე კიდეც რომ დავმალო ჩემის ქმრის სახელი, ყველანი მიჰედებიან, სტეფწოვს გაუცია ყმაწვილები და იმისი ცოლი მათს საშველად მოვიდაო. ისედაც დაინახავდნენ, რომ ის დღეს კონაკში იყო. ღმერთო ჩემო, რადა მყავს ასეთი უხეირო ქმარი?... ყველა ამ აზრებმა ელვასავით გაურბინა თავში ლალკას. არა, ეს საშინელება რამაა, საშინელებაა, შეუძლებელია....

Ապ Տորո մոռեսնա და յոյզեսքորշլո წვიմա დაუშვა. լառ-
კա ფաრდულ ქექ՛ იდგა, հասագործեბულուցոտ, ღოնք մօնքութիւն და
ցան-დաշարցუլո. Երբա, ցոնմეթ մասն ց გաօարռա, რომ ցազի՞ն-
նոցո. մաշրամ յշի՞ დապարոյլցեბუլո ոցո. წվիմաթ շոյրո და-
շանունա. մարտալու, թթիրալո առաջքերո Շերիկենօ, մաշրամ լմերու
մագլուղձասա և լուրացճա წվիմուսատვուս, — օմեդո Ֆյոնճա, ասցու
շազդարժո პոլուցոյլցեմ Քասյը დայի՞ներեատ, ցորտա ըրո ցո-
լցա ցազլուս და Շերմլցեմ մոցավ լուր մատո ցագրութեօլցիառ.

ერთბაშად სასიხარულო აზრმა გაუტენინა თავში.

— მართლა, ჩემს მამიდასთან წავალ, ნეტკოვიჩის ცოლ-
თან,—უთხრა თავის თავს ლალკამ,—მის შვილს ტაშკას გავ-
გზავნი სოკოლოვის გასაფრთხილებლად.

მართლაც, თავის მამიდასთვის, რომელიც იქავ ახლო სკხოვრობდა, ლალკას შეეძლო ყველაფერი უშიშრად ეთქვა, როგორც თავისიანისათვის და მისის შეილის პირით სოკოლოვისათვის ყველაფერი შეეთვალა.

ფარდულს თავი დაანება და გულადად დაადგა გზას, — წვი-
მამა და საშინელმა ტალახმა წარბიც ვერ შეახრევინა. წვიმისა-
გან ნაკადული გაჩენილიყო, წყალმა კოჭებამდე შემოასხა,
მაგრამ მაინც გავიდა. წვიმამა და ქარმა ძალა დაატანა, მაგრამ
მოედნის გზას მტკიცებ ადგა.

ბოლოს, მთლად გაწუწული, თავის მამიდასთან მივიდა. მა-
მიდა აიგანზე შემოხვდა და მეტად გაუკვირდა, ამ წეიძაში რამ
გამოგაგდო გარედაო!

— ვუიმე, როგორ დასველებულხარ, ქა! ამ წევიძაში რა
გასაჭირო გადგა? კაბა გაიხადე, მთლად გასაწური გამხდარხარ! —
წუწუნებდა შამილა.

— მამიდო, თქვენი ტაშუა შინა გყავთ?

— დილას რომ გავაჩდა სახლიდან, მას აქეთ თვალით არ მინახავს... განა არ იცი, რა ანცი რამა მყავს? რად გინდა?

— ნახვამდის, მამიდო,—უთხრა ლალკამ და ისევ ქოლგას დაავლო ხელი. გონ-დაკარგულსა ჰგავდა ამ დროს სტეფანის ცოლი.

— სიდ მიდიხარ, სად?—გაიკვირვა მამიდამ.

მაგრამ ლალკა ქუჩაში გაიჭრა.

მის ბედზე, წვიმამ ერთბაშად გადილო. ღრუბლები ერთს ალაგას გაწყდა და მზემ ისევ მხიარულად შემოსცინა ქვეყანას.

მხოლოდ წვრილი, თითქმის უჩინარი წყლის მტვერი ავსებდა მიყუჩებულს ჰაერს და მზეზე ისე ბრწყინავდა, როგორც დაუსრულებელი და სწორი ქსელი უშველებელის ობობასი. თვალ-წარმტაცი ცის სარტყელა ცას გადაერკალა და ერთი ბოლო ბალკანის ბნელს ხეობაში ჩარგო. ხეების კენწეროები ახლა უფრო ქორფად და მხიარულად გამოიყურებოდა და შრიალი გაჰქინდა; ღრუბლები საჩქაროზე იფანტებოდა და ლავვარდი ცა ძლევა-მოსილად დედა-მიწიზე ცაქრას იწყებდა. ქუჩებზე გამვლელ-გამომვლელნი გამოჩნდნენ. ლალკა ახლა უფრო გათამამდა, ღონე მოიკრიბა და გულზე ეფონა. ცის გამაბრაწყინებელმა ციხარტყელამ გულს იმედი ჩაუსახა. გულის ფანცქალით აცქერდებოდა ყველას, ვინც შეხვდებოდა, იქნება, ნაცნობი ვინმერა და მოვიშველიოვო.

მოულოდნელად უსინათლო კაცი მოაგონდა, რომლის თავიანწირულებამაც ოგნიანოვი ამნაირისავე გასაჭირისაგან იხსნა.

— ღმერთო, ერთი კოლჩო მაჩვენე, შენის სახელის კირიმე!—სთხოვა ღმერთს ლალკამ და მიიხედ-მოიხედა,—ხომ აქ არა დგასო.

შემთხვევა, რომელიც ჩვენს ბედს ხშირად ათასგვარად ათამაშებს ხოლმე, ლალკას ამ ქამად მშველელად აღმოუჩნდა: ორმოც და ათის ნაბიჯის მანძილზე უსინათლო კოლჩო დაი-

ნახა. ფრთხილად და ფათურით მიაბიჯებდა წინ ფეხს, ცალს ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეში — ჯერ ისევ გაშლილი ქოლგა.

სიხარულისაგან ცათა ფრენა შეუდგა ლალკას, მოუხვია და უსინათლოს გამოუდგა. კოლჩი ბეიზადეტის სახლისკენ მიმავალ ქუჩით მიღიონდა; ალბად, კოლჩიც იქ მიღის, იფიქრა ლალკამ, რომელსაც რადასაგან ჰქონდა გაგონილი, კოლჩი ყოველს კრებას ესწრებაო. ჩეარის ნაბიჯით გამოუდგა ქალი, თითქმის მირბოდა. ოვალებით მარტო კოლჩის შავს გახუნებულს სერთუქს და გაშლილს ქოლგას ჩაცივდა. სხვას ვერავის ამჩნევდა; შემოხვედა ბრზობეგუნიოკი და მარცხენა ხელით სალამი მისცა (ლალკა და ბრზობეგუნიოკი მეზობლები იყვნენ), შემოჰვედა ჰაჯი სმიონი, რომელმაც რაღაც მიაძახა, მაგრამ ლალკას ვერც ერთი ვერ შეუმჩნევია; სტეფჩოვიც რომ შემოხვედროდა, იმასაც ვერ გაარჩევდა. ორის წუთის შემდეგ ლალკა ორს ნაბიჯზე დაუახლოედა უსინათლოს. კოლჩი ვულნებიერად მიღიოდა და, როგორც საზოგადოდ უსინათლოთ იციან ხოლმე, ოცნებობდა. როცა ქალი დაუმხარდამხარდა, იქთავეთ მიიხედა, — ვინმე საშიში კაცი ხომ არავინ არისო, და ჩუმად დაუძახა:

— კოლჩი! კოლჩი!

მაგრამ მღელვარებისაგან ხმა ტუჩებზედვე გაეყინა და თვითონაც არ გაუგონია ძახილი.

კოლჩიმ მოუხვია და მეწალე ივანე დუდის დუქანში შევიდა. კოლჩი ისე სწრაფად და მოულოდნელად დაიმალა, რომ ლალკას მოეხვენა, რაღაც უჩინარმა ძალამ უკმეხად ხელი ჰქირა და დუქნის კარებში შეაგდოვო.

ლალკა ისევ მარტოდ დარჩა. მარტოდ დარჩა ამ ხალხით სავსე და ახმიანებულ ქუჩაზე, რომელიც დაცარიელებულად და უდაბურად ეჩვენა! ამ უდაბურ ალაგას ლალკამ მხოლოდ ერთი შავი წერტილი შენიშნა: პოლიციელი იყო, მხარზე თოვ გადადებული. ლალკას ეჩვენა, რომ ხუთი, ათი, ოცი, მთელი ჯარი დგას პოლიციელთაო... გარშემო ყველაფერი ტრიალებ-

და, აზრები აერივ-დაერივა, კი ვერა ჰგრძნობდა, ეძინა თუ ელევა-
ძა უგონოდ განაგრძო გზა.

ლალკას არ ახსოვდა, რომელ და რომელ ქუჩებზე გაია-
რა, არც ის ახსოვდა, როდის და როგორ გაჩნდა თავის სახლ-
თან. მთელს ტანზე ცეცხლი ეკიდებოდა: თავ-ბრუ ესხმოდა,
მთელი სხეული მოედუნა და მოელეშა. გული საშინლად
ერეოდა, სისუსტემ აიტანა და ოთახში შევიდა თუ არა, მოცე-
ლილივით ლოგინზე დაეცა უგონოდ.

ლალკას საშინელი ანთება გამოაჩნდა.

VII

განახლებული ქომიტეტი

ამ ხელად, წევიმის მიზეზით, კრება ვაშლის ამწვანებულ
ხეებისა და მშვენიერ მაღალ ფიჭვების ქვეშ არ იყო, არამედ
სარდაფში.

სტეფანოვის გამოგზავნილმა კაცმა ყველაფერი კარგად და-
ზვერა.

კომიტეტის წევრნი ათამდე იყვნენ და დაბალს სკამებზე
ისხდნენ. მათს შორის რამდენიმე ჩვენი ნაცნობიც ერია. პირ-
ველ ალაგის იჯდა სახლის პატრონი, იგივე თავმჯდომარე;
იმის იქით ისხდნენ სოკოლოვი, მლედელი დიმო, ფრანგოვი,
პოპოვი, ნიკოლა ნეტკოვიჩი, კანდოვი, რომელიც იმ დღეს
დიდის ტაშის კვრით იყო მიღებული წევრად, აგრეთვე ფრა-
ტიუ, რუმინიდან დაბრუნებული და ხელახლა დიდის ხვეწნისა
და სინანულის შემდეგ მიღებული, სხვა წევრები იყვნენ: ილია
სტრანჯოვი, შეწაღე, სატუსალოში ნამყოფი და უშიშარი კაცი,
ქრისტო ბრავოვი, ვაჭარი, დიმუ კაპირიზ, კოჭლი დაბალი,
დაუცხრომელი მოღალატე მთაერობისა, რომელსაც აგრეთვე
„რედაქტორს“ ეძახდნენ.

კომიტეტის წევრებს მხოლოდ ერთი კაცი აკლდა: პენქო
დიამანდიევი. პენქო კარლოვოში წავიდა, სადაც თოფები უნდა

ეყიდნა იმ ასის ლირით, რომელიც მამამ თორუნ-ბერის მისურებრივი გამოატანა.

დღე და ღამე იყრებოდა.

კრება შუა დღისას დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ, და, როგორც ეტყობოდა, კიდევ დიდ ხანს უნდა გავრეცელებულიყო. მჭერიმეტყველური ენა და აღზნებული ლაპარაკი კაბლეშკოვისა მაყურებლებსა ჰქიბლავდა. ორატორს მთელი ორი საათი უსმენდნენ სმენად გაკრეფილნი და სულ განაბულნი.

კაბლეშკოვი შეტად სიმპატიური და თავისებური წევრი იყო „მოციქულთა“ იმ დახისა, რომელმაც ხალხი 1876 წ. აპრილის თვის აჯანყებისათვის მოამზადა; ოცდა ექვსის წლისა იქნებოდა, შუა ტანისა, მეტად გამხდარი და სუსტი. უფერო იყო, შავვერემანის სახისა, პირი,—ის-ის იყო, ახლად ედერებოდა ულვაშებითა და ყურყუმას მსგავსი შავის თმის გრძელი კულულები წამ და უწუმ მაღალს, კვიიანურს შუბლზე ეშლებოდა და ისიც ხელით უკან გადაიწევდა ხოლმე. მხოლოდ ცეცხლის მფრქვევი შავი თვალები აცისკროენებდა და აკეთილშობილებდა მისს ციებ-ცხელებისაგან დალეულს და გამუღმებულის შრომით დატანჯულს სახეს. ამ თვალებში ხან პოეტის აღტაცება და ციური სიხარული ეხატებოდა, ხანაც წინასწარმეტყველის ზესთა შთაგონება. ვერავისი თვალები ვერ გაუძლებდა სიძლიერეს მისის თვალებისას, რომლებშიაც, როგორც სარკეში, ისე სჩანდა გაუტეხელი აღტყინებული და მშფოთვარე გული. ადამიანი ვერც კი იფიქრებდა, თუ ამ უძლურის და პატარა ტანის კაცს ასეთი კაუის გული ექმნებოდა.

ლურჯის მაუდის სერთუკი და შავი ძიქვა ეცვა; რაღან ცხენით ხშირად დადიოდა, ორივე ძალზე დასცვეთოდა. ახლაც შეუსვენებლივ იქით-აქეთ დადიოდა ოთახში და გატაცებით ლაპარაკობდა. მძლავრი ხველა-ღა უშლიდა ლაპარაკს.

— დიალ, თავი და თავი იმედი—ისევ ჩვენა ვართ. იმდენად ძლიერი ვართ, რომ ჩეენ თვითონ შეგვიძლია გავუმკლავ-დეთ გახრწილსა და დამპალს ოსმალეთს. ეს სახელმწიფო და-

სუსტებულია, ფული არა აქვს, ხალხი გაღარიბდა, მაგრამ ესეც კი განჩე გაუდგება, თუ რამე მოხდა, ამიტომ, რომ თვითონ ეს ხალხი კვნესის, მძიმე უდელი ჩვენსავით აწევს იმასაც კი-სერზე. ჯარი წესიერებას არ ემორჩილება და იმისი შიში სრულიად არ უნდა გვკონდეს. აი, თუნდა გერცოგოვინელთა აჯანყება აიღეთ.—ოსმალეთმა ათასობით გაგზავნა ჯარი აჯანყებულთა ასალაგნავად, მაგრამ აჯანყებულნი წარბს არ იხრიან, დაწყებულის საქმის შეჩერება ფიქრადაც არ მოსვლიათ, მერე არ იკითხავთ, ვინა შერება ამდენს საქმეს?—ერთი მუჭა ხალხი! თუ კი ეს ერთი მუჭა ხალხი ამას უშვრება ოსმალეთს, რა-ლა დღე უნდა დაადგეს ამ დაუძლურებულს და მოშლილს ქვე-ყანას, როცა ჩვენც წამოვყოფთ თავს? ხუმრობა ხომ არ არის, ერთს დღეს შევვიძლია 100,000 სული ფეხზე დავდგეთ! მაშინ ოსმალეთმა რომელს ერთს გასცეს პასუხი პირველიდ?..—გარდა ამისა, მარტო ჩვენ ხომ არა ვართ? ოსმალეთს დასავლე-თიდან სერბიელნი და ჩერნოვორელნი არწივნი უდგანან და ყოველ წამს თავზე დასასხმელად ემზადებიან; ზურგთ უკან —საბერძნეთი უდგას, არც ის დაიკრეფს გულზე ჩელებს... გერცოგოვინასა და ბოსნიაში ცეცხლი ჯერ ისევ ანთია, კრიტიც—ამავე მდგომარეობაშია... ამას ეხლა ისიც დასძი-ნეთ, რომ თვითონ სტამბოლში რევოლუცია არის; იქაური რევოლუციონერები ერთს ხაერთო არეულობას-ლა ელიან, რომ სულთანი აზიზი მაშინათვე ტახტიდან ჩამოაგდონ... ყვე-ლებან დომხალივითაა არეული ყველაფერი... ჩვენი აჯანყება ოსმალეთის იმპერიისათვის „სულთანა აღსრულებულთა“-ს საგალობელი იქნება!...

ჩამობნელებულ ოთახში კაბლეშკოვს თვალები ორ გა-ლვივებულ ნაკვერცხლებსავით ენთებოდა.

— შენ ერთი რამ დაგავიწყდა,—გამოეხმაურა მიჩო ბეიზა-დეტო,—რუსეთი! რუსეთი თავის ჯარს ჩრდილოეთიდან სტა-მბოლში გამოგზავნის და მაშინ უყურე სეირს! აბა მაშინ ასრუ-ლდება წინასწარმეტყველება.



მიჩო მარტინ ზადეკის წინასწარმეტყველებას გულის-ხმობ-
და,—ზადეკის ნათქვამი მეტის-მეტად სწამდა.

— აბა რომელ და რომელ აღვილის მცხოვრებნი იქნებიან აჯანყებისათვის მომზადებულნი? — ჰყითხა ფრანგოვა.

— მთელი ბოლგარეთი! — უპასუხა კაბლეშკოვმა. — ფილი-პოპოლი და ბაზარჯიკი ემზადებიან, როდობის სოფლები და ბა-ტაკი იღუმალად იარაღს ისხამენ; ტირნოვო, გაბროვო, შუმენი აღმოსავლეთის ბოლგარეთში ცეცხლს ააფეთქებენ; ხოლო და-სავლეთ ბოლგარეთში ჯარი არც კია.... კოპრივშჩენცისა, პა-ნაგიურიშჩისა და სტრელჩის მცხოვრებნი სრედნაია-გორის გა-სავალს გააკავებენ; თქვენა და თქვენი მეზობლები, ორისავ მხრით, ბალკანის მთებზე გამაგრდებით; ბალკანი კი — ისეთი ციხეა, რომელსაც მიღიონი ჯარიც ვერ აიღებს! მთელი ბოლ-გარეთი ერთს კაცსავით ფეხზე დადგება. მთელის ევროპის ის-ტორიაში ჩვენის აჯანყების მსგავსად საკვირველი არაფერი იქ-მნება! ევროპას გავაკვირვებთ!... მე თქვენ გარწმუნებთ, რომ თამალეთი ჩვენს დაწყნარებას არც კი მოიწოდომებს... პირდა-პირ მორიგებასა ვთხოვს და თავისს პირობებს დაგვიდებს.... სხვა გზა არ ექმნება...

კაბლეშვილი გატაცებით ლაპარაკოობდა. როგორც განვითარებული კაცი, კაბლეშვილი, აღმად, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მთელის საქმის ნამდვილი მდგომარეობა, მაგრამ განვებ სხეანაირად უსურაოებდა მაყურებლებს. თავისის იდეით ისე იყო გატაცებული, რომ ჰყიქრობდა, ოღონდ ჩემი გულის ნადები ავასრულო და არცერთი საშუალება საძრახისი და სათაკილო არ არისო. ამ კეთილშობილის გულის აღამიანს მეტის-მეტად სწამდი—უწმიდესს საქმეს ვემსახურებიო და მისის ამგვარის რწმენის გამო ყველა შეუნდობდა, ცოდეად არაეინ ჩაუთვლიდა მის ნებსით თუ უნებლივთ შეცდომას. ხოლო მისნი შეცდომანი ისეთის მჭევრმეტყველებით იყვნვნ წარმოთქმულნი, რომ წინააღმდეგს აზრს არავინ ეუბნებოდა. ყველასა სწამდა კაბლეშვილის ნათევამი.

— რა პირობები დაუდგათ ოსმალეთს, თუ ჩვენთან მორიგეობა გება მოინდომა? — ჰკითხა პოპოვმა.

— სანამ პირობას დავუდებდეთ, ვეცდებით ენა მოვაწვათ, — სთქვა „ბეზპორტევმა“.

— კარგი და, რატომ არ უნდა მოგვირიგდეს? — შენიშნა მღვდელმა დიმირმა.

— ეს სულ უკანასკნელი საქმეა, — უპასუხა კაბლეშკოვმა, — ახლა ჩვენ ასე გვაქვს გადაწყვეტილი: ბოლგარეთი დუნაიდან დაწყებული არდამდე და შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე — სამთავრო იქმნება, ოსმალეთისაგან დამოკიდებული, მაგრამ შინაურობაში თავისს საქმეებს თვითონვე ჰშართავს; საეკლესიო საქმეებში — დამოუკიდებელ იქმნებ; ოსმალეთს გადაჭრილს ხარკს მისცემს; მხედრობა ბოლგარული გვეყოლება, აფიცრები ნახევრად ოსმალები იქნებიან, ყოველთ უწინარეს...

— მთავარი? — სიტყვა გააწყვეტინა ქრისტო ვრაგოვმა.

— მართლა, მთავარი? — დაუმატა ბეზპორტევმა.

— ერთი ევროპიელ თავადთაგანი!

— ხედავ!

— რატომ რუსეთისა არაფერი გვითხარი? ძია მიჩო რომ გვეუბნება, მართლა მოგვეხმარებიან რუსები, თუ არა? — ჰკითხა მღვდელმა.

— მღვდელო, ახლა სულ კი ნუ გაბავშვდები, — უთხრა ბიჩომ წყომით. — განა სხვაფრივ შეიძლება?... რუსის გენერლები ახლაც კი მიგველიან ბუქაჩესტში! — ესა სთქვა და კაბლეშკოვს შეხედა, თითქო თვალებით ეკითხება, ხომ მართალს ვამაობო. სხვებმაც შეხედეს, თითქო ეკითხებიან, მიჩო მართალს ამბობს, თუ არაო. კაბლეშკოვი მიხვდა ამას და ჩუმად, თითქო საიდუმლოება გაანდოვო, უთხრა:

— პირველი თოფი გავარდება თუ არა, ორთავა არწივი თავის ფრთებს გადაგვაფარებსო!...

ეს რომ სთქვა, დიდის ამბით შეხედა მაყურებლებს.

უველას სახე გაუბრწყინდა.



— ჩემის აზრით,—ბანი მისცა ფრატიუმ,—რესპუბლიკა ყველას ემჯობინება, „ბალკანის რესპუბლიკა“ დავარქვათ.

— მერე სამეფოდ გადავაკეთოთ,—სიტყვა ჩაურთო ფრანგობა.

— ახლა სამეფო მომინდომე! — სთქვა მღვდელმა დიმიტრი, — შენმა მზემ, სხვა რამ კი არ გეკადრება!

— ეხ, რაც უნდა იყოს, ოლონდ განვთავისუფლდეთ კია!

— მეც რესპუბლიკის მომხრე ვარ,—წამოიძახა ვიღამაც.

— აკი გითხარით, იმას მერე გადასწყვეტთ-მეთქი... რანაირი მთავრობა გვეყოლება, მთავარი ვინ იქმნება და სხვ. და სხვ.—ეს ყველაფერი გორჩაკოეს მიგანდოთ. დევ, დიპლომატები ანგელოზებად და წინასწარმეტყველებად იქცნენ,—სთქვა მიჩო ბეიზადეტომ.

სოკოლოვი ამ საპოლიტიკო სჯა-ბაასში მონაწილეობას არ იღებდა, უყურა, უყურა და ერთბაშად გულ-მოსულიად შეუტია:

— ბატონებო, გეყოფათ ლაყბობა და დიპლომატობა, დრო გადის. ხვალ ბალკანებში თოვები გავარდება, და ჩვენ კი ისევ აქ ვისხდებით და იმის თათბირს მოვუნდებით: რესპუბლიკა გვექმნეს, თუ კომედია....: ეშმაკმაც წაიღოს რესპუბლიკის თავი და ტანი!... შვილი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენ!... ბატონო თავმჯდომარევ, მე გთხოვთ, ჩვენის კრებების ღროს დიპლომატიის შესახებ ლაპარაკის ნება არავის მისცეთ. ეისაც ასეთი ლაპარაკი უნდა, გინკას საყავოში წაბრძანდეს და მანამ ილაპარაკოს, სანამ მოეწყინებოდეს.

— მართალია,—დაემოწმა კაბლეშკოვი,—სიტყვა კი არა, საქმე გვინდა... მე თქვენ მოგახსენეთ საქმის ვითარება, და ახლა თქვენ გადასწყვიტეთ, როგორა სჯობდეს, რანაირად მოვიქცეთ. ერთი წუთიც კი არ უნდა დავკარგოთ ცუდ-უბრალოდ.

— ეს თავმჯდომარის ბრალია,—შეჭრიშნა მდივანმა პოპოვმა, რომელიც მოელი სათი უცდიდა და რაღაც ქაღალ-

დების წასაკითხაეთ კი დრო ვერ იშოვა; — მისი მოვალეობა — უხელმძღვანელოს კრების წევრებს ლაპარაკის დროს.

პოპოვის საყვედური ბაი მიჩოს ეწყინა.

— კარგი და მე რატომ ამომარჩიეთ? ჩემზე ახალგაზდა ვერ მონახეთ?... ოქვენი ბრალია, ბოიჩოს მაგივრად მე რად ამომარჩიეთ! ისეთი კაცი აარჩიეთ, რომ ბოიჩოს ღირსეული მოადგილე იყოს.

— არა! მე წინააღმდეგი ვარ! — სთქვა ექიმმა. — ბოიჩოს მაგივრობა ბოიჩოსვე შეუძლია, სხვას არა!

— ეჭ, ბატონებო, ოგნიანოვის სიკვდილი დიდი დასაკლისია თქვენთვისაც და ბოლგარეთისთვისაც, — სთქვა ნალვლიანად კაბლეშკოვმა და მძიმედ ამოიოხრა.

ოგნიანოვის სხენებაზე ყველას მწუხარება გადაეფინა სახეზე. მისმა დაკარგვამ ყველა დააობლა, ყველას გული დაუკოდა. ერთმანერთს გადახედეს და მწარედ დაფიქრდნენ. წარმოუდგათ თვალ-წინ დატანჯულის ოგნიანოვის სახე. თითქო ყველას მძიმე ლოდი დაწვა გულზედაო... თითქო ყველას შერცხვა და თავისს თავს საყვედურს ეუბნებიან, — ისეთის გმირის სიკვდილის შემდეგ ჩვენ რაღა სასიცოცხლო თავი გვაქვსო...

VIII

კოლჩის სიხარული

გარედან ვიღასიც აჩქარებული ფეხის-ხმა მოისმა: ეიღაც კაცი სარდაფუში ჩამოდიოდა.

— კოლჩია! — სთქვა ნეტკოვიჩია.

— შეუძლებელია, — უთხრა მიჩომ; — უსინათლოს ასე ჩქარა სიარული კიბეზე სად შეუძლიან?

— რაღაც ცუდი ამბავია, — ჩაერია ლაპარაკში მღვდელი დიმჩო.

კომიტეტის წევრები უნებურად შეჰქრთნენ. ნაბიჯების ხმა კარებთან მისწყდა და გარედან ერთბაშად შემოილო კარები.

კოლჩი გრიგოლიეთ შემოიჭრა ოთახში. სულს ძლიერს იბრუნებდა.

ჟველანი გატრუნულნი შესცემროდნენ თვალებში, აბა რას იტყვისო...

— სუსველანი ჩვენები ხართ? — იკითხა ნაწყვეტ-ნაწყვეტად კოლჩიმ.

— ყველანი ჩვენები არიან; რა დაგემართა კოლჩი? — ჰეი-თხა ბაი მიჩომ.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! გაიხარეთ, ძმებო, გაიხარეთ! რომ გითხრათ, გაგიუდებით, მეც ლამის არის ჭიუიდან შევიშალო! — ჰეი-იროდა კოლჩი გისსაეით. თავისი ფესი რამდენჯერმე ჭერსა ჰქონა, ტაშს უკრავდა, იატაკიდან მთელის ალაბის სიმაღლეზე შეხტებოდა ხოლმე; შემთხვევით ბაი მიჩოს დაეჯახა და კოცნა დაუწყო ტუჩებში, ლოყაზე, ყურებში და ჭხრებზე... გადაეცვია და კინალამ დაალრჩო. ბაი მიჩოს შეეშინდა და ხელიდან გაუსხლტა. ამ არაბუნებრივმა სიცილმა და გადამეტებულმა მისმა სიხარულმა ჟველა შეაშინა. — ეგონათ, ალბად, საკოდავი უსინათლო ჭიუაზე შესკდაო.

— რა დაგემართა, კოლჩი? — ჰეი-თხა გულ-მტკივნეულად ექიმმა სოკოლოვმა და დააკეირდა, მართლა გაგიუდა თუ არაო.

— ვერ მიხვდით? ცოცხალია, ცოცხალი! გაუმარჯოს! — ჰეი-იროდა კოლჩი და ახლა სოკოლოეს მიჰვარდა. — გაუმარჯოს, ჩემი გრაფი ცოცხალია!

— როგორ? ბოიჩო? — წამოიყვირეს იქ დამსწრეთ ერთხმად.

— ცოცხალია, ცოცხლი!

— კოლჩი, რას ხუმრობ, იქნება, ვინმემ მოგატყუა? — უთხრა ბაი მიჩომ წყრომის ხმით.

— ცოცხალია, ცოცხლი, ბაი მიჩო! ხელი ჩამოვართვი, ლოყებზე ვკოცნიდი, მის ხმას ყურს ვუგდებდი, თითქმის დავინახე! კიდევ არა გვჯერათ?

კოლჩის ნათევაში ცველას ჭკუაში დაუჯდა. ერთმანეთს გაოცებით გადახედეს...

— სადღაა?

— ჭიშკართან იცდის, მე ოქვენთან გამომგზავნა, შეატყობინეო... ჭიშკართან მოვიდა თუ არა, ხელი მომკიდა. მაშინათვე ხელის მოკიდებაზე ვიცან...

ცველანი სარკმელს ეძერნენ და დაინახეს, რომ ჭიშკარი გაილო და ეზოში ერთი სოფლელი შემოვიდა. ტანზე გლეხური ტყაპუჭი ეცვა. თავზე ძველი ჩაჩი ეხურა, ხელში კი ორი წიწილი ეჭირა. ცალი თვალი, ვითომ სტკიოდა, და აეხვია ცხვირსახოცით.

სხვა ღროს არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ეს ოგნიანოვი იქმნებოდა. ახლა ცველამ მაშინათვე იცნო. უფრო ტანზა უგრძნოთ, ვინემ თვალებით დაინახეს, რომ ეზოში შემოსული კაცი ბოიჩო იყო.

მიჩო კარში გამოიჭრა და დაიყვირა ვითომ და გულგრილად:

— ბაი ბეტკო, მოდი, მოდი აქ, ვნახოთ, როგორა ხარ?

მაგრამ საწყალი თავმჯდომარის ხმა მღელვარებისაგან გასწყდა, თითქო ვინმემ ყელში წაუჭირაო.

ოგნიანოვმა გულდამშევიდებით გაიარა წვიმისაგან ალაფებული ეზო, ნელა დაეშვა კიბეზე და ტლანქის ხმით წარმოსთქვა:

— ჩემი ქალამნები იატაკს გაგიჭუჭყიანებს, ბაი მიჩო, მაჲატივე...

ეს უთხრა და ოგნიანოე ოთახში შემოვიდა.

ცველანი მიჰევარდნენ და გარშემო შემოეხვივნენ. დაუწყეს კოცნა, ამბის გამოკითხვა. უხაროდათ, უკვირდათ მისი ნახვა! ოგნიანოე, როგორც ეტყობოდა, ცველაზე უფრო გულდამშეიდებული იყო.

როცა სხვები ცოტ-ცოტათი დასცხრნენ, ბაი მიჩომ გულაჩვილებულმა უთხრა:

— თავმჯდომარევ, შენი იდგილი დაიჭირე, ჯერ კიდევ
არ გათაცებულია კრება. მერე ხუმრობის კილოთი დასძინა:

— ეს არის, ყმაწვილებმა წუნი დამდეს.... ხელმძღვანელად
ვერ გამოვდგები...

— ვიკისრებ თავმჯდომარეობას, მხოლოდ დღეისთვის,—
უპასუხა ბოიჩომ ლიმილით და კუთხეში მიჯდა. ეტყობოდა,
რომ ახლა იმასაც აეცრემლა თვალები. თანამოაზრეთა ის უსა-
ზლვრო ერთგულობა და შებრალება ბოიჩოს მეტის-მეტად ჩას-
წვდა გულში.

ბაი მიჩომ კანდოვი უჩვენა ბოიჩოს და უთხრა:

— ახლა კანდოვიც ჩვენია.

ოგნიანოვმა და ახლად შემომატებულმა ერთმანერთს შე-
ჰქედეს.

— ბატონო, ბოლგარეთი ლირსია იმისი, რომ ჩვენ იმის-
თვის ვიშრომოთ.

— და თეოთ თავიც კი დავდვათ,—უპასუხა კანდოვმა.

ორმავე იდეალისტმა ერთმანერთს შეგობრულად ხელი ჩა-
მოართვეს.

ბაი მიჩო ოგნიანოვის ცქერით ვერა სძლებოდა.

— ახლა კი შენს თავს ისე ადვილად არავის დავანებებთ,—
უთხრა მიჩომ და გარედ გავიდა;—ველიზარი, —დაუძახა სახლის
პატრონმა თავისს შვილს, —ქოხიდან ოციოდ ნამორი შეშა გა-
მოიტა და აქ დააწყვე!

შვილმა საიდუმლო შესანახ ადგილიდან ოცი თოფი გა-
მოიტანა და კართან დააწყო.

— ახლა ჭიშკარს ბოქლომი დაადე.

ეს ბრძანება რომ გასცა, მუნჩო ოთახში შემობრუნდა.

საქმეთა გარჩევას ისევ შეუდგნენ....

ამასობაში კოლჩი, არავის უნახავს, ისე გაიპარა. პირდა-
პირ რადასთან წავიდა ამ ამბის სახარებლად.

გადასწუვიტა, ახლა კი უფრო თავდაჭრით ვიქმნებიო.
ჩემის ხტუნვით ლონიერი მამაკაცები რომ დავაფრთხე, ისიც
მეყოფა, ახლა სუსტის გულისა და ისედაც დაშინებულს ქალს

გული არ გავუხეთქოვო. მაგრამ, რამდენს არ ეცადა, თავი ვერ შეიძაგრა. ჰერძნობდა, თუ ერთის წუთითაც არის ჩემის თავის ალაგმეა განვიხრახე, სიხარული დამახრჩობსო. რადას სახლთან რომ მივიდა, იგრძნო, გული გასკდომას ჰლამისო. აღელვებულის გულის დასამშვიდებლად თავის სახუმარო ტროპარის გალობა დაიწყო...

კარი მაშინათვე გაიღო...

— კოლჩო, გამარჯობა,—ტკბილად მიესალმა რადა.

— რადა, ხომ შენს მეტი არავინაა აქ?—ჰკითხა კოლჩომ.

— მარტო ვარ, კოლჩო, როგორც ყოველთვის.

კოლჩოს მღელვარებისაგან სული უგუბდებოდა.

— დაჯექი, დაისვენე, კოლჩო,—უთხრა რადამ, ეგონა დაიღალა და იმიტომ არის ასეო.

კოლჩო მის წინ გაჩერდა ორი უსინათლო თვალი ქალის თვალებს მიაშტერა.

— რადყო, სამახარობლო მომეცი!—უთხრა ერთბაშად კოლჩომ. ეს-და მოიგონა უსინათლომ ამბის თქმის დასაგვიანებლად.

რადას გულის-ცემა შეუწყდა. იგრძნო, რომ კოლჩომ რაღაც სასიხარულო საშინელი რამ უნდა მითხრასო.

— რა იყო, კოლჩო?

— რადკე, გაიხარე, დიდად გაიხარებ, გაიგე? აბა თუ მეტყვი, რადკას რად გეძახიან?

რადა გაშეშდა. მიხვდა. თავის უნებურად ჩურჩულით-ლა უთხრა:

— კოლჩო, ნუ მაშინებ!

— სრულიადაც არ გაშინგმ, გეუბნები: გაიხარე-მეთქი... ცოცხალია!

კოლჩომ თავის თავს პირობა ვერ აუსრულა:—რადას თან და თან ვერ ახარა ოგნიანოვის მოსვლა.

ეს რომა სთქვა კოლჩომ, რადამ იგრძნო, რაც უნდა ეხარებინა, და კედელს მიესვენა, რომ არ დაცემულიყო.



როგორც დიდი მწუხარება, ისე დიდი სიხარულიც არის შოლომები, ისე დიდი, რომ კაცის გულმა თითქო ვერ უნდა გაუძლოს. მაგრამ კაცია გულს ყველაფრის ატანა შეუძლიან. რაც უფრო დიდია სიხარული და მწუხარება, მით უფრო ძალა ემატება გულს, თუ კი იგი მრთელია. სისუსტემ ერთის წამის უკან ისევ გადაუარა რადას. იქნება, გულის საიდუმლო ალლომ ქალი მოამზადა ამ დიადის სიხარულის მოსასმენად. რადამ წამოიკივლა:

— კოცხალი? ღმერთო ჩემო! სად არის? უნ ვინ გითხრა, კოლჩი? კოცხალია? ბოიჩო კოცხალია? ღმერთო, კი არ მოვკვდე სიხარულისაგან! ახლა რა ვქნა, სად წავიდე?

ამ დროს ცრემლებიც მოეშველა და ამ ცრემლებმა აღზინებული გული დაუმშვიდა.

კოლჩო ახლა უფრო დამშვიდდა და ჯერ უამბო ბოიჩოს შეხვედრის ამბავი და მერე—რაც მოჰყვა მისს შეხვედრას.

— არ გითხრა, როდის მოვალო?

— ღამე, როცა სულ დაბნელდება; გარდა ამისა, დღეს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი...

კოლჩო ქალს გამოემშვიდობა და გულ-დამშვიდებული გამოვიდა მისი ოთახიდან.

მისი ნაზი და მოსიყვარულე გული გაბედნიერდა სხვისის სიხარულით. ბუნებამ ყველაფერი წართვა და სანუგეშებლად ეს ნიჭი და შეარჩინა. იმის დარღი ახლა ის იყო, როდის ვოვა ძვირფასი და სულზე სარჩე სტუმარიო; როცა მეწვევა, როგორ დავმალო; შინაურებს ვუთხრა მისი მოსელა, თუ არაო? მიჩოს სახლში რომ წავიდე, ჭკუიდან შევიშლები; აქ რომ დავრჩე—ვერ გავსძლებო!... ბოიჩოს მოსვლამდე როგორმე დრო გაეყვანა, ფუსფუსი დაიწყო, ოთახი მიალაგა, თმა დაივარცხნა, სარკის წინ მოირთო. სარკეში იცინდა და როცა დარწმუნდა, ლამაზი ვარო, ჭყანვა დაიწყო. რაკი მეტი არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, ხუთის წლის ბავშვსავით, ცალს ფეხზე შემოპროწიალდა და ისეთი სიმღერა სთქვა, რომ არც ესმოდა რა იყო და არც როდისმე გაეგონა. მისი აზრი-გონება უგნი-

ანოეთან იყო, მთელი ყურადღება კარისათვის ჰქონდა მიპერადა
ბილი და ერთი ბეწო ფაჩუნზე ჩიტავით შეჰქრობოდა.

ოლონდაც რომ ჰქონდა მიზეზი სიხარულისა და ბედნიე-
რებისა!

IX

მ თ დ თ დ ი ნ ი

დაბნელდა.

სარკის წინ დადგმული მძიმე და დიდი შანდალი სტეფ-
ჩიოების ოთახს ანათებდა.

ეს ოთახი სტეფჩიოვს დღისით სასტუმრო ოთახადა ჰქონ-
და და ღამით—საწოლადა; მისი ავადმყოფი ცოლი ქვედა სარ-
თულში იწვა.

ოთახში თვითონ სტეფჩიოვი, ბერძენი ექიმი და მერდვე-
ჯიევი იყვნენ.

სამსავე საშინლადა სძულდათ სოკოლოვი და მთელს ორის
საათის განმავლობაში ელოდებოდნენ, აცა, როდის მოგვივა
ამბავი მისი და სხვა პატრიოტების დაჭერისაო.

სტეფჩიოვი შეშინებული დადიოდა ოთახში და წამ-და-
უწუმ ყოველ გაფაჩუნებაზე ყურებსა სცევეტდა—მოსამსახურე
რაჩკო ხომ არ მოდისო. ეს ბიჭი მიჩო ბეიზადეტოს სახლის
თვალ-ყურის სადევნებლად იყო გაგზავნილი.

ბოლოს, რაჩკოც მოვიდა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა მოუთმენლად სტეფჩიოვმა.

— ჯერ ისევ იქ არიან..!

— სოკოლოვი არ წასულა?

— მხოლოდ ერთი გლეხი გამოვიდა და მერე კოლჩო.

— მათი ჯაშუშრა, — სთქვა მერდვენჯიევმა.

სტეფჩიოვს გულზე მოეშვა.

— ახლა სად მიდიხარ? — მიუბრუნდა კვლავ რაჩკოს სტე-
ფჩიოვი.



— ვასილის დუქანში, ბაი მიჩოს სახლის პირდაპირ არის. პეტრაკიც იქ იყო; ერთი ჭიქა არაყი გადამახუხინა... მეორე ჭიქა მე თვითონ მოვითხოვე.

— მართლა, პეტრაკი მანდ არის? — ჰყითხა სტეფანემა გა- ხარებულის სახით. — ყოჩალ, რაჩკო! წადი ისევ ვასილის დუ- ქანში და რაც დაინახო, შეგვატყობინე.

ყველანი გაჩუმდნენ და ყური დაუგდეს.

— თოფი გავარდა! — სთქვა სტეფანემა.

— მეორე გავარდა! აი მესამეც! — განიმეორეს აღელვებუ- ლის ხმით სხვებმა.

— ქორწილი დაიწყეს! — წამოიძახა სტეფანემა და თვა- ლები გამოუთქმელის სიხარულით აენთო.

გაისმა კიდევ რამდენისამე თოფის ხმა, როგორც ეტყო- ბოდა, შორიდან; თოფებს მიჩო ბეიზადეტოს სახლისაკენ ისრო- დნენ.

მალე ადამიანის ყვირილის ხმაც შემოედა სარკმლიდან.

სამივე გაუნძრევლად იდგა და ერთმანერთს თვალით ეკი- თხებოდნენ, რა ამბავიაო. თვალები სიხარულით ევსებოდათ.

— იბრძვიან! გესმით? თოფებით ეწინააღმდეგებიან... ვაშა, ვაშა, ჩვენ რომ იმედი გვექნდა, იმაზე მეტი ემართებათ. ყო- ჩალ, პეტრაკი! ბარაქალა შენს კაცობას, ბარაქალა!...

მაგრამ ამ დროს ქუჩაში ყვირილ-ჩოჩქოლი ასტყდა და სტეფანემა პეტრაკის ქება-დიდება შესწყვიტა.

სარკმლის ფარდას მოსწია და გაიხედა. ბნელაში გაჭირ- ვებით გაარჩია რამდენიმე ცხენოსანი, სირბილით მომავალი კა- ცის ხმაც გაისმა, მაგრამ ცხენების ფეხების თქარა-თქურმა სხვა ყველა ხმაურობა დაპფარა.

— ონბაშის ხმაა! — წამოიძახა სტეფანემა. — რა ჩქარა გა- თავებულა ყველაფერი! — საჩქაროზე თავი სარკმელში გამოჰყო და დაიძახა:

— შერიფ-ალა! საქმე როგორ არის?...

მაგრამ პასუხი არავინ გასცა. შერიფ-ალა და მისნი მნიშვნელოვნენ... ბელნი უცბად დაშორდნენ იქაურობას... ეტყობოდათ, კარ-ლოვოში მირბოდნენ...

— უკვე წაათრიეს... — წაიბუტბუტა სტეფჩოვმა და სარკ-მელი მოხურა.

ცოტა ხნის უკან ისევ მოისმა შორიდან ყეირილი და გა-ლვიძებულ ძალლების ყეფა.

— დაჭრილებიც ურევია, — სთქვა ბერძენმა ექიმმა.

— კიდევ უკეთესი, თუ სისხლიც დაიღვარა! — სთქვა სტე-ფჩოვმა.

— სუთ, ყური დაუგდეთ, — წამოიძახა მერდვენჯიევმა.

სულ ახლო, სტეფჩოვის სახლის გვერდით, ადამიანის კვ-ნესა გაისმა.

— რაჩკოა! — წამოიძახა გაოცებულმა სტეფჩოვმა.

— დაჭრილია! — სთქვა მერდვენჯიევმა.

— ძალლის წიწილი!... ეტყობა, ტყვია მოჰკვედრია... საქ-მე გაგიჩნდა, ბატონო აპოსტოლე, — უთხრა ექიმს სტეფჩოვმა.

— დასწყევლოს ღმერთმა! — წაილულლულა ბერძენმა.

— სოკოლოვი, ოღონდ სოკოლოვი დაიჭირონ, და ამ მუდრევ რაჩკოს თავი თუნდ ჯანდაბას წავიდეს!...

ერთ წუთს უკან კარი ერთბაშად გაილო და შემოვიდა რაჩკო, მთლად ლაფში ამოგანგლული.

■

ქრებას გაგრძელება

ცოტა უკან დავბრუნდეთ და შევიხედოთ, ბეიზადეტოს სახლში რა ხდება.

ოგნიანოვის ხელმძღვანელობით კრება განაგრძეს. კაბ-ლეშკოვს გააცივა და სახლში წავიდა.

ბევრი რამ საჭირო კითხვები აღძრეს და გაარჩიეს. ზეჯი და თავი კითხვა ქალაქის დაცვა იყო. ხმა დაპყარეს, ოსმალები თავს უნდა დაგვესხნენ და ამ ხმამ მეტის-მეტად შეაშინა ბელაია-ცერკოვის მცხოვრებნი. განჩიო პოპოვმა სთქვა, საიდუ-მლო დარაჯთა რაზმის შედგენას მე ვკისრულობ და ღამ-ღა-მობით ქალაქის განაპირა აღვილებზე დავაყენებო. გარდა ამი-სა, სხვა-და-სხვა ლონე ილონეს, რომ არავინ გაგვცეს და პო-ლიციამ აღვილად ვერ შეიტყოს ჩვენი განზრახვანიო. სტრან-ჯოვმა ნაყიდ და დარიგებულ იარაღისა და ტყვიების ანგარი-ში წარმოადგინა, წარმოადგინა აგრეთვე იმ თოფების ანგარი-შიც, რომელთა ფასი სრულად ჯერ არ გადაეხადნა, და ამი-ტომ კარლოვოში საწყობში აწყება ყველაო.

— კიდევ რამდენი ლირა ერგებათ? — ჰეითხა მიჩომ.

— ას ლირას ცოტა აკლია.

— ეს ფული კიდეც ვიშოვეთ, — სთქვა ექიმმა.

— ბარაქალა, იშოვეთ? საღ? — წამოიძახეს ზოგიერთებმა.

— თქვენ რას დაეძებთ, კიდეც ვიშოვეთ და კიდეც გაფ-გზავნეთ. ხვალ დილას თოფები აქ გვექნება, — სთქვა ექიმმა.

— მაშ შეიარაღებისა არ უნდა გვეფიქრებოდეს. — უთხრა ოგნიანოვმა.

— თუნდ მთელს პოლქს დავუხვდებით წინ და შეგვიძლია ოცი დღე ვებრძოლოთ ჯებირებს ამოფარებულები, — სთქვა მღვდელმა დიმჩომ.

რა თქმა უნდა, არავითარი ჯებირები და სიმაგრეები არა ჰქონდათ; მღვდელი ჯებირებს დაბალ ღობეებს ეძახდა, ქალაქ გარედ რომ იყო.

— ზარბაზნები რომ დაგვიშინონ? — იკითხა ნეტკოვიჩმა.

— მაშინ კი საქმე ცუდად იქნება, — უპასუხა მღვდელმა დიმჩომ ნაღვლიანად.

— ზარბაზნებს განა ჩვენ კი ვერ დავუშენთ, — უთხრა ბა-ტონმა ფრატიუმ. — მე დიდის სიამოვნებით შემოვსწირავ საზო-გადო საქმეს ჩვენს ხის კასრს. კრუპის ზარბაზნის ოდენა ხმა

ექმნება. სხვებიც ასე მოიქცნენ!... მაშინ მთელი არტილერია გვექმნება.—ეს რომ სთქვა ფრატიუმ, ამაყად დაიწყო ყურება გარშემო.

— შენის კასრისაგან არაფერი გამოდგება... დედა-კაცებს კასრები გამოართვით!... ღმერთმა ჩემს მტერს ნუ გააგონოს!.. სირცხვილით თვალი სად გავახილოთ, რომ გავვიგონ? — ჩაერია ლაპარაკში ოგნიანოვა; ზარბაზნები კი მაინც გვინდა, საჭიროა. თუნდ ერთი ზარბაზანიც რომ დაყცალოთ, მტერს ძალაზე შეაშინებს... შეგვიძლია ბლის ტანისაგან გავაკეთოთ ზარბაზნები.

ოგნიანოვის ნათქვამი ყველას მოეწონა და ერთხმად დაეთანხმენ.

— ბუჩქ გაგვიკეთებს — სთქვა მიჩომ.

— ბუჩქ? მე და ის ერთმანერთს ვიცნობთ, — წიმოიძახა ოგნიანოვმა.

— მეკასრეს იცნობ? ჩინებული ასტატია! — სთქვა ექიმმა.

— ბლის ხეები სად ვიშოვნოთ? — იკითხა ბრაგოვმა.

— სულ ადვილი საქმეა, — სთქვა ნეტკოვიჩმა; — ამას მე ვკისრულობ.

— მაშ, გადაწყვეტილია. არტილერიის გამოწყობას ნეტკოვიჩი ჰკისრულობს, — სთქვა ოგნიანოვმა ხუმრობათ. — ახლა მეორე კითხვა გავსინჯოთ — დიმჩო, კიდევ რა გაქვს მოსახსე-ნებელი?

— პანაგიურის კომიტეტის წერილია წასაკითხი. ადრე ისე ვიყავით გაოცებულნი, რომ ამის წაკითხვა დაგვავიწყდა კიდე-ცა...

— ბენკოვსკის იქმნება! — ჰკითხა სულსწრაფად ოგნიანოვ-და; — მალე წაიკითხე!

ყველანი გაჩუმდნენ.

მდიდებელი წაიკითხა ადრევე ცეცხლზე გაცხელებული წერილი პანაგიურის კომიტეტისა. წერილი გრძელი იყო, იწერებოდნენ ათას გვარ დარიგებას, განკარგულებას, კომიტეტს უთვ-

ლიდნენ ასე და ასე მოიქეცით, რომ თქვენი მოქმედება აჯანყების მომზადების საერთო პლანს ეთანხმებოდესო.

წერილის ბოლოზე თვითონ ბენკოვსკის ხელით ეწერა გრამატიკულ შეცდომებით, სავსე და ხუცურ ასოებით შემდეგი სტრიქონები:

„აბ! წერილის მომტანისავე ხელით გამომიგზავნეთ 200 ლირა. სხვა კომიტეტებმაც ამდენ ამდენივე იკისრეს. ეს ბრძანება უექველად უნდა ასრულოთ... გარდა ამისა, ბევრს ნუ ფილოსოფიოსობთ მანდა, საქმე აკეთეთ, საქმე.

„საზიზღარს ს... ს აქამდე ვერაფერი მოუხერხეთ? აი, თქვე ქალაჩუნებო!...“

მურად გესალმებით.

ბენკოვსკი.“

ეს სიტყვები ზოგს მოეწონა, ზოგს კი ეწყინა. ბენკოვსკი შორსა სცხოვრობდა, და ამიტომ ისეთი პატივი არა ჰქონდა, ბელაია-ცერკველების მხრით, ხოლო მისმა უბოდიშო კილომ ზოგიერთი ძალიან გააწიწმატა. ბატონშა ფრატიუმ ვეღარ მოითმინა და სთქვა:

— რა თავს გადის ეს ჩვენი ბატონი ბენკოვსკი!

მაგრამ ოგნიანოვმა სიტყვა გააწყვეტინა და მკაცრის კილოთი უთხრა:

— ფრატიუ, ახლა შენი ჯერი არ არის ლაპარაკისა! ვინც იმასა ჰყიქრობს, ზრდილობიანად მელაპარაკონო, იმას არ შეუძლია აჯანყების საქმეში ჩაერიოს... აქ ერთმანერთის მორჩილება და საქმის კეთებაა საჭირო: ყურადღება მიაქციეთ: გვთხოვენ თრას ლირას, ამ ფულს იმიტომა გვთხოვენ, რომ საჭიროა წმინდა საქმისათვისა, და ჩვენც მოვალენი გართ უექველად ეუშოვოთ. სიტყვის შებრუნება აქ არ შეიძლება. გაქვთ თუ არა ეს ფული?

— წერილის მომტანი გველოდება,—სიტყვა ჩაურთო პო-პოემა.

კომიტეტს ცხარი სჯა-ბაასი შეუდგა ამ კითხვის გამო. ჯერ სთქვეს, ხელის მოწერა გავმართოთო. მაგრამ სხვებმა ეს

საშუალება უარყვეს, ამით ვერას გავხდებითო. მიჩო ბეიზადე-
ტომ ურჩია, სასწავლებლის თანხილან დავხარჯოთ და როცა სა-
კუთარ სამთავროს დავაარსებთ, ამ სამთავრომ დაუბრუნოს ეს
ფული საზოგადოებასაო. მაგრამ არც ეს რჩევა დაუჯდათ ჭკუა-
ში,—ამას უფრო ვერ ავასრულებთო. ფულის შოვნის შესახებ
ყველაზე მეტი ილაპარაკეს, ბევრი თავი იმტვრიეს, მაგრამ წყა-
რო მაინც ვეღარ მონახეს.

ყველა ეს საქმეები ახლა კაცს სიცილადაც არ ეყოფა,
მაშინ კი მათს განხილვას უნდებოდნენ ყველაზე მეტად სერი-
ოზულნი წევრნი მოწინავე საზოგადოებისა. ეს საქმე ახალი
იყო მაშინ, ყველას გულს უტოკებდა, წმიდა საქმედ მიაჩნ-
დათ.

ოგნიანოვი წარბ-შეკრული ისმენდა სხვების ნათქვამს.

— ამ ფულს მე გიშოვნით! — სთქვა მან ერთბაშად.

ყველამ გაოცებით შეჰედა.

— საიდან იშოვნი? — უნებურადა ჭკითხა ქრისტო ბრა-
გოვძა.

— ეს ჩემი საქმეა, — ცივად უპასუხა ოგნიანოვმა.

ამით გაათავეს ამ საგნის შესახებ ლაპარაკი.

განჩინ პანჩოვმა ლაპარაკის ნება ითხოვა.

— ბატონებო, უკვე გვიან არის, და სანამ კომიტეტი და-
იშლებოდეს, აი რა უნდა გადაესწყვიტოთ. რამდენი წევრი
გვყავს ისეთი, რომ ფიცის ოქმზე ხელი არ მოუწერიათ. სა-
ჭიროა იმათაც მოაწერონ ხელი. — ეს სთქვა და მაგიდაზე სა-
მელნე დასდგა ახალ წევრების წინ.

ახალი წევრები იყვნენ: ბრაგოვი, ფრატიუ და კანდოვი.

ფრატიუმა და კანდოემა მაშინათვე მოაწერეს, მაგრამ ბრა-
გოვი, სანამ მოაწერდა, ერთხანს შეყოყმდა.

— ძმებო, — სთქვა მან შეშინებულის სახით, — ეს წიგნი
რომ ვისმე ჩაუვარდეს? მაშინ ხომ დავიღუპე!...

— როგორ? განა რევოლუციონერი არა ხარ, ფიცი არ
მიგიცია? — ჭკითხა ფრანგოვძა.


— ეს ასეა, ძმებო, მაგრამ ცოლშეილის პატრონი ვარ...

— ცოლშვილი განა ჩვენ კი არა გვყავს, მოაწერე ჩქა-
 რა,—უთხრა მღვდელმა დიმირმ.

— გრცხვენოდეს, ბაი ქრისტო, გრცხვენოდეს! — უთხრა
 მკაცრად ოგნიანოვმა.

ბრაგოვჭა შეშინებულის სახით მოაწერა ხელი. მაგრამ
 „ქრისტო ბრაგოვის“ მაგიერ, როგორც ისა სწერდა ხოლმე
 თავისს სახელსა და გვარს ვაჭრობის დროს მიწერ-მოწერაში,
 „რისტო ბრაგატა“ მოაწერა, — ასე ეძახდნენ სხვები. ეს ეშმა-
 კობა ყოველ შემთხვევისათვის იხმარა.

(შემდეგი იქნება)





Ա Յ Ո Ւ Ա Խ Ո *

(ଓଲାପନାଳି)

რეა სიკეთე ამჟობს ადამიანის ცხოვრებას: საფლავი წინაპერ-
ოთა, ლამაზი ცოდი, ხანგრძლივი სიცოცხლე, მრავალი შეიდი, მრავალი შეური, სიმდიდრე, მრავალი მეტაბარი და განათლება.

ასეთი უკეთეური იქნა ოდესიმე ნინორან-დუი, რომელსაც მშენებით წოლდ გამტცა.

ერთხელ ნინორან-დუიმ სხვა ქალი ნახა, — ნორჩი, გულ-წარმტა-
ცი და და ძირიდარი. სახელად დიუსის უწოდებდნენ. ნინორან-დუიმ შე-
იყვარა დიუსი, დიუსიმ — ნინორან-დუი. მაგრამ ასეთია უკეთურთა
ბეჭის-წერა: კინც უნდა შეიყვაროს უკეთურმა, უკეთსას სდევნის; მა-
სი შევ-ბეჭი და ამიღომ ნინორან-დუისა და დიუსის გავშირსაც
უბედურება მოჰყვა: საჭონელი ამოუწედათ, ჭირნახული წაუხდათ და
სარჩო-საბადუბელი დაეღუპათ.

გამოედვისა ერთხელ დიუსის და ნინორან-დუა თავის ალაგის კედარა ნახა. ნინორან-დუას წერილი დაქტილუსინა და იმ წერილი-დან სცნა დიუსიმ თავისი უბედურება: ნინორან-დუას თავისი დიუსი

*) კორეს ნახევარ-კუნძულზედ არის ჩაწერილი ეს ზღაპარი. ევროპიტოლთა შეხედულებით, ველურია ცყველა ის ხალხი, ვინც მათ უკან ჩამორჩომია განათლებაში, ესე იგი ტექნიკაში. მყითხველი თითონევე ნახავს, რამდენად ველური უნდა იყოს ის ხალხი, რომელიც ამ გვარ ზღაპარს შეჰქმნის.



გულით უკარდა, მაგრამ ძულებული ქმნა მიეტოვებინა იგი, რადგან უძღვების მეტს კრის შესძლება.

ცხარი ცოდნით წასკდა დიუსის: ქვეყნად ნიღორან-დუის დარი არა გააჩნდა-რა. თავისი სიმძიდორე, რაც კი დარჩენოდა, დარიბ-და-ტაჭო დაუკიდა და სამშობლოდან გახდაზე გადასწუგიოტა.

მიღის დიუსი მინდვრად და თვალთაგან ცხარი ცრემლი სდის; ტირის და თან ჭყიქობს: აქ, ნეტავ იმდენი ჟური მქანდეს, რომ მშიური კველა გავაძლო! ნეტავი იმდენი ფული მქანდეს, რომ გაჭირებულს კველას სელი გავუმართო! ნეტავ შემძლოს, კველა მტრალე ცრემლი შეკუმრო!

ამ ფიქტურში რომ იყო გართული, უკრანდ მსედარი წარმოუდგა, მშენიერ სარჩე მფლობი. კარგი წარმოსადეგი გაუკაცი იყო, თავს ეგავილების და პურის თავთავის გვიარებინი ეჭვა.

— ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ୍, ଦୋଷସଂ, କୁଳାଦ ବ୍ୟାପକୀୟ! — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ମେଧାରେ ।

— მე უკეთერი მიეკავს და იმის მეტს გერავის შეკიცვარება,
— მიუგო დოუსიმ. — თუ გთხა შენ მმა და მე და. და დამმობილ-
დნენ. თითები გაიჭრეს, ტანსაცქელს თითო სელის-გულის ოდენი
ჩამოხიერეს, ზედ თავისივე სისხლით თავთავანთი სახელები დას-
წერეს, შეცვალეს და უბეში ჩაიდეს; კომისარის და მმობა შეჭირ-
ებს და გზას, გაუდგნენ.

გზაში ქოსა ნახეს. დაზღვულია დიუსი შეკიდა, წაეგდო მი-
წაზე და გულიანად დაიძინა. და უნა სიზმარი:—მოკლინა მო-
სუცი, უმტკერო ქადალდივით გათეთრებული, და უთხრა: «მე ვარ
ის ქაცი, რომელსაც და შეეფიცე. მე ვარ მოსავლის მქმნელი, მინ-
დვრის ბატონი. მე ვიცი შენი წადილი. აი ჰარკით ბრინჯა. ერთი
მარცვალიც რომ ჩააგდო ქვაბში, პირამდე გააკსებს, რაც უნდა დი-
დი იყოს. რამდენიც გინდა დახარჯე, ეს ჰარკი მაინც საკუსე ტექმ-
ნება».—უთხრა და გაჭრა.—დიუსის გამოედგინა. გვერდით ბრინ-
ჯით საკუსე ჰარკი ედგა.

ବିଭିନ୍ନ ପ୍ରକାଶ ଓ ଗ୍ରହଣ ଘଟନାକୁ

დაიღლია მინდორი. გზა უშევებელ მთას შეუდგა, ოომლის მწერეალზე დაბურული ტექ მოჩანდა. მივიდა ტექსთის დიუსი და

შატარა ქოხი ქნასა. ქოხის შესაგადთან თუაღ-ტანად მშენიერი ემაწვილი კაცი იყდა ცეცხლის შირის და წეალს ადედებდა.

— რას სარშავ მაგ წეალში? — ჭითხა დიუსიმ და ქოხის შესაგადთან მივიღა.

— არა ივერს: არც ბრინჯი მაქს, არც სხვა რამ საჭმელი, — მიუგო ემაწვილმა.

დიუსი შევიდა ქოხში, გასხნა შარები, ყანწი ააგსო ბრინჯით, გამოიტანა და ჭიაბში ჩაჭერა.

და უკრად გაივსო ქაბი. დასხვენებ და ჭიმეს. დიუსი და ემაწვილი უბებ გაძლინებ და ქვაბს კი დანაკვიდისისა არა ივერი ეტეროდა.

ვასმამი რომ გაათავეს, ემაწვილმა უთხოა დიუსის:

— შემიუერე და ცოლად წამომეუ!

— მე სიუკარული აღარ შემიძლიან, — მიუგო დიუსიმ. — მე მიუკარს მარტო ჩემი ქმარი, ჩემი უკეთური. თუ გინდა შენ მა და მე და.

ემაწვილი ამითი დაქმაუთვილდა და და-მმად შეითვიცნენ.

დაღამდა კიდეც. დიუსი დასაძინებლად დაწვა. ნახა სიზმარი: მოუკლინა უმტრერო ქაღალდივით გათეთრებული მოხუცი, საშინელ კეფხზე მჭდომი და უთხოა: მე კარ ეგ ემაწვილი შეშის-მჭელი, შენ რომ დაუმეგობრდი. მე კარ მთის სული და ბატონი. ვიცი შენი წადილი. აი ოქორო. რამდენიც უნდა მოანტერიო, მაინც ულე-კელი იქმნება შენს სელში.

მოსუცი გაჲქრა. დიუსის გამოეღვაძა. აღარც სადმე ემაწვილი ჩანდა, აღარც ქოხი. გკერდით ოქრო ედვა.

— ახლა კი გიცი, რასაც გიზამო, — სთქა დიუსიმ. — ამ ტეის შირის ქალაქს გავაშენებ. ჩემთან შემოერებასან უკელა დაშეულნი და ღარიბ-ღატაგნი და მათ შორის კიბოგნი ჩემს ნინორან-დუის.

და გაშენა ქალაქი. და მიისწრავიან დიუსისებნ უკელა გლა-ხაგნი, უკელა დაშეულნი და ღარიბ-ღატაგნი. აუსრულდა ბოლოს

იმედი და ერთხელ თავისი ქმარიც დაინახა მისკენ მიმავალი, თავისი უკეთური ნინორან-დუი.

რომ დაინახა დიუსიმ, მეტად იამა, მაგრამ შესტუქსა კიდური, რად მიმატოვეთ.

ნინორან-დუისაც მალიან გაუხსარდა თავისის დიუსის ნახვა. და შეიძიოცნენ, ერთმანეთს აღარსად განვმორდეთო. სცხოვობდნენ ერთმანერთით კმაყოფილნი და უხვს ნუგეშსა სცემდნენ უოკელს გლოჩხავს და დაკრძომილს.

მაგრამ ერთხელ ისე მოხსდა, რომ დიუსიმ სულ მოლად დაარიგა, რაც ფული ჰქონდა და სოჭვა: აქ, ახლოს მდებარე ქალაქს, უნდა გაეგზავნო თქრო, რომ ცოტა მოსტეხონ და ფული მომიწოდონ.

მისცა თქრო ნინორან-დუის და თანაც დასძინა: — ფული მეტი წამოიღე, რომ რაც შეიძლება გიან მოგიხდეს ქალაქს წასკვალ.

აქვიდა ნინორან-დუიმ სახედარს თქრო და წაკიდა ქალაქისა-კნ.

გზაში ხევი ჰქონდა გასაკლელი, შიგ მცირე ნაკადული დიოდა. მაგრამ ნინორან-დუი უკეთური იყო: სწორედ ამ დროს მოვიდა კოკის-პირული წვიმა, ჰატრა რუ ზღვასაგით აღელებულ მდინარედ იქცა და სახედარც დაახრიო და თქროც დაღუპა.

— არა, — სოჭვა სასოწარებელმა ნინორან-დუიმ, — ამ უბედურებას კი გეღარ შეგსძლვნი მე ჩემს დიუსის: ან თქროს ვიპოვნი, ანარა-და მეც იმასთან დაკალუბები.

შეკიდა წეალში და დაიხრიო.

ბერი უცდა დიუსიმ. ბოლოს გეღარ აიტანა უამბობა და წაკიდა ნინორან-დუის საძებნელად.

იარა, იარა და იმ წეალს მაადგა, რომელმაც ქმარი დაუხრიო. სწორედ იმ დროს გამოიდარა, მდინარე დაწედა და ხევში ჰატრა ნაკადული-და დარჩა.

დაინახა დიუსიმ წეალის ძირში თავისი თქრო და მის გეგრდით დამსრულები ნინორან-დუი. დაიწერა საწეალმა ტირილი და თავში ცემა.

ბოლოს უდინოში გავიდა, დაქვე მიწაზე და კვლავ ტირილი მორთო. იმდენი იტირა, რომ ღონე მიხდილი იჭებ უდინოში მოკვდა.

დიუსის თვალთაგან ნადენი ცრემლი იმ ალაგს ტბად შედგა და დღესაც ცრემლის ტბას უწადებენ.

ერთხელ სოვედაგარი კინძე მოლიოდა ქალაქიდან და გზა დაჭირდა. სწორედ იმ უდინოში მოქსვდა, სადაც მიცვალებული დიუსი იდგა. დედაგაცი რომ დაინახა, ჩვეულებისამებრ, ჩამოქსდა ცხენიდან და გვერდთ ფეხით გაუარა.

რაკი წნასა, რომ არ იძროდა, ასლოს მივიდა, სამარე გაუთხარა და დამარსა.

მერე თავისი გზაც ადგილად იპოვნა და საქმეებიც უკელა კარგად გაირიგა. საქმეების კეთილად დამთავრება იმას მიაწირა, რომ უხერ-ტიალს მიცვალებულს სამარე აღირსა. უკან დაბრუნდა, დიუსის საფლავზე გაჩერდა და დიდი სანი იღოცა.

მივიდა შინ სოვედაგარი და უკელა ნაცნობთ და ნათესაკო უამბო, როგორ მაბარა მიწას უშატრონოდ მიცვალებული დედაგაცი და რა გარეგა გაათავა უოველი თავისი საქმე.

მას შემდეგ ქალაქიდან მომავალი უკელა ჩერდება დიუსის საფლავზედ სალოცავად. და უკელას სიკეთესა სწერს ეს ლოცვა.

ერთხელ ერთი უბედური მივიდა დიუსის საფლავთან და დადი ხანი იტირა თავისი შავ-ბედი; იმდენი ხანი, რომ მოიქანცა და დაეძინა. სიზიარში უმტკილი ქალი წნასა, თეთრით მოსილი. უბედურთან ერთად ქალიც ტიროდა და თან ნუებსა სცემდა:

— დაქვე და დალი ებ წელი, საფლავთან რომ დის; ებ წელი უბედურთათვის დაღვრილ ცრემლისაგან შესდგა. რა დალეგა, სკედა მოგეშება და შენც ისე შეიუგარებ უკელა უბედურს და უკათურს, როგორც იმ საწეალს უკვარდა ბედისგან დეკნილნი, რომის ცრემლი მაგ რედ იქცა.

და იწეს უბედურთ დიუსის საფლავისქენ დენა. შორს-შორს ჰეკენის ძირამდე გავარდა მისი წმიდა სახელი. საფლავს ქვა დაადგის და ზედ დააწერეს: «კეთილი დედაგაცი!»



და მართალიც იქნ ეს წარწერა, რადგან საფლავსა შინა მდებარეობს მთელი ქვეუნის სიგეთე სწადა და უკალა უკეთური უკარდა. მაგრამ კრისტენის გახდა და უკეთურთა რიცხვი დღით-დღე მატელობს და მატელობს.

ପ୍ରକାଶକ ପତ୍ର

პ რ ა ზ ა ნ ა

რთმანი იტალიის ცხოვრებიდან

პ. გოინიჩისა

ნაფილი მარავ

თქ *)

12
32
16
29
10

რამდენისამე დღის შემდეგ, კრაზანა, ფერ-მიხლილი და ჩვეულებრივზე უმეტესის კოჭლობით, მივიღა სახალხო წიგნთ-საცავში და მოითხოვა ქადაგებები კარდინალ მონტანელლისა. რიკარდომ, რომელიც მეორე მაგიდას უჯდა, დაანება კითხვას თავი და შექმნედა კრაზანას. ძალიან უყვარდა კრაზანა, მაგრამ ვერ ურიგდებოდა იმის ჯიუტ სიფიცხეს.

— კიდევ აპირებთ საწყალ კარდინალთან შეტაკებას? — ჰკითხა რიკარდომ ცოტა გულ-მოსულად.

— ჩემი ძვირფასო, — მიუვო კრაზანამ, — რისთვის აწერთ ყოველთვის ადამიანს ცუდ აზრებს. ეს ქრისტიანული არ არის. მე ვამზადებ წერილს ეხლანდელი დროის თეოლოგიის შესახებ ახალი გაზეთისათვის.

— რომელ ახალ გაზეთისათვის? — რიკარდოს სახე მოელრუბლა. — ყველამ იცოდა, რომ მზადდებოდა ახალი კანონი ბეჭდვისათვის და რომ ოპოზიცია აპირობდა ქალაქის გაოცებას რადიკალურ გაზეთის გამოცემით; მაგრამ მაინც კიდევ საიდუმლო იყო.

— რასაკვირველია, „გაიძვერებისა და ცულლუტთა გაზე-
თებისათვის“ და ან კიდევ „საეკულესიო კალენდარისათვის“.

— ჩუმალ, რიგარესს, ჩვენ ეუშლით სხვებს კითხვას.

— აბა, მაშ, დაუბრუნდით თქვენს მედიცინას და მეც
დამაცადეთ თეოლოგიის მეცადინეობა. მე არ გიშლით თქვენ
დამტვრეულ ძვლების სწორებას... თუმც ეს თქვენზე უკეთ
ვიცი.

კრაზანა დაჯდა, დაიწყო ქადაგებების კითხვა ჩაფიქრებით
და საქმიანის სახით. წიგნთ-საცავის ერთი გამგეთაგანი მივიდა
მასთან.

— სინიორ რიგარესს, თქვენ მგონი წევრი იყავით დიუ-
პრესსის ექსპედიციისა და იკვლევდით მდინარე ამაზონის ტო-
ტებს. არ შეგიძლიანთ დაგვეხმაროთ ერთ საძნელო საქმეში?
ერთი მანდილოსანი თხოულობს ექსპედიციის ანგარიშებს და
ისინი კი ეხლა ყდის გასაკეთებლად არიან მიცემულნი.

— რისი გაგება სურს?

— მხოლოდ ის სურს გაიგოს, თუ როდის დაიწყო ექს-
პრედიცია და როდის გაიარა ეკუადორზე.

— ექსპედიცია გამოვიდა პარიფიდან შემოდგომაზე 1837
წელსა და გაიარა კვიტო პპრილში 1838 წელს. ჩვენ დავყა-
ვით ბრაზილიაში სამი წელი, შემდეგ დავეშვით რიოსკენ და
დავბრუნდით პარიში, ზაფხულში, 1841 წელს. იქნება უფრო
დაწვრილებითი ცნობები იყოს საჭირო?

— არა, გმადლობთ, სხვა არა უნდა-რა. ეგ უოველივე
ჩავწერე.—ბეპპო,—დაუძახა ეიღასაც, წაიღე და მიართვი ეს
სინიორა ბოლლას.—გმადლობთ, სინიორ რიგარესს. მომიტე-
ვეთ, რომ შეგაწუხეთ. კრაზანამ სავარძელში უკან გადიხარა,
და მის სახეს უსიამოვნოდ გაოცება ეტყობოდა.

— რისათვის დასჭირდა იმას ეს ცნობები?

გემმა მივიდა სახლში პატარა ბარათით ხელში.

— პპრილში 1838 წელს... არტური მოკვდა მაისში 1833
წელს. მაშ ხუთი წელიწადია....

გემმამ დაიწყო ოთახში სიარული. უკანასკნელი ღამეები იმას კარგად აღარ სძინებია, რის გამოც თვალები ჩაუცვიფდა და ამოულრმავდა.

— ხუთი წელიწადი! „მდიდრულ ცხოვრებას შეჩვეული“, „ეიღამაც, რომელსაც ერწმუნებოდა, მოატყუა ის“. ატყუებ-დნენ და იმან გაიკო ეს! — ქალი შესდგა და თავში ხელები იტაცა.

— არა, ეს სრული სიგიურა. ეს შეუძლებელია. მაგრამ მაინც, იმათ ხომ მაშინ მთელი ნავთ-სადგური დაათვალიერეს და ვერ იპოვნეს.

ხუთი წელიწადი,—ის არ იყო ჯერ კიდევ ოცდა-ერთის წლისა, როცა მეზღვაურს შეებრძოლა, რომელშაც დაასახირა, — მაშ ის ცხრამეტის წლისა ყოფილა, როცა სახლიდან გაქცეულა. განა იმან თითონვე არა სთქვა: „წელიწად-ნახევარიო“.

ან საიდან აქვს ამას ასეთი ლაქვარდის ფერი თვალები და მოუსვენარი, ჩქარი მოძრაობა თითებისა?

ან კიდევ, რად არის ასე გაბოროტებული მონტანელლზე? ხუთი წელიწადი..... ხუთი წელიწადი..... ოხ, ვიცოდე ნამდეილ, რომ დამრჩევალია! რომ მენახოს იმისი გვამი, ეგებ გული ჩემი ოდესმე დაწყნარებულიყო და მოგონებას აღარ ჰქონდა ჩემზე ასეთი გავლენა. იქმნება ოცი წლის შემდეგ შესძლებოდა ჩემს გულს ისე მოეგონა წარსული, რომ არ შემკრთალიყო.

მთელი სიყმაწეილე გემმასი მოწამლული იყო თავისი დანაშაულის მოგონებით. გადიოდნენ წელიწადები და ის კიდევ სინანულის დემონის წინააღმდეგ იბრძოდა. მას ყოველთვის ახსოვდა, რომ საქმე იმის ცხოვრებისა მომავალშია. ყოველთვის ხუჭავდა თვალებს, რომ არ დაენახა წარსული შემაძრწუნებელი ჩვენება. მაგრამ დღითი-დღე, სურათი, ზღვაში მოტივტივე დამღრჩევალ არტურის გვამისა არ შორდებოდა გემმას და გულის გამგირავი კვენესა აღმოხდებოდა ხოლმე გულიდან. მე მოვკალ არტური! არტური მკედარია! ეს მოგონება მეტად სამძიმოდ ეჩვენებოდა, მაგრამ ეხლა ნახევარ სიცოცხლეს შესწირავდა, ოღონდაც ისევ წინანდებურად ჰგონე-



ბოდა. გემმამ თვალები ხელით დაიფარა. ცხოვრება იმისი ჩამ-წარებული იყო იმით, რომ არტური მოკვდა. მაგრამ რა იქმნება, თუ სიკვდილის მაგიერ უარესს რასე საშინელებას გადაჰკიდა იგი? ვაი თუ ჰკრა ხელი და ჩააგდო არტური არამც თუ წყალში, არამედ... გემმამ აღარ დაზოგა თავი და დაწვრილებით მოიგონა მთელი ჯოჯოხეთი არტურის წარსულ ცხოვრებისა. ყოველივე ისე ცხადად ეჩვენებოდა, თითქო თითონევე გამოეცადნა იმისი ფიქრი, იმისი მდგომარეობა, შესაბრალისი თრთოლა შიშველი სულისა, დაცინებანი, სიკვდილზე უფრო სამძიმონი მარტოობა და ნელი სულის შემხუთავი ტანჯვა. გემმამ ისე ცხადად წარ-მოიდგინა ყოველივე ესე, თითქო თითონაც იმის გვერდით ყო-ფილიყოს ინდოელთა ქოხში, იმასთან ერთად ეტანჯა ვერც-ხლის მაღნებში, პლანტაციებში და ცირკში.... ცირკი... არა, უნდა როგორმე განვიშორო ფიქრიდან იმისი სახე, თორებ შესაძლოა ჭკუა დავკარგო, — გაიფიქრა გემმამ. გამოალო სამ-წერლო მაგიდის უჯრა. იქ ეწყო რამოდენიმე სამახსოვრო წვრილმანი ნივთი, რომელთა მოშორება მას ძალიან ეძნე-ლებოდა. გემმამ იშვიათად იცოდა ამ წვრილმანი ნივთების ამოლაგება, ახლა კი დაიწყო სათითაოდ სინჯვა მათი. ამოილო პირველი წერილი ჯიოვანნისა და ყვავილი, რო-მელიც მომაკვდავს ხელში სჭერლდა. იმისი სიყმაწვილის კუ-ლულა თმის მონაჭერი და ვარდი თავის მამის საფლავზე დამჭ-კნარი. შეა ფიცარზე უჯრაში იდო პაწაწა სურათი ათის წლის ბავშვის არტურისა. აიღო ხელში ეს სურათი და დააცქერდა. იმ დრომდის უცქირა, მანამ ნამდვილ ცოცხლად არ წარმოი-დგინა თვალწინ იგი. ოხ, როგორ ცხადად პედავდა ეხლა იმას გემმა. ტუჩების წმინდა და ნაზი გამოხატულობა, დიდრონი სერიოზული ლურჯი თვალები, ანგელოზური სახის გამომეტ-ყველობა. ყოველივე ეს, ისე ცხადად გაითვალისწინა, თითქო, არტური გუშინ მომკვდარიყოს. იმას ცრემლებით აევსო თვა-ლები და ნელ-ნელა სციოდნენ სურათზე, რის გამოც სურა-თი თითქოს ბურუსში გაეხვიაო და გემმა ველარას ჰხედავდა.

— ოხ, როგორ ვიფიქრე ეს,— ამბობდა იგი,— როგორ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა არტურის ნათელი და უმან-კო სული ამ წვრილმან განსაცდელიან ქვეყანაში? უთუოდ ღმერთს ცოტათი მაინც უყევარდათ იგი და ამ განსაცდელი-ან ცხოვრებას ადრევე მოაშორეს. ათასჯერ უმჯობესია იმის-თვის არ არსებობდეს, ვიდრე არსებობდეს და კრაზანა იყვეს, კრა-ზანა თავის სპეტაკ ყელ-სახვევით, საეჭვო სიტყვა მახვილობით, ბოროტი ენით და თავის ბალეტში მოთამაშე ქალით. არა, არა, ეს მხოლოდ სულელური ფანტაზია იყო, ტყუილად დავიტანჯე თავი უთავბოლო ფიქრებით. ეჭვი არ არის, არტური მკვდა-რია.

— შეიძლება შემოსვლა? — მოესმა ნაზი ხმა კარებიდან.

გემმა შეკრთა და სურათი ხელიდან გაუფარდა. კრაზანა კოჭლობით შევიდა ოთახში, აიღო სურათი და გადასცა.

— როგორ შემაშინეთ, — უთხრა გემმამ.

— დ.....დიდად ვწუხვარ. იქნება არ ჟეცალათ და ხელი შეგიშალეთ.

— არა, მე მხოლოდ ძველ ნივთებს ვათვალიერებდი.

ცოტა ყოყმანის შემდეგ გადასცა სურათი კრაზანას.

— როგორ მოგწონთ ამ ყმაწვილის სიხე? მანამ კრაზანა სურათს ათვალიერებდა, გემმა გამომცდელის თვალით მისჩერებოდა, თითქო მთელი იმისი ცხოვრება კრაზანას პასუხისავან იყო დამოკიდებული, მაგრამ კრაზანას სახეზე კრიტიკისა და ურწმუნობის მეტი არა იხატებოდა-რა.

— თქვენ ძნელ ამოცანას მაძლევთ: სურათი დაძეელებულია და საზოგადოდ კი ბავშვის სახის ცნობა ძნელია, მაგრამ მე მგონია, რომ ეს ბავშვი უბედური იქნებოდა ცხოვრებაში; მისთვის უმჯობესი იქნებოდა დავაუკაცებამდე უარი ეთქვა ცხოვრებაზე

— რატომ?

— შეხედეთ ამის ქვემო ტუჩის ხაზს: ამ ნაირი ხალხი ძალიან ღრმად ჰერძნობს მწუხარებას და უსამართლობას! ცხოვ-

რებაში არ არის მათთვის ადგილი. ცხოვრებისათვის საჭიროდა ისეთი ხალხი, რომელიც მარტო თავისას ჰგრძნობს.

— ნაცნობს არავის გავონებთ ეგ სურათი? — კრაზანამ ახლოს მიიტანა თეალებთან სურათი და დაიცემდა.

— დიალ. ეს საოცარია, დიალაცა ჰგავს, ძალიანა ჰგავს.

— ჰგავს? ვისა?

— კ.....კარდინალ მ.....მონტანელლის. ხომ არა ჰყვანან უცოდველ კარდინალს ძმისწულები? ნება მომეცით, გკითხოთ, ვინ არის ეს?

— ეს არის სურათი ჩემის მეგობრისა, რომელზედაც გელაპარაკებოდით.

— რომელიც თქვენ მოჰკალით?

გემმა შეჰქრთა. — როგორ უბრალოდ და დაუდევნელად ამბობს ამ შემაძრწუნებელ სიტყვას.

— დიალ, რომელიც მე მოვკალი. თუ ის მართლა მკვდარია. თუ.... გემმა თვალ-გაშტერებით უცემდა კრაზანას. — მე ხან-და-ხან ეკვში შევდივარ, გვამი იმისი არ უპოვნიათ. იქმნება ის გაიქცა სახლიდან, თქვენებრ, და წავიდა სამხრეთ ამერიკაში.

— იმედი მაქს, რომ ეს ასე არ მოხდებოდა. ეს იქმნებოდა სამძიმო მოგონება თქვენთვის. მე ბევრი ვიომე თ....თავის დროზე და გავისტუმრე ჯოჯოხეთში იქნება ბევრზე უმრავლესი კაცი, მაყრამ რომ ვიცოდე, ჩემის შიშეზით რომელიმე სულიერი არსება წავიდა სამხრეთ ამერიკაში, მე ლამე ძილი არ მექმნებოდა....

— თქვენ ეგრე ჰფიქტობთ? — გაშევეტინა სიტყვა გემმამ და მიუახლოვდა, — რა იქმნება, რომ არ იყოს დამლრჩვალი? რომ იმასაც გამოველოს მაგნაირი ცხოვრება, როგორიც თქვენ გამოგიელიათ, არაოდეს არ დაბრუნდებოდა პატიებით გულში? როგორ ჰფიქტობთ, არაოდეს არ დაივიწყებდა ამას? მოიფიქრეთ, მეც ხომ ძალიან დავიტანჯე ამ გარემოებით. შეჰქედეთ, — იმან უკან გადიშალა შუბლზე ჩამოყრილი თმები. მუქ თმა-

ში მოსჩანდა ვერცხლიცით თეთრი თმის ზოლი. დადგა ხანგლძლივი სიჩუმე.

— მე ვფიქრობ,— სთქვა წყნარად კრაზანამ,— რომ სჯობს მიცვალებულნი დარჩენ მიცვალებულებად. ბევრი რამ ძნელი დასავიშყარია და მე რომ ვიყო იმ თქვენი მეგობრის ადგილას, ისევ მკედრად დავრჩებოდი. იმ ქვეყნიდან დაბრუნებულნი ჩა-ლიან დამახინჯებულნი არიან.

ქალმა ჩასდო სურათი ყუთში და დაჰკეტა.

— ეს სასტკი რწმენაა, — სთქვა იმან, — მაგრამ ეხლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— ცოტა რამ საქმე მაქვს თქვენთან. მე მინდა მოგელაპარაკოთ ერთ კერძო გეგმაზე, რომელიც აზრად მომივიდა, — უთხრა კრაზანამ.

გემმამ სავარდელს მისწია მაგიდისაკენ.

— რას ჰფიქრობთ ბეჭვდის მოსალოდნელ კანონის შესახებ?

— რას ვფიქრობ? ვფიქრობ, რომ იმას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ერთი ლუკმა პური სჯობიან სულ უქონლობას.

— მაშ ეჭვი არ არის, თქვენ იმუშავებთ ერთ-ერთ ახალ გაზეთში, რომლის გამოცემასაც ეპირებიან.

— დიალ, უსათუოდ. ყოველთვის არის ბლომად მეხანიკური სამუშაო, ბეჭვდა ვრცელდება და

— როდემდის უნდა ხარჯოთ ტყუილ-უბრალოდ თქვენი გონების ძალები.

— ტყუილ-უბრალოდ რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ შეგიძლიანთ სხვა საქმის კეთებაც, თითონვე იცით, რომ აქაურ ხალხზე ბევრით მაღლა დგეხართ და აძლევთ კი ნებას, რომ თქვენით სარგებლობდნენ. ყველა ისინი, გრასსინი და გალლი თქვენს წინაშე მოსწავლენი არიან და თქვენ კი, იმათ კორექტურას ასწორებთ.

— ჯერ ერთი ეს, რომ მე არ ვკარგავ დროს კორექტურის გასწორებაში და გარდა ამისა, თქვენ მგონი აზვიადებთ



ჩემს გონიერობითი ნიჭეს, ის სრულიადაც ისეთი ბრწყინვალე ჰასტატი არის.

— მე არცა ვფიქრობ, რომ ბრწყინვალეა. — მშვიდობიანად უთხრა კრაზანამ. — მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენ ცოცხალი ფხიზელი გონება გაქვთ და ეს კა დიდად თვალსაჩინოა. მო- საჭყნდა და დამქანცველ კომიტეტის სხდომებზე თქვენ ყოველ- თვის ამხილებთ ხოლმე თვითოვეულ წევრთა სუსტ მხარეს მსჯე- ლობაში.

— უსამართლო ხართ სხვების მიმართ. მარტინი მაგალითად, ლოლიკის კაცია და არც ის არის საეჭვო, რომ ფაზრიცი და ლიოვა ჭკვიანები არიან. გრასსინიმ სხევბზე უფრო კარგად იცის სტატისტიკა იტალიის ეკონომიკის საქმეებისა.

— ეგ ბევრი არ არის, მაგრამ მათ თავი დავანებოთ. ეჭვი
არ არის, რომ ოქვენ შევიძლიანთ, თქვენის კუუით დაიწყოთ
უფრო თვალსაჩინო საქმე და მოიპოვოთ უფრო თვალ-საჩინო
ადგილი ეიღორე ახლა გიჭირავთ.

— მე კმაყოფილი ვარ ეხლანდელის ჩემის მდგომარეობისა. საქმე, რომელსაც უკეთებ, იქნება დიდ-მნიშვნელოვანი არა არის, მაგრამ თითოეული ჩეინგანი აკეთებს იმას, რაც შეუძლიან.

— სინიორა ბოლლა, თქვენ და მე იმდენად გონიერები ვართ, რომ ერთმანერთს საპირფერო სიტყვებს არ ვეტყვით. მითხარით პატიოსანი სიტყვა, არ ფიქრობთ, რომ ხარჯავთ თქვენს ჭკუას იმ საქმისთვის, რომლის შესრულებაც შეუძლიანთ იმ ხალხს, რომლებიც თქვენზე დაბლა სდგანან.

— თუ მაინც და მაინც გინდაც პასუხი მოგცეთ, გეტყ-
ვით, რომ ეს რამოდენიმედ მართალია.

— მაშ რად მოქმედობთ ეგრე?

ქალმება არა უპასუხა-რა.

— ეგრეთ რად მოქმედობთ?

— რადგან არათრის შეცვლა არ შემიძლიან.

— რისთვის?

გემმამ შეხედა უკმაყოფილო სახით და უთხრა:

— ეგ არ არის კარგი თქვენის მხრით, რომ ეგრე მცდის. მაგრამ მაინც მითხარით, რისთვის?

— იმისთვის, რომ ჩემი ბედი დამსხვრეულია და არ შემწევს იმდენი ძალა, რომ დავიწყო რაიმე ნამდგადე საქმე. მე შემიძლიან ვიყო მხოლოდ სუსტ რევოლიუციონერად და ვასრულო მექანიური საქმე, ამანაგობისათვის. ამას სვინიდისიერად ვაკეთებ. ვინმე ხომ უნდა ასრულებდეს ამ საქმეს?

— დიალაც, ეს საჭიროა, მაგრამ უნდა ამას ვინმე სხვა აკეთებდეს.

— მე მხოლოდ ეს საქმე შემიძლიან.

კრაზანამ ნახევრად მოხუჭულ თვალებით და გამომცდელის თვალით შეხედა.

გემმამ იმ წამსვე აიხედა.

— ჩვენ ვუბრუნდებით ძველ ლაპარაკის საგანს და საქმეზე კი ვაპირობდით მუსაიფს. სრულიად უსარგებლოა ჩემი დარწმუნება, ვითომც ბევრი რამ სხვა საქმის გაკეთება შემიღლიან, სულ ერთია ეხლა, მე ვერაფრის გაკეთებას ვერ მოვახერხებ. მაგრამ ეგებ შეეიძლო დახმარება თქვენის გეგმების მოვიქრებაში და რაიმე რჩევა მოგვკეთ. რაში მდგომარეობს საქმე?

— წინადვე მაგებინებთ, რომ თქვენგან არაფერს არ უნდა მოველოდე და მკითხავთ კი, რას ველი თქვენგან. ჩემი სურვილი ის არის, რომ თქვენ დამეხმაროთ არამც თუ მოფიქრებაში, არამედ საქმის წარმოებაშიაც.

— მითხარით, საქმე რაში მდგომარეობს და შემდეგ მოვილაპარაკოთ ამაზე.

— ჯერ თქვენ ეს მითხარით, მოვიდნენ თქვენამდის ხმები ვენეციის მოსალოდნელ აჯანყებაზე?

— მესმის ხმები აჯანყებაზე, ათასევარ გეგმებზე და სანფედისტურ შეთქმულებებზე იმ დროიდანვე, რაც ამნისტია დადგინდა და ამ ხმებს მე ვუცქერი ეჭვის თვალით.

— აგრეთვე როგორც მე მრავალ შემთხვევაში. მაგრამ ეხლა სერიოზულ მომზადებაზე ვლაპარაკობ, მთელი ვენეცია

ამდგარა იყსტრიელების წინააღმდეგ. რიცხვმრავალი ახალკაზ-დობა პაპის სამფლობელოში ამზადებს მტერზე საიდუმლო თავს-დასხმას. რომანიაში მყოფთ ჩემ მეგობრებისაგან ვიცი.

— მითხარით, — ჰერიტა გემშამ, — შეიძლება დანდობა თქვენს მეგობრებზე?

— სრულებით. მე იმათ კარგად ვიცნობ, მათ შორის მეც ვმუშაობდი.

— მაში ისინი არიან წევრნი იმ „სექტისა“, რომელსაც თქვენ ეკუთვნით? მომიტევეთ ჩემი უნდობლობა, მაგრამ მე ყოველთვის სიფრთხილითა ვარ იმ ნაირ ცნობების შესახებ, რომელებიც საიდუმლო საზოგადოებიდან მოღიან. მე მგონია, რომ ჩვეულება...

— ვინ გითხრათ, რომ მე წევრი ვარ რომელიმე „სექტისა?“

— არავინ, მე თითონ მივხედი.

— ა. — კრაზანამ გადიწია სავარძელში და ნაწყენის სახით შეხედა გემშას.

— თქვენ ყოველთვის მიხვდებით ხოლმე სხვის პირად საქმებს? — ჰერიტა წუთს შემდეგ.

— ხშირად, ძალიან დაკირვებული ვარ და ვიცი შეტყობიათ რასაც ფიქრობენ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ გაფრთხილდეთ, თუ არ გსურთ, რომ მე შევიტყო რამ.

— არა ვშიშობ, რომ თქვენ იცოდეთ, ოღონდ შორს არ წავიდეს; სხვებმა არ ვაიგონ, ვფიქრობ, რომ...

გემშამ თავი ასწია შეურაცხყოფილის სახის გამომეტყველებით და გაელაპარაკა:

— სრულებით არ არის საჭირო თქვენი კითხვა...

— დიალაცი, მე ვიცი, რომ ამაზე ლაპარაკს თქვენ სხვასთან არ დაიწყებთ, მაგრამ ვფიქრობდი, იქნება თქვენის ამხანაგობის წევრებთათვის გეთქვათ.

ამხანაგობისათვის ფაქტებია საჭირო და არა ჩემი უანტაზიური მოსაზრებანი. რასაკვირველია, არაოდეს ამაზე არავისთან ვილაპარაკებ.

— გმადლობთ. იქნება თქვენ მიხვედრილიცა ხართ, ხამ-დვილად რომელ სექტას ვეკუთვნი.

— იმედი მაქვს... გთხოვთ შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ ჩემს გულწრფელობას. თქვენ თითონ დაიწყეთ ლაპარაკი და არა მე. ვიმედოვნებ, რომ ეკუთვნით არა „მედანეების“ ამხა-ნაგობას.

— რატომ იმედოვნებთ?

— იმიტომ, რომ თქვენ ვარგიხართ სხვა რამ კარგ საქმი-სათვის, ვიდრე იმისთვის, რასაც ისინი აკეთებენ.

— ჩვენ ყველანი ვვარგივართ საუკეთესო საქმეებისათვის. მოგიგებთ თქვენივე სრტყვებით. თუმცა ნამდვილად კი, ვეკუთვნი არა „მედანეებს“, არამედ „წითელ ქამრებს“. ეს უფრო სერი-ოზული კომპანია მომეცადინე ნამდვილი საქმისა.

— ესე იგი მკვლელობისა?

— დიალ, სხვათა შორის, მკვლელობა ხან-და-ხან ძალიან სასარგებლოა. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ზურგს იქით რიგზე დაწყობილი მომხრეები გეგულება. აი, რისთვის არ მიყ-ვარს სხვა სექტა. ისინი ჰყიქრობენ, რომ დანა შეელის ყოვე-ლისავე სიძნელეს და ეს კი შეცდომა. ის შეელის ხან-და-ხან და არა ყოველთვის.

— ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მკვლელობა რაიმეს შვე-ლის?

კრაზანამ გაოცებით შეხედა.

— დიალაც, — განაგრძობდა ქალი, — მკვლელობა უკუაქ-ცევს ერთის წუთით პრაქტიკულ დაბრკოლებას, როგორც ჯა-შუში, ანუ მოხელე, მაგრამ მე მგონია, რომ იგი აჩენს უფრო ცუდსა და სამძიმო დაბრკოლებას. ყოველგვარი მკვლელობა პოლიციას ხოლოდ უფრო აბოროტ-მოქმედებს და აჩვევს ხალხს ძალ-მომრეობას, და ეს კი ყველა შევიწროებაზე უარესია.

— როგორ ჰყიქრობთ, რა იქმნება მაშინ, როდესაც რე-ვლიუციის დრო დადგება, განა მაშინ არ მოგვიხდება ძალ-მომრეობის შეჩევა? ომი ომად რჩება.



— დიალ, მაგრამ გამოცხადებული რევოლიუცია სხვა საქმეა. ის მხოლოდ წამია ხალხთა ცხოვრებაში და ეს არის ფასი, რომელსაც ჩვენ ვიხდით მთელს ჩვენ პროგრესისთვის. ბევრი საშინელება ხდება რევოლიუციის დროს, მაგრამ რევოლიუცია ხომ ერთი მომენტია, მკვლელობის საშუალებით პროპაგანდა კი მკვლელობას ჩვეულებადა ჰქმდის. ხალხი თან-და-თან ისე უცქერის ამას, როგორც ყოველ-დღიურ შემთხვევებს და გავება ადამიანის სიცოცხლის სიწმინდეზე სრულიად იკარგება. დიდი ხნით არა ყოველგვარ რომანიაში, მაგრამ იქიდან, რაცა ვნახე, გამოვიტანე ის შთაბეჭდილება, რომ იქ ხალხი ეჩვევა ძალ-მომრეობას.

— ყოველ შემთხვევაში ეს უმჯობესია, ვიდრე მონობის შეჩვევა.—სთქვა კრაზიამ.

— არა მეონია: ყოველ-გვარი მექანიური ჩვეულება, ნი-
შანია სისუსტისა და მონობისა და ეს ჩვეულობა კი მკაცრიც
არის, რასაკეირველია. თუ რევოლუცია მართებლობისაგან
რამეს წართმევაა საიდუმლო სექტები და დანა უნდა ჩავთ-
ვალოთ საუკეთესო იარაღად, რადგან ყველაზე უფრო საშიშო
მმართველობისათვის ისინი არიან. მაგრამ თუ თქვენც ჩემების
ჰეთიქრობთ, რომ ძალ-მომრეობა მმართველობასთან არ არის
მიზანი, არამედ საშუალებაა მიზანთან მიღწევისა და იმას უფ-
რო უნდა ვცდილობდეთ, რომ შევცვალოთ ხალხის ურთი-
ერთ შორის განწყობილობა, ამ შემთხვევაში საჭიროა ვიმოქ-
მედოთ სულ სხვა ნაირად: ხალხის სისხლის დანახვის შეჩვევა
სულაც არ ჰნიშნავს იმას, რომ ვამალლებთ იმათ თვალში ფასს
ადამიანის სიკოცხლისას.

— რა ფასი აქვს იმათთვის სარწმუნოებას?

— առ թյօնուս.

კრაზანამ გაილიმა.

— მე მგონია, რომ ჩეენ ერთ ნაირად არ გვესმის ბოროტების ძირი. თქვენ ხედავთ ამას კაცის სიცოცხლის არა საკმაოდაფასებრაში.

ქრიზანა

— მე ადამიანის პიროვნების სიჭმინდეზე უფრო ვლაპარაკობ.

— ილაპარაკეთ როგორც გსურდეთ. ჩემის აზრით კი, უმთავრესი მიზეზი ყველა ჩვენი შეცდომებისა და გაუგებრობისა ძევს გონების სისუსტეში, რომელსაც რელიგიას უწოდებენ.

— თქვენ ლაპარაკობთ კერძოდ რომელსამე სარწმუნოებაზე?

— არა, ეს კითხვა შეეხება გარეგან ნიშნებს. ავალმყობის მდგომარეობს გონების სარწმუნოებრივ მიმართულებაში, ავალმყოფურ მისწრაფებაში, რათა გიჩინოს კერპი და ეთაყვანებოდეს მას, დაეცეს იმის წინაშე და თაყვანი სცეს... თქვენ, რასაკირველია, არ მეთანხმებით! რა სარწმუნოებასაც უნდა აღიარებდეთ, ატეიზმს თუ აგნოსტიციზმს, ეს სულ ერთია, თქვენ გეტყობათ, რომ სარწმუნოებრივი ტემპერამენტი გაქვთ. მაგრამ სულ ერთია, ამაზე ლაპარაკი მეტია. მხოლოდ ძალიანა სცდებით, რომ ფიქრობთ, ვითომ მე ვხედავ მკვლელობაში მიზეზს, რათა განვიშორო უვარგისი მოხელეები. ყველაზე უფრო იმ საშუალებას ვხედავ, რომ დავთრგუნო გავლენა ეკკლესიისა და შევაგონო ხალხს, რომ სასულიერო აგენტები სულ მდაბალნი ქმნილებანი არიან.

— მერე რომ გააღვიძოთ მაგით მხეცი, რომელსაც სძინავს ხალხში და მიუსიოთ ეკკლესიას, მაშინ...

— მაშინ მე ჩავთვლი ჩემის ცხოვრების მიზანს სრულიად შესრულებულს.

— ეს არის ის საქმე, რომელზედაც მელაპარაკებოდით ამას წინად?

— დიალ, სწორედ ეს საქმეა.

გემმას გააურეოლა და სახე გვერდზე მიიბრუნა.

— არ მოგეწონეთ განა? — ჰკითხა კრაზანამ ღიმილით.

— არა, ეგ ის არ არის, მე ცოტა მეშინიან თქვენი. — უპასუხა გემმამ, მერე მობრუნდა ისევ და დაილაპარაკა ჩვეულებრივის საქმიანის კილოთი.



— ეს სრულიად უსარგებლო დავაა. ჩვენ სულ სხვადასხვა სხვა შეხედულობისა ვართ ამ საქმის შესახებ. მე ჩემის მხრივ მრწამს პროპაგანდა და პროპაგანდა, თქვენ კი ცდილობთ მოახდინოთ პირდაპირი აჯანყება.

— მაშ, კარგი დავუბრუნდეთ ჩემი გეგმის ახსნას. ამ გეგმას აქვს კაეშირი პროპაგანდასთან და უფრო კი აჯანყებასთან.

— ჰოო?

— გითხარით კიდეც, რომ ბევრი ვოლონტიორი მიემგზავრება რომანისკენ, ვენეციელების დასახმარებლად. ჯერ არ ვიცით, როდის მოხდება არეულობა; იქნება ეს მოხდეს შემოდგომაზე ანუ ზამთარში, მაგრამ ვოლონტიორები აპენინის მთებში უნდა იყენენ აღჭურვილნი იარალით, უნდა მზად იყვნენ, როგორც კი გაგზავნიან იმათთან. მე ვიტვირთე გავუგზავნო ფარულად თოფ-იარალი პაპის სამფლობელოში.

— მოითმინეთ, როგორ მოხდა ეს, რომ იმ პარტიასთან ერთად მოქმედობთ. რევოლუციონერები ლომბარდიაში და ვენეციაში ყველანი პაპის მხარეზე არიან. ისინი ადგანან ლიბერალურ რეფორმებს და ხელი-ხელ მიდაან ეკკლესიის პროგრესიულ პარტიასთან. როგორ შეგიძლიანთ მავნაორ მტერს კომპრომისებისას და სასულიერო პირებისას, როგორიც თქვენა ხართ, იყყეთ იმათ მხარეზე?

კრაზანამ მხრები ასწია.

— რა მენაღვლება, თუ მათ ტიკინით თავის გართობა ესიმოვნებათ, ოლონც კი საქმე ვაკეთებინო. რასაკვირველია, პაპი არის მათვის დროშა. მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, ოლონც აჯანყება დაიწყოს რითიმე. ყოველნაირი კეტი გამოსაღევია ძალლის საცემად, ყოველი პაროლი გამოსაღევია, თუ იგი ხალხს ავსტრიელზე მიუსევს.

— რას თხოულობთ ეხლა ჩემგან? — ჰითხა გეშმამ.

— იმას, რომ იარალის გადატანაში დამებმართ.

— როგორ უნდა მოვახერხოთ ეს?

— სხვაზე უფრო თქვენ შეგიძლიანთ იყოთ სასარგებლო. მე ვფიქრობ იარალის ყიდვას ინგლისში, მაგრამ იქიდან შეუ-

ძლებელია გაგზავნა, რადგან პაპის სამფლობელოს პორტი უნდა გაიაროს. უნდა გავატაროთ ტოსკანა და იქიდინ გადვიტანოთ აპენინის მთებში.

— ესე იგი, უნდა გაეიაროთ ერთის მაგიერ თარი საზღვარი?

— დიალ, — უთხრა კრაზანამ, — სხვა გზით არ შეიძლება. თუ არ სავაჭრო პორტში შეუძლებელია გატარება დიდი ტრანსპორტისა, და ხომ იცით, რომ ჩივიტრა ვეკვიაში მხოლოდ რამოდენიმე აფრებიანი გემი და მეთევზეთა ნავებია, იარაღის ტოსკანაში გადატანისათვის. სამზღვერებზე გადატანა კი ჩემს კისერზე იყოს. ჩემმა ამხანაგებმა მთების ყველა ბილიკები იციან და იქ მრავალი ფარული ადგილები გვაქვს. ტრანსპორტი უნდა ზღვით წავიდეს ლიგორნოში და აი ეს არის საძნელო, რადგან არ ვიცნობ იქაურ კონტრაბანდისტებს და თქვენ კი იცნობთ, მგონი.

— მომითმინეთ, ცოტა მოვიფიქრო. — გემმა დაფიქრდა და შემდეგ შეპარება კრაზანას.

— შეიძლება, ეიყო თქვენთვის სასარგებლო ამ საქმეში. მაგრამ ჯერ ეს უნდა გკითხოთ, შეგიძლიანთ მომცეთ პატიოსანი სიტყვა, რომ ამ საქმეს არა აქვს კავშირი რაიმე მკვლელობასთან ან და იდუმალ ძალ-მომრეობასთან?

— დიალაც. რაღა თქმა უნდა, რომ არ გთხოვდით დახმარებას იმ საქმეში, რომელიც, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ არ მოგწონთ,

— როდისთვის გინდათ იცოდეთ გარდაწყვეტილი პასუხი?

— ბევრი დრო აღარა გვრჩება, მაგრამ შეიძლება რამოდენიმე დღე მოგცეთ ვადა.

— თავისუფალი ხართ შაბათ საღამოს?

— მოითმინეთ. დღეს ხუთშაბათია, ჰო, დიალ, დრო მაქვს.

— მაშ, შაბათს მოდით ჩემთან. მოვიფიქრებ კიდევ და გადაწყვეტილ პასუხს მოგცემთ.

შემდეგ კვირას გემმამ გაუგზავნა ფლორენციის კომიტეტში მაცურინის ამხანაგობას განცხადება, რომ თითონ ვიწყებ პო-

ლიტიკურ საქმეს და რამოდენიმე თვით არ შემეძლება შესრულება ჩემის ჩვეულებრივ ვალდებულობისაო. ამხანაგობისათვის ეს განცხადება მოულოდნელი იყო, მაგრამ კომიტეტმა ისე მიიღო ეს, რომ წინააღმდევობა არ გამოუცხადებია. იმნაირ ადამიანად, რომლის ყოველგვარ განსჯას ენდობოდნენ, და ყველა წევრნი კომიტეტისა თანახმა იყვნენ იმისა, რომ თუ სინიორა ბოლლამ განიზრახა მოულოდნელი ახალი ნაბიჯის გადადგმა, უთუოდ ამისთვის უნდა იმას პატივსადები მიზეზი უნდა ჰქონოდა. მარტინს კი გემმამ გულ-ახდით უთხრა ყველაფერი. საჭიროდ ჩასთვალა გაეგებინებენა ეს ძველ მეგობარ მარტინისათვის, რათა მათ შორის არავითარი ეჭვი და გაუგებრობა არ ყოფილიყო.

მარტინს არა უთქვამს-რა, მაგრამ გემმა ხელავდა, თუმცა თითონაც არ იცოდა რისთვის, რომ ამ ამბავმა მარტინს აწყენინა. ისინი ისხდნენ გემმას სახლის წინ აივანაზე, იქიდან მოსაჩანდა ფიეზოლე. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მარტინი წამოდგა ჯიბებში ხელებ ჩაწყობილმა დაიწყო სიარული სტვენით. ამით შეეტყობოდა ხოლმე იმას აღშფოთება.

გემმა გაჩუმებული უცქეროდა და ბოლოს ჰკითხა:

— ჩეზარე, თქვენთვის არ არის სასიამოვნო, რომ ეს საჭმე განვიზრახე? არ მინდა თქვენი წყეინება, მაგრამ უნდა კი ისე მოვიქცე, როგორც საჭიროდ მიმაჩნია.

— საქმე თვით საქმის დაწყებაში არ მდგომარეობს.—მიუგო მოღუშულმა მარტინმა,—მე ამისი არა ვიცი-რა. რადგან დათანხმდით მიიღოთ მონაწილეობა, სჩანს, რომ ეს კარგი საქმეა, მაგრამ მე მხოლოდ არ ვერწმუნები თვით იმ კრაზანას.

— მგონი თქვენ სცდებით კრაზანას შესახებ, მეც თქვენებრ ვფიქრობდი წინედ, მაგრამ ეხლა, როცა ახლოს გავიცანი, დავრწმუნდი, რომ ბევრად უკეთესია იმაზე, როგორიც თქვენა გვონიათ.

— შეიძლება.

მარტინმა განაგრძო სიარული და მერე უეცრივ გაჩერდა გემმას წინ.

— გემმა, უარი ჰყავით! უარი უთხარით ვიღრე არ დაგ-
ვიანებულა! — ეგ კაცი ისეთ საქმეებში გაგხვევთ, რომ შემდეგ
თქვენვე ინანებთ.

— ჩეზარე, — უთხრა გემმამ წყნარად, — თქვენ არ აძლევთ
ანგარიშს თქვენს სიტყვებს. არავინ არას მაძალებს, მე ჩემის
ნებით ვიტვირთ ეს საქმე, როცა კარგად მოვიფიქრე და ყო-
ველ მხრით ავსწონ-დავსწონ. თქვენ პირად ზიზღა ჰერძნობთ
კრაზანას მიმართ, ეს ვიცი, მაგრამ ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ
პიროვნებაზე კი არა, საქმეზე.

— გემმა, უარი უთხარით! ის საშიში კაცია: ის არის მკაც-
რი, დაუნდობელი, არა აქვს სვინიდისი და იმას უყვარხართ
თქვენ.

— ძვირფასო ჩეზარე, მე არ შემიძლიან ვერიდო იმას და
არ შემიძლიან გითხრათ, თუ რისთვისაც. ჩვენა ვართ ერთმა-
ნეთთან დაახლოვებულნი არა ჩვენის ნებით.

— თუ ხართ დაახლოვებულნი, მაშ ლაპარაკი მეტია. —
უპასუხა მარტინმა ჩახლოებილის ხმით. ის წავიდა მომიზეზებით,
რომ არა სცალიან და მთელი საათობით დაეხეტებოდა ტალა-
ხიან გზებზე. ამ საღამოს ცხოვრება მეტად შავი ეჩვენებოდა.
ძლივს იპოვნა თავისთვის ერთი ბატკანი და იმ სხლტომია
ცხოველმა კი გამოაცალა ხელიდან.



თებერვლის შუა რიცხვებში კრაზანა გაემგზავრა ლიგორ-
ნოში. გემმამ გააცნო ის იქ ერთ ახალგაზდა ინგლისელ გემის
აგენტს, რომელიც ლიბერალური შეხედულობისა იყო: გემმა
და იმისი მეუღლე ბოლლა იცნობდნენ ამ ყმაწვილს ინგლის-
ში. ამ კაცმა რამდენჯერმე აღმოუჩინა ცოტა რამ დახმარე-
ბა ფლორენციის რაღიკალებს, ასესხებდა ხოლმე ფულს, რო-
ცა საჭიროებდნენ და აძლევდა ნებას ესარგებლათ იმისი აღ-
რესით კონსპირატორულ წერილებისთვის და სხვ.... მაგრამ
თხოვნით მიმართავდნენ ხოლმე ყოველთვის გემმას მოციქუ-



ლობით, რადგან ის გემმას დიდ პატივისა სცემდა. შეიძლებოთ—
და თუ არა ეხლაც, რომ იმ კაცის ნაცნობობით სარგებლობა
რამ გამოეტანა,—ეს მეორე კითხვაა. ძალიან აღვილი იყო,
რომ კეთილ ნაცნობ ინგლისელისათვის ეთხოვნათ ადრესი წე-
რილებისათვის, რომლებიც უნდა სიცილიიდან მოსულიყვნენ,
ან შეენახათ რამოდენიმე საბუთის წერილი ხაზინაში, მაგრამ,
რომ მიემართნა ვისმე თხოვნით, რათა დახმარებოდა ის კონ-
ტრაბანდულის გზით აჯანყებისათვის, ეს სულ სხვა საქმე
იყო და გემმა ოდნავ თუ იმედოვნებდა რაიმე გაერიგებინა
იმასთან.

— სცადეთ,—უთხრა გემმამ კრაზანას,—მაგრამ, არა მგო-
ნია, რომ რაიმე მოხერხდეს. რომ წახვიდოდეთ იმასთან ჩემის
რეკომენდაციით და სთხოვდეთ გასესხოთ ხუთი სკუდი, დარ-
წმუნებული ვარ, რომ გასესხებთ მაშინვე (ძალიან ხელ გაშ-
ლილია). შეიძლება, საჭიროება რომ მოითხოვდეს, თავის პას-
პორტიც გათხოვოთ, ან-და გაქცეული რომ იყოს ვინმე, კი-
დეც დამალოს. მაგრამ თუ ახსენეთ იმასთან იარაღი, ის გაო-
ცებულის თვალით დაგაშტერდებათ და იფიქრებს, რომ თქვენ
და მე ორნივ ჭიკუაზე შევიშალენით.

— იქმნება რაიმე გჭიბი მაჩენოს, ან-და გულ-კეთილი
მეზღვაურები გამაცნოს,—უთხრა კრაზანამ,—ყოველ შემთხვე-
ვაში სჯობს ვცადოთ.

—

ერთხელ, თვის დამლევს, კრაზანა მივიღა გემმასთან და
ქალმა იმ წახსვე შეამნი სახეზე, რომ კარგი ამბავი მოჰქონდა.

— მოხვედით როგორც იყო! მე გავიფიქრე კიდეც, რომ
რაიმე შეგემთხვათ.

— უმჯობესად ჩავსთვალე, არა მომეწერა-რა თქვენთვის
და დაბრუნება კი ამაზე აღრე არ შემეძლო.

— ეხლა მოხვედით?

— დიალ, ეს არის ეხლა მოვედი და გამოვეშურე თქვენ-
თან, შეგატყობინოთ, რომ ყოველივე კარგად მოეწყო.

— განა ბელი დათანხმდა დახმარება აღმოგვიჩინოს?

— დახმარებაზე მეტსაც შეგვპირდა. იმან თავის თავზე ში-იღო ყოველივე, შეზვევაც, გადატანაც და ყველაფერი, ერთის სიტყვით. იარაღი დამალული ექმნება საჭონლის საპალნეებში და პირდაპირ ინგლისიდან იქმნებიან მოტანილი. იმისი მეგობარი ვილლიამი დათანხმდა ჰეზავნოს ტრანსპორტი სოუტგემპტონიდან და ბელი მოახერხებს ააცილოს დამოუნის განჩხრეკა ლიკორნოში. აი რისთვის ვიმოგზაურე ამდენი ხანი. ვილლიამი სწორედ ეხლა მოდიოდა სოუტგემპტონში და გავაცილე გენუამდის.

— რომ გზაში დაწვრილებით მოგელაპარაკნათ?

— დიალ, მანამ ავად შევიქნებოდით ზღვაზე მოგზაურობით და შემდეგ კი ლაპარაკიც ვეღარ შევძელ.

— ავად ხდებით ზღვაზე მოგზაურობით? — ჰკითხა გემმამ, რადგან უეცრად გაახსენდა, არტური როგორ შეიქნა ავად, როცა იმისმა მამამ ერთად წაიყვანა ისინი ზღვაზე სასეირნოდ.

— ძალიან ავად ვხდები, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ზღვაზე ვცურავ. მაგრამ მოვასწარ კი ლაპარაკა, მანამდის გემს დატვირთავდნენ გენუაში. თქვენ უთუოდ იცნობთ ეილლიამს? — კარგი კაცია, შეიძლება, რომ მიენდოს იმას კაცი, აგრეთვე როგორც ბელის. არც ერთს მათგანს ბევრი ლაპარაკი არ უყვართ.

— მე მგონია, ბელისათვის თავგამომეტებაა, რომ ამ ნაირ საქმეს ტვირთულობს.

— მეც გავათხილე, მაგრამ იმან გაჯავრებით შემოჰედა და მხოლოდ ეს მითხრა: რა თქვენი საქმეაო. სწორედ ასე შეეძლო ეპასუხნა ნამდვილ კაცს. რომ შევხვედროდი ბელის ტიმბუქტში, მივიღოდი და ვეტყოდი: გამარჯობა ინგლისელო!

— მაინც არ მესმის, თუ როგორ მოახერხეთ, იმისი დათანხმება; ვილიამისაგან თითქმის არ მოველოდი ამას.

— დიალ, წინაპირველად ძალიან უარობდა, რასაკვირველია, არა შიშის გამო, არამედ იმისთვის, რომ ეს ძალიან უბრალო საქმედ ეჩვენებოდა, მაგრამ მერე მოვახერხე და გადავაჯერე. აბა, ახლა კი მოვილაპარაკოთ დაწვრილებით ყველა-

ფერზე. როდესაც კრაზანა სახლში დაბრუნდა, მზე დიდი ხანია უკვე ჩასულიყო და აყვავებული *purus japonica* გამოშვებული ბალის კედელზე, გამოსხანდა მიბინდებულ სინათლეში. კრაზანამ მოსწყვიტა რამოდენიმე შტო და წაიღო თავის ოთახისათვის. როცა შეაღო თავის სამწერლო ოთახის კარები, ზიტტა, რომელიც სავარძელში იჯდა, წამოდგა და გაექანა იმისკენ შესაგებებლად,

— აა, ფერიზე, მე ვფიქრობდი, რომ აღარაოდეს არ დაბრუნდებოდით.

კრაზანას უნდოდა მკაცრად ეკითხა, თუ რად არის ის აქ, მაგრამ გაახსენდა რომ სამი კვირაა აღარ ენახა და გაუწოდა ცივად ხელი, თანაც გულგრილად დასძინა:

— საღამო მშვიდობისა, ზიტტა, როკორა ხართ?

ზიტტამ სახე ახლოს მიიტანა, ეგონა, რომ კრაზანა აკოცებდა, მაგრამ კრაზანამ გაუარა გვერდით იმ ნაირის სახით, ვითომც ვერ შეამჩნია. აიღო ვაზები და დაუწყო ვარდებს შიგ ჩაწყობა. ამ დროს გაიღო კარი და შემოეარდა. ოთახში ვეებერთელა ძალლი, დაიწყო კრაზანას გარშემო სირბილი, თანაც უკანა თათებზე დგებოდა, ჰყეფდა და წუწუნებდა სიხარულით, რომ ვარდებს ხედავდა. კრაზანამ გაანება თავი ვარდებს და ძალლის დაუწყო ფერაობა.

— შეითანო, ძველო მეგობარო, შენა ხარ ეს? აი, მეც აქა ვარ. მოიტა თათი.

ზიტტამ გაჯავრების სახით გადახედა და მერე ჰკითხა:

— სადილი არ გინდათ? ჩემს სახლში მოვამზადე თქვენთვის სადილი. რადგან იწერებოდით, რომ დღეს საღამოს მოხვედოდით.

კრაზანა სწრაფად მოტრიალდა იმისკენ.

— ძ....ძალიან მწყინს. არ უნდა გეცადნათ ჩემთვის. კარგი, დაეისვენებ ცოტას და მოეალ მალე. იქნება გაისარჯოთ და ეს ვარდები წყალში ჩაწყოთ.

როცა კრაზანა შეეიდა ზიტტას ოთახში, ზიტტა სარკის წინ იდგა და ვარდიან შტოს გულზე იბნევდა. ცხადი იყო გა-

და ეწყვიტა, რომ მხიარული სჩენებოდა კრაზანას, ზიტტა შივიდა კრაზანასთან ვარდის კუკურიან შტოთი ხელში და უთხრა:

— ნება მომეცით ეს კუკური გულზე დაგიბნიოთ.

სადილზე კრაზანა ცდილობდა ზრდილობიანი ყოფილიყოდა ხელს უმართავდა უბრალო ლაპარაკი ორ შეწყვეტილიყო. ზიტტაც მხიარულის, ბედნიერის ლიმილით უგებდა პასუხს. ზიტტა რომ იმის დანახეთ დიდად გამხიარულდა, კრაზანას ეს ცოტად ორცხინებდა. კრაზანა შეჩვეული იყო იმ ფიქრს, რომ ის შეადგნდა განცალკევებულ არსებას მეგობრებსა და ნაცნობთა შორის, რომლებიც ახლო იყვნენ იმასთან სულით, მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ იმას შეეძლო მოწყენა კრაზანას განშორებით. და რომ ნაღვლობდა კრაზანას სხვაგან ყოფნას, ამას ამტკიცებდა ის, რომ ეხლა იმის მა დანახვამ ამ რიგად გაახარა.

— გინდათ აიგანზე დალიოთ ყავა? — ჰკითხა ზიტტამ, — დღეს კარგი სალამოა.

— კარგი. მე გიტარას წამოვიდებ, იქმნება თქვენ იმღეროთ რამე.

კრაზანა უცქეროდა ზიტტას მუსიკას სკეპტიკურად და იშვიათად თუ სოხოვდა ხოლმე ემღერნა. აიგანზე იდგა მოგძო სკამი კედლის გარდი-გარდმო. კრაზანამ ამოირჩია კუთხე ადგილი, საიდანაც მშვენიერი დასანახი იყო ქედი. ზიტტა ჩამოჯდა შენობიდან გამოწეულ კედელზე და ზურგით სვეტს მიეყრდნო, რომელსაც ერდოს სახურავი ეჭირა. იმას მაინცა და მაინც ორ მოსწონდა ბუნების მშვენიერი სანახაობა, იმის-თვის კრაზანას ცქერა უფრო იყო საინტერესო.

— თამბაქო მომაწოდეთ, — უთხრა ზიტტამ, — ერთხელ აღარ მომიწევია მას აქეთ, რაც თქვენ წახველით.

— აი, ეს საუცხოვო აზრია, მხოლოდ თამბაქო-ლა მაკლ-და სრულს ბედნიერებისათვის.

ქალმა დაიხარა და სერიოზულის სახით შეპხედა.

— მართლა ბედნიერი ხართ?

კრაზანას სახე გაუბრწყინდა.

— რატომაც არა? — კარგად ვისადილე, ჩემს წინაშე ეხლა საუკეთესო სანახაობაა ევროპაში, მაღლე ყავაც იქმნება და გავიგონებ პუნგარულ ხალხურ ლექსს. არაფერი არა ჰქენჯნის ჩემს სვინიდისს, სტომაქიც საჭმლის გადასახარში კარგი მაქვს. მეტი რაღა არის სასურველი?

— მე ვიცი კიდევ ერთი რამ, რაიცა გსურთ.

— რა?

— აი, ეს. — ქალმა გაუწოდა პაწაწა კოლოფი.

— დ... დაშაქრული ნუში. რატომ წინად არ მომეცით, მანამ თამბაქოს მოვსწევდი? — უთხრა კრაზანამ თითქო საყვედურის კილოთი.

— რატომ წინად არ მოგვეცით? აი, პატარა ბავშვი! განა ეხლა ვერა სჭამთ. აი, ყავაც მოაქვთ.

კრაზანამ დაიწყო ყავის სმა, ნელ-ნელა ხერეპდა და თანაც დაშაქრულ ნუშს სერიოზულად და სიამოვნებით ატანდა, როგორც კატა, რომელიც ნაღებს შეექცევა.

— რა სასიამოვნოა ყავის დალევა, იმ საძაგელ საჭმლის შემდეგ, რომელსაც ლიგორნოში მაძლევდნენ. — გაილაპარაკა იმან ნელა.

— ამიტომ ყოველთვისაც სახლში იყავით.

— არაოდეს, ხეალ ისევ უნდა წავიდე, — ლიმილი გაჰქრა ზიტრას სახიდან.

— ხვალ? რისთვის? სად უნდა წახვიდეთ?

— სხვა-და-სხვა ადგილგბში, საქმეებზე.

კრაზანამ გადასწყვიტა გემშასთან ლაპარაკის დროს, რომ უნდა პენინის მთებში თითონ წასულიყო, რათა შეთანხმებულიყო კონტრაბანდისტებთან იარაღის გადატანის თაობაზე. პაპის სამფლობელოს სამზღვარზე გადატანა ძალიან საშიში, მაგრამ აუცილებელი საჭირო კი იყო, ამ განზრახულ საქმის შესრულებისათვის.

— განუწყვეტელი საქმეები! — სთქვა ზიტრამ ამოხვნებით. — დიდი ხნით მიღიხართ?



— ორი კვირით, ან იქნება სამითაც.

— ისვე „იმ“ საქმეზე?

— იმ საქმეზე.

— რომლისთვისაც მუდამ ცდილობთ კისერი იმტვრით? სულ ის მუდმივი პოლიტიკა?

— დიალ, იმას აქვს რამოდენიმედ დამოკიდებულება პოლიტიკასთან.

— თქვენ ეხლა მატყუებთ მე, თქვენ მოგელით რალაც საშიშროება.

— გავემგზავრები პირდაპირ ჯოჯოხეთში,—მიუგო კრაზანამ ზარმაცად.—ი....იქნება იქ თქვენ მეგობრები გყვანან, რომლებსაც გინდათ გაუგზავნოთ ბურწუმა მცენარის შტოები —თუმცა საჭირო არ არის, რომ შტოები სულ ერთიან დასწყვიტოთ. ზიტტამ მოჰველიჯა შეკონილი მცენარე სვეტიდან და დააგდო მიწაზე გაჯავრებულმა.

— ვიცი, მოგელით საშიშროება და არ გინდათ კი მითხრათ: თქვენა გვონიათ, რომ ჩემთან მხოლოდ ხუმრობა შეიძლება. მალე ჩამოგახრჩობენ კიდეც და მე არც კი გამომეთხოვებით. ამ განუწყვეტილმა პოლიტიკამ თავი მომაბეზრა.

— დიალ, მეც აგრეთვე.—სთქვა კრაზანამ მთქნარებით,— სჯობიან სხვა რამეზე ვილაპირაკოთ, ან იქნება თქვენ იმღეროთ.

— კარგი, მაში მომეცით გიტარა. რა ვიმღერო?

— ბალლადა დაკარგულ ცხენზე. ის გასაოცრად უდგება თქვენ ხმას.

ქალმა დაიწყო მღერა ჰუნგარულ ძველ ბალლადისა კაცზე, რომელიც ჰკარგავს ცხენს, შემდეგ სახლს და ბოლოს სატრფოს. და ინუგეშებს თავს იმით, რომ „უფრო მეტიც იყო დაკარგული მოგაშის ველზე“. ეს იყო კრაზანას საყვარელი ლექსი, გაშმაგვებულობა და ტრაგიზმი მეღოდისა, და აგრეთვე ჩართული დამაღონებელი კილო შერიგებისა მოსწონდა კრაზანას ყოველ ნაზ მუსიკაზე უფრო.

ზიტრა თითონვე ატყობდა თავის ხმის სიშვენიერეს, იმის ტუჩებიდან მოისმოდა ხმა მძღავრი, მკაფიო და თით-ქო გაშმაგებით მწყურვალი და მოსურნე ბეღნიერებისა. იტალიური, სლავიანური და მეტადრე გერმანული სიმღერები, როგორლაც არ ეხერხებოდა ზატრას, მაგრამ ჰუნგარულ ხალხურ ლექსებს საუცხოეოდ მღეროდა. კრაზანა უს-მენდა ფართოდ გახელილ თვალებით და ოდნავ გაღებულის ტუჩებით. ზიტრას ასე მშვენივრად მაინც არასოდეს არ უმღერია. მაგრამ როგორც კი დაამღერა უკანასკნელი სტრიქონი, ხმა მისი უეცრად აკან კალდა. „ოხ, სულერთია! სხვაც ბევ-რი იყო დაკარგული“.... ამ სიტყვებთან ერთად ხმა მისი შე-სწყდა და მოისმა ქვითინი. იმან ჩამალა სახე მცენარეებში.

— ზიტრა! — კრაზანამ ხელი გამოართვა, — ეს რას ნიშ-ნავს?

ზიტრა ქვითინებდა და თანაც მოელის სხეულით კანკა-ლებდა,

კრაზანა იმის მხარს ხელით შეეხო და ჰკითხა მოფერებით.

— რაში მდგომარეობს საქმე, მითხარით.

— თავი დამანებეთ, უთხრა — ქალმა და განშორდა მას.

კრაზანა დაბრუნდა წყნარად თავის აღგილას და მოუცა-და, მანამ ის ტირილს თავს გაანებებდა. ამ დროს უეცრივ იგრ-ძნო, რომ ზიტრამ შემოხვია ხელები კისერზე და დაეშვა იმის წინ მუხლებზე.

— ფელიჩე, ნუ წახვალთ! ნუ მიდიხართ!

— ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ, — უთხრა კრაზანამ და მოიშორა ნელა კისერზე მოხვეული ზიტრას ხელები. — ჯერ ეს მითხარით, რისა შეგეშინდათ.

ზიტრამ წყნარად თავი გადააჭია.

— მე შეგაწუხეთ რითიმე?

— არა.

— მაშ, აბა, რა მოხდა?

— თქვენ მოგვლავენ! მე გავიკონე, — ერთმა თქვენმა ამ-ზანაგთაგანმა სთქვა, რომ თქვენ მოგელით საშიშროება. და

როცა მე გკითხავთ ამას, მართალს არ მეუბნებით და მხოლოდ დამცინით.

— ძვირფასო ბავშვო,—უთხრა კრაზანამ სიჩუმის შემდეგ.—თქვენ როგორლაც გაზიადებულის შეხედულობისა ხართ საქმე-ებზე. რასაკვირველია, როდისმე მომკლავენ. ეს ჩვეულებრივი ბოლოა რევოლუციონერთა, მაგრამ არავითარი მიზეზი არ არის ვიფიქროთ, რომ ნამდვილად ეხლა მომკლავენ. სხვაზე მეტად არ ვიმეტებ თავს.

— სხვები? რა საქმე მაქვს სხვებთან? თუ თქვენ მე გიყვარდეთ ეგრე არ იყლიდით და ზიშში და წუხილში არ გეყოლებოდით. ღამე არ მძინავს შიშით, რომ არ შეგიპყრონ და სიზმარში კი მგონია, რომ მკვდარიცა ხართ. ჩემზე უფრო ნაკლებად ფიქრობთ, ვიდრე ამ მყეფარზე.

კრაზანა წამოდგა და გაიარა აივანის ბოლომდე. არ იყო მომზადებული ამ გვარ სცენისათვის და არ იცოდა რა ეპასუხნა. დიალ, გემმა მართალი იყო; კრაზანამ გამონასკვა თავის ცხოვრებაში ისეთი ნასკვი, რომლის გამოხსნაც ძნელი იყო.

— მშვიდობიანად მოვილაპარაკოთ, — უთხრა კრაზანამ, როცა მობრუნდა ისევ ზიტტასაკენ,—ჩვენ მგონი კარგად ვერ შევიგენით ერთიანერთი. რასაკვირველია, მე სიცილს არ დავიწყებდი, თუ მცოდნოდა, რომ სერიოზულად ლაპარაკობდით. გამაგებინეთ, რა გაწუხებთ და თუ რაიმე გაუგებრობა არის ჩვენ შორის, ამას ავხსნით.

— არავითარი ახსნა საჭირო არ არის, ეხედავ, რომ არ გიყვარვართ.

— ძვირფასო ბავშვო, სჯობს გულ-ახდით ვიყვნეთ ერთ-მანეთთან. მე ყოველთვის ვცდილობდი პატიოსანი ვყოფილიყავ ერთ-ურთ შორის განწყობილებაზე და მგონი არც არაოდეს მომიტყუებიხართ იმის შესახებ....

— ოჲ, არა, თქვენ ყოველთვის გულ-ახდით იყავით ჩემთან და არაოდეს არ გითქვამთ, რომ მიგაჩნივართ რაიმე სხვად, გარდა დაკარგულ ქალისა, რომელიც თქვენამდის ყველასაგან იყო დამცირებული...

— ზიტრა, რას ამბობთ! არაოდეს არ მიფიქრია ეგ არც
ერთ ცოცხალ არსებაზე.

— თქვენ მე არაოდეს არ გყვარებივართ.—დაუინებით ამ-
ბობდა ზიტრა.

— დიალ, არასოდეს მე თქვენ არ მყვარებიხართ. მაგრამ
მომისმინეთ და ეცადეთ ნუ გაშკიცხავთ.

— არცა გკიცხავთ. მე....

— მომითმინეთ ერთ წუთს. აი, რა მინდა ვთქვა. არა,
მრწამს არავითარი ზეობითი სწავლა და არც ვასრულებ ამ
დანიშნულებას. კაცსა და ქალს შორის განწყობილება დამო-
კიდებულია, ჩემის აზრით, სიყვარულზე ან სიძულვილზე.

— და ფულზე,—გააწყვეტინა ლაპარაკი ზიტრამ ცხარის
სიცილით. კრაზანამ წარბი შეიჭმუხვნა და გაჩუმდა ერთ წუთს.

— დიალ, რასაკვირველია, ამაშია საზიზღარი მხარე კით-
ხვისა. მაგრამ მერწმუნეთ, თუ შემენიშნა, რომ არ მოგწონ-
დით, არასოდეს არ ვისარგებლებდი თქვენის შევიწროებულის
მდგომარეობით, იმისთვის, რომ ჩემთან ახლოს მყოლოდით;
არასოდეს ჩემ სიცოცხლეში არ მოვქცეულვარ მაგნაირად არც
ერთ ქალთან და არც არასოდეს მიცრუვნია ქალთან შესახებ
ჩემის გრძნობებისა იმის მიმართ. მერწმუნეთ, რომ მართალს
ვამბობ.

ის შეჩერდა, მაგრამ ქალი არას ეპასუხებოდა.

— ვფიქრობდი, — განაგრძო კრაზანამ, — რომ კაცი თუ
მარტო ცხოვრებაში და ჰერიტობს, რომ საჭიროებს ქალის მე-
გობრობას, და თუ შეპრედა ქალს, ისეთს, რომელიც მოსწონს
და ქალსაც თავის მხრივ მოსწონს იგი, მაშინ იმას აქვს სრუ-
ლი უფლება, მაღლობით მიიღოს, ის ქალი, მაგრამ არ დაიჭი-
როს კი მასთან მტკიცე კავშირი. არა ვხედავ ამაში არაფერს
ცუდს, თუ არის უსამართლოება მოტუუება, ანუ დამცი-
რება, ერთის ან მეორის მხრივ. წინანდელ დამოკიდებულობა-
ზე სხევბთან მე არცა ვფიქრობდი. მხოლოდ ეს ვიცოდი, რომ
ჩვენი ერთმანეთთან დამოკიდებულობა სამძიმო არ არის, და
რომ თვითოვეული ჩვენგანი თავისუფალია, შეუძლიან დაარ-

ღვიძის იგი, როგორც კი სამძიმო შეიქმნება. თუ მე ვცდე ბოლი, თუ თქვენ სხვანაირის თვალით უცქეროდით ამას, მაშინ.... კრაზანა შეჩერდა.

— მაშინ? — ჩუმის ხმით შეეკითხა ზიტტა...

— მაშინ უსამართლო ვყოფილვარ თქვენთან. და ეს დიდად მაშტოთებს. მაგრამ მე ეს განზრას არ მომიქმედნია.

— „უგაშუოთებთ“? „უგანზრას არ მოგიქმედნიათ“? ქვა და კლდე ხართ, თუ რა არის, ფელიჩე? ნუ თუ არასოდეს არ გყვარებიათ ქალი თქვენს სიცოცხლეში და ვერა ხედავთ, რომ მე მიყვარხართ თქვენ.

ამ სიტყვების გავონებაზე კრაზანას ვული შეკრთა, აძგერდა. მრავალმა ხანმა განვლო მას აქეთ, რაც იმას ამ სიტყვებს ეუბნებოდნენ: „მე შენ მიყვარხარ“.

ზიტტა სწრაფად წამოდგა და მოხეია ორივე ხელები.

— ფელიჩე, წავიდეთ, გადვიკარგნეთ ერთად ამ საშინელ მხარედან. გაეშორდეთ ამ ხალხს, ამ პოლიტიკას. რა საქმე გვაქვს ჩვენ იმათთან. გადავიხვეწნეთ აქედან შორს საღმე და ვიყვნეთ ბედნიერნი. წავიდეთ სამხრეთ ამერიკაში, სადაც ცხოვ-რობდით წინედ.

მოგონებისაგან გამოწვეულმა ფიზიკურმა შიშმა დაუბრუნა კრაზანას დაბნეული გონება, იმან მოიშორა ქალის ხელები და მძლავრად მოუჭირა.

— ზიტტა, ეცადეთ გაიგოთ, რას გეუბნებით. მე თქვენ არ მიყვარხართ და კიდეც რომ მიყვარდეთ, თქვენთან არ წამოვიდოდი. მე იტალიაში მაქვს საქმე, იქა მყვანან მეგობრები.

— და ერთი ვიღაც, ვინც ჩემზე მეტად გიყვართ, — დაუყეირა ქალმა გაშმაგებით.—ოჰ, მზადა ვარ მოგკლათ! თქვენ მეგობრებზე კი არ ჰფიქრობთ, მე ვიცი ვისზედაც!

— ჩუმად, — უთხრა კრაზანამ. — თქვენ აღშფოთებული ხართ და გეჩვენებათ ის, რაც არ არის.

— თქვენა გგონიათ, რომ სინიორა ბოლლაზე ელაპარაკობ? არა, ისე ადვილად ჩემი მოტყუება არ შეიძლება, იმას-

თან მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკობთ და გიყვართ აგრეთვე, როგორც მე. თქვენ ფიქრობთ მხოლოდ კარდინალზე.

კრაზანა შეკრთა.

— კარდინალზე? — კაიმეორა იმანაც ხმის კანკალით.

— კარდინალ მონტანელლზე, რომელიც აქ ქადაგებდა შემოდგომაზე. განა ვერ ვხედავდი თქვენ სახეს, როცა გაივლიდა ხოლმე იმისი ეტლი, თქვენ იმ ღროს ისეთივე თეთრი იყავით, როგორც ეს ხელსახოცი. და განა ეხლა კი არ ცახცახებთ შემოდგომის ფოთოლივით, როგორც კი ვახსენე იმისი სახელი.

— თქვენ თითონ არ იცით, რას ლაპარაკობთ. მე მეჯავრება კარდინალი. ის ჩემი დაუძინებელი მტერია.

— მტერია თუ არა, ეს თქვენ გიყვართ უმეტესად, ვიდრე სხვა ვინმე მთელს ქვეყანაზე. შემომხედვეთ და პირდაპირ მითხარით, რომ ეს არ არის მართალი, თუ შეგიძლიანთ.

კრაზანა მიბრუნდა და ბაღში დაიწყო ცქერა. ზიტრა ჩუმად უცქეროდა, თვალს აღევნებდა და თანაც თითონვე ჰკვირობდა იმას, რაც მოიქმედა. რაღაც შემაძრწუნებელი იყო კრაზანას სიჩუმეში. ბოლოს მიეპარა ქალი, მიუახლოვდა, როგორც შეშინებული ბავშვი და მოკრთალებით მაჯაზე შეეხო. კრაზანა მობრუნდა მისკენ.

— დიალ, ეს მართალია, — სთქვა იმან.

ნატალია რ. გიგაური

(შემდგენ იქნება)

გაცონამობა სამართლოში

გ. ბორის ზდანისა

ორასი წლის წინად სამეცნიელო შარდენმა აღწერა საოცარის ზედ-მიწევნით და ის როგორ გვიხასიათებს ამ კუთხის მაშინდელს საზოგადოებას. „მაღალი წოდება,—ამბობს ფრანგი-მოგზაური,—სრული ბატონია თვისის ქვეშევრდომებისა, მათი ქონება იმისია, მათი სული და ხორცი იმის ხელშია; უფლება აქვს სიცოცხლე მოუსპოს; რაც უნდა, იმას უშვრება: წაართმევს ცოლ-შვილს, შეუძლია გაუყიდოს, ან-და ისე მოიხმაროს, როგორც მოეგუნებება. ყოველ გლეხს ბატონთან მოაქვს გადაჭრილ ზომის ხორბალი და სხვა ნაწარმოები, მოჰყავს საქონელი, ასე რომ ბატონის სიმდიდრე გლეხების რიცხვზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ვლეხი ვალდებულია, წელიწად-ში ერთ ორ-სამ დღეს ასეას-აქამის თავის ბატონსა; ამიტომ მებატონე მთელის წლის განმავლობაში იქით-აქედ დადის და თავისს გლეხებს სახლებში ჩაუჯდება და მათის ხარჯითა სცხოვრობს; ხანდისხან სხვა მებატონის გლეხებსაც ეწვევა ხოლმე, და ეს გარემოება განხეთქილებასა ჰბადებს მებატონეთა შორის, იმართება ჩხუბი, იღვრება სისხლი...

„მთავარიც ასე ცხოვრობს, ასე რომ ძნელია მისის საღმყოფობის გაგება. თან დაჰყავს მთელი თევისი ოჯახი, ქალები, ბავშვები, მოსამსახურენი, სტუმარნი, ელჩნი და სხვა პატივსაცემნი უცხოელნი, როცა ესენი ეწვევიან; ამათ ემატება ფეხშიშველი გლეხები, რომელთაც ქვევითად ზურგითა და თავით მთავრის ბარგი-ბარხანა მიაქვთ, ასე რომ რიცხვ-მრავალი ამაღა



შესდგება ხოლმე. მთავარი ამ სიარულის დროს ხარჯსა ჰქონებული ხოლმე და ვისგანაც ხარჯი არ ერგება, საჩუქრებს ართმევს. გზა-გზა მასთან მოჩივრები მოდიან, თხოვნებს აძლევენ, ისიც საქმეს ხელად, იქვე სწყვეტს, ან-და მოჩივრებს ეტყვის—თქვენს სახლში გავითვი ღამეს და იქ გაგასამართლებო ყველასაო. როცა სხვა-და-სხვა მებატონის გლეხებს მოუვათ ჩხუბი ერთმანერთში, მებატონები ჩაერევიან საქმეში და თავისს გლეხებს შეარიგებენ, ხოლო თუ თვითონ მებატონეთ მოუვიდათ ჩხუბი, მაშინ ძალას მიმართავენ: ვინც დასძლევს, მართალიც ის იქნება. ამ შემთხვევაში აი როგორ იქცევიან: დაესტმიან თავს მოწინააღმდეგისა და მისთა ყმათა საქონელსა, სახლ-კარს, ყანას, იყლებენ ყველაფერს, სწვავენ, ანაცარმტუტებენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებათ, და, ბოლოს, როცა გასანიორწყვლებელი არა დარჩებათ-რა, ძირში სთხრიან ვაზებს, ბეჭლასა და სხვა ხეხილს. თუ მოწინააღმდეგენი ერთმანერთს შემოხვდნენ, იარაღსა ხმარობენ და ერთმანერთის სისხლსა ლვრიან. სუსტი მხარე მთავარს მიმართავს და მფარველობასა სთხოვს. მთავარიც მხოლოდ მაშინ ჩაერევა საქმეში. ბრალტებულს მოციქულს გაუგზავნის და ორსავე არიგებს; მაგრამ შერიგებას დიდი ძალა არა ძევს და, მარჯვე დროს იხელთებენ თუ არა, მაშინათვე ჩხუბს ასტეხავენ.

„სამეცნიეროში ერთს აზნაურსაც ვერ იპოვით, რომ ვის-თანმე წაჩიუბებული არ იყოს, ამიტომ თოფ-იარაღს ერთავად თან ატარებს და გარსაც შეიარაღებული ამალა ახვევია“.

შარვენის შეძეგ კარგა ხანმა განვლო, როცა 1804 და 1805 წლებში იმერეთ-გურიის მმართველად ნამყოფმა ლიტვი-ნოვმა ამავე საგნის შესახებ აი რა სთქვა: „თავადები თავიანთს ქვეშვრდომებს დესპოტურად ეპყრობოდნენ და გლეხების ქონება კი მეფესა და თავადობას ეკუთვნოდა. განათლება ოდნავ ბეჭუტავდა,—აღამიანის უპირველესი მოთხოვნილება-და თუ იყო დაკმაყოფილებული. მთავრები და თავადები ერთავად დალიოდნენ იქით-აქეთ; ქოხი, ტალავერი, ან ხშირ-ტოტებიანი ხე—მათი სასახლე იყო. რომელ სოფელსაც ჩაუდგებოდნენ,

საჭმელ-სასმელს ის სოფელი აძლევდა და აქედან წასვლა შეუძლია
ნამდე არ მოაგონდებოდათ, სანამ, რაც რამ ებადათ გლეხებს,
ყველაფერს არ შეუჭამდნენ. გლეხები ჩივილს გამართავდნენ:
აგვიკლეს, არაფერი შეგვარჩინესო. ისინიც ამ სოფლიდან აი-
ყრებოდნენ და ახლა მეორე სოფელში ჩაუდგებოდნენ. საჭმე-
ლი სულ სადა იყო. მართალია, მთავარს ნება ჰქონდა, განუ-
კითხველად სიცოცხლე მოესწრაფებინა თავის ქვეშვრდომისა-
თვის, მაგრამ სუფრა კი მაინც საერთო იყო და ყველა მათ-
ხოვარას, კოჭლს, მაიმახსა და სახიჩარს ნება ჰქონდა თავის
ბატონთან ერთად სუფრას მოსჯდომოდა. ქონებრივი განსხვა-
ვება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ გლეხი აზნაურს
ემსახურებოდა, აზნაური — თავადს, ხოლო თავადი — მთა-
ვარს“.

აი ორასის წლის წინედ რასა სწერდნენ სამეგრელოს შე-
სახებ, და აი ამ ცოტა ხნის წინედაც თითქმის იგივე განიმეო-
რეს! და თითქო ძნელად დასაჯერებელი არისო. კავკასიის ამ
კუთხეში მეტად ნიჭიერი ხალხი სცხოვრობს, გეოგრაფიული
მდებარეობაც მისი მეტად მარჯვეა, ამიტომ ამ კუთხის მკვიდრთ
არაფერი უშლის ხელს მშვიდობიანად წარმატების გზას დაად-
გნენ, სამეგრელო რუსეთს 1803 წელს, 4 ქრისტეშობისთვეს
შეუერთდა; ამ შეერთებასთან ერთად ხელი უნდა აეღო თავის
მახინჯ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და იმის მაგიერ შემოელო
ახალი წესები ცხოვრებისა, რომელიც მოჰქონდა მისს შემო-
მერთებელს ძლიერ სახელმწიფოს. აქ მიატეხა სამეგრელომ
ძველს ცხოვრებას ჩხირი და თან-და-თან დაიწყო მოქალაქებ-
რივ ცხოვრებისაკენ მისწრაფება.

სამეგრელო ახლა კარგ გარემოებაშია ჩაყენებული და ბევ-
რი რამ სიკეთე მოელის; მაგრამ მეტად საინტერესოა მისი აწი-
ნდელი ყოფა-ცხოვრებაც გავიცნოთ. მისი თავისებური საზო-
გადოებრივი სახე მოგვაგონებს საშუალო საუკუნოების ფეო-
დალიზმის ხანას და, უეჭველია, მაღეც უნდა გაჰქრეს. ოც
ოც და ათის წლის უკან ისე გამოიცვლება მეგრელთა ცხოვ-
რება, რომ, თუ რამ ლიტერატურული ნაშთი არ დარჩა, ძნე-

ლი იქნება წარმოდგენითაც წარმოიდგინოს კაცმა, თუ რა ყოფაში იყვნენ მეგრელები ამ ხანაში!....

ჩვენ აზრად ის-ლა გვაქვს, გადავხატოთ საზოგადო ცხოვ-
რების ერთი წარმავალ მოვლენათაგანი, სახელდობრ ბატონ-
ყმობა; ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებას ყმების ყოფა-
მდგომარეობას მივაქცევთ; ამასთანავე, გაკვრით შევეხებით სხვა
წოდებათაც, რამდენადაც ამათ მთავარ საგანთან დამოკიდებუ-
ლობა ექმნებათ. მაგრამ სანამ აქაურ წოდებათა ურთი-ერთ
დამოკიდებულობის შესახებ რასმე ვიტყოდეთ, საჭიროდა ვრაცხა-
ჭინ წავუმძღვარით აღწერა მეურნეობისა და ხალხის ზნეობ-
რიების მდგომარეობისა. ამას უფრო იმიტომ ვშვრებით, რომ,
რაკი გავიცნობთ ამ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და იმას,
თუ რა თვეალით უყურებს ხალხი ამ სიმდიდრეს, უფრო ადეი-
ლად შევიგნოთ, თუ რამდენად ხელს უცარავს უწესო ფორ-
მები საზოგადო ცხოვრებისა, ქონებისა და სიმდიდრის თანა-
წორად განაწილებას; შევიგნოთ, ამის მიზეზით თუ რამდენი-
ძალ-ლონე უნაყოფოდ იყარება, უკეთურებას ხმარდება და,
ბოლოს, სრულიადაც იღუპება და რამდენად საჭირო და სა-
სარგებლოა ის სოციალური რეფორმა, რომელიც ამ მხარეს
მოელის. როცა წარმოების შესახებ გვექმნება ლაპარაკი, შე-
ვეხებით მხოლოდ იმ დარგს წარმოებისას, რომელმაც სხვა
დარგს უფრო გაუსწრო წინ. პარველად ხენა-თესვის შესახებ
ჩამოვაგდებთ ლაპარაკს. ამასთანავე საჭიროდა ესთვლით მოვი-
ხენიოთ, რომ ყველა ჩვენ მიერ აღნიშნული ცნობები შეეხე-
ბა უმეტესად ოდიშს, ესე იგი, ბარის სამეგრელოს; ხოლო ლე-
ჩეუმი, მთიანი ნაწილი სამეგრელოსი, ენითაც განსხვავდება და
ზნე-ჩვეულებითაც სამეგრელოსაგან; ეს კუთხე უფრო იმერე-
თის ნაწილია და უფრო კანონიერი იქმნება იმერეთთან ერ-
თად აღიწეროს.

ხვნა-თესვა: ხორბალი, სიმინდი, ღომი. მელვინეობა. მეაბ-რეზუმეობა. ბამბის მოყვანა. მეფუტკრეობა. საქონლის მოშენება. მენავეობა მდინარეებზე. კაბოტაჟი. ჩალვადრობა. ყოველკვირეული ბაზრობა და იარმუკები.

სამეგრელოში ხვნენ და სთესენ: სიმინდს, პურს, ღომს, ჭვავს, ქერს და ფეტვსა. პურს ერთსა და იმავე მიწაზე შეიდი-დან ათ წლამდე შეუწყვეტლივა სთესენ; მერე, გლეხი რაკი დაატყობს, ნიადაგი მოილალო, თავს ანებებს და სხვა, დასვენებულს და საძოვრად გაშვებულს, მიწას დაუწყებს ხვნას. მიწის გაპატივება აქ არ იციან. ყველაზე ბევრს სიმინდსა სთესენ, მერე ოომსა, ღომის შემდეგ კი—პურსა. ქერი, ფეტვი და ჭვავი ცოტა მოჰყავთ. ჭვავს უფრო მაღლობზე სთესენ: ამათ-ში მარტო ხორბალი ითესება შემოდგომაზე, სხვები კი ანეუ-შულია.

დავიწყოთ პურიდან.

პურის თესვა და მოწევა სულ ადვილად იციან. პურის დასათესად დანიშნულს ნიადაგზე ღენინობისთვეში მოაგროვებენ ბალახ-ბულახს, ეკლებს, ჯირკვებს ყველას ერთად და ცეცხლს წაუკიდებენ, ამის შემდეგ მოუხვნელ ნიადაგზე თესლს მოაპნევენ, მერე უღლელ ხარ-შებმულის სახნისით ერთის გოჯის სიღრმეზე მოხნავენ და მოხნულს დაფარცხავენ. მუშაობა სწრაფად იციან, ასე რომ ორ დღიურს სამ დღეში გაათავებენ. მაისის გასულს პურს მოჰკიან კიდევც. მოსავალი კარგი იცის: თითო მარცვალი ოც და ათს მარცვალს იძლევა. ამას აბაროვორ დაიჯერებს მცხოვრები შუაგულ რუსეთისა, სადაც, ვინ იცის, რამდენი შრომა და ხარჯი სჭირია, რომ ერთ მარცვალს ათი, ან თორმეტი მარცვალი მოაყვანინოს?

პურს მზეზე აშრობენ. ლეწვა კალოზე იციან, ნავის ძირის მსგავს სალეწავით (კევრით), რომელსაც ძირში ხშირად



კაჯის მსხვილი ნატეხები აქვს შერტობილი. კევრში ერთს უღელ
ხარს უბამენ, ზედ შეჯდებიან და დაასრიალებენ წინ და უკან
ძნებზე, სანამ მარცვალი არ მოსცილდება თავ-თავს. ამ სახით
ორს საქმეს ერთად აკეთებენ: ერთი რომ პური ილეწება,
მეორეც — დათელილი ნამჯა (ბზე) რჩებათ ხელში, რო-
მელსაც საქონელს იჭმევენ. *) ხორბალს ამის შემდეგ მზე-
ზე აშრობენ, ფქვავენ და ცოტა ხნით ფქვილად ინახა-
ვენ. და ვაკე ადგილებში ხორბალს ვერ შეინახავენ: ნე-
სტისა და სიცხისაგან მარცვლებს ერთ ნაირი, თვალთათვის
უჩინარი, ჭია უჩნდებათ და ერთბაშად პეპელებად ქცეული
ხორბალი—გაფრინდება. სამეგრელოს მთა ადგილებში, განსა-
კუთრები ლეჩხუმში, ჰაერი ხელს უწყობს პურის შენახვას, აქ
მთელის წლის განმავლობაში (მაგრამ მეტს ხანს კი არა), და-
უფქვავად აქვთ ხოლმე პური შენახული და იქაური ფქვილი
კარგის გემოსი და თეთრი გამოდის ხოლმე. პურს ყველა გლე-
ხი არ იწევს, და აქ მოგზაურ ევროპიელს უპურობა, ცოტა
არ იყოს, შეაწუხებს: მაგრამ მეგრელი თავისს საყვარელს ლომსა
სჯერდება.

—
სიმინდი მაისის გასულს ითესება და ხშირად იმ ადგი-
ლებზე, საცა ის-ის იყო, პური მომკეს, ასე რომ ერთს ყანაში
ერთსა და იმავე წელიწადს პურსაც იწევენ, სიმინდსაც და,
გარდა ამისა, სიმინდში ლობიოსა, ცერცვა და მუხუდოსაცა
სთესენ. სიმინდს პურზე მეტი შრომა სჭირია. სიმინდისათვის
მიწას კარგა ლრმადა ხნავენ და შიგ ჰყრიან თესლს; მაგრამ
ყველაზე მეტი მუშაობა მარგვლისა (გახელვას) სჭირია. მარგვ-
ლის დრო მეგრელი ვლებისათვის სულისა და ხორცის გაყრის
დროა. ბალახი ხარბად ცდილობს მოერიოს ყანას და გლეხი
უკანასკნელ ღონეს იკრეფს, რომ ბალახ-ბულახს თავისი ხარჩო
არ შეაჭამოს. თოხი სიმინდს სამჯერ სჭირია ზაფხულის გან-
მავლობაში, რომ მტერი დაიჩაგროს და ზრდა და ღონის მო-

*) ბზეს საქონლის საკვებად მხოლოდ საჭყონდიდლოში ხმარობენ,
სადაც ჩალვადრობას მისდევენ, სხვაგან კი უხმარადა ჰყრიან.

კრეფა არ დასცალდეს ვინც ყანას არ გამარგლავს, ის უსი-
მინდოდა რჩება. ბალახ-ბულახი ნიადაგს მთელს ძალას ამოს-
წოვს და ისე დაიჯაპნებს სიმინდს, რომ ორ მხარის სიმაღლე
და ორ-სამ ტაროიან მცენარის მაგივრად, ამოვა ჯუჯა და
უტარო სიმინდი, რომელიც ჭაობის ხაის უფრო ემგვანება,
ვიღრე სიმინდს. თითოეულ მეკომურს ცალ-ცალკე შემუშავე-
ბა ყანისა მეტად გაუჭირდებოდა, ერთი მშვენიერი ჩვეულება
რომ არ იყოს აქ: მარველის ღროს გლეხი ნადს დაუძიხებს
ხოლმე და ყველანიც დიდის სიამოვნებით მოდიან მოსახმარებ-
ლად. გლეხი ვალდებულია ნადს კარგი სადილი და ვახშამი აქა-
მოს, თუ გლეხი კარგად გაუმისპინძლდება, ნადიც ხელს გა-
მოიღებს და იგულსმოდგინებს. საინტერესო საყურებელია ნა-
დობა: ოცამდე კაცს თოხი უჭირავს, ხმა-მაღლა მღერის მუშურს
და ჩაჰეკირკიტებს საქმეს. მათთვის იმ წუთას არაფერი არსე-
სობს და მხოლოდ მზის მწვავე სხივები უნებურად შეაჩერებს
ხოლმე, ცოტა ხნობით; მათს წინ მინდორზე დგას დიასახ-
ლისი, გვერდთ უდგას ან ქალი ან ვაჟი, ხელში უჭირავს
თითის ტარი და შულო აბრეშუმი, რომელსაც ართავს; იქვე
უდგას დოქებით წყალი და ლვინო, რომელიც მუშების სასმე-
ლად მოიტანა შინიდან. შესვენების ღროს მხიარულად გაეხ-
მაურება მუშებს, წააქეზებს, არიქათ, თქვენი ჭირობეთ, ძალა
მოიკრიფეთო და სამაგიეროდ ისეთ ვახშამს გაჭმევთ, რომ ჭირ-
ში გასროლინებთ ქუდებსაო. ასე გადის მთელი დღე. საღამო
ხანს დიასახლისი შინ ბრუნდება, რომ ნადს ვახშამი გამოუწ-
ყოს. ისმის მხიარული სიმღერა ყანიდან დაბრუნებულების და
ისიც მიხვდება, მოღიანო. ვახშამი, მართლა, სანაქებო იციან
ამ ნაირად ეხმარებიან ყველანი ერთმანერთს. სიმინდის ტეხა
ენკენისთვის გასულს იციან; თითო მარცვალი სიმინდისა სა-
მოციდან ოთხმოც მარცვალმდე იძლევა. ბევრი დრო ეკარგე-
ბათ, როცა სიმინდის გუგას მარცვალს აშორებენ: ამ შემთ-
ხვევაში ხელითაა, რომ მუშაობენ, და ამიტომ ბევრი ხალხი
უნდება. ამ მხრივ დიდად ეშველება საქმეს, როცა გავრცელ-
დება ხალხში, მანქანები, რომლებიც სამეურნეო საზოგადოე-

ბის ყოფილმა გამგეობამ 1862 წელს გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან. ამ მანქანის ნიმუშით მეხანიკმა ზომერმა ტფილისში ბევრი მანქანები გააკეთა კიდეც და იმერეთისა და ქართლის მებატონებებმა იყიდეს. ამ მანქანის საშუალებით ერთი კაცი ერთსა და იმავე დროს იმდენს აკეთებს, რამდენსაც ათი სელით აკეთებენ. სიმინდი ბევრი გააქვთ შეზობელ ქვეყნებში. ოფიციალურის ცნობების თანახმად 1862 წ. ფოთის ნავთსაღ-გურიდან საზღვარ-გარედ გაუტანიათ 500,000 მანერის სიმინდი. ერთი ჭიდა, ანუ ფუთი სიმინდი აქ ორ აბაზიდან ათ შაურამდე.

სიმინდს საქონელია და შინაურ ფრინველის საკვებად ხმარობენ; ოვითონ გლეხები კი მჭადს აცხობენ სიმინდის ფქვილისას, მაგრამ ისიც იშვიათად: მჭადის ჭიმა უყვართ ქობულეთებს, რომლებიც სამეგრელოში სადურგლო და საკალატოზო სამუშაოსთვის მოდიან.

ლომი (mil d'Italie) მარცვლებით ფეტვსა ჰეგაფს, მაგრამ უფრო წვრილი და თეთრია, ძირი კი არცერთ პურეულ მცენარეს უგავს: ლერი პურის ნამჯაზე სხეილი აქვს, ადლ-ნახევრის სიმაღლე იზრდება, იკეთებს ნახევარ ადლის სიგრძესა და ნახევარ გოჯის სიმსხო თაველს, წერილ მარცვლებით გავსებულს. თითოეულ თავთავში ორასიდან ათასამდე მარცვალია, ამიტომ ძნელია იმის გამოანგარიშება გადაუჭარბებლად, თუ ერთი მარცვალი თესლი რამდენ მარცვალს იძლევა? მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ თითო მარცვალი ოთხმოციდან ასამდე მარცვალს იძლევა. ღომის ხარშავენ და პურის მაგივრადა სჭამენ. ღომის დასათესად მიწას უფრო წმინდადა ხნავენ და ზაფხულში ორჯელ ჰმარგლავენ, ხშირად იმავე ნიადაგზე სთესენ, სადაც იმის წინ პური მოიყვანეს. მწიფდება ენკენასთვის გასულს და დანითა სჭრიან თაველებს, ხოლო ჩალასა მკიან და ცხენის საკვებად ინახავენ. თაველებს ჯერ მზეზე აშრობენ; მერე ლასტზე დაჭყრიან და ცეცხლს ზემოდან ჩამოჰკიდებენ გასახმობად. შემდეგ ხელით ფშვნიან თაველებს და მარცვალს აცლიან. მარ-



ცვლისაგან თხელის ფსკას მოსაშორებლად ღომს ცეხვავებ და მოჯალაბების საშუალებით ან და წყლის-ჩამურით. პირველ შემთხვევაში ღომს ასე ცეხვავენ: ბოძზე ფიცარსა სდებენ, ფიცრის ბოლოს წირისთავი აქვს მიკრული, რომელიც ჩამურში ჩაყრილ ღომსა ხვდება. მოჯალაბე ფიცრის ერთს ბოლოზე შესდგება და ფეხით ძირს დასწევს, ამ ღროს წირისთავიანი ბოლო ფიცრისა აღიმართება და შემდეგ დაეცემა ჩამურს. მეორე შემთხვევაში კი, ესე იგი როცა ფეხის ჩაგიერ წყალს ამუშავებენ, ფიცრის ერთს თავზე გობსავით აკეთებენ, რომელიც წყლით ივსება და ძირს იწევა, წყალი ისხმის, ამ ღროს აღიმართება გობი და წირისთავიანი მძიმე ბოლო ფიცრისა ჩამურს ეხეთქება; მერე ხელახლა ივსება წყლით გობი, ხელახლა იცლება, წირისთავი ჩამურს ეხეთქება და მ. სხვ.*) ორსაერ შემთხვევაში მეტად ზლაზნით კეთდება საქმე და კაცს გულს უწვრილებს. ღომი თითქმის არ გააქვთ საღმე გასასყიდად და სოფლელნი თეითონვე ხარჯავენ, რასაც მოიწევენ. ქილა ღომი ათი შაურიდან ერთ მანეთამდე ფასობს. მისი ფასი მოსავლის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

ქერისა, ფეტვისა და ჭვავის მოყვანის შესახებ ლაპარაკი საჭიროდ არ მიმაჩნია, რადგან სამივე სულ მცირედ მოჰყავთ; ახლა აქაურის მეურნეობის მეორე თვალსაჩინო დარგს შევეხებით, სახელდობრ—მეღვინობას.

—

სამეგრელო დაქსელილია ხშირის მაღლარით. ღამით შეუჩვევარ კაცისთვის აქ სიარული ძნელია, რადგან ყოველს ნაბიჯზე წინ ეღობება გზაზე გადაბანდული ვაზები. თუ რამდენად გავრცელებულია მეღვინეობა, მკითხველს შეუძლია იქიდან გაიგოს, რომ პატრონი მცირედ ნაჭერ მიწისა, საღაც რამდენიმე თხმელა ან ხურმა დაეტევა, თავის ღვინოსა ხარჯავს. მაგრამ სამეგრელოში ყველგან კარგის ღირსების ღვინო

*) სამეგრელოში ხელითაც იციან ღომის ცეხვა—კაუტებით. პატივ-ცემულ ავტორს ალბად დაპირიშნია ამ ნაირად ღომის ცეხვის აწერა. გთარ.



არ მოდის. ჩვენ აქ ჩამოვთვლით იმ ადგილებს, სადაც კარგი ღვინო იცის.

ერთის მხრით მდ. ტეხურსა და აბაშის შუა და ხობის წყალს შუა—მეორეს მხრით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიდის მთელი რიგი სერებისა, რომლებიც იწყება სოფელ სალხინოსთან, და თავდება სოფელ შხეფთან, დაახლოვებით 35 ვერსის სიგრძეზე; ამ სერების ფერდოებზე ყველაზე უკეთესი ღვინო დგება. ზოგი ისეთი სოფელიც არის, სადაც საუკეთესო ღირსების ღვინო მოდის. პირველი ადგილი ღირსებით ფაზალების ღვინოს უჭირავს. ამ სიტყვის ეტიმოლოგია შემდეგია: ბევრ მეგრულიდ მზესა ნიშნავს, თბევალები—სამზეო ადგილსა, აქედან წარმოსდგა დამახინჯებული სიტყვა—ფაზალები. ღვინის სახელი ამტკიცებს, რომ თვითონ ვენახები ისეთს ალაგას არის გაშენებული, სადაც მზე ნიადაგ ადგია და აჭერს, და მიმომ აქაური ვენახები საუკეთესო პირობებშია. ფაზალები უდრის სახელმწოდებას ბორდოულ ღვინის—cote-rotie-ისას. ოჯალებს გრძელწოდებულ სვანურის ჯიშის ყურძნისაგან აკეთებენ. ამ ყურძნის ვაზიც სხვა ვაზებსავით ხეებზეა გაშვებული. ვინც კარგად არ იცნობს აქაურს მხარეს, იმ აზრისაა, რომ სამეგრელოში ყველგან გარეული ყურძენია და მცხოვრებნი სიზარმაცისა და დაუდევრობისა გამო არ ფიქრობენ ისეთი ვენახები გააშენონ, სადაც ვაზს დიდად გაზრდა არ შეეძლოს და ჭიგოზე იყოს აკრულიო; მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. ამ მხარეში მაღლნარი ვაზის ყურძნისაგან საუკეთესო ღვინო დგება, ვიდრე დაბლარისაგან, ამიტომ, რომ ნიადაგი აქ მეტის-მეტი ტენიანია და მტევანი რაც უფრო აშორებულია ნიადაგს, მით უკეთესად მწიფდება, უფრო ეკარგვის წყლიანი ნაწილები და უფრო ნაკლებად ლპება. მაშასადაც, ამ შემთხვევაში მეგრელების სიღარიბე და დაუდევრობა არაფერი მოსატანია და, ჩვენის აზრით, მკვიდრნი კარგადა შვრებიან, რომ მამაპაპის ჩეცულებას არ ივიწყებენ და ყველგან მაღლარს აშენებენ. ვაზებს, როგორც ვთქვით, თხმელისა და ხურმის ხეებზე უშვებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ხურმას ამჯობინებენ, ამიტომ, რომ ხურმის ხე თხმელისაზე

უფრო თხელ ფურცლიანია და ყურძენს უფრო ნაკლებადა ჰეთა-
რავს მზის სხივთაგან; მაგრამ ისიც კია, რომ ხურმა უფრო მა-
ღლობ ადგილებზე ხარობს, ამიტომ დაბლობში თხმელას უნდა
მიმართონ ხოლმე მცხოვრებლებმა. ვენახი ჩაც უფრო მაღლო-
ბზეა გაშენებული, მით უფრო უკეთესი ღვინო დგება. აი, მა-
გალითად, ყველაზე მაღლა ღდიშში სალხიონ და ჭახებურია
და ამ სოფლებისთანა ღვინო არსად არ არის სამეგრელოში.
იმავე სვანურ ყურძნისაგან ოჯალებზე ნაკლები, მაგრამ ისე
კი საუცხოვო ღვინის მოსავლის სოფლებად ითვლება სოფლე-
ბი: უშაფათი (ამ ღვინოს გუდჩათური ჰქვიან), თამოკო, ნახუ-
ნუ, სკურდი, თარგამოული, აბედათი, ხუნწი და შხეფი. მეო-
რე ჯიშის ყურძენია თეთრა, ან კახური მწვანე. ამ ყურძნისა-
გან კარგი თეთრი ღვინო დგება შემდეგს სოფლებში: ჯგალს,
წალენჯიხას, საჩინოს, ჯვარსა და სუჯუნაში (ამ უკანასკნელს
სოფელში ყურძნის ჯიშს ჟუმბული ჰქვიან). ამ ჯიშის ყურძენს
სხვა ჯიშისა მოსდევს, სახელდობრ: ჭვატიათური, ჩეჭაფება,
მაჭვადური, ქორბადიდა და სხვ., მაგრამ სვანურთან ვერც ერ-
თი ვერ მოვა. ვაზისა სხლიავენ და წვერს წასჭრიან ხოლმე ყო-
ველ 10—15 წელიწადში, და ხშირად შეგხვდებათ ხოლმე ასი
წლის ვაზი, ნაოთხალ ალაბის სიმსხო. ძველსა და ნაყოფიერს
ვაზს სამ კოკამდე, ესე იგი 100 დიდი ზომის ბოთლამდე ღვი-
ნო გამოუვა.

ღვინის კეთება სამეგრელოში ამ გვარად იციან: გიორ-
გობისთვეში რთველს იწყებენ და ყურძენს რაც უფრო გვიან
დაჰკრეფენ, მით უფრო კარგი ღვინო დგება: ოჯალების ყურ-
ძენს ქრისტეშობისთვის გასულს, ან იანვრის დამდეგს ჰქრეფენ *).
ყურძენს ცაცხის ხისაგან გაკეთებულ საწნახელში ჰყრიან, რო-
მელიც ზოგან უშველებელის სიღიღისა იციან; ჩვენ გვინახავს

*) ეს წერილი 35 წლის წინად არის დაწერილი, როცა „ოჯალე-
ბი“ ჯერ კიდევ იყო სამეგრელოში. დღეს კი „ადესის“ მეტს სხვა ჯიშის
ყურძენს იშვიათად შეხვდებით აქ და რთველი ხშირად ენკენისთვის ნახე-
ვარში გათავებულია კიდეც.

საწნახელი ორ-ნახევარ ალაბის მეტის სიღრმისა! როცა ყუჩა-
ძენს ფეხით გასჭყლეტენ ერთჯერ, ტკბილს ასადულებლად ში-
გვე ჩასტოვებენ, მერე მეორეჯერ გასჭყლეტავენ და ხელ-ახლა
ადულებენ და, მესამეჯერ გაჭყლეტის შემდეგ, ტკბილს საწნა-
ხელიდან ხრიკათი ამოილებენ და ქვევრებში ასხამენ. ჭაჭა ცაც-
ხვის საწნახელიდან ქვის საწნახელში გადააჭით და საქაჯავით
(ხარხიმით) ხელ-ახლა გასწურავენ; ჭაჭიდან გამოწურულ სქელ
ტკბილით ავსებენ ქვევრებს, თავს მაგრად უკრავენ ბლის ქრ-
ქით და მიწით უგოზავენ. გაზაფხულზე დუღილ-გათავებულ
ღვინოს სხვა ქვევრებში გადაილებენ და ამით თავდება მთელი
პროცესი ღვინის დაყენებისა.

ბევრი მეღვინე-ავანტურისტი მოსულა კავკასიაში და უძა-
გებია აქაური წესი ღვინის დაყენებისა, მაგრამ თვითონ ამ
ვაჟბატონებმა, თუმცა მთავრობა მეტად თავ-გამოჰებით ეხმა-
რებათ, ისიც ვერ მოახერხეს, რომ იმ ღირსების ღვინო მაინც
დაეყენებინათ, როგორსაც აქაურები აკეთებენ; მართალია, აქა-
რებს უკიუინებენ, ღვინის კეთება არ იციანო, მაგრამ ჩვენ
ამ კიუინს არ გაეიმეორებთ და მხოლოდ ვიტყვით, რომ მეგრე-
ლების ღვინო, რა ხერხითაც იყოს გაკეთებული, სამეგრელოს
ზოგიერთ სოფლებში, განსაკუთრებით ოჯალეში, საუცხოვო
გემოსია და ყველა ღირსება აქვს კარგის ღვინისა, ესე იგი მა-
გარია, ბოთლებში თუ გადაასხამთ ან სარდაფებში შეინახავთ,
სიკეთე ემატება და შორი გზას უძლებს. 1849 წელს მთავარმა
დავით დადიანმა პეტერბურგში წასვლა დააპირა და წინ-და-წინ
გაგზავნა ყუთებში ჩაწყობილი 600 ბოთლი ოჯალეშის ღვი-
ნისა; მთავარი ველარ წავიდა, და ღვინო პეტერბურგიდან ტფი-
ლისში დაუბრუნეს, მაგრამ არამც თუ გაფუჭებულა, გაკეთე-
ბულიყო კიდევცა. მთავრის ნაცნობებს და ჩვენც არა ერთხელ
დაგვილევნია ათის წლის ოჯალეში და იმის ბადალი ღვინო
კავკასიაში სხვაგან არსად დაგვილევნია. გემოთი და სიმაგრით
ოჯალეში ორს ევროპიელს ღვინოს მოაგონებს კაცს: ბურ-
გონულს და პორტვეინს.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ოჯალებს, ისე სხვა ჯიშის ყურძენს, ეს თერთმეტი წელიწადია, სხვა-და-სხვა სენი გაუჩნდა, და ამის მიზეზით მეღვინეობა ძალიან შეფერხდა. როგორ უნდა ააცილოს კაცმა ვენახებს ეს უბედურება? — გადაწყვეტილის პასუხის მიცემა მეტად ძნელია... გოგირდის მტვერს კაცი აქაურს ვაზს ვერ შეაყრის, რადგან ხეზეა გასული და კაცი ვერ მიუდგება, გადარგვაც ბეჭრს ვერასა შველის, ასე რომ ყველაფერი დრო-ეამს უნდა მიენდოს და იმდედი უნდა ვიქონიოთ, რომ დრო და უამი ყველაზე უკეთესი მკურნალი იქნება.*) ლეინის ახლანდელ მოსავლის კვალობაზე ძნელია კაცმა სთვას, თუ რამდენი ლეინო მოდიოდა სამეგრელოში ამ 11 წლის წინად. მაშინ კი საოცრად ბევრი მოდიოდა და მთელს მოსავალს ისევ აქაურებივე ხარჯავდნენ.

ეჭვი არ არის, რომ თავის დროზე, როცა ვაზის ავადმყოფობა მოისპობა და იმ ადგილებს, საცა ახლა საუკეთესო ლვინო მოდის, ფულიანი ხალხი უყურადღებოდ არ დასტოვებს და აქაური ლვინო საპატიო ადგილს დაიჭირს ბაზრებზე. ჯერხანად ლვინოს ბევრი არაფერი ფასი აქვს, განხაკუთრებით, როცა კაცი კოკობით ჰყიდულობს: თამოკოსი, აბედათისა და ნახუნუს ლვინო ჩვენ გლეხებისაგან ორ მანეთად გვიყიდნია კოკა ანუ შეიდ კაპეიკად ბოთლი, და თამამად ჸეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველს ამ შეიდკაპეიკიან ბოთლზე ვარაყიანი იერლაყი რომ დააწებოს კაცმა და დააწეროს Nuit ან Romanéeth, რუსეთში ბევრი გასაღდებოდა ბურგონის ლვინის სახელით ოვითეული 2 მანეთად.

მეღვინეობის შემდეგ საპატიო დარგი ბარის სამეგრელოს მეურნეობისა შეაბრეშემუშაბა არის, რომელიც მხოლოდ „ლამაზთა სქესს“ გაუხდია ხელობად. აბრეშუმის ჭია თესლიდან აპრილში

*) საკორეველია, რომ ავადმყოფობა ყველა ჯიშის ვაზს შეხვდა, გარდა ყირიმიდან მოტანილ ვაზისა . იზაბელასი“. ამ ყურძენს, თუმცა სხვაგან მარტო საჭმელადა ხმარობენ, მაერამ აქ მისი გაწურვაც იწყეს.

გამოჰყავთ და ექვსის კვირის განმავლობაში თუთის ფურცლი. თა პკვებავენ, სანამ ჭია ცახზე არ გავა და პარკის კეთებას არ იწყებს. ჭიის მოვლის დროს სახლში ხმა-მაღლა არავის ალაპარაკებენ, ჭიას მზის სინათლეს და წვიმას არიდებენ. ამიტომ იმ დროს ქალები სრულიად ეპარტონებიან სახლებს და მამაკაცთ, ესე იგი ხმაურობის მოყვარე ნაწილს ოჯახისას თავიდან იშორებენ. აბრეშუმის ჭიის კვების დროს აქ „ქალების დროს“ ეძახიან და ამ შემთხვევაში ქალები, მართლაც, ბატონობენ ოჯახში. თავი და თავი მათი საზრუნავი — თუთის ფოთლის შოვნაა, და თუმცა ყველას უდგას რამდენიმე ძირი თუთა, მაგრამ საკუთარი ფოთლობი ხშირად შემოაკლდებათ და მაშინ სხვის ფოთლის ტაციობას მიმართავენ ხოლმე. ამნაირი ქურდობა აქაურს ხალხში ისეთის უწმაწურის საშუალებებით ისჯება, რომ იმის დასახელება მწერლობაში უხერხულია.

20 წლის წინად სამეგრელოში ყოველგან ალაგობრივი აბრეშუმის ჭია იყო, მაგრამ მეგრული თესლი, საფრანგეთის ქვეშევრდომის გრაფ როზმურდუკის წყალობით, რომელმაც აქ გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი მეაბრეშუმეობას, ახლა თითქმის ყველგან განსდევნა პიემონტის თესლმა. 1848 სამეგრელოს მთავარმა, დავით დადიანმა გრაფი როზმურდუკი ზუგდიდში მოიწვია აბრეშუმის სახვევ ქარხნის დასაარსებლად. თანაც, რომ გრაფს ხარჯისა არ შევშინებოდა, მთავარმა თავისს ძმას კონსტანტინეს ურჩია — ნახევარ ხარჯში შემოუდექიო. პირველ ხანად ორმავე ოთხ-ოთხი ათასი მანეთი გაიღეს საქმის დასაწყებად, ხოლო ის მიწა, რომელზედაც ქარხანა დააარსეს, გრაფ როზმურდუკს ათის წლის უსასყიდლოდ დაუთმეს. მთავარსაც და დედოფალსაც დიდი შრომა დასჭირდათ, რომ ზუგდიდისა და მახლობელ სოფლების ქალიშვილები დაეყოლებინათ ქარხანაში შესულიყვნენ და აბრეშუმის ამოღება ესწავლათ გრაფ როზმურდუკის მიერ სამხრეთ საფრანგეთიდან მოყვანილ ორ ფრანგის ქალისაგან. აბრეშუმის იმოღების სატატები იყენენ *Mlle Marie* და *Mlle Susette*. ამათ საპატიო სახელი დაიმსახურეს აქაურ მეაბრეშუმეობის საქმეში, აქაურ ქალებს ხელობა ასწავლეს და გარ-

და ამისა, ცოტა არ იყოს, მამაც ქალების სახელიც გაითქვეუს, ამიტომ რომ თავის საყვარელ საფრანგეთიდან ნახევრად-ველურ და შორს ქვეყანაში წამოვიდნენ. სამეგრელო მათვის მეორე სამშობლოდ გადაიქცა. ორივე გათხოვდა: მარია სადა-დიანო გლეხს ბეკო ჩიხლაძეს მისთხოვდა, ხოლო სუზეტა—იმე-რელ აზნაურს იოსებ ქაჯაიას. სახევვ ქარხნის დაარსების შემ-დეგ ერთმა წელიწადმა გაიარა: ამ ხანში 20 მეგრელმა ქალმა ისწავლა აბრეშუმის ხვევა, საქმე მარჯვედ წავიდა და მომუშავე ქალები ქარხანას არ აკლდა. დღეში აბაზად იმდენს მუშას იშოვიდით, რამდენიც გენებებოდათ. საქმეს ყოველთ უწინა-რეს ის აბრკოლებდა, რომ ხალხი თაკილობდა,—ქალმა იქ არ უნდა იმუშავოს, სადაც სხვა ქალები, და მით უმეტეს, მამა-კაცები უყურებენო. მაგრამ ქარხნის დამაარსებელთ ამ შემთხვევაში ქება-დიდება ეკუთვნით: იმდენი იმეცადინეს, რომ ხალ-ხი დააჯერეს, ქალების მუშაობა ქარხანაში არაფერი სირც-ხვილია და ამ გვარად კავკასიაში დააარსეს პირველი ქარხანა, სადაც მარტო ქალები მუშაობდნენ,—და ეს კი ვერ შესძლეს ვერც ფრანგის გრენორებმა და ვერც ალექსეევმა ნუხაში.

გრაფ როზმურდუკი როცა დარწმუნდა, ადგილობრივი თესლი არ ვარგაო, პიემონტის თესლი გამოიწერა და ზუგდი-დისა და მახლობელ სოფლების მცხოვრებლებს დაურიგა იმ პირობით, რომ ამ თესლიდან გამოიყვანეთ ჭიათ. მერე თვი-თონ ჰყიდულობდა მათგან პარკს და ერთ ნახევრად მეტს ფასს აძლევდა ამ პარკში, ვიდრე მეგრულ პარკში აძლევდა წინედ. ამგვარად, პირველად გრაფ როზმურდუკმა დაუწყო დევნა მე-გრულს პარკს და პიემონტის თესლს დაუწყო ვრცელება, და ამავე დროს ზუგდიდის აბრეშუმი იმ ზომამდე გამოაკეთა, რომ ახლა ზუგდიდური აბრეშუმი სტამბოლში ნიადაგ ათ თუმნად იყიდება ფუთი და სამეგრელოში საუკეთესო აბრეშუმად ითვ-ლება. ოცის წლის წინად კი იგივე აბრეშუმი, სულ დიდი, სამ-ოთხ თუმნად ფასობდა, ესე იგი იმდენადვე, რამდენადვე სხვა სოფლების აბრეშუმი. ევროპიული აბრეშუმის სახვევი მანქა-ნა რთულის მეხანიზმისა არ იყო და ამიტომ სოფლებში აქა-



იქ შეიძინეს და ესეც დიღად უწყობდა ხელს ძაფის წმინდად
ამოხვევების საქმეს.

ოსმალეთთან იმის შემდეგ გრაფის როზმურდუქის მაგალითს მიმბაძველი გამოუჩნდა — ბერძენი მარკოპოლი, რომელმაც თრპირში გახსნა აბრეშუმის სახვევი ქარხანა. მაგრამ მისმა ქარხანამ ვერ იხეირა, რადგან ისეთს მარჯვე აღაგას არ იყო გახსნილი, როგორც ზუგდიდისა. თრპირი დაშორებულია იმ სოფლელებს, რომლებიც მეაბრეშუმეობას მისდევენ. ამიტომ ქარხნის პატრონი იძულებულია თვითონვე იაროს სოფელ-სოფელ პარკის სასყიდლად, რაიცა საქმეს მეტად უცარავს ხელს, გარდა ამისა, აბრეშუმის ამოხვევის მცოდნე ქალების მუდმივად შოვნაც უძნელდება. მარკოპოლიმ თავისი ქარხანა ცოტა ხნის უკან ავსტრიელს პირიენს მიჰყიდა, ხოლო ამან — გოფშტრაზერს. ქარხანა კარგადა მოწყობილი: 50 სახვევ იარაღს ამოძრავებს ორთქლის მანქანა, იქვეა პარკის საშრობი ფარდული. არის ქურა ჭიების სახოცი, — ყველაფერი სამაგალითოდ არის მოწყობილი, მაგრამ რად გინდათ, უხერხეული ადგილია ამორჩეული და საეჭვოა დიდი მოვება აჩვენოს პატრონს!... როზმურდუქისა და გოფშტრაზერის ქარხნებში ამოხვეული აბრეშუმი მარსელში იყიდება: მესამე ხარისხისა — რვიდან ათ თუმნამდე ფუთი; მეორე ხარისხისა ათიდან ოც თუმნამდე და პირველისა — ოციდან ოც და თვრამეტ თუმნამდე. სოფ. ლერ-ჭინოშიც სცადეს სადადიანო გლეხებმა სიჭინავებმა ქარხანა გაეხსნათ და ამ საქმეში მონაწილეობა მიეღებინებინათ სხვა გლეხებისათვისაც, მაგრამ არ ფიცით, რაბედი ეწია მათს განზრახულს საჭმეს.

კაცი დანამდვილებით ვერ იტყვის, თუ რამდენს აბრეშუმს
იწევენ წლიურად სამეგრელოში, ამიტომ რომ ამის შესახებ
სტატისტიკური ცნობები ჯერ არ არის; მაგრამ სულ ცოტა
რომ ვთქვათ, ერთი თხუთმეტი ათასი კომლი მისდევს მეაბ-
რეშუმობას; ვთქვათ თითო კომლი წელიწადში თითო ფუთს
აბრეშუმს იწევს, ხოლო ყოველი ფუთი სულ უკანასკნელი
ოთხ თუმნად რომ ჩაეგდოთ, მთელი ფასი ყოველ წლიურად

მოწეულის აბრეშუმის უდრიდეს იქნება ექვსას ათას მანეთს; ამასთანავე ეჭვი არ არის, რომ ორი მესამედი ამ აბრეშუმისა (ესე იგი ორმოც ათას მანეთისა) გააქვთ საზღვარ გარედ და, როგორც გვითხთა გრაფმა როზმურდუქმა, ამ საქმის ზედმიწევნით მკოდნემ, ეგვიპტესა და ოლჯირში. მაგრამ ეს რამოდენიმე წელიწადია აქაურს მეაბრეშუმეობასაც დაატყდა უბედურება: აბრეშუმის ჭიას სატკივარი უჩნდება, როგორც ევროპაში ამ ათის წლის განმაელობაში, და მისი მოსპობა დრო-უას უნდა მივანდოს. მანამდე კი როზმურდუქისა და გოფშტრაზერის ქარხნებში მუშაობა შეჩერებულია. ამ უკანასკნელის ქარხანა სატრანზიტო საქონლის საწყობად არის გარდაქცეული. ესეც კია, რომ წელს აბრეშუმის ჭიის სატკივარმა იკლო და იმედია, რომ პარკის მოსავალი ორ წინა წლებისაზე უკეთესი იქნება.

—

დროულნი მცხოვრებნი ამბობენ,—ძველად ბამბა ბევრი მოჰყავდათ სამეგრელოში და მეზობელ ადგილებში სულ აქედან გაპერნდათ ეს საქანელიო; მაგრამ სამეგრელოში იაფ-ფასიან ფართლის შემოტანა რომ დაიწყეს, ბამბის მოყვანა თან-და-თან შემცირდა და ბამბას ამ ოთხის წლის წინად მარტო შინაურ საჭიროებისათვის სთესდნენ. ხალხი უფრო სიმინდს, ლვინოს და აბრეშუმის მოწევას მიაწვა, რადგან ამათს მოწევას შედარებით ნაკლები შრომა სჭირდებოდა. მაგრამ გაზია და აბრეშუმის ჭიას სატკივარი გაუჩნდა, მეღვინეობაცა და მეაბრეშუმეობა—ორივე დაეცა, თან ამერიკის ომის გამო ევროპის მანუფაქტურებს ბამბა დასჭირდათ და ამ საქონელს ფასი დაედო. მაშინ უფრო გაცხოველდა სამეგრელოში ბამბის მოყვანა და უკანასკნელ ორ წელიწადს დიდალს ბამბას ეზიდებიან აქედან.

სამეგრელოში ეგვიპტურის ჯიშის ბამბასა სთესენ. ამ ჯიშის თესლი კავკასიაში გრაფის ვორონცოვის დროს, 1845 წ. შემოვიდა და მას შემდეგ აქაური თესლი განდევნა. ბამბის მოსაყვანად საუკეთესო ადგილებად ითვლება სერების კალთები,



სადაც ნიადაგი არც ისე ტენიანია და ცოტათი ქვიანიცაა. ჩვენის აზრით, ბამბის მოყვანის გავრცელება შემთხვევითის პირობების ბრალია, შემდეგში საეჭვოა ამდენიმე სოესონ მცხოვრებლებმა და როგორც კი მოისპობა ეს დროებითი ხელის შემწყობი გარემოება, ბამბის მოყვანაზე ისევ აღლებენ ხელს. ბამბას დიდძალი მუშა და მოვლა სჭირია, ამიტომ თავისს ფასს მხოლოდ მაშინ აიღებს, როცა მოულოდნელად გაძვირდება და დიდი მუშტარი გამოუჩნდება. ამ სამის წლის წინად ერთი ფუთი ბამბა ალაგობრივ ღირდა 10—12 მანეტი, იმავე ღრის ერევნული ბამბა ფუთი ხუთ მანეტად იყიდებოდა, — ეს საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ სამეგრელოში ბამბა გასასყიდად კი არ მოჰყავდათ, არამედ შინაურობაში სახმარად; მერე ერთბაშად ბამბის ფასი 15 მანეტამდე ავიდა ფუთზე და ეს ფასი იყო ამ წლის დამდეგამდე, ახლა კი 7 მანეტამდე ჩამოვიდა. ფასებს ასეთის უცების აწევა-დაწევით აიხსნება, თუ როგორი მოთხოვნილებაა ამ საქონლისა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ორს წლიწადში ერთი-ორად მეტი მოჰყავთ სამეგრელოში ბამბა და თუ მანამდე, როგორც ოფიციალურის ცნობებიდანა სჩანს, წელიწადში 1,500 ფუთამდე მოჰყავდათ, ახლა კი 3,000 ფუთი მოჰყავთ, ანუ, აწინდელის ფასების კვალად, 20,000 მანეტისა.

o. b.

(ଶ୍ରୀମତୀ କନ୍ଦିଳା)

მთავარი მამის გურიელის ბრძანება

მათ ბრწყინვალებას ნაკაშიძეს ქაცლს და ბეჭანის

მოწყალეს კელმწიფეს!

ვინათგან მაქვს ვალი მსახურებისა მათის უდიდებულესის რუსეთის ხელმწიფის იმპერატორისა: ესე ვითარისა, რომელ ბრძანებანი უმაღლესისა კარისანი ვიზრუნო აღსასრულებლად მეცა და სამთავრომანცა ჩემმან: ამისათვის მმართებლობა დასდებს ჩემ შორის ცნობასა შესაძენად ხაზინისა და სასარგებლოდ მამულისათვის ჩვენისა სამფლობელოსა შინა ჩემისა: შემთხვევისა ამის გამო გთხოვთ და გიბრძანებ მტკიცედ, რომელ გამოუცხადოთ რწმუნებულთა თქვენდამი ხელქვეშეთა ყმათა, რათა რაოდენიცა ძალ ედვასთ მოიმუშავონ პური მისაცემლად ფასითა გურიისა შინა მდგომარეთა რუსეთის მხედრობათაღმი: ოდესს მოიმუშავების პური იგი მცხოვრებთაგან მოთხოვებისამებრ მომეცეს მე თქვენ მიერ და ჩემ გამო მიიღებთ ზომიერსა ფასსა სახაზინოისასა. მაშინ ჯერ იქმნების რათა თეთრი იგი და ურიგოთ შეკრებილის პურის მეპატრონეთა ხელქვეშეთა:

სხვებ მსურს გებად ჰატივისცემითა თქვენ ბრწყინვალების კეთილ მოწადე

მთავარი მამის გურიელი

ნოემბრის ۱-სა
 ჩემის-სა წელსა
 ნაგომრით.

ჩ ა რ ლ გ პ ა რ ნ ე ლ ი

ებ. ტარლესი

vi *)

ის საქმე, ის პრობლემა, რომელიც პარნელს ირლანდია-ში მოელოდა, არ იყო აღვილი. გლადსტონის ახალმა კანონ-მა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფერმერებზე და სხვა წრის ირლანდიელებზედაც. პარნელს ინგლისელი მმართველობის არა-ფერი სწამდა და გლადსტონის ქცევასაც ფერნიების და ობსტრუქ-ციის შიშს აწერდა. მას ეშინოდა, რომ, თუ ირლანდია დამშვიდდა, ინგლისის პარლამენტი არაფერს გააკეთებდა ირლანდიელებისათ-ვის. ომი და საომარი დამოკიდებულობა ინგლისთან, მტრის ფრთხობა და ომისთვის ყოველთვის მზად ყოფნა,—ით რა იყო სა-ჭირო ირლანდიელებისათვის, მათი ზელადის შეხედულობით. მაგ-რამ როდესაც ზოგიერთმა უკიდურესმა პარნელიტმა აზრი შე-მოიტანეს, ვუქადაგოთ ფერმერებს, ნუ მიმართავენ ახალ სა-სამართლოებსო, პარნელმა განაცხადა, რომ ეს უანგარიშობა იქმნებოდა: ისარგებლონ ფერმერებმა მითი, რაც გლადსტონმა მისცა; მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ყველა ეს მართებლობის „შესაბრალისი ხრიკებია“ და რომ უმთავრესი მიზანი წინ არის. „აგრძარული ლიგის გაზეთი, რომელიც პარნელის რჩე-ვით დაარსდა, დიდის ენერგიით ავტომატურადა ამ აზრებს. პარ-ნელს დიადის ოვაციებით შეჰვდნენ ირლანდიაში. 15 სექტე-მბერს დუბლინში შედგა მიტინგი, რომელსაც 1700 „ლიგის“

*) იქ. „მოაშენ“ № X, 1899 წ.



დეპუტატი დაქსწრო; მიტინგს პარნელი თავმჯდომარეობდა. ამ მიტინგზე მან დიდი სიტყვა წარმოსთქვა. ნურა გწამთ-რა ინგლისის სამინისტროს კეთილ განზრახვებისათვის, — ეუპნებოდა პარნელი იქ შეკრებილ ხალხს; ახალი აგრძრული კანონი არ სწყვეტს აგრძრულ კითხებს; მართებლობას განზრახ არ უნდა გადასწყვიტოს ეს კითხება, რადგანაც, თუ ირლანდიაში მიყუჩდა კლასსური ბრძოლა, მაშინ ირლანდიის ყველა მცხოვრები — ლენდ-ლორდები და ფერმერები — შეერთებულის ძალებით მოითხოვენ ჰომილულს, ინგლისს კი ყველაზე უფრო ამის ეშინია. „სანამ აგრძრული კითხება გადუშვეტელია, იგი ყოველთვის იქნება წყარო უქმაყოფილებისა და განხეთქილებისა კლასსთა შორის; და მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ, როცა ინგლისის მართებლობას შემოჰქონდა ახალი ბილლი, რომელიც კითხებას არა სწყვეტს და არ აწეს-რიგებს, მას მიზნად ჰქონდა ირლანდიის სოციალურ კლასსების გათიშვა, რათა ჩვენ ვერ ვისარგებლოთ ჩვენი შეერთებული ძალებით დაკარგულ უფლებათა აღდგენისათვის, — თვით-მართველობისათვის“. პარნელის აზრით, სანამ ირლანდიელი მიწის ღალას იხდის, ჰომილული ვერ დაიჭირს პირველს ადგილს; მტკიცე ეკონომიკური ნიადაგია საჭირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობისათვის. ეს სიტყვა პარნელმა მუქარით დაათავა: „არა-ფერია, ჩვენ გვაქვს საიმედო პრინციპები, რომელთა გამოსადევრობა გამოცდილი და დამტკიცებულია, და ეს პრინციპები იქმნებიან ჩვენი ძვირფასი ხელ-მძღვანელნი მომავალშიაც. საჭიროა მხოლოდ ირლანდიელების თანხმობით, ერთ-სულად მოქმედება. ერთდეთ ცალ-ცალკე მოქმედებას. არც ერთი ფერმერი არ უნდა იქმნეს კმაყოფილი, სანამ ყველას არ დააკაცოფილებენ“.

მიტინგმა და პარნელის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ინგლისში. ის ზნეობრივი გამარჯვება, რომელსაც სამინისტრო ამზადებდა ამ ახალის ბილლით, სრულებით გააქარწყლა პარნელის სიტყვამ; ირლანდია აღელვებული იყო და მისი უქმაყოფილების კმაყოფილებად შეცვლა შეუძ -



ლექციელი იყო. პარნელის ყოველი სიტყვა სახარებას ავითა სწავლის
დათ ირლანდიელებს და მართებლობის ყოველს მოქმედებას
სჯიდნენ და უყურებდნენ ისე, როგორც აგიტატორის სუ-
რეილი იყო. ხალხში დრტვინვა თან-და-თან უფრო ძლიერ-
დებოდა. ირლანდიის გამკებელი ფორსტერი, რომელიც განსა-
კუთრებული უფლებებით იყო აღჭურვილი, ენერგიულად ხმა-
რობდა თავის პრეროგატივებს და ბევრი ირლანდიელი დამ-
წყვდია სატუსალოში. მაგრამ ეს ზომები ვერ იყო პარნელის
პასუხი: პარნელი ირლანდიის „უგვირგვინო მეფე“ იყო და
d'égal à égal შეეძლო მასთან გამოკამათება მხოლოდ ინგლისის
მართებლობის პრემიერს.

7 ოქტომბერს, 1881 წელს, სწორედ დუბლინის მიტინ-
გის ორის კვირის შემდეგ, გლასტონბერი წარმოსთვევა საპასუხო
სიტყვა ლიდასში. „ბატონი პარნელი ცდილობს დაარწმუნოს
ირლანდიელები, რომ ჩვენ ისინი მოვატყუილეთ. თუ ეს სამა-
რთლიანი კანონი (აგრარული ბილლი) სისრულეში არ იქმნა.
მოყვანილი, მე უყოყმანოდ ვამბობ, რომ „ჯერ კიდევ არ და-
შრეტილან ის საშუალებები, რომელთაც ჩვენ ცივილიზაცია
გვაძლევს“. აქ პრემიერი თითვის პირდაპირ ემუქრებოდა პარ-
ნელს მის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებით. აუდი-
ტორია დიდის თანაგრძნობით და აღტაცებით ისმენდა მთავარ
მინისტრის სიტყვას. წინად კონსერვატორული პრესსა უსაყვე-
დურებდა ლიბერალურ კაბინეტს სისუსტესა და სირბილეს ირ-
ლანდიელების შესახებ, ლიდასში წარმოთქმულმა სიტყვამ კი
მეგობრები შესძინა გლასტონის კონსერვატორებში.

პარნელმა უკვე ფორდში წარმოსთვევა 10 ოქტომბერს საპა-
სუხო სიტყვა. ქალაქი საღლესას წაულოდ იყო მორთული; უამ-
რავი ხალხი აღტაცებით შეხვდა აგიტატორს. საღამოს ბანკეტი
გამართეს და პარნელმა მეტად ლირს-შესანიშნავი სიტყვა სთქვა:
„პირველი აუცილებელი ზომა ირლანდიის აყვავებისათვის არის.
ინგლისის ბატონ-პატრიონობის თავიდან მოშორება. როგორ
უნდა მოხერხდეს ეს? დემოკრატიამ, მუშა ხალხმა უნდა გაან-
თვისუფლოს ირლანდია. თუ თქვენ შეიძლებთ ემორჩილოთ

დაუწერელ კანონებს, თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ უმცირულობას არ შეუძლია იყმოს უმრავლესობა, თქვენ ამით დაანახვებთ ყველას, რომ ღირსნი ხართ თვით-მართველობისა. ჩვენ გვინდა, რომ ირლანდიელის ნიჭის, კუუას და ძალას შესაფერი სამართლიანი ჯილდო ეძლეოდეს. ეს კი შეუძლებელია, სანამ არ გავდევნით მისტერ გლადისტონსა და მისს ყიზილბაშებს".

ყველა ამაებს პარნელი ამბობდა იმ ქვეყანაში, სადაც აგრძარული ბოროტ-მოქმედებანი არ შეწყვეტილან და სადაც ფენიების მოძრაობის განცხოველების ცხადი ნიშნები იყვნენ. ფორსტერს, მისგან გაყვანილი ბილლის ძალით, უფლება პერნ-და დაუყოვნებლივ დაეჭირა პარნელი, მაგრამ გლადისტონს არ უნდოდა მიემართნა ამ ზომისათვის, სანამ ერთხელ კიდევ არ გააფრთხილებდა თავის მოპირდაპირეს. 12 ოქტომბერს გილდ-გოლლში (ლონდონში) პრემიერმა რამდენჯერმე გაიმეორა ფრაზა „დაუშრეტელ საშუალებებზე“, რომელთაც ცივილიზაცია იძლევა პარნელისთანა კაცების წინააღმდეგ. მაგრამ პარნელი მაინც დატუსალებას ერ გადარჩებოდა.

ეხლა თავი დავანებოთ საპოლიტიკო კრებებისა და დებატტების ანგარიშებს და მიემართოთ სხვა გვარ წყაროს. 1892 წლის ოქტომბერში ლონდონში გამოვიდა ერთი პატარა წიგნაკი—„25 წელი საიდუმლო პოლიციაში. მოგონებანი ჯაშუ-შისა“. ექვს დღეში გამოვიდა სამი გამოცემა, და ერთი წლის განმავლობაში კი გაიყიდა 16 გამოცემა, იმდენად საინტერესო იყო ამ წიგნაკას შინაარსი. ავტორი ამ საინტერესო წიგნაკისა ტომას ბიჩია, ის ტომას ბიჩი, რომელიც მაიორ ლეკარონის სახელით ინგლისის საიდუმლო პოლიციაში მსახურობდა და რომელსაც ირლანდიელების საქმე ებარა. მან მოახერხა ფენიების წრეებში შესვლა, ახლო გაეცნო ლეგალური და არა ლეგალური ოპოზიციის უმთავრეს მოლვაწეებს და დიდი და დაუფასებელი სამსახური გაუწია ინგლისის მთავრობას. რომ ტომას ბიჩი არ ტყუის თავის წიგნაკში, ეს იქიდან სჩანს, რომ არაესი მის წინააღმდეგ არა დაუწერია-რა, თუმცა ბიჩის წიგნში ნახსენები პირები დღესაც თითქმის ყველა ცოცხლები



არიან. ტომას ბიჩი ბევრის შნახველი და ბევრის მცოდნე იყო. 80-იანი წლების ირლანდიელების მოძრაობის შესასწავლად ეს წიგნი მიუკილებელი მასალაა. ჩვენთვის იგი საინტერესოა იმდენად, რამდენად იგი პარნელის ცხოვრებას ეხება.

ტომას ბიჩი გაეცნო პარნელს 1880 წელში, და რადგანაც ბიჩი წარუდგინეს აგიტატორს, როგორც შეურიგებელი და ფანატიური რევოლუციონერი, პარნელი გულ-ახლილად ლაპარაკობდა მასთან. ბიჩმა გაიგო, რომ პარნელს დამოკიდებულობა აქვს ირლანდიელ რესპუბლიკანელების საიდუმლო საზოგადოებასთან. 1881 წ. ბიჩი პარნელს არ მოშორებია, რასაკვირველია, სამსახურის მოვალეობის მიხეზით, და ისე მოაწონა თავი წინდახებულ პოლიტიკოსს, რომ აჩუქა მას თავის სურათი ზედ-წარწერით: „გულ-წრფელად თქვენი ჩარლზ პარნელი“. 1881 წ. საეჭვო პირებისა და პარნელის დამოკიდებულება უფრო მჭიდრო და განცხოველებული შეიქმნა; შემოდგომის აგიტაციის დროს პარნელი იძულებული შეიქმნა საქმე დაეჭირა ამერიკაში მყოფ „სარევოლუციო მმართველობასთან“ და გაუგზავნა მას ტომას ბიჩი ზოგიერთი ინსტრუქციების გადასაცემად. „ინგლისის მართებლობამო,—ამბობს ტომას ბიჩი,—ყველაფური დაწვრილებით იცოდაო“.

ამგვარად ირლანდიის გამგებელს ფორსტერს ხელთ ჰქონდა ნამდვილი ცნობები და საბუთები პარნელის უკანონო დამკიდებულებათა შესახებ. ოვითონ პარნელი კი ამავე დროს სასტრიკად ჰკიცხავდა თავის სიტყვებში ინგლისის მართებლობის პოლიტიკას. 12 ოქტომბერს დუბლინის მიტინგზე პარნელი ერთხელ კიდევ დაერიკა გლადსტონს და მეორე დღეს, 13 ოქტომბერს, იგი დაატუსაღეს და კილმანგემის ციხეში ჩასვეს. აგიტატორს სრულებით არ ეტყობოდა აღელვება დატუსაღების დროს, რადგან აც ეს მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ამას მოჰყვა „სამიწო ლიგის“ დახურვა (18 ოქტომბერს). ირლანდიისა და ინგლისის ერები ერთმანერთს დაუპირდაპირდნენ; თვითონეული მათგანი ერთ სული და ერთ ხორცი იყო. „ინგლისში ერთი ხმაც არ ამოღებულა პარნელის სასარგებლოდ,

ისე, როგორც ირლანდიაში ფორსტერის სასარგებლოდ". რაბ-დენიმე დღის განმავლობაში დატუსალებულ იქმნენ ბიგგარი, ო'გილი და დახურული „ლიგის“ სხვა თვალსაჩინო წევრები.

მიუხედავად პარნელის დატუსალებისა, მოძრაობა ირლანდიაში არ შეწყვეტილია. აგიტატორის შემოდგომის მოგზაურობამდე ირლანდია შედარებით დაწყნარებული იყო; ეხლა კი მღელვარება თან და თან უფრო ძლიერდებოდა და იიდ შიშა ჰგვრიდა ფორსტერს. ირლანდიის გამგებელი და მისი თანაშემწე ბორკი გულ-მოდგინედ ამუშავებლნენ განსაკუთრებულ კანონებს, მაგრამ ამაოდ. პარნელის დის, ანნა პარნელის თავმჯდომარეობით დაარსდა „ქალთა სამიწო ლიგა“, რომელიც სასტიკად ჰკიცხავდა ინგლისის პრემიერსა და ირლანდიის გამგებელს. აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი თან და თან მატულობდა. 23 ოქტომბერს თვითონ ლონდონში შესდგა ირლანდიელების დიდი კრება, რომელმაც საჯაროდ პროტესტი განაცხადა პარნელის დატუსალების წინააღმდეგ. დადვა გაზაფხული 1882 წლისა და საქმის მიმღინარეობა იგივე იყო; ლენდ-ლორდების ცემა-ტყება, ცეცხლის წაკიდება კიდევ უფრო გახშირდა. ლონდონის ყველა პოლიტიკური წრეები იმ აზრისანი იყვნენ, რომ განსაკუთრებული კანონები და ფორსტერი თავის მიზანს ვერ მიაღწევენ. სწორედ ამ დრის პარნელიტმა ო'შიმ მისწერა წერილი გლადსტონსა და ჩემბერლენს. ამ წერილში იგი ამბობდა, რომ ირლანდიის აღელვების მიზეზი ფერმერების უბედური მდგომარეობა და განსაკუთრებული კანონების შემოღება არისო. თანაც ავტორი თხოულობდა, რომ მართებლობას ყურადღება მიექცია მისი წერილისათვის. გლადსტონი და ჩემბერლენი, რასაკვირველია, მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს წინადაღება, ეს პირველი ნაბიჯი თვითონ პარნელს ეკუთვნოდა. მთაერობას შეეძლო ორნაირად მოქცეულიყო: არ მიეცათ პარნელისათვის სრულებით პასუხი ან წარედგინათ თავიანთი პირობები. პირველი გზა ნიშავდა არსებული მკაცრი კანონების საშუალებით ირლანდიის მართვას და მთელი ლიბერალური პარტიის და მისი ტრადიციე-

ბის სახელის გატეხას, და მერე სრულებით უსარტყებლოდ.— გლადსტონი მაშასადამე იძულებული იყო მორიგების ვზას დასდგომოდა. დიდი ბრიტანიის მთავარი მინისტრი ურიგდება, როგორც სწორი სწორს, კილმანგემის პატიმარს. პარნელს შეეძლო მიელოცნა თავის თავისათვის გამარჯვება. ისაკ ბიუტს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ინგლისის თანაგრძნობის მოპოვებას ცდილობდა, ოცნებაც კი არ შეეძლო იმაზე, რა-საც პარნელმა მიაღწია ოთხი წლის სასტიკი ბრძოლით. 10 აპრილს, 1882 წ. პარნელი გამოუშვეს ციხიდან დისტულის დასაფლავების დასასწრებლად. აქ მან თავისი პოლიტიკური მეგობრები ნახა, მაგრამ საქმეებზე არ ულაპარაკნიათ, რადგა-ნაც სიტყვა ჰქონდა მიცემული მართებლობისათვის. 26 აპრილს ერთმა პარნელიტმა წინადადება შეიტანა პალატაში; ეს წინა-დადება ეხებოდა იმ ფერმერების მდგომარეობის შემსუბუქებას, რომელნიც გლადსტონის ბილლის გამოცემამდე იყვნენ პირო-ბით შეკრულნი ლენდ-ლორდებთან. გლადსტონი დიდის თა-ნაგრძნობით მოეკიდა ამ პროექტს და დაკანონებულ იქმნა კიდევ.

მთავარ მინისტრის ქცევა ამ ბილლის გარჩევის დროს მე-ტად საგულისხმიერო იყო და ინგლისის ალლოიანმა საზოგა-დოებამ შესაფერი მსჯავრი დასდო მას. შეიქმნა მითქმა-მოთქმა პარნელისა და გლადსტონის კავშირზე; კონსერვატორებმა ნა-ლარა დაჰკრეს; ფორსტერი, ბორკი და ბევრი სხვა ლიბერა-ლებიც ცუდის თვალით უყურებდნენ სამინისტროს პოლიტი-კის გამოცვლას. პარნელი ხელავდა თავის გამარჯვებას და ყო-ველ ლონისძიებას ხმარობდა, რამე შეურაცხყოფა არ მიეყნე-ბია გლადსტონის თავმოყვარეობისათვის. სატუსალოში დაბრუ-ნების შემდეგ, პარნელმა მისწერა ოშის წერილი, სადაც იგი ცოტა ბუნდად და გამოურკვეველად ლაპარაკობდა რეფორმებ-ზე და მათ მნიშვნელობაზე ირლანდიის დამშვიდების საქმისა-თვის. შემდეგ პარნელმა გადასცა გლადსტონს შემდეგი დამა-ტებითი პირობები: დევიტის განთავისუფლება, გაქცეულო შე-რიდანის და ბოიტონის სამშობლოში დაბრუნება. ფორსტერი,

რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო ამ პირობების მიღებისა, რაღაც, მისი აზრით, ეს პირები იყვნენ ირლანდის ამღელვებელნი; მაგრამ პარნელი მტკიცედ ადგა თავის პირობებს. „თუ ისინი გავლენიანი ხალხია, შემოილოს სამინისტრომ საჭირო რეფორმები, და ისინი მოახმარებენ თავიანთ გავლენას მშეიდობიანობის საქმეს“. ბოლოს პარნელმა მოითხოვა ფორსტერის გამოცელა და განსაკუთრებული კანონების მოსპობა. მთავარ მინისტრი დათანხმდა.

2 მაისს (1882 წ.) პარნელი და ზოგიერთი სხვა პოლიტიკური პატიმრები გამოუშვეს კილმანგემის სატუსატოდან. ისინი გამარჯვებულნი გამოვიდნენ იქიდან; სამინისტრო პარნელის მორჩილი იყო; პომრულის პროექტი, აგრარული რეფორმები ახლო თვეებში უნდა გარჩეულიყო. პარნელის განთავისუფლების დღეს გლადსტონმა გამოაცხადა პალატაში, რომ ფორსტერი სამსახურს თავს ანებებსო. ირლანდიის ახალ გამგებლად დანიშნეს ლორდი კავენდიში. ქვეყანა „კილმანგემის ხელ-შეკრულობაზე“ ლაპარაკობდა. მაგრამ იმ თავითვე ამ ხელ-შეკრულობის შეხვდა ისეთი განსაცდელი, რომლის გაძლება ყოველ ტრაქტატს გაუჭირდება.

ლორდი კავენდიში ირლანდიელების დიდი მეგობარი იყო და მისი დანიშნვა ირლანდიის გამგებლად ახალი ხანის დადგომის პირდაპირი ნიშანი იყო. კავენდიში დაუყოვნებლივ გაემართა ირლანდიისაკენ. ექვს მაისს ივი უკვე დუბლინში იყო; დილით ჩეეულებრივი ფიცი მიიღო და სადილის შემდეგ წავიდა ეტლით ფენიქს-პარკისაკენ, სადაც მისი სადგომი იყო მომზადებული. გზაზე ბორკის, ფორსტერის მდივანს შეხვდა. ჩამოვიდა ეტლიდან და ის და ბორკი ფეხით წავიდნენ ერთად ფენიქს-პარკისაკენ. ბულვარი საესე იყო ხალხით; როცა კავენდიში და ბორკი უმთავრესს ალლეიიზე მიდიოდნენ, ჩირგვებიდან გამოხტნენ შეიარაღებული პირები და ხანჯლებით აკუშეს გამგებელი და მდივანი. სანამ ხალხი გონს მოვიდა მკვლელები გაიჭირენ და დასტოვეს მოკლული კავენდიში და ბორკი,

შეუძლებელია გადმოცემა იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც ამ მკვლელობამ მოახდინა ლონდონში. როგორც ლიბერალების, ისე კონსერვატორების იღმფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ფორსტერის მომხრეებს შეეძლოთ გამარჯვება ედლესასწაულნათ: არ გასულა სამი კვირა ძველი რეჟიმის შეცვლიდან, და აი ნაყოფიც ამ ცვლილებისა. „Times“-ი და სხვა გავლენიანი გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ ფორსტერის გამოცვლა და პარნელთან შერიგება—უდიდესი შეცდომა იყო პრემიერის მხრივ; კონსერვატორების პრესსა თხოულობდა სამინისტროს სამსახურიდან გადაყენებას. საზოგადოების აზრი იმითი იყო კიდევ უფრო აღშფოთებული, რომ მკვლელები ჯერ კიდევ ვერ აღმოეჩინა პოლიციას. პარნელის მტრები ივრცელებდნენ ფანტასტიურ ხმებს მის მონაწილეობის შესახებ ექვს მაისის მკვლელობაში. რასაკვირველია, ეს ხმები არავის სარწმუნოდ არ მიაჩნდა, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ „კილმანგემის ხელ-შეკრულობის“ პირობების შესრულება ეხლა მეტად ძნელი იყო.

პარნელიტებსა და მათ მეთაურს, ო'კონნორის მოწმობით, არასოდეს არ გამოუცდიათ ასეთი მძიმე და საშინელი წამები. ირლანდიელ დეპუტატებს გზა-კვალი აებნათ და არ იცოდნენ რა ექნათ. მხოლოდ პარნელი არ ჰქარგავდა ჩვეულებრივ აღუშტოთველობას. ფენიქს პარკის მკვლელობამ ერთბაშად მოსპო მთელი მისი ნაშრომი. ლიბერალურ სამინისტროს არ შეეძლო ამ წაში ეფიქრა ირლანდიის რეფორმებისათვის: იმდენად აღელვებული იყო ინგლისის საზოგადოება. პარნელს ეს კარგად ესმოდა, მაგრამ ის მაინც ცდილობდა უკან დახვევის ნება არ მიეცა გლადსტონისათვის. შვიდ მაისს მან გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც იგი ფენიქს პარკის მკვლელობას საზიზლარ საქმეს უწოდებს. 8 მაისს გლადსტონის შემდეგ წამოდგა პარნელი და წარმოსთქვა პატარა, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა, რომელშიაც იგი სხვათა შორის ამბობს, რომ ყოველი ირლანდიელი უთუოდ ზიზღს იგრძნობს ამ მკვლელობისადმიო. სიტყვის ბოლოს პარნელმა გამოსთქვა იმედი, რომ კავენდიშის

მკვლელები ვერ გამოაცელებინებენ შპართველობას იმ ჭიას, რომელიც მან ეხლა ხან აირჩია.

ფორმალური წესი შესრულებული იყო, მაგრამ ირლანდი-ელების ლიდერი იმდენად გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, რომ არაფერ რეალურ სარგებლობას არ მოელოდა იგი თავის განცხადებებისაგან. ერთ დღეს გადააყენებდნენ ლიბერალურ მართებლობას, რომ მას პარლამენტის სურვილის წინააღმდეგ ჩაედინა რამე. პარლამენტის სურვილი კი ეხლა ირლანდიასთან შერიგება კი არა, რეპრესსალიები, განსაკუთრებული ზომები იყო. 11 მაისს კაბინეტის წევრმა გარკურმა შემოიტანა პალა-ტაში შესაფერი ბილლი. პარნელი ისევ ძველებური პარნელი გახდა, ესე იგი, გლადსტონისა და ინგლისის მტერი. „ამ ბი-ლლითო, ამბობდა იგი, ათჯერ, ასჯერ უფრო შეირცხვენთ თავს, ვიდრე ფორსტერის ბილლით. ამ გვარი პროექტები ამ-ტკიცებენ მხოლოდ მას, რომ ინგლისს ვერ აღმოუჩენია აუს-სნელი ამაცანის ახსნის ქლიტე: როგორ უნდა მაჲთავს ერთმა ქრძა მეთარე. დაიწყო ობსტრუქცია, რომელმაც სრუ-ლი ორი თვე გასტანა; ორივე მხარე საშინლად მოიქანა; ბოლოს, როგორც იქმნა, ბილლი დამტკიცდა: ირლანდიაში არსდებოდა განსაკუთრებული სასამართლოები პოლიტიკურ დამ-ნაშავეთათვის და პოლიციას ეძლეოდა საეჭვო პირების დაჭე-რის განუსაზღვრელი უფლება.

აგვისტოში სესია გათავდა; მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც ერთი წლის წინად (აგვისტო 1881): ობსტრუქციის მიზეზით უნაყოფოდ იყო ჩავლილი პენსია, სასტიკი განსაკუ-თრებული კანონები, პარნელისა და სამინისტროს შეურიგე-ბელი მტრობა და დამშეული და აღელვებული ირლანდია. ახალი იყო მხოლოდ გულ-დაწყვეტილობა: უდიდესი, უამაყე-სი იმედები უნდა განხორციელებულიყვნენ და საკმარისი იყო ერთი უბედური შემთხვევა, რომ ისინი კვამლსავით გამქრალი-ყვნენ.

მე-80-ე წლებში ირლანდის ცხოვრება მეტად ტრაგიკული იყო და დიდი გავლენაც ჰქონდა ირლანდიელ დასის საპარლა-

შენტო პოლიტიკაზე. რა შედევი მოჰყევა ფენიქს-პარკის მკვლელობას, ეს ჩვენ კიდევ ვნახეთ, იგი მხოლოდ ფენიების მოძრაობის დაწყება იყო! პარნელი მთელი ერის თაყვან-საცემი ნაციონალური გმირი იყო და ამიტომაც იგი მოვალე იყო ეს თუ ის პოზიცია დაეკავა ფენიების შესახებ. აქამდე ბევრი ეჭვის თვალითაც უყურებდა მას; სხვათა შორის, ისააკ ბიუტი ფიქრობდა, რომ პარნელი თანაუგრძნობს ფენიებს. ეხლო დრო იყო, საქვეყნოდ გამოეთქვა თავისი შეხედულება და ის კი გაჩუმებული იყო. მისს მანიფესტს ფენიქს-პარკის მკვლელობის შესახებ ინგლისელები ცივად შეხედნენ. მისი სიტყვა პარლამენტში ამავე შემთხვევის გამო სრულებით არ შეხებია კითხვის პრინციპიალურ მხარეს. სასტიკი ბრძოლა, რომელიც მან გლადიტორნს გამოუტადა თითქმის მკვლელობის მეორე დღეს, რა-საკვირველია ვერ გააქარწყლებდა არსებულ ეჭვებს. ინგლისის გაზეთები განუწყვეტლივ, ხან პირდაპირ, ხან გადაკვრით, ბრალსა სდებდნენ მას, მაგრამ პარნელი არას ამბობდა ფენიების შესახებ.

ირლანდიის ბელადი სიკედილამდე ერთს ტაქტიკას ადგა: რამდენადაც მტერი ბრაზდებოდა და სასტიკი იყო, იმდენად მრისხანე იყო პარნელის ოპოზიციაც. როდესაც მოწინააღმდეგენი ფენიქს-პარკის მკვლელობაზე ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს, პარნელი უპასუხებდა: მოსძებნეთ კავენდიშის და ბორკის მკვლელები და მათ მოსთხოვეთ ანგარიში ამ საქმისაო. პარნელს აზრადაც არ მოსვლია, რომ პატარა დაემდაბლებინა თავის ლაპარაკის ტონი, ან დაეთმო რამ თავის პროგრამმიდან მარტო იმიტომ, რომ ფენიებიც ირლანდიისათვის იბრძოდნენ. დარცხვენა და ბოდრშის მოხდა სხვის მაგიერ არ შედიოდა პარნელის პროგრამმაში. ირლანდიაში მოსვლის შემდეგაც არას ამბობდა აგიტატორი ფენიების შესახებ. მდგომარეობა ქვეყნისა კი მეტად მძიმე იყო: ახალი განსაკუთრებული კანონი ძალაში შევიდა და მეტად საგრძნობელი შეიქმნა ირლანდიელებისათვის; მიუხედავად ამისა გაზაფხულიდან მეტად გახშირდა აგრარული დანაშაულობა. მკვლალობა, ცეცხლის წაკიდება

და თავ-დასხმა მოსვენებას არაეის არ აძლევდნენ. 17 აგვისტოს (1882), სწორედ პარლამენტის სესიის გათავების დღეს ამოქლიტეს ვიღაც ჯონსის ოჯახი (ექვსი სული). ამ საშინელი მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ ჯონსებმა იცოდნენ ვინ იყვნენ ერთ წინად მომხდარ მკვლელობის ჩამდენლები და ფენიების გაცემისა ეშინოდათ. ერთ მკვლელობას მეორე მოსდევდა და ბოლო კი არ სჩანდა. არც მართებლობა იყო ნაკლებ გაცხარებული: ფენიების ტერრორის პასუხი სახრჩობელა იყო: მკვლელობა, სახრჩო ელა და კიდევ მკვლალობა — აი რა ფაქტები იყვნენ გაბატონებულნი ირლანდიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ დროს, როცა პარნელი ირლანდიაში მოვიდა.

შეშინებული და შეძრულებული საზოგადოება მაღე და-ამშვიდა პარნელის დამშვიდებულმა და ნუგეშიანმა კილომ: კანონიერი, ლეგალური ოპოზიცია პასუხს არ აგებს ფენიების მაგიერ; რა ოპოზიციის საქმეა, თუ ფენიებსაც ჰომრული და აგრძარული რეფორმები სურთ. პარნელის მთელი ზრუნვა იმაზე იყო მიმართული, რომ ხელ-ახლა შეექმნათ აგრარული ლიგა. გარდა ფენიების და მართებლობის შეურიგებელი ბრძოლისა, რომელიც სულს უხუთავდა ირლანდიას, ფერმერების მდგომარეობაც მეტად გაჭირებული იყო: ლენდ-ლორდები სარგებლობდნენ გამწვავებულ პოლიტიკურ მდგომარეობით და მეტად უკანონოდ და უსამართლოდ ეჭირდნენ ფერმერებს; და თუ საწყალი ფერმერი პროტესტის განცხადებას გაბედივდა, მებარონე პოლიციას და ჯარს მიმართავდა.

ამ დროსა და ამ გარემოებებში პარნელმა დაიწყო ჩვეულებრივი სააგიტაციო მოგზაურობა: მიტინგებზე და კრებებზე იგი ლაპარაკობდა ჩვეულებრივ აღუშფოთებლად; უმტკიცებდა აუდიტორიას, რომ ფენიების მოქმედებისათვის პასუხი უნდა აგონ თვითონ ფენიებმა და არა სხვა ვინმე; ჩვეულებრივ საქმიანი კილოთი ურჩევდა ირლანდიელებს ახალი ლიგის დაარსებას. რა საკვირველია, რომ სასოწარკეთილნი ირლანდიელები დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ თავიანთ საყვარელ, ნუგეშის და იმედის მომცემ გმირს. პარნელი მაღე სიტყვებიდან საქმეზე

გადავიდა. დუბლინში შემდგარ კრებაზე (17 ოქტომბერს) ჯერ ინგლისის მართებლობის და გლადსტონის მოქმედება გაატარეს სასტიკი კრიტიკის ქვეშ, და შემდეგ გადასწყვიტეს ირლანდის ეროვნული ლიგის დარსება.

ახალი ლიგის მიზანი და დანიშნულება უნდა ყოფილიყო პირველად ყოვლისა—1) ჰიმრული, ეროვნული თვითმმართველობა; 2) აგრარულ დამოკიდებულებათა ძირითადი რეფორმა—საარენდო მიწა არენდატორის საკუთრება უნდა გამხდარიყო; 3) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება (დეკუნტრალიზაცია), 4) საარჩევნო უფლების გავრცელება (სანამ საჭირო იქნებოდა, ინგლისის პარლამენტში წარმომადგენლების გზავნა), 5) შრომისა და მრეწველობის განვითარებისათვის მფარველობის გაწევა.

პირველად ყოვლისა ამ „ევროვნული ლიგისათვის“ საჭირო იყო ფული. როცა „აგრარული ლიგა“ არსდებოდა, პარბელი ამერიკაში წავიდა ფულის შესაკრეფად; ეხლა კი იმდენად აწეწილი იყო ირლანდიის საქმეები, რომ პარნელი ვერ მიატოვებდა თავის ქვეყანას. მან წერილით მიმართა ამერიკელებს და ამერიკაში მცხოვრებ ირლანდიელებს, და ფულებმაც დაიწყეს იქიდან დენა. „ეროვნული ლიგის“ აგიტაცია გაგრძელდა მთელი შემოდგომა და ზამთარი (1882—1883). ირლანდიის გამგებელი სპენსერი და მისი თანაშემწე დრევილიანი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ „ლიგის“ მოქმედების წინააღმდეგ. მაგრამ პარნელის ირლანდიაში მოსვლის შემდეგ ირლანდიელი საზოგადოება გამხნევდა, იმედი მიეცა და მისი დაშინება ეხლა ძნელი შეიქმნა. მართებლობის ირლანდიელებთან ბრძოლა ისე მოეწყო, როგორც ეს პარნელს სურდა: აღმინისტრაცია და ფენიები ერთმანერთს ებრძოდნენ, დანარჩენი ხალხი კი, რომელსაც უფლებაცა და შეძლებაც ჰქონდა შხარი მიეცა ლევალურ მოღვაწეებისათვის, აკეთებდა იმ საქმეს, რომელიც ახალი ლიგისათვის აუცილებელი იყო.—როგორც აღმინისტრატიული, ისე რევოლიუციონური (ფენიების მხრივ) ტერრორი თანდათან უფრო ძლიერდებოდა. დიდ საფიქრებელ-



ში ჩააგდო მართებლობის წრეები რევოლუციონური აზროს
ახალმა მიმართულებამ: ფენიები აცხადებდნენ თავიანთ ორგა-
ნოში (რომელიც ამერიკაში გამოდიოდა), რომ მათ განზრახვა
აქვთ გადაიტანონ ბრძოლა თვით ინგლისში. ამ გვარ საშიშ
გარემოებათა შორის შეხვდა დიდი ბრიტანია 1883 წელს. იან-
გარში, როგორც იქნა, შეიპყრეს კავენდიშის ერთი მკვლელთა-
განი, სახელდობრ კერი. კერის ჩეენებით, ფენიებს ბევრი სხვა
მსხვერპლები ჰყავდათ სახეში, მათ შორის ფორსტერიც. ჯერ კი-
დევ საზოგადოება გონს არ იყო მოსული ამ აღმოჩინებით, რომ
გლეხგოში ფენიებმა აფეთქება მოახდინეს, უფრო წვრილმან
ბოროტ-მოქმედებას საზოგადოება ყურადღებას არ აქცევდა.
დინამიტის აფეთქებამ მართებლობის სხეა-და-სხვა დაწესებუ-
ლებების ახლოს და თანამდებობის პირების მკვლელობის გან-
ზრახვამ სასტიკი ზომები გამოიწვია, მაგრამ ფენიები მაინც არ
სცხრებოდნენ. პარლამენტში მეტად მტრულად უყურებდნენ
პარნელიტებს, პარნელი კი, როგორც ყოველთვის ამისთანა
გარემოებებში, მშვენიერად ჰგრძნობდა თავის თავს და ყოველს
მის ქცევას და სიტყვას შეურყეველი თვით-რწმენის ბეჭედი
ესვა. 22 თებერვალს (1883 წ.) პალატაში იხილებოდა სასე-
ფისწულო სიტყვის საპასუხო აღრესის პროექტი და ფორს-
ტერმა ისარგებლა ამ შემთხვევით, გამოეთქვა თავის აზრი ირლან-
დის მდგომარეობის შესახებ. რასაკვირველია, სიტყვის უმთავ-
რესი საგანი პარნელი და მისი მოქმედება იყო: ორატორი და-
ცინვით ლაპარაკობდა „უკვირველო მეფეზე“, და იმ პირებ-
ზე, რომელთა ჩაგონებით ირლანდიელები გიურ საქმეებს ჩა-
დიან; პარნელი კი ამ დროს „უსმინეთ, უსმინეთ“-ს გაიძახო-
და. ბოლოს ფორსტერი დოკუმენტებზე გადაეიდა; დაიწყო კი-
თხეა „irish world“-დან სხვა-და-სხვა აღვილებისა, რომელიც ისე
იყვნენ ამორჩეულნი, რომ ფენიების სრული აპოლოგია გამო-
დიოდა. მაგრამ ეს გაზრდით ამერიკელ ემიგრანტების იყო და
ჯერ ფორტერს უნდა დაემტკიცებინა პარნელის ამ გაზრდითან
თანაზიარობა, რაც ცოტა ძნელი იყო. ამიტომაც ორატორი
„შეერთებულ ირლანდია“-ზე გადავიდა; ამ გაზრდის ერთი



უმთავრესი ხელმძღვანელთაგანი პარნელი იყო. „შეერთებულ ირლანდიაში აგრარულ ბოროტ-მოქმედების „სოფლის შემთხვევებს“ წახალინება; ბოროტ-მოქმედების მსხვერპლებს გაზრით ყოველთვის მეტად სასტიკად ეკიდებოდა, თვით დამნაშავეთ კი მეტის სირბილით.

ფორსტერმა პირდაპირ პარნელს ჰკითხა: „წაგიკითხავთ ეს წერილები? — წამიკითხავს — იყო პაბუხი. „თანაუგრძნობთ მათ?“ — თანაუგრძნობ. — „მე მინდა კითხვა პრინციპილურად დავსვა: ბევრჯელ იყო შენიშნული, რომ აგრარულ ლიგის მიტინგებს თან მოჰყვებოდა ყოველთვის აგრარული ბოროტ-მოქმედებანი. უარს ჰყოფს ამას პატივცემული ჯენტლმენი? (პარნელი) მე კიდევ ვიმეორებ, რა ბრალსაც ვდებ მე მას (პარნელს). მე მგონია, არც ერთ პარლამენტის წევრს არ წამოუყენებია ასეთი ბრალდება მეორე პარლამენტის წევრის წინააღმდეგ: მე იმას როდი ვამბობ, რომ თვით ბ. პარნელს მოჰყვებდეს სისრულეში ძალ-მომრეობა და მკვლელობა, მაგრამ იგი ან თანაუგრძნობს მას ან-და“.... აქ პარნელმა გააწყვეტინა ლაპარაკი ორატორს და რაც ძალი შესწევდა, დაიძახა: — „ეგ სიცრუეა.“ ატყდა ხმაურობა; ერთმა პარნელისტმა მანამდე იყენია: — „სიცრუეა, სიცრუეა“, სანამ ძალით არ გაიყვანეს სხვომის ზალიდან.

ერთობ დამახასიათებელია პარნელის შემდეგი ქცევა: მას აზრითაც არ მოსვლია, დაუყოვნებლივ პასუხი გაეცა ფორსტერისათვის, რამაც მეტად გააკვირვა და გააბრაზა ინგლისელები. ამ გვარ ქცევაში ისინი ჰქედავდნენ განზრახულ შეურაცხყოფას როგორც ბრალდებულისას, ისე ტრიბუნალისასაც, რომლის წინაშე ბრალდება იყო წარმოთქმული. მეორე დღეს პარნელმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ეს აზრი კიდევ უფრო განეტკიცებია. „სერ, — მიმართა მან სპიკერს, — მე ნებას მივცემ ჩემ თავს წარმოვთქვა რამდენიმე სიტყვა შესახებ გუშინდელი ინციდენტისა. მე შემიძლია უპატივცემულებად დავარწმუნო სათემო პალატა, რომ მე ამას ჩავდივარ არა იმ რწმენით, ვითომც ჩემი სიტყვები იქონიებენ თვით უსუსტესს

გავლენას პალატაზე ან ინგლისის საზოგადოების აზრზე. ჩემ პოლიტიკურ მოღვაწეობაში მე მივეჩვიყ, ვიზრუნო მხოლოდ იმათ აზრზე, ვისაც მინდა დახმარება აღმოვცემინო და ვისი დახმარებით მე ვშრომობ ირლანდიის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის“. ამ სიტყვების შემდეგ პარნელი ჩვეულებრივი ცივი და შეურაცხმყოფელი ირონიით, რომელიც მით უფრო საგრძნობელი იყო, რომ სრულებით განზრახ გაზვიადებულს არ ჰგავდა, შეეხო ფორსტერის ბრალდებას, და სოჭვა, რომ ირლანდიის ყაფილი გამგებელი მთელ თავის გამგებლობის დროს სარგებლობდა პალატის უვიცობით ირლანდიის საქმეებში; შემდეგ კიდევ რამდენიმე სიტყვა სოჭვა ფორსტერის შესახებ და გადაეიდა კითხვის არსებით მხარეზე. მან განაცხადა, რომ იგი საზოგადოდ არ არის ფენიების თანახმა შესახებ იმ საშუალებათა, რომელთაც ისინი ხმარობენ, და კერძოდ არ თანაუგრძნობს დინამიტის იფეთქებას, რომელსაც ამ უკანასკნელ თვეებში ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ფენიები.

ამ გვარიად პარნელმა, როგორც იქნა, გამოსთქვა თავისი გზრი, მაგრამ ეს გაძოთქმაც რაღაც ყრუ იყო; აქ აზრთა ისეთი მიხვეულ-მოხვეულობა და მიკიბე-მოკიბეა იყო, რომელიც ხან-ლა-ხან სცვლიან სიტყვის კილასა და ხსიათს. მთელი 1883 წლი სასტიკი ბრძოლა იყო ფენიებსა და მართებლობას შეა; იანვარში ისეთი დღეები იყო, რომ მარტო დუბლინში 20-მდე კაცს ატუსალებდნენ, — რაც ინგლისისაოვის ერთობ დიდი რიცხვია; თებერვალში და მარტში მოხდა ფენიების პროცესსების მთელი რიგი და ბეერი მათგანი სახრჩობელათი გათავდა. ივლისში მოჰკლეს ჯემს კერი, რომელმაც ფენიებს თავი დაანება და ამხანაგები ვასტა; ამავე წლის ბოლოს კერის მკელელი დუბლინში ჩამოაღრჩეს. მიუხედავად ამ გამწარებული ბრძოლისა, ირლანდიის საზოგადოების ყურადღება სხვა საქმეებზე-დაც იყო მიქცეული.

ახალი „ეროვნული ლიგა“, რომელიც პარნელმა 1882 წლის ოქტომბერში დაარსა, ყველას აინტერესებდა, ვინც კი დახურულ „ავრარულ ლიგას“ თანაუგრძნობდა. მართალია,

საქმეთა არა-ნორმალური მდგომარეობა, დიდად აბრკოლებდა ლიგის მოქმედებას, მაგრამ ლეგალური აგიტაცია და პროპა-განდა შესაძლებელი იყო. რაც შეეხება ხალხის პარნელისადმი სიყვარულს, ამ წელში იგი კიდევ უფრო გაძლიერდა და ყველასა-თვის თვალ-საჩინო შეიქმნა. ყველამ კარგად იცოდა, რომ პარ-ნელის ქონებრივი მდგომარეობა მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო; ირლანდიის საზოგადოებამ გადასწყვიტა დაეხსნა გაჭირ-ვებულ მდგომარეობისაგან ირლანდიისათვის თავ-განწირულნი მებრძოლნი, და ხელის მოწერა გაიმართა. ხელის-მოწერის დროს აღმოჩნდა, რომ ირლანდიის სასულიერო წოდება ორად არის გაყოფილი; —უმაღლესი ხარისხის მექონენი პარნელის წინააღ-მდეგნი იყვნენ, დაბალი სამღვდელოება კი მისი მომხრე. ოვი-თონ პაპმა საჭიროდ დაინახა ჩარეოდა ირლანდიის საქმეებში და მისი ბრძანებით კარდინალ სიმეონიმ გაუგზავნა ირლანდიის სამღვდელოებას მიწერილობა, სადაც იგი აცხადებდა, რომ პარნე-ლის სასარგებლოდ გამართულ ხელისმოწერაში მონაწილეობის მიღება არ შეჰვერის კათოლიკების სამღვდელოებას. მიუხედავად ამ მიწერილობისა სამღვდელოებამ დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, და შედეგი კარდინალ სიმეონის წერილისა ის იყო, რომ პაპის ავტორიტეტი ირლანდიაში შესამჩნევად დაეცა და სამაგიეროდ გაძლიერდა სამღვდელოებაში ეროვნული გრძნო-ბა და სიყვარული ეროვნული გმირისადმი. თუ პაპის ავტორი-ტეტმაც ვერა გააწყო-რა პარნელის გავლენასთან, 1883 წლის ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ დიდებული აგიტატორი ყოვლის შემძლებელია ირლანდიაში. გლოსტერის საარჩევანო ოლქი, სადაც უმრავლესობას ინგლისელები შეადგენენ, ყოველთვის პარნელისმის მოწინააღმდეგედ ითვლებოდა; მიუხედავად ამისა, პარნელმა თავის უკიდურესი მომხრის თვითონის კანდიდატურა წამოაყენა და აირჩიეს კიდევ მისი კანდიდატი. „ვისმე რომ ეთქვა ექვსი თვის წინედ, გლოსტერის წარმომადგენელი პარ-ნელისტი იქმნებაო, მას სასაცილოდ აიგდებდნენ და სულელს დაუძახებდნენ“, ამბობს ოფიციალური Annual Register'-ი.

ძლიერი და შემაშფოთებელი შთაბეჭდილება მოახდინა ას გამარჯვებამ ინგლისელებზე. „Times“-იც კი, ეს პარნელის შეურიგებელი მტერი, არ უმაღავდა თავისს მკითხველებს, რომ ირლანდიის ბელადი არა თუ ძლიერია, არამედ—ყოვლის შემძლებელიც. გათავდა ხელის-მოწერა და აღმოჩნდა, რომ ცხრა თვის განმავლობაში შეეკრიბათ 14,000 გირვანქა კი არა, 38,000, ესე იგი 380,000 მანეთი. 11 დეკემბერს დუბლინში შესდგა მიტინგი და ფულები ჩააბარეს საყვარელ გმირს.

ბევრი ფიქრობდა, რომ რადგანაც სესია მეტად უფერული იყო, პარნელი არ მოინდომებდა სამინისტროს მოქმედების კრიტიკას და გაკიცხას, მაგრამ ძლიერ შესცდნენ, დიდებული აგიტატორისათვის, რომელიც ეროვნული ცხოვრებით უფრო ცხოვრობდა, ვიდრე საპარლამენტო ცხოვრებით, 1883 წელი წყნარი და უფერული იყო. იმან სასტიკად გაჰკიცხა ირლანდიის გამგებელი სპენსერი და მის თანაშემწერ ტრეკილიანი და უნიჭო პირები დაარქვა მათ. შემდეგ როცა საქმეების საზოგადო მდგომარეობას შეეხო, მან სთქვა, რომ მომავალი წელი უნდა მოხმარდეს საარჩევნო რეფორმას ირლანდიაში: ირლანდიას მეტი წარმომაღენლები უნდა ჰყავდეს ინგლისის პარლამენტში, რომ ამით მან გავლენა იქონიოს სამინისტროს გამოცვლაზე. „თუ ჩვენ ნება არა გვაქვს ვმართოთ ჩვენი თავი, იმას მაინც მოვახერხებთ, რომ ჩვენი სურეილისამებრ გვმართონ.“. ორატორის ბოლო სიტყვებმა აუწერელი ენტუსიასმი და აღტაცება გამოიწვია შემენელებში: „ჩვენ უფლება ვვაქვს ვიყვნეთ ამაყნი, ენერგიულნი და იმედებით აღსავსენი, რადგან ჩვენ თაობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს, ისე არ ჩამოვიდეს ცხოვრების ასპარეზიდან, რომ ჩვენს შეილებს უზრუნველი არა ჰქონდეს დიდებული თან-დაყოლილი უფლება—ეროვნული დამოუკიდებლობა და ქონებრივი უზრუნველყოფა“.

ამ ნუგეშისა და იმედის მიცემა მეტად საჭირო იყო ირლანდიელებისათვის: ფენიების თავ-განწირული ბრძოლა, რომელიც მხოლოდ სახრჩობელათი თავდებოდა, მეტად მძიმე პო-



ლიტიკურ ატმოსფერის ჰქონილა. 10 დეკემბერს ჩამოაღწიეს ო'დონნელი, 11 დეკემბერს, თვით პარნელის მიტინგის დღეს — უზენაული. ყოველ დღე მოსალოდნელი იყო ამ გვარი შემზარავი ფაქტები.

VII

1884 წლამდე გლადსტონის სამინისტრო პრინციპიალურ პოლიტიკას არ მისდევდა. ვარეშე საქმეების არევ-დარევამ არაბი-ფაშა ეგვიპტეში, სუდანი, რუსის ჯარები საშუალო აზიაში, ტრანსორმა ირლანდიაში და მასთან ბრძოლამ შეძლება არ მისცეს გლადსტონს განეხორციელებია ლიბერალური პროგრამის ერთი უმთავრესი პუნქტი — საარჩევანო რეფორმა, მაგრამ ახლოვდებოდა არჩევნები და სამინისტროს უნდა წარდგინა ამომრჩევლებისათვის თავის ნამოქმედარის ანგარიში. საჭირო იყო საარჩევანო რეფორმის დაჩარება. თვითონ გლადსტონიც იმდენად მტკიცე და განსაზღვრული ტრადიციებისა და რწმენების კაცი იყო, რომ არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო „საქმიანი სამინისტროს“ მოთავეს როლით. ყველა ამ მიზეზების გამო, გლადსტონმა შეიტანა სათემო პალატაში (თებერვალი 1884 წ.). საარჩევანო რეფორმის ბილლი. 1867-ი წლის კანონით საარჩევანო უფლება ჰქონდა დედოფლის ყველა იმ ქვეშევრდომს, რომელიც ან იხდიდა ქალაქში სადგომის წლიურ ფასს არა ნაკლებ ათი გირვანქისა, ან სოფელში შემოსავალი ჰქონდა იჯარით აღებულ მიწიდან, არა ნაკლებ თორმეტი გირვანქისა. ამ კანონის ძალით მოკლებული იყო საარჩევანო უფლებას დიდ-ძალი გლეხობა, რომელსაც არ ჰქონდა თორმეტი გირვანქა შემოსავალი. გლადსტონის ბილლით კი საარჩევანო უფლება ერცელდებოდა ყველა ოჯახის უფროსზე მიუხედავად შემოსავლისა, ესე იგი, ინგლისში მყარდებოდა suffrage universelle'-ის მგზავრი საარჩევანო წესი. — კონსერვატორები, როგორც წინედ, ეხლაც დიდის სიცხარით წინააღმდეგნენ გლადსტონის ბილლს და სასტიკად ჰქიცხავდნენ მის

ინიციატორს. მაგრამ პროექტს არც მომხრევბი იკლდა. ლიბერალურალები ერთიანად სამინისტროს მხარეზე იყვნენ, გარდა ამისა, პარნელიტებიც მათვენ იყვნენ, რადგანაც ეს ბილლი მათთვის ერთობ ხელ-საყრელი იყო: გლადსტონის ბილლით ინგლისში იქმნებოდა 1.300.000-ით მეტი ამომრჩეველი, შოტლანდიაში—200,000-ით და ირლანდიაში—400,000-ით. ამ რეფორმის ძალით მთელი სახელმწიფო წეს-წყობილება დემოკრატიული ხდებოდა. უკეთაზე ღრმა ცვლილებას იგი გამოიწვევდა ირლანდიაში, სადაც 400,000 უდარიბესი გლეხი ამომრჩეველი ხდებოდა. რასაკვირველია, ეს ახალი ხმები დიდად გააძლიერებდნენ პარნელისმ. ლიბერალების და პარნელიტების შეერთებულ ძალებს კონსერვატორებმა ვერ გაუძლეს და ბილლი მიიღო სათემო პალატამ. ლორდებმა სცადეს წინააღმდეგობა და უარ ჰყენს ბილლი; ნაგრამ, რადგანაც ამან დიდი აღელვება გამოიწვია მთელ ინგლისში, ლორდებიც იძულებულნი შეიქმნენ დასთანხმებულიყვნენ (დეკემბერი 1884). 1885 წლის გაზაფხულზე მოახდინეს მანდატების განაწილება: ინგლისსა და უელსს ხდეა 495 წარმომადგენელი, შოტლანდიას—72 და ირლანდიას—103. სულ 670 დეპუტატი.

არც ემ რეფორმამ დააახლოვა პარნელი და გლადსტონი; ფენიქს-პარკის მკვლელობისა და ახალ განსაკუთრებულ კანონების შემოღების შემდეგ ირლანდიელების ბელადი სრულებით გადაუდგა ლიბერალებს და ცდილობდა მათი სამინისტროს გადაყენებას. საარჩევიანო რეფორმის შემდეგ, ლიბერალებისა და კონსერვატორების დამოკიდებულება მეტად გამწვავდა და პარნელისტებისა და კონსერვატორების დაახლოვება სამინისტროს გადასაყენებლად შესაძლებელი შეიქმნა. ამასთანავე კაბინეტის საქმეებიც ვერ მიღიოდნენ კარგად: გენერალ კომაროვის გამარჯვებამ ავღანელებზე მეტაც გაამწვავა ინგლისელებისა და რუსების დამკიდებულობა; არაბი-ფაშის აჯანყება მეტად გაიზარდა და საშიში შეიქმნა; პარლამენტშიაც და პრესსაშიაც მეტად ჰქიცხავდნენ სამინისტროს პოლიტიკას. პალატის უმრავ-



ლესობა მართებლობისაკენ იყო, მაგრამ ქვეყანას კი თან-ლამადა
თან გული უგრილდებოდა მასზე.

1885 წელს ვადა უთავდებოდა ირლანდიაში შემოღებულ
საგანგებო კანონებს; ირლანდიელებს მეტად აინტერესებდა,
თუ როკორ მოიქცეოდა სამინისტრო. პრემიერმა დააკმაყოფი-
ლა ეს ცნობის-მოყვარეობა და განაცხადა, რომ იგი საგანგე-
ბო კანონების უმთავრესს მუხლებს მაღე წარმოუდგენს პალა-
ტას, რათა მან ისინი ჩვეულებრივ კანონად გახადოს. ამ გან-
ცხადების შემდეგ პარნელი კონსერვატორებს დაუახლოვდა.
მართალია, გამარჯვებისათვის ერთობ ბეჭინიერი შემთხვევა იყო
საჭირო, რადგანაც უმრავლესობა სამინისტროსაკენ იყო, მაგ-
რამ ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც ეს პარნელს უნდოდა.
პარნელის პარტია *in corpore* ესწრებოდა პალატის სხდომებს
და ელოდა შემთხვევას სამინისტროს წინააღმდეგ უნდობ-
ლობის ვოტუმის წინადადების შეტანისას; და მართლაც მოხ-
და ამ გვარი შემთხვევა: 8 ივნისს ირჩეოდა პალატაში სა-
მინისტროს პროექტი შესახებ მაგარი სასმელებისა; კითხვა არ
იყო მაინც და მაინც დიდ მნიშვნელოვანი და ამიტომაც ბევ-
რი ლიბერალი არ დასწრობია სხდომას. ყველასათვის მოუ-
ლოდნელად, ოპოზიცია საშინელის სიცხარით წინააღმდეგა
პროექტს, განსაკუთრებით ცხარობდნენ პარნელიტები, და რო-
ცა კითხვას კენჭი უყარეს სამინისტროს უმცირესობა შერჩა.
გლადსტონის სამინისტრო მეორე დღესვე გადადგა სამსახური-
დან.

თანახმად კონსტიტუციისა ახალი სამინისტროს შედგენა მი-
ენდო ოპოზიციის მეთაურს სოლსბერის. ყველა ეს ისე მოუ-
ლოდნელი იყო, რომ ინგლისშიაც და უცხოეთშიაც ფიქრობ-
დნენ, რომ გლადსტონი მიუხედავად შემთხვევითი დამარცხე-
ბისა არ დაანებებს მართებლობას თავს, მაგრამ ლიბერალების
მეთაურმა პირდაპირი უარი განაცხადა. შეიძლება, მას უნდო-
და მოეშორებინა თავიდან აწეწილ-დაწეწილი საქშეები, შეიძ-
ლება მას ოპოზიციაში ყოფნა ერჩივნა მომავალ არჩევნების
დროს; ასეა თუ ისე, ლიბერალური სამინისტრო გადადგა და

მისი ადგილი სოლსბერის კაბინეტში დაიჭირა.—დარჩენ პირის—პირ კონსერვატორები და პარნელიტები. არჩევნებამდე კიდევ რამდენიმე თვე იყო და ამ თვეების განმავლობაში უპარნელი-ტებოდ კონსერვატორული სამინისტრო ვერ გასძლებდა, მისი ბედ-ილბალი პარნელის ხელში იყო, და სამინისტროც არას ზოგადა მისი გულის მოგებისათვის; ირლანდის გამგებელად დანიშნეს გრაფი კერნვარონი, ოომელმაც ირლანდიაში მისვლისათანავე განაცხადა, რომ მისი მიზანია—ირლანდის ინგლი-სელებთან შერიგება. ეს სიტყვები იყვნენ წარმოთქმული მას შემდეგ, რაც უელსის პრინცს, ტახტის მემკვიდრეს, ირლან-დიაში მოგზაურობის დროს მეტად მტრულად შეხვდნენ ირ-ლანდიელები.*.) ცხადი იყო, რომ სოლსბერის ირლანდიელე-ბის გულის მოგება სურდა. 14 ავგისტოს თავდებოდა ირლან-დიაში შემოლებულ საგანგებო კანონების ვადა, იმ საგანგებო კანონების, რომლის განახლებას აპირობდა ლიბერალური სა-მინისტრო. სოლსბერიმ განაცხადა, რომ იგი არ განაახლებს ამ კანონებს და აასრულა კიდეც თავისი სიტყვა. გარდა ამისა, საკვირველის სიჩქარით გავიდა პალატაში ახალი ბილლი ფერ-მერების შესახებ: ამ ბილლით ფერმერებს უფრო ადვილათ შეეძლოთ შეეძინათ მიწა სახელმწიფო სამიწო ფონდის დახმა-რებით.

შუა აგვისტოში დაითხოვეს პარლამენტი და ახალი არჩევ-ნები დანიშნეს დეკემბრისათვის. საარჩევნო აგიტაცია პალატის დათხოვნისათანავე დაიწყო; სამიერ პარტია განსაკუთრებულის სიცხოვლითა და ენერგიით ეკიდებოდა საქმეს. ლიბერალები ცდილობდნენ ხელახლავ მართებლობის ხელში ჩადებას, კონ-სერვატორები—პალატაში უმრავლესობის შეძენას, პარნელი-ტები კი—იმდენი მომხრეების გაყვანას, რომ არც ერთ პარ-ტიას უმათობა არ შესძლებოდა. აგიტაცია მით უფრო გაცხა-

*) მაგალ. „ლმერთო პფარვიდე დედოფალს“—ის მაგიერ მდეროდნენ „ლმერთო ჟურვიდე ირლანდიას“—ო. ბევრავ უსტვენდნენ კიდეც; კორკში, რომლის წარმომადგენელი პალატაში პარნელი იყო, პრინცმა ვერ გა-ბედა წასვლა.



რებული იყო, რომ ძნელი იყო გამოცნობა, ვინ გაიმარჯვებოდა. ლიბერალებს საარჩევნო რეფორმის იმედი ჰქონდათ, კონსერვატორებს—ლიბერალების გარეშე პოლიტიკის სისუსტისა. პარნელმა კი ისე მოაწყო საქმე, რომ ჯერჯერობით არავინ იცოდა, ვის მიემხრობოდა იგი.

მ კითხვის გამოსარკვევად კონსერვატორული კაბინეტი იძულებული იყო მოლაპარაკება გაემართა პარნელთან. ლორდ კერნარვონმა, ორლანდის გამგებელმა, ინახულა იგი ამ საქმისათვის: რაზედ ჰქონდათ მათ ლაპარაკი, აქამდის არავინ იცის. შემდეგში პარნელი ამბობდა, რომ კერნარვონი სოლსბერის სახელით შეპპირდა მას საკუთარ პარლამენტს ირლანდიისათვის და რადიკალურ აგრძელულ რეფორმას, თუ პარნელი კონსერვატორებს მიემხრობოდა, როგორც აჩენენების დროს, ისე შემდეგშიაც, კერნარვონმა გამოაცხადა, რომ ის არას დაპირებია პარნელს და ჰიმრულზე მხოლოდ უბრალო ლაპარაკი ჰქონდათ. ასეა თუ ისე, კონსერვატორების ქცევა პარნელიტების შესახებ ისეთი იყო, რომ კაბინეტის სურვილი მათთან მორიგებისა ეჭვს გარეშეა.

პარნელს კი შეეძლო ძვირად გაეყიდა თავისი კავშირი. ის ოტაცება და ოვაციები, რომლებითაც მას დახვდნენ ირლანდიაში, იმისი მაჩვენებელნი იყვნენ, რომ მისი კანდიდატები ამორჩეულ იქმნებოდნენ. როგორც კონსერვატორები, ისე ლიბერალებიც ცდილობდნენ მის მიმხრობას. ბუნებრივია, როცა ამისთანა გარემოებებში მოღვაწე მაინც და მაინც არ ებრაუჭება თავის პროგრამის უკიდურესს მხარეებს, თუ კი იმედია, რომ ეს პროგრამა ასე თუ ისე განხორციელდება. პარნელი კი სულ სხვა ნაირად იქცეოდა: მას იოტის ოდენიც არ შეუცვლია თავისი პროგრამა და ტაქტიკა. იგი გამარჯვებული წარსდგა ამომრჩეველების წინაშე; 1880 წლის აგრძელული ბილლი, 1885 წლის ბილლი შესახებ მიწის შეძენისა ფერმერების მიერ, ფორსტერის და სპენსერის გამოცვლა, კერნარვონის დანიშვნა — აი ყველასათვის თვალსაჩინო შედეგები პარნელის მოღვაწეობისა. მაგრამ არა ეს მატერიალური შეძენა იყო პარნელის უმთავ-

რესი დამსახურება: თავის ობსტრუქციით, დაუღალავი გრძელი ლით გლადიტორთან მოხერხებული მიღვომ-მოღვომით, მან ჩამოაგდო ლიბერალური სამინისტრო და იძულა კონსერვატორები, ეცქირათ ირლანდიელებისათვის, როგორც სასურველ მოკავშირებისათვის, ურომლებოთაც შეუძლებელია გამგეობის ხელში შეჩენა. უმნიშვნელო, დაქავსულ და უმოქმედო ჯგუფის მაგიერ (ისაკ ბიუტი) პარლამა შექმნა პატარა, მაგრამ დისციპლინის მორჩილი პარტია, რომელმაც გაელენა მოიპოვა დიდი ბრიტანიის პარლამენტში. გარდა ამისა, მხოლოდ პარნელმა აღამილლა ერის პოლიტიკური და ეკონომიკური იდეალები, გაამხნევა იგი და პირველად, ორმოცის წლის მიუუჩების შემდეგ (40 წლის წინად ო'კონნელის მოღვაწეობა) მისის მეოხებით ირლანდია წარსდგა ევროპის წინაშე, როგორც ერი ნაციონალური თვითცნობიერებით და ისტორიული წარსულით, რომელიც მზად არის იბრძოლოს უკეთესი მომავალი-სათვის.

ი რა პასუხის მიკემა შეეძლო პარნელს, თუ მას ჰყითხავდნენ, რა გააკეთა მან ირლანდიისათვის. მაგრამ მაინც ძნელია, ცხადად გამოარკვიოს კაცმა, თუ რატომ შეიქმნა პარნელი ეგრე ერთბაშად პირველი კაცი ირლანდიაში, რად სწამდა ხალხს იგი თითქმის ისევე, როგორც წმ. პატრიკი, რად იყო, რომ არა თუ ახალგაზდანი, მოხუცნიც კი უკიდურესს აღტაცებას ეძლეოდნენ, როცა პარნელი თავის აღუშვოთებელის ხმით ლაპარაკობდა ხოლმე მიტინგებზე და კრებებზე. მიზეზები იმ შესანიშნავის გავლენისა, რომელიც მან იმ თავითვე მოიპოვა, იმარხება შესამჩნევად ბრბოს ფსიხოლოგიაში, რომელიც ჯერ ბნელით მოცული და გამოურკვეველია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ მოვლენა, მეტი არაფერი.— 1884 წლის საარჩევანო რეფორმაშ დიდი ძალა შესძინა პარნელს. ამ რეფორმაშ სათემო პალატა ნამდვილ „სახალხო პალატად“ (the people's house) გადააჭირა და სახალხო პალატაში სახალხო გმირს ყოველთვის შეუძლია ძლიერი იყოს. პარნელმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ იგი მომხრეა ირლანდიის



სრული დამოუკიდებლობისა, იმისთანა დამოუკიდებლობისა, რომელიც ჰომორულზე მეტია. „არავის არა აქვს უფლება უთხრას, თავის ქვეყანას: აი აქამდე იარე, უფრო შორს წასვლა კი არ გაძედოვო. მე ჩემს დღეში არ ვცდილვარ, საზღვარი დამედოს ირლანდიელთა ეროვნულ მისწრაფებისათვის და არც შეძლები ვიფიქრებ ამას“. პარნელი ყველაზე უფრო იდეალების ნება-ყოფლობით შეზღუდვას უფრთხოდა. 24 ავგისტოს, დუბლინში პარნელს გაუწყვეს ბანკეტი, რომელზედაც მან წარმოსთქვა გრძელი სიტყვა. აქ მან მადლობა გამოუცხადა თავისს პარტიის ნაღვაწისათვის და მიაქცია დამსწრეთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ უმთავრესი მიზანი ჯერ მიუღწეველია. ირლანდიას ჯერ საკუთარი პარლამენტი არა აქვს. „მე დარწმუნებული ვარო, — სთქვა პარნელმა, — რომ ერთად ერთი დიდი შრომა, რომელიც ჩვენ ახლა პალატაში მოგველის, არის ჩვენი საკუთარი, ეროვნული პარლამენტის აღდგენა. მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ, როცა ჩვენ მივაღწევთ ამ მიზანს? ჩვენ გვინდა საკუთარი პარლამენტი იმისთვის, რომ მოვსპოთ ფერმერების დაჩაგვრა, მათი განდევნა მამულიდან, რომ ფერმერი მესაკუთრე შევქმნათ. ყველაზე უწინ, აი ამისთვის გვინდა პარლამენტი. შემდეგ ჩვენ უნდა ავალორძინოთ მრეწველობა, რათა ხელოსანსაც და ქალაქის მუშასაც შეეძლოს ცხოვრება და სულის მოთქმა. ამ გვარად ჩვენ ბევრი საქმე მოგველის ინგლისის პარლამენტშიაც—დროებით, და მომავალ ირლანდიის პარლამენტშიაც—მუდმივ. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ლორდების პალატა არ გვექნება“.

ამ სიტყვას სხვა სიტყვები მოჰყეა, რომლებშიც ამტკი-
ცებდა პარნელი, აუცილებელი საჭიროებაა ირლანდია დაიკე-
ტოს ინგლისელ საქონლისათვის. ეს საქმე ერთ უდიდესთაგა-
ნიაო,—ამბობდა იგი,—რომელიც მომავალმა ირლანდიის პარ-
ლამენტმა უნდა შეასრულოსო. ამ კილომ მოთმინებიდან გა-
მოიყენა ინგლისის პრესსა, რომელიც პალატის დათხოვნის შე-
ძლევ ასე მოფერებით ლაპარაკობდა პარნელისმზე. „Daily News“
გულნატკენად ჰკითხულობდა, როდემდის უნდა ითმინონ კონსე-

რეატორებმა და ლიბერალებმა პარნელის „ტისანიაო“. „Manchester Guardian“-ი იმედოვნებდა, რომ არ არის ინგლისში ისეთი პარტია, რომელსაც ზიშლს არ ჰგვრიდეს ირლანდიელთა ლიდერის კადნიერება. „Standart“-ი იძულებულად სთვლიდა თავისს თავს გამოცხადებინა, რომ სირცხვილია ლიბერალებისა და ტორიებისათვის, რომ ისინი იბრძვიან საშიში მტრის გულის გასახარებლად და სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, პარნელმა წარბ-შეუხრელად განიმეორა თავისი სიტყვები უკეთოუში 5 ოქტომბერს; ახალი ახსნაც მიუმატა წინად - გამოთქმულ აზრს. მან გამოაცხადა, რომ იგი არაფრის გულისათვის არ შეურიგდება შეზღუდულ თვით-მმართველობას: ირლანდიის პარლამენტს უნდა ჰქონდეს განუსაზღვრელი უფლება კუნძულის საქმეებში. სხვათა შორის, მას უნდა ჰქონდეს უფლება ბაჟის დადების უცხო (ესე იგი, ინგლისელ) საქონელზე. ერთის სიტყვით პარნელი თხოულობდა ირლანდიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ინგლისისაგან.

ლიბერალების ერთი ნაწილი მაშინვე წინააღუდგა პარნელს; კავშირის ფასი მეტად ძეირი იყო მათთვის. ლორდ გარტინგტონმა განაცხადა ერთ მიტინგზე, რომ ისეთი ჰომილი, როგორსაც პარნელი თხოულობს, ჭკუაში მოსასვლელი არ არის და ირლანდია ვერასოდეს ვერ მიიღებს მასო. მაშინ პარნელმა ერთ ახალ სიტყვის წარმოთქმის დროს შეპნიშნა: „მე ვფიქრობ, რომ თუ სურთ შეუძლებელი გახადონ ჩვენთვის ჰომილი, ჩვენ შეუძლებლად გავხდით ყველა საქმეებს“. ასეთი მუქარა იმისთანა კაცისა, როგორიც პარნელი იყო, სახუმარო არ იყო და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ლიბერალებზე. კონსერვატორებიც ჰკიცხავდნენ პარნელის რევოლუციონურ სიტყვებს, მაგრამ არა ისე გადაჭრით, როგორც ლიბერალები: ამათ უფრო ეშინოდათ არჩევნების შედეგისა.

რამდენად ახლოვდებოდა არჩევნები, იმდენად უფრო რბილად ეპურობოდნენ პარნელს ორივე მებრძოლი პარტიას: ლიბერალმა მორლეიმ გამოაცხადა, რომ იგი სრულებით წინააღ-



მდევგი ორ არის ირლანდიის ვრცელი თვით-შპართკელობის
მეორე ლიბერალმა ჩაილდერსმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ირ-
ლანდიელებს შეუძლიათ მოაწყონ თავიანთი საქმეები ისე, რო-
გორც ეს მათ ჰსურთ, მხოლოდ სადამოენო პოლიტიკა ინგ-
ლისელების ხელში უნდა დარჩესო. მაგრამ გლადსტონს არ
უყვარდა აუცილებლობის გავლენით საჯაროდ შეჰქოროდა ვის-
მე პირობით და ამიტომაც უესტ-კელდერში (17 ოქტომბერს)
გამოაცხადა, რომ ჯერ პარნელი მხოლოდ პარნელია და მე-
ტი არაფერი; მისი და ირლანდიის გაერთიანება ნაადრევია; გა-
მოთქვას ირლანდიაშ თავისი აზრი კენჭით და მაშინ ვილაპა-
რაკებთ იმისთვის დიდ-მნიშვნელოვან კითხებზე, როგორიც პომ-
რულია. 21 ნოემბერს, ესე იგი, გლადსტონის სიტყვის თხი
დღის შემდეგ, პარნელმა გამოსცა მანიფესტი, სადაც იგი თხო-
ულობდა ირლანდიელებისაგან, რომ მათ ლიბერალებისათვის
ერთი კენჭი არ მიეცათ. ლორდ სოლსბერი გლადსტონზე უფ-
რო ხერხიანად და ფრთხილად მოიქცა. მისი სიტყვა „Times“-ის
თანამშრომელსაც დააქმაყოფილებდა და ვერც პარნელიტი დას-
წამებდა მას პომრულის იდეიის მტრობას.—დეკემბერში არჩევ-
ნები მოხდა. ლიბერალები ამოიჩინეს—335, კონსერვატორე-
ბი—249 და პარნელიტები—86 (39-ის მაგიერ). თუ პარნელი
კონსერვატორებს მიემსრობოდა, სამინისტროს იმდენივე მომ-
ხრე ეყოლებოდა, რამდენიც თპპოზიციას, და როგორც იქ-
მნებოდა შოთარებებდა არსებობას. თუ იგი ლიბერალებს მიუ-
დგებოდა, სამინისტრო მაშინვე უნდა გადამდგარიყო. პარნელ-
მა მიაღწია თავის მიზანს; ინგლისის სამინისტროს ბედი მის
ხელთ იყო.

(შემდეგი იქნება)